ქვირის პალიტრა

ეგზ

№36 (4
4(126)-1

მან რუსების მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდო...

მოხდა თუ არა გარიგება 1-ელ სექტემბერს

რატომ დაშორდა რატი დურგლიშვილი შეყვარებულს

ექიმების გმირობა და ზიარება განსაცდელის წინ

„მის საქართველო 2008“ გულის სწორს ეძებს

„მე ყველაფერი ვიცი“...

„შენნაირი გოგონები მომწონს“...

ISSN 1987 - 3029

გზავნილები – ლამაზი სიყვარულის ამბავი

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№36 (430)
4 – 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2008 წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲗᲘᲠᲘ

ᲛᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲝᲛᲨᲘ

ექიმები ომში ისეთივე შემართებით „იბრძოლნენ“, როგორითაც ქართველი ჯარისკაცები. მათ ბარბაროსებიც არ ესვრიან, მაგრამ რუსებმა ხომ ბარბაროსებზე უარესის გაკეთება შეძლეს. ხაშურის „სასწრაფო დახმარების“ მანქანა მათი სამიზნე გახდა.

29

„ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲝᲠᲡ ᲛᲔᲥᲔᲑᲡ

– ხათუნა, შეყვარებული ხარ?
– არა.
– რაგომ?
– არ ვიცი.
– გულქვა ხარ?
– არა, გულქვა ნამდვილად არ ვარ. უბრალოდ, ჯერ ის ადამიანი ვერ ვიპოვე.
– ეი. ეტებ?
– ვეტებ.

13

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐᲜᲘ
3 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲬᲐᲤᲘᲡᲨᲘ – ᲮᲐᲮᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ.

ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

35

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ“ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ ᲐᲜᲣ УХОДИТЕ ВОН!.. 5
■ ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ!
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲡ 6
■ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ
„ᲛᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲢᲧᲕᲘᲐᲪ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲛᲑᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲘᲡᲐᲪ“... 8
■ ᲡᲐᲛᲘᲢᲘ
ᲛᲝᲮᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ 12
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
„ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲝᲠᲡ ᲔᲥᲔᲑᲡ 13
■ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲭᲙᲣᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ 16
■ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ
ᲛᲐᲜ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲘᲔᲠᲘᲨᲔ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲝ 17
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲠᲝᲪᲐ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ „ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ“ ᲒᲐᲓᲘᲡ 19
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
„ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲘ, „ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲐᲮᲜᲐᲒᲝᲕᲐᲜᲘ“ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠ“ 22
■ ᲒᲔᲜᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲐ 24
■ ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ
ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ... 26
■ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ
ᲐᲖᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲘᲟᲣᲠᲘ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ 27



ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲪᲐᲯᲔ ᲤᲠᲔᲜᲓᲐ ᲘᲡ ᲮᲕᲐᲠᲘ

– მაშ ეს კაცი ვინ არის?! – შმაგად შესძახა მამარმა და ჰასანისკენ გაიშვირა ხელი.

– ეგ კაცი ბაღდადელი ვაჭარია. ჩვენ...

– მისი სახელი მითხარი! – არ დაამთავრებინა მამარმა.

– მე თავად გეტყვი ჩემს სახელს... ალი ჰასანი! – ბრაზით მიუგდო ჰასანმა.

– სულთნის შავხიფთანიანთა ასისთავი! – ხმა გაეყინა მამარს.

78

■ პროფესია
ექიმები ომში და ზიარება განსაცდელის წინ 29
■ ტკივილი
საკლასო ოთახის კარნიზიდან გორის სამხედრო პოსპიტლამდე 31
■ ჯანმრთელობა
ყურის პრობლემები 33
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51
■ ემიგრანტები
„უკვირთ, რომ ოკეანის გაღმა, თბილი, განათლებული და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს“... 67
■ ანტიდეპრესანტი 68
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ფული — სიამოვნება თუ დამამცირებელი ბარიერი? 76
✓ როგორ მოვხიბლოთ მამაკაცი 77
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78
■ ვარსკვლავები
კრისტინა რიჩის ცხოვრების ახალი ფურცელი 82
■ კრიმინალი 87
■ ტაძარი
„...და ეწოდა მას „ივერონი“ ანუ „ქართველთა“ 90
■ ტენდენცია
იტალია — სვინგერების სამშობლოა?! 92
■ სპორტული მოზაიკა
■ ავტო 94
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მთე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ფული — სიამოვნება თუ დამამცირებელი ბარიერი?

დღევანდელ დღეს, იშვიათად თუ შეხვდებით ფულის მიმართ გულგრილ ადამიანს. ცნობილი გამონათქვამი კი — ბედნიერება არა ფულში, არამედ მის რაოდენობაშია — სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. და მაინც, რას ნიშნავს თქვენთვის ფული?

76

„მე ქველაფერი ვიცი“

„მხოლოდ რუსების თითოეული სიტყვა, საქციელი და მიმიკაც კი გამაღიზიანებელია. ყველაზე მეტად მათი უტიფრობა მაბრაზებს. რა უნდათ ამ „ვარვარებს“, რატომ გვართმევენ ჩვენს მიწა-წყალს?!“

22

როცა წყალგამყოფი ოჯახის „ტერიტორიაზე“ გადის

ცნობილია, რომ შერეული, ქართულ-ოსური ოჯახების სიმრავლით, ლიახვის ხეობა და მთლიანად გორის რაიონი გამოირჩევა. სწორედ ასეთი ოჯახების გაცნობის მიზნით, კონფლიქტის ზონიდან თბილისში დევნილ მოსახლეობას მივაკითხე.

19

მორიელის ნიშანი

— როგორ მოგეწონა ჩემი დისშვილი? — თაკოს შეხედა ლუკმით პირგამოტენილმა.

— მაგარი გოგოა, — ცერი შემართა თაკომ.

— ხომ არ აბრაზებდი?

— ა-რა!

— ესე იგი, კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს...

— გადასარევად, — გაღიმებულმა თაკომ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

70

„მშობელთა კრება" ბრიუსელში ანუ Уходите вон!..

ამდენი თუ ვიყავით ქართველები, ნამდვილად არ მეგონა და კიდევ ვწუწუნებთ, სულ 5 მილიონი ვართ-თქო. ნეტავ, 12 მილიონი რომ ვიყავით, როგორ ვეტეოდით ამ პატარა ქვეყანაში?.. თუმცა მაშინ ქვეყანაც დიდი გვქონდა და არც რუსი „სამშვიდობოები" გვედგნენ სოფელ-ქალაქებში. სახელიც შესანიშნავი აქვთ — „სამშვიდობო"! — არადა, სანამ არ გავაგდებთ ბოლო რუს „სამშვიდობოს", მანამ ვერ გავალთ სამშვიდობოს...

ჰოდა, სწორედ ამიტომ გამოვიდა მთელი ერი ქუჩაში, კიდევ ერთხელ შევძახეთ — „წა-ადით!" — მაგრამ რად გინდა?.. არ ესმით ქართული! იქნებ, რუსულად ვუთხრათ — „წადით" ანუ — идите. ასე კი გაიგებენ, მაგრამ „მოდიც" იმავენაირად ჟღერს და პირიქით რომ არ გაიგონ, — გვეპატიჟებიანო, — მისამართიც უნდა დავუკონკრეტოთ: идите на...

მოკლედ, ვერც ტკბილი სიტყვით შევაბით, ვერც ჯაჭვით დავაბით და რა უნდა ვქნათ, მე არ ვიცი... მე რომ არ ვიცი, არცაა პრობლემა; მთავარია, მთავრობამ იცოდეს და მე მივყვები. იმ დღესაც ისეთ მყარ რგოლად ვიდექი ჯაჭვში და რომ არ გაწყვეტილიყო, ისე მაგრად ვუჭერდი ხელს ჩემ გვერდით მყოფ ხანდაზმულ მამაკაცს, რომ ბოლოს ღიმილით მითხრა, — შენ ხარ, ბიძიკო, ცოდვა, ხელი გეტკინება, თორემ მე, თუ გინდა, სახლშიც გაგატან ამ პროთეზსო...

ისეთი ამაღლებული განწყობილება და ერთსულოვნება როგორიც 1-ელ სექტემბერს იგრძნობოდა, ცოტა უფრო ხშირად რომ გვახასიათებდეს ქართველებს, ახლა იმ დღეში არ ვიქნებოდით, რისთვისაც ჯაჭვი შევკარით. სახალხო პროტესტის ამ ფორმამ ბევრ ქვეყანაში გამოიღო სასურველი შედეგი და დამოუკიდებლობაც კი მოუტანა. ჩვენც იგივე გავაკეთეთ და მართლაც, ულამაზესი სანახაობა ვუჩვენეთ ევროკავშირის ლიდერებს, როცა ჩვენზე ბჭობდნენ, მაგრამ დიდი ვერაფერი მოიფიქრეს. ვერ გავიგე, ჩვენი ჯაჭვი არ ჯაჭვობს?!

მოიწვიეს „მშობელთა კრება" ბრიუსელში და სულ ქოქოლა აყარეს რუსეთის მთავრობას დაუსწრებლად, მაგრამ სანქციები არ (ვერ) დაუწესეს. ასეა, დიდი და ძლიერი, რაც უნდა ცუდი იყოს, მაინც კარგია და ცუდს ვერ ეტყვი. იმ ანეკდოტისა არ იყოს, იტყვი და — არ ვარგიხარ, არ იტყვი და — „გაივსო ლოგინი ფეხებით"... ნამეტანი იმედი, — რუსეთს ნემსის ყუნწში გააძვრენენ-თქო, — არც გვქონია. სარკოზიმაც რა ქნას? რომ აწყენინოს, გადაუკეტავს პუტინი ბუნებრივ აირს და ამხელა პრეზიდენტ კაცს გაზის ბალონის თრევა მოუწევს. იქით კიდევ, მერკელს ჩაუვარდება „პერაშკების" ბიზნესი და გვინდა ამხელა ზარალი?!

ამიტომ, იმითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ, რომ ევროკავშირის 27-ივე ქვეყნის მეთაურმა გაგვამართლა, — „არასპრავედლივი" ხელი მოხვდაო; ესეც კარგია — რუსეთსაც კი ახატია ორი თავი გერბზე, მაგრამ მართლა ორი თავი კი არ აქვს, კოკოითის და ბაღაფშის გამო მთელი მსოფლიო რომ მოიმდუროს. ახლა 8 სექტემბრამდე აქვთ ვადა და იმედია, გაიყვანენ ქართული საჭმელ-სასმლით მოსუქებულ მარადიორებს. ის უნიტაზებიც მშვიდობაში მოიხმარონ, ზოგს რომ პირსაბანი ეგონა და ზოგსაც — განსხვავებული სასმისი. მთელი მსოფლიო იმდენ დახმარებას გვიგზავნის, სადღა წავიღოთ ამდენი ფული, აღარ ვიცით. ქვეყანასაც ავაშენებთ და ფეხზეც უკეთ დავდგებით. ეს პირველი სექტემბერიც დღესასწაულად დაგვრჩება. მაგრამ თვითონ იმ რუსებს რა ეშველებათ? — ქალები არასოდეს აპატიებენ ქართველების დაკარგვას...

ჩვენ კი კიდევ ერთი გამოცდა ჩავაბარეთ, ერთსულოვნებისა და ქვეყნის სიყვარულის: ერი და ბერი, „პოზიცია" და ოპოზიცია, ჩინოსანი და უჩინო — ყველანი ერთად ვგრძნობდით, რომ ღირსეული ქვეყანა ვართ. ერთადერთი, ვინც ამ ჯაჭვში არ ჩადგა, ლეიბორისტული პარტია იყო. მართალია, იძახა, — სააკაშვილის პიარაქციაში მონაწილეობას არ მივიღებო! — მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც იყო ქუჩაში არგამოსვლის რეალური მიზეზი: როგორია, ამხელა პარტიის ლიდერი და კინაღამპრეზიდენტი, ცოცხალ ჯაჭვში რომ დგახარ და თან მევალეებს ემალები?!.

არა უშავს, ბატონო შალვა, სადაცაა, ნატოშიც შევალთ, ევროკავშირშიც გავიჯგიმებით და იმდენი ფული გვექნება, რომ მე გაგისტუმრებთ ციალას „ბუტკის" ნისიებს...

მოკლედ, მართლაც ისტორიული დღე ჰქონდა საქართველოს და ამ ისტორიას ჩვენს მომავალს ერთად ვუწერთ — მე, შენ, ის პატარა ბავშვი, აკვნით რომ იდგა ცოცხალ ჯაჭვში და ის მოხუცი კაცი, „ხელიც" რომ არ დაენანა ჩემთვის. ერთიანობის დღეს გილოცავთ, საქართველო ჩვენია!..

P.S. პრეზიდენტისა და შს მინისტრის სატელეფონო საუბარი:

— ვანო, ტელევიზორში გნახე, გორში ცოცხალ ჯაჭვში იდექი და ჰიმნს მღეროდი.

— კარგად ვმღეროდი?

— ისე გასაგებად მღეროდი, რომ აწი სათქმელს სიმღერით ჩამაბარებ, იცოდე!..

პროვოკატორი

ეჯიი კვიჩის ლტოლვილ ნიკოლოზს საქართველოს დროშის ქვეშ სძინავს...

ბოლო დროს საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ცხოვრება მაინც გრძელდება და მტრის ჯინაზე, სასიამოვნო ამბებიც ხდება: დაახლოებით 1 კვირაა, რაც ნიკოლოზ ნეფარიძე ქვეყანას მოევლინა. მისი მშობლები — 31 წლის ვანო ნეფარიძე და 21 წლის ნინო კულუმბეგოვი ექიმთან მორიგი ვიზიტის გამო, 7 აგვისტოს ზნაურის რაიონიდან თბილისში გამოემგზავრნენ, მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ მოახერხეს — საქართველოში უკვე რუსი ოკუპანტები იყვნენ შემოსული. ახალგაზრდა წყვილი, რომელიც დღე-დღეზე შვილის დაბადებას ელოდა, უსახლკაროდ — ყოველგვარი საარსებო წყაროს გარეშე დარჩა...

ეთო ყორღანაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ახალბედა მშობლებმა არ იციან, თუ რა ბედი ეწია მათ სახლს, თავს მაინც ბედნიერად გრძნობენ. მათი სიხარულის მიზეზი — პატარა ნიკოლოზია, რომელსაც კეთილი ადამიანების დახმარების წყალობით, საკუთარი საწოლი აქვს და კედელზე გაკრული, საქართველოს დროშის ქვეშ მშვიდად სძინავს.

ვანო და ნინო რუსთავში, ტურბაზის შენობაში ცხოვრობენ. როცა მათთან მივედი, ოჯახის „ყველაზე უფროს“ წევრს ეძინა. მამამისმა მითხრა: დღეს ბავშვთა ექიმი საკუთარი ინიციატივით გვესტუმრა, პატარის მოვლის წესები აგვიხსნა, ნიკოლოზს საჭირო წამლები გამოუწერა და ახლა მათ შესაძენად გავრბივარო. მოკლედ, ვანომ საპატიო მიზეზის გამო დაგვტოვა, მისი მეუღლე კი საუბარზე სიამოვნებით დამთანხმდა:

— ვანო ჩემი მამიდაშვილი გოგონას მეგობარი გახლდათ. სწორედ მის სოფელში გამართულ დღეობაზე გავიცანი. ვიდრე ვანოს პირადად ვნახავდი, მასზე მანამდეც კარგი წარმოდგენა მქონდა — ყველა, დიდი თუ პატარა, მის ქება-დიდებაში იყო!.. ჩემი მომავალი მეუღლე დანახვისთანავე მომეწონა, მაგრამ ეს მისთვის არც მითქვამს და არც მიგრძნობინებია. ერთმანეთს ნორმალურადაც არ დავლაპარაკებივართ — გამაცნეს და მორჩა. როცა შინ დავბრუნდი, მამიდაშვილს ვთხოვე: იმ ბიჭის ტელეფონის ნომერი გამიგე-მეთქი.

— მამიდაშვილს გაუმხილე, რომ ვანო მოგეწონა?

— არა. უბრალოდ, ვუთხარი: დავუმესიჯებ, გავაბრაზოთ და ცოტა ვიხალისოთ-მეთქი (*იცინის*). ვანოს მობილურის ნომერი დავადგინე და ვუმესიჯებდი ხოლმე. მხოლოდ ჩემი სახელი გავუმხილე, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დავუმალე. მიუხედავად ამისა, ისეთ მინიშნებებს ვაძლევდი, რომ მიმხვდარიყო, ვინც ვიყავი... მეორედ, მისი ბიძაშვილის ქორწილში ვნახე. დავუმესიჯე — სად ივჯდა, როგორ იქცეოდა... მინიშნებამ შედეგი გამოიღო: როგორც იქნა, მიხვდა, ვინც ვიყავი.

— მერე, როგორი რეაქცია ჰქონდა?

— განსაკუთრებული — არაფერი... შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემი მამიდაშვილის ძმაკაცმა გოგონა მოიტაცა და ჩვენს ოჯახში მოიყვანა. იმ ღამეს ვიქეიფეთ. ვანოც იქ იყო. მას უბრალოდ, მივესალმე, სხვა არაფერი. მოგვიანებით მესიჯი მივწერე: — აღარ მსურს, რომ მოგატყუო, ნინო კულუმბეგოვი ვარ და სიცრუისთვის ბოდიშს გიხდი-მეთქი. — არა უშავსო, — მომწერა. მერე უფრო აქტიურად ვმესიჯობდით. აღარ ვმალავდით, რომ ერთმანეთი მოგვწონდა. ვანო შეხვედრას მთხოვდა, მაგრამ ამ საქმეს ვერა და ვერ მოვაბით თავი.

— მიზეზი რა იყო?

— თბილისში წამოსვლა ვეღარ მოვახერხეთ. სოფელში შეხვედრა კი არ მინდოდა, არ ვიცი, რატომ... პაემანი არ შედგა. ერთმანეთს სხვა სიტუაციაში შეეხვდით: ჩემი მამიდაშვილის შვილის ნათლობა იყო დანიშნული. მამიდაშვილმა დაიჟინა, — ვანოც უნდა დავპატიჟო და შეგახვედროო. შევეწინააღმდეგე, მაგრამ დამამშვიდა: შენზე არაფერს ვეტყვი, ისე დავპატიჟებო... ბავშვის ნათლობაზე ვანო ვნახე, ვისაუბრეთ... მითხრა: შენთან სალაპარაკო მაქვს, ხალხი რომ დაიშლება, ჩვენი ურთიერთობა გავარკვიოთო. მასთან პირისპირ შეხვედრის მრცხვენოდა, თან რაღაც-რაღაცები ხომ მოვატყუე!..

— მაგრამ სიმართლეც ხომ გაუმხილე!

— ჰო, მაგრამ მაინც... ტელეფონით საუბრისას დიდი გული მქონდა (*იცინის*). სიმორცხვის მიუხედავად, სალამოს, ვანოს სანახავად მაინც მივედი. თავისი ბიძაშვილის მანქანის წინა სავარძელზე ივჯდა, მე უკან დავჯექი. მითხრა, რომ ცხოვრებაში ბევრ გოგონას შეხვედრია, მაგრამ ჩემ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ დღესვე ცოლობა მთხოვა. მართალია, ვანო ძალიან მომწონდა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად მზად არ ვიყავი. ვთხოვე, — ჩემს ადგილზე წარმოიდგინეთ თავი, ასეთ წინადადებას ასე მალე როგორ უნდა დავთანხმდე-მეთქი?

— თქვენობით ელაპარაკებოდი?

— ჰო... ჩემთვის, მორცხვად ვიჯექი. ვანო საჭეს მიუჯდა. უნდა წაგიყვანოო! — მითხრა. ვიფიქრე, რომ ხუმრობდა. ამ დროს მამიდაშვილმა დამირეკა: სად ხარ? ხალხი გკითხულობსო. ვუთხარი, სადაც ვიყავი და შევპირდი, რომ მალე დავბრუნდებოდი. ამასობაში, ვანომ თავის ბიძაშვილს დაურეკა და მოსვლა სთხოვა, მერე კი ჩემ გვერდით დაჯდომის ნებართვა აიღო, თან მამშვიდებდა, — ჯერ ვისაუბროთ და შენს მამიდაშვილთან ერთად დავბრუნდეთო. ვანოს ბიძაშვილმა მანქანა დაქოქა. ისევ მეგონა, რომ ხუმრობდნენ. ვიფიქრე, — ალბათ, მაშინებენ-მეთქი... რა ხუმრობა?! თურმე საქმე სერიოზულად ყოფილა! ავნერვიულდი, ლამის გონება დავკარგე... ვანოს ცოლობა კი მინდოდა, მაგრამ მასთან პირველი შეხვედრისთანავე გათხოვება — არა.

ახალგაზრდა წყვილი, რომელიც დღე-დღეზე შვილის დაბადებას ელოდა, უსახლკაროდ – ყოველგვარი საარსებო წყაროს გარეშე დარჩა...

— დედამთილ-მამამთილი როგორ შეგხვდა?

— მამამთილი, მიუხედავად იმისა, რომ ვანოს ჩანაფიქრის შესახებ არაფერი იცოდა, კარგად შემხვდა, დედამთილი კი საქმის კურსში იყო, ჩემი არსებობის შესახებ იცოდა და მისი ვარაუდით, კარგი გოგონა გახლდით... მთელი ღამის განმავლობაში სოფლიდან სოფელში დავდიოდით, რათა ჩემს ახლობლებს ჩვენთვის არ მოეგნოთ. ბოლოს, მამიდაშვილს დავურეკე და ვუთხარი: ვანო მომწონს, მიყვარს და ცოლად მივყვებიმეთქი. კარგად გამომლანძღა: ასე რატომ მოიქეცი? შენი სახლიდან გათხოვილიყავი, ახლა მამაშენი მომკლავსო. ახლობლები მირეკავდნენ, მეჩხუბებოდნენ, ტიროდნენ... მეუბნებოდნენ, რომ ჩემგან ასეთ საქციელს არ ელოდნენ. ერთ კვირაში რუსთავში გამოვემგზავრეთ.

— ეი. რუსთავში წინათაც ყოფილხართ...

— კი, აქ ახლობელი გვყავდა. მერე დედაჩემმა დამირეკა და მითხრა, — სოფელში წამოდი, უკან აღარ წაგიყვანთ, ნუ გეშინიაო. მამა საერთოდ არ მეკონტაქტებოდა. თუ მაინც დამირეკავდა, მხოლოდ მლანძღავდა. ერთ კვირაში ვანოს სოფელში, ოქონაში გავემგზავრეთ. ოქონაში ჩემიანებიც ჩამოვიდნენ. დედამ „მომქოჩრა“, ძმამ ხელი გამარტყა... მთელი საახლობლო ჩემზე გაბრაზებული იყო. ბოლოს, რა თქმა უნდა, შეგვირიგდნენ და მე და ვანომაც ვიქორწინეთ. ერთმანეთს იოლად გავუგეთ. ძალიან თბილი ოჯახი გვაქვს. ჩემ მიმართ დედამთილ-მამამთილიც დიდ ყურადღებას იჩენდა: ხან რას მჩუქნიდნენ, ხან — რას... ორსულობის პერიოდში საქმეს არ მაკეთებინებდნენ — ზედმეტად არ დაიტვირთო, თავს გაუფრთხილდიო... მე და ვანო ოქონიდან მანამდე წამოვედით, ვიდრე არეულობა დაიწყებოდა — თბილისში, ექიმთან კონსულტაციზე დავდიოდი ხოლმე. გასინჯვის შემდეგ, ექიმმა მითხრა: ყველაფერი კარგად არისო. მშობიარობის ძალიან მეშინოდა. ვნატრობდი, რომ დედამთილი გვერდით მყოლოდა.

— დედა?

— დედაჩემი თავის მოხუც დედამთილ-მამამთილს ვერ დატოვებდა, თან ბაბუას სკლეროზი აქვს — სახლიდან რომ გამოდის, იკარგება და შინ ვეღარ მიდის... ვანოს დედის თბილისში ჩამოსვლიდან მეორე დღეს, ოქონაში არეულობა დაიწყო. ჩემი მამამთილი ცოცხალი იყო თუ მკვდარი, არ ვიცოდით. თურმე სოფლიდან გაპარვა მოუხერხებია და ნათესავთან, ერთ-ერთ სოფელში აფარებს თავს. ალბათ ისიც რუსთავში ჩამოვა, რადგან უკვე გზები გაიხსნა. იმ სოფელში შედარებით მშვიდი მდგომარეობა იყო: სოფელთან ახლოს რუსების ჯარი კი იდგა, მაგრამ არ შესულა... ოქონაში ჩვენს სახლს, ავეჯს, საქონელს რა ბედი ეწია, არ ვიცით. საქონელი ეზოში მივატოვეთ, მაგრამ თუ არ გამოკვებე, მოკვდება, აბა, რას იზამს?!. სახლიდან რომ წამოვედი, სარაფანი და ტუფლები მეცვა. თან მხოლოდ საბუთები და ექიმთან ვიზიტისთვის საჭირო თანხა წამოვიღე. ერთ დღეში ლტოლვილებად ვიქეცით. ტელევიზიით რომ გამოაცხადეს, დევნილებს ვეხმარებითო, რუსთავში ჩამოვედით, რადგან თბილისში საცხოვრებელი ადგილები აღარ იყო, საბავშვო ბაღში კი იმხელა მუცლით ვერ ვიცხოვრებდი — დღე-დღეზე ბავშვი უნდა გამეჩინა. ძალიან დაღონებული ვიყავი: ცალკე — მშობიარობის მეშინოდა, ცალკე — მშობლებზე, სახლზე ვნერვიულობდი... ცრემლებს ვეღარ ვიკავებდი. რუსთავის მერიაში ძალიან თბილად შეგვხვდნენ, ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანეს და მზრუნველობა არ მოგვაკლეს. დაგვამშვიდეს — ტურბაზის შენობაში ორი ოთახი გვაქვს, მისი დირექტორი — ქალბატონი მაყვალა კარგად მიგიღებთო. ოღონდ ღამის გასათევი ადგილი გვქონოდა და ყველანაირ საცხოვრებელზე თანახმა ვიყავით. ტურბაზაში აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა ცხოვრობს, მათ ახალი ლტოლვილებიც დაემატნენ... როცა შეიტყვეს, რომ ფეხძიმედ ვიყავი, საოცარი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს. ქალბატონმა მაყვალამაც კარგად მიგვიღო. საწოლები, თეთრეული, ბავშვის ტანსაცმელებიც კი მოგვიტანეს. ბატონმა გია ქერაშვილმა (*მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე. — ავტ.*) ექიმებთან დარეკა, ჩემი მდგომარეობა აუხსნა და ყველა გააფრთხილა. მერე შემომთავაზა, — საავადმყოფოში დაწექი, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიო, — მაგრამ არ დავთანხმდი, ტურბაზაში ყოფნა ვარჩიე.

— რატომ?

— ისე მეშინოდა, რომ სულ სროლისა და აფეთქების ხმები ჩამესმოდა. ვიფიქრე, რუსებმა დაბომბვები რომ დაიწყონ, მკვდარსაც ვეღარ მიპოვიან-მეთქი... რამდენჯერმე ცრუტკივილები მქონდა, „სასწრაფო“ ტყუილად გამოვიძახეთ. ბოლოს უკვე მრცხვენოდა, აღარ მითქვამს, რომ მუცელი მტკიოდა. საღამოს მეუღლეს მაინც გავუმხილე — ძლიერი ტკივილი მაწუხებს-მეთქი... სამშობიაროში ყველა კარგად შემხვდა, განსაკუთრებით — ექიმი ზვიად მანჯავიძე. როცა გაიგეს, რომ ლტოლვილი ვიყავი, სითბო და მზრუნველობა არ მოუკლიათ ჩემთვის. ნიკოლოზმა დაბადება ერთი კვირით დაიგვიანა — ბიჭებმა ასე იციან... სამშობიაროში ოთხი დღე ვიყავი. 3 დღეში წამოსვლა უკვე შემეძლო, მაგრამ ექიმმა მითხრა, — კიდევ უნდა გაგსინჯოო. მეოთხე დღეს გამოგვწერეს. ქალაქის მერმა ჩვენს პატარას 100 ლარი აჩუქა. ნიკოლოზისთვის პატარა საწოლიც მოგვიტანეს. სამშობიაროდან ჩვენს დროებით საცხოვრებელში რომ დავბრუნდით, დევნილები დერეფანში ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. როგორც კი დაგვინახეს, მაშინვე ახმაურდნენ: ჩვენი ბიჭი, ჩვენი ოჯახის ახალი წევრი მოვიდაო! მოგვილოცეს, საჩუქრები მოგვიტანეს...

— ნიკოლოზი ჭირვეული ბავშვი ხომ არ არის?

— არა, ძალიან წყნარია, სულ სძინავს. მაგრამ წუხელ მთელი ღამის განმავლობაში არ დაგვაძინა — ტიროდა. ეს იმის ბრალია, რომ დედამისმა პირი ვერ გააჩერა (*იცინის*). ნიკოლოზი ძუძუთი კვებაზე მყავს, ამის გამო, არსებობს საკვები, რომლის მიღებაც მეკრძალება; აკრძალვას არ დავემორჩილე, სულმა წამძლია და ნამცხვრის პატარა ნაჭერი შევჭამე, რამაც ბავშვზე იმოქმედა. ექიმმა ნიკოლოზს წამლები გამოუწერა. ვანო აფთიაქში გაიქცა და იყიდა... მიუხედავად იმისა, რომ დევნილი ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ, რადგან დედა გავხდი. მჯერა, რომ ჩემი მშობლებიც კარგად არიან. ისინი ზნაურის რაიონში, ლოპანში ცხოვრობენ. მათთან დაკავშირებას ვერ ვახერხებ, რადგან რუსებმა ანძები ააფეთქეს... აქაურობას ძალიან შევეჩვიე. ბავშვის სანახავად ყოველდღე ვილაც მოდის და საჩუქრები მოაქვს. ნიკოლოზიც გვართობს, გვახალისებს... იმედია, ჩვენს სახლში მალე დავბრუნდებით და საქართველოში მშვიდობა იქნება. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა! ■

მჯერა, რომ ჩემი მშობლებიც კარგად არიან. ისინი ზნაურის რაიონში, ლოპანში ცხოვრობენ. მათთან დაკავშირებას ვერ ვახერხებ

„მე ქართველის ნასროლი ტყვიას გულში მხვდება და ოსისაც“...

„პუტინს თავისი სულელური გადაწყვეტილება ბუმერანგივით მიუბრუნდება“

მსოფლიოს სხვადასხვა ტელევიზიამ 1-ელ სექტემბერს, რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე საქართველოს მოსახლეობის ღიმილიანი და ბედნიერი სახეები დააფიქსირა, მაგრამ ტელეკამერებმა, ბუნებრივია, ვერ შეძლო იმ ტკივილისა და განცდების „ამოკითხვა“, რომელიც მათ გულებს რუსულმა ჩექმამ მიაყენა. ეს ადამიანები თავიანთ განწყობილებას ჩვენთან საუბრისას გამოხატავენ.

ხათუნა ბახტურიძე

ლონდა ჯალიაშვილი, *ჟურნალისტი:*

— 1-ელ სექტემბერს გამართულმა აქციამ და ქართველი ხალხის ერთიანობამ მომავლის რწმენა დამიბრუნა, მაგრამ ბედნიერების შეგრძნება არ მაქვს, იმიტომ, რომ აგვისტოს დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა მოუშუშებელი ტკივილები დამიტოვა. როდესაც ომი დაიწყო, შვილთან და დედასთან ერთად, ქობულეთში ვისვენებდი. ფოთი რომ დაბომბეს, ხალხი პანიკაში ჩავარდა და ჩვენც გამოვიქეცით. თბილისში წამოსვლა ვერ გავრისკე და ხაშურში ნათესავებთან გავჩერდი. მაგრამ არც იქ აღმოვჩნდი კარგ დღეში. თვითმფრინავები ჩვენს სახლს თავზე დასტრიალებდა, ყველგან აფეთქებებისა და სროლის ხმა ისმოდა. ჩემი 5 წლის შვილი გამუდმებით მეკითხებოდა, — დედა, რატომ გვესვრიან, რა დავუშავეთო? ძალიან ცუდ დღეში ვიყავი, მაგრამ ქართველი ჯარისკაცების მდგომარეობამ სულ სიმწრის ცრემლებით მატირა. როდესაც მედვედევმა და სააკაშვილმა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება მიიღეს, ჩვენმა ბიჭებმა ბრძანება შეასრულეს და იარაღი დაყარეს. რუსებმა კი ამით ისარგებლეს და უიარაღო ჯარისკაცებს ტანკებით გამოეკიდნენ. სადაც წაასწრებდნენ, იქ ხოცავდნენ, ენით აუწერელი სისასტიკით უსწორდებოდნენ. ბოლოს, საცოდავები, ჩვენ გვთხოვდნენ, — სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაგვაცვითო. ძალიან მინდა, ადამიანებს, რომლებიც ირწმუნებიან, რუსები მშვიდობიან მოქალაქეებს არაფერს ერჩოდნენო, ასეთი კითხვა დავუსვა: რამდენად სამართლიანია, რომ ჯარისკაცს მოტყუებით ადებინებ იარაღს და მერე ტანკებითა და თვითმფრინავებით მოსაკლავად მისდევ?!. გარდა ამისა, ჩემი მეგობარი თავად გახდა იმის მომსწრე, რომ რუსებმა ხაშურთან ახლოს, ზუგდიდში მიმავალი, სამარშრუტო ტაქსი დაცხრილეს და მასში მყოფი სამოქალაქო პირები დახოცეს. როდესაც ეს ამბავი გავიგეთ, გადავწყვიტეთ, ჩვენც ტყეში გავხიზნულიყავით. ერთი დღე-ღამე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას შევაფარეთ თავი. მაგრამ რუსები ტყეებს ცეცხლს უკიდებდნენ და თან ბომბავდნენ, ამიტომ იქიდანაც გამოვიქეცით. ქართველი ჯარისკაცების ვაჟკაცობამ გამაოგნა. ვინც წინადღეს რუსულ ტანკებსა და თვითმფრინავებს გადაურჩნენ, მეორე დღეს თავიანთ სამხედრო ნაწილში რეკავდნენ, იარაღს ითხოვდნენ და ისევ საბრძოლველად მიიწევდნენ. ისიც მინდა გითხრათ, რომ თავად განწირულები, ჩვენზე ზრუნავდნენ. სწორედ მათი დახმარებით გამოვაღწიეთ სამშვიდობოს. ეს ომი ჩვენს ბიჭებს არ წაუგიათ. დღემდე დეპრესიაში ვარ, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ადრე თუ გვიან, უფალი მტყუანსა და მართალს განსჯის.

ჟენია ტეხოვა, *დიასახლისი:*

— ეს ომი ჩემთვის პირადი ტრაგედიაა. მე და ჩემი მეუღლე წარმოშობით ოსები ვართ, მაგრამ რძალი, სიძე და დეიდაშვილები ქართველები მყავს. მითხარით, რომელი მკლავი მოვიჭრა?!. რუსები რომ არ ჩარეულიყვნენ, ქართველ და ოს ხალხებს შორის ასეთი მტრობა არ ჩამოვარდებოდა. ცხინვალის რაიონში დავიბადე და გავიზარდე. ქართველებთან ერთად ვცხოვრობდი, მათგან არანაირი შევიწროება არ მიგრძნია, ჭირიც ერთი გვქონდა და ლხინიც. მე ქართველის ნასროლი ტყვიაც გულში მხვდება და ოსისაც. დეიდაშვილების გარდა, მთელი ჩემი ნათესავები დაკარგული მყავს. ისიც კი აღარ ვიცი, ვინ ცოცხალია და ვინ — მკვდარი. ჩემს მეუღლეს ორჯონიკიძეში (*ვლადიკავკაზში. — ავტ.*) ძმა დაეღუპა, მაგრამ მის დასატირებლად ვერ წავიდა. არ იფიქროს ვინმემ, რომ რუსები და ოსი სეპარატ-

ისტები მხოლოდ ქართველებს ერჩიან. რუსი საოკუპაციო ჯარის ნაწილი სწორედ ჩემს ბაღში (სოფელ გამდლისწყაროში) იყო დაბანაკებული. ყველაფერი გამინადგურეს. ქართული და ოსური ოჯახებიდან ერთნაირად გაიტანეს ნადავლი. საჭმელ-სასმელს ითხოვდნენ, თუ არ მისცემდი, ძალით წაგართმევდნენ.

— ცნობილი გახდა, რომ ქართველების მიმართ რუსებზე გაცილებით მეტ სისასტიკეს ოსები იჩენდნენ. თუ ერთ დროს ასეთი მეგობრული დამოკიდებულება გქონდათ, ახლა რამ გააბოროტა ეს ხალხი?

— სისასტიკით ის ოსები გამოირჩევიან, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოვიდნენ...

— თქვენ თუ იცით, საერთოდ, როგორ მოხვდნენ ცხინვალის რეგიონში ოსები?

— მე ის ვიცი, რომ ცხინვალში ქართველები და ოსები ერთად ცხოვრობდნენ. პირველი სკოლა ქართულენოვანი იყო, რომელსაც ვახტანგ კასრაძე ხელმძღვანელობდა. ქართველებზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის. მამა რომ დამეღუპა, პატარა ვიყავი. ძალიან გაგვიჭირდა. კარის მეზობლები — ქართველი ოქროპირიძეები რომ არა, ალბათ შიმშილს ვერ გადავურჩებოდით. თავიანთთვის სადილს ისე არ გააკეთებდნენ, ჩვენთვის რომ არ მოეწოდებინათ.

— რუსული საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— სადაც დამიძახებენ, ყველგან მივალ. ოღონდ ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთის ხოცვა შეწყვიტონ და თუ საჭირო იქნება, საჯაროდ დავიწვავ თავს. ჩემს სიცოცხლეს აზრი მაინც აღარ აქვს. ამდენ დარდსა და ტკივილში გული დამიავადდა.

ირაკლი ცირეკიძე, *ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში:*

— ძალიან გვიჭირდა (პეკინში ყოფნისას), მაგრამ ვფიქრობდით, რომ საქართველოსთვის იქიდან უნდა გვებრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულები და გაღიზიანებულები ვიყავით, თავი არ შევირცხვინეთ და სამშობლოც ვასახელეთ. თბილისში როცა დავბრუნდით, ხალხი გამარჯვებას გვილოცავდა, მაგრამ მე გული დამძიმებული მქონდა — გორში ნანახი კადრები და ჩვენი ბიჭების აჩეხილი სხეულები ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება.

— იქ ქართველ და რუს სპორტსმენებს შორის როგორი დამოკიდებულება იყო?

— ჩვენ შორის დაძაბული სიტუაცია ნამდვილად არ იგრძნობოდა. გამარჯვებას რუსებიც მილოცავდნენ, ისიც კი მითხრეს, — პერშინის შემდეგ შენ გგულშემატკივრობდითო. კარგი და ცუდი ყველა ერშია. რუს სპორტსმენებზე არა, მაგრამ რუს პოლიტიკოსებსა და ჯარისკაცებზე ძალიან ვარ გაბრაზებული.

ხიზრი ალდამოვი, *ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში:*

— ძალიან მიხარია, რომ 1-ელ სექტემბერს მთელი საქართველო ხელიხელჩაკიდებული დადგა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ნეტავ, ასეთი გაერთიანება ადრეც მომხდარიყო!.. მინდა იცოდეთ, რომ ჩეჩნები თქვენ გვერდით ვართ. ყველაზე კარგად ჩვენ გვესმის თქვენი, იმიტომ, რომ ერთნაირი საწუხარი გვაქვს. რუსეთმა კავკასიელ ხალხებთან ბრძოლაში ყველა სამართლებრივი და მორალური წესი დაარღვია, ის სუვერენულ ქვეყანაში შემოიჭრა და მისი განუყოფელი ტერიტორიები დამოუკიდებლად გამოაცხადა. თუ აფხაზეთი — საქართველოს ისტორიული მხარე — და ერთი ციდა ცხინვალი, რომელიც პირდაპირ შუაგულ საქართველოში მდებარეობს, დამოუკიდებლობას იმსახურებს, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი და ყაბარდო რატომ უნდა მიიჩნეოდეს რუსეთის შემადგენელ ნაწილებად?! სად არის სამართალი?!. ყველას ეგონა, რომ ევროპა საქართველოს დაეხმარებოდა, მაგრამ ლაპარაკისა და ჰუმანიტარული დახმარების გარდა, ჯერ არაფერი გაკეთებულა. ახლა ალბათ დროა, რომ კავკასიელი ხალხები გაერთიანდეთ და დამოუკიდებლობისათვის ერთად ვიბრძოლოთ. პუტინს თავისი სულელური გადაწყვეტილება ბუმერანგივით მიუბრუნდება. რუსეთმა მსოფლიოს სილა გააწნა, ამიტომ ახლა ის განწირულია. ჩვენ თავისუფლებისმოყვარე ერი ვართ. რუსეთთან ბრძოლას ჩვენი საუკეთესო მეომრების სიცოცხლე შეეწირა, ამიტომ უფლება გვაქვს, დამოუკიდებლობა მოვითხოვოთ.

— ბატონო ხიზრი, იმ ჩეჩნურ ბატალიონზე რას იტყვით, რომელიც ცხინვალში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა?

— ვიტყვი იმას, რომ ეგენი ჩვენი მტრებიც არიან, პუტინთან და კადიროვთან ერთად, ჩეჩენი ხალხის სისხლს წოვენ. ძალიან გთხოვთ, კრიმინალებთან და მოღალატეებთან ერთ რიგში ნუ დაგვაყენებთ. ნურც იმ ორმოც ჩეჩენს დაივიწყებთ, რომლებიც რუსეთის არმიაში მსახურობდნენ, მაგრამ ქართველებზე ხელი არ ასწიეს და სამსახური მიატოვეს. დღეს ის ბიჭები ტყეში იმალებიან, იმიტომ, რომ პუტინის ხალხი დაეძებს, მათი ოჯახები კი კადიროვის ხელშია. ჩეჩნები ჩვენს მოღალატეებს თავადვე ვუპირისპირდებით. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ომში მებრძოლი ჩეჩენის ცხედარი მამამ სახლში არ შეატანინა. დამისახელეთ ერთი ოსი, რომელსაც საქართველოსთვის თავისი ოჯახი საფრთხეში ჩაუგდია ან შვილი გაუწირავს. ოსებს რატომ არ სთხოვთ პასუხს? რუსებთან ერთად, ისინი არ აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას და უაირაღო ჯარისკაცებს არ ხოცავენ?!. ვინც საქართველოზე ხელს აღმართავს, ოსი იქნება, ჩეჩენი, სომეხი თუ რუსი, ჩემთვის ყველა — მტერია. ყოველთვის გვერდში ამოგიდგებით. თუ საჭირო გახდება, ამ ქვეყნის დასაცავად, იარაღსაც ავიღებ ხელში.

ნანა ფაჩუაშვილი, *მსახიობი:*

— არ ველოდი, თუ რუსეთი, ამდენი წლის მეგობრობისა და თანაცხოვრების შემდეგ ასე სასტიკად მოგვექცეოდა. განსაკუთრებით, ჩვენი კოლეგების საქციელით ვარ გაოცებული: თანაგრძნობას ვინ ჩივის? სიტუაციაში გარკვევაც კი არ მოინდომეს!.. გული

მიჩუყდება, როდესაც ქართველი ჯარისკაცების საქციელი მახსენდება: რამხელა თავგანწირვისა და პატრიოტიზმის გრძნობა ჰქონიათ!..

— რუსი ოკუპანტების მიერ ჩადენილიდან ყველაზე მეტად, რამ აღგაშფოთათ?

— ყველაზე მეტად, მათი მტაცებლური ბუნება მაოგნებს. ისტორიიდან ვიცოდი, რომ რუსი — დამპყრობელი ერი იყო, მაგრამ მეგონა, მათი ეს თვისება გასულ საუკუნეებთან ერთად, წარსულს ჩაჰბარდა. თურმე ამ ხალხში გენეტიკურად დევს სხვისი დამონების სურვილი, მტაცებლობა და ქურდობა. ის ფაქტი, რომ მათ უზარმაზარი ტერიტორია აქვთ, მაგრამ კიდევ სხვის მიწა-წყალს ეპოტინებიან, იმაზე მიანიშნებს, რომ არასოდეს გაჩერდებიან და მთელი სამყაროს დაპყრობას მოინდომებენ. ალბათ ევროპა ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რომ ისინი მსოფლიოსათვის საფრთხეს წარმოადგენენ, თორემ 1-ელ სექტემბერს გამართულ ევროკავშირის სხდომაზე ასე არ დაინდობდნენ. მართალია, ევროპამ იმედი გამიცრუა, მაგრამ ჩემი ხალხის ერთად დგომამ მომავლის იმედი დამიბრუნა. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, როდესაც ვხედავდი, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია, საქართველოს კეთილდღეობისთვის, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ.

ზურა ვადაჭკორია, *ილუზიონისტი:*

— 8 აგვისტოდან მოყოლებული, 1-ელ სექტემბრამდე სერიოზულ დეპრესიაში ვიყავი. როგორც პიროვნება, როგორც კაცი და როგორც ქართველი, თავს დამცირებულად ვგრძნობდი — რომ ამ ჩემი ქვეყნის მაოხრებლებს პასუხს ვერ ვთხოვდი. ძალიან მინდოდა, იაღარი მქონოდა და მეც ქართველი ჯარისკაცების გვერდზე ვმდგარიყავი.

— მერე, რატომ არ დადექით მათ გვერდით, ხელი რამ შეგიშალათ?

— იარაღი არ მომცეს. სხვა რა გზა მქონდა? — თბილისში დავრჩი, ჩემი სახლის, ჩემი უბნის დასაცავად. ვფიქრობ, რომ ის კაცები, რომლებიც 7 და 8 აგვისტოს სახლებს ტოვებდნენ და თავის შესაფარებლად, საზღვარგარეთ გარბოდნენ, მოღალატეები არიან. ჩემს ქვეყანაში უცხოპლანეტელებიც რომ ჩამოვიდნენ, არსად გამქცევი არ ვარ. იცით, რაში დავრწმუნდი?.. რუსები გენეტიკურად ყოფილან მატყუარები და გაიძვერები. მათი პრეზიდენტიც კი მსოფლიოს თვალსა და ხელს შუა ატყუებს. ასეთ ხალხთან არანაირი ურთიერთობა არ შეიძლება გქონდეს. უნიტაზის მომპარავი ჯარისკაცი მთელი მსოფლიოს სირცხვილია.

გურამ ფირცხალავა, *მსახიობი:*

— დათრგუნვილი ვარ იმით, რომ ჩემს მამულში — ფოთსა და დედულეთში — ჩხოროწყუში რუსები ისევ დგანან. გულით მინდა, ჩემი ქვეყანა დავიცვა, მაგრამ როგორ? რითი? რა ჯანდაბა ვქნა?!. გაზეთების კითხვისა და ტელევიზორის ყურების ნერვებიც აღარ მაქვს. არაფერს ამბობენ, იმის გარდა, რომ მთელი ევროპა აღშფოთებული და გაკვირვებულია. რას უშველის მაგათი აღშფოთება?! თუ მართლა გული შესტკივათ, რეალურად დაგვიდგნენ გვერდით. მარტო ჩვენ, ერთი ციდა საქართველომ, როგორ შევაკავოთ ამხელა რუსეთი?! ეს დამპყრობლური ხასიათის ერი მათთვისაც ხომ დიდი საფრთხეა!..

რევაზ მიშველაძე, *პოეტი:*

— ძალიან განვიცდი, რომ ქართველები პირსისხლიანი ვეშაპის წინაშე მარტონი აღმოვჩნდით. რუსებმა საკმაოდ ღრმად ჩაგვასვეს კლანჭები, ახლა მაგათ ასე ადვილად ვეღარ მოვიშორებთ, თავიდან უნდა დავიწყოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ძალიან მწყდება გული, რომ ევროპა, როგორც ღარიბ ნათესავს, ისე ეპყრობა საქართველოს და ჩვენდამი ყურადღებას მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთის გადმოცემითა და შებრალებით გამოხატავს. რუსეთის უკან დასახევად, დასავლეთმა ვერავითარი მექანიზმი ვერ აამუშავა, მხოლოდ შეშფოთებით შემოიფარგლებიან. ეს რუსული ინტელიგენცია კი მხოლოდ გაშლილ სუფრასთან გვეფიცებოდა ძმობასა და მეგობრობას. როდესაც რუსულმა ჩექმამ მთელ საქართველოს გადაუარა, არც ერთმა მათგანმა არ ამოიღო ხმა. საქართველოს მწერალთა კავშირს 200 რუსი მწერალი გულში გვყავს ჩახუტებული, მათ კი ჩვენს მხარდასაჭერად, ერთი პატარა წერილი ან ერთი პაწაწკინტელა ლექსიც კი არ დაწერეს. მარტო შეურაცხადი პუტინის მოწოდებით ვერ დატრიალდებოდა ასეთი ტრაგედია. მეგონა, მხოლოდ პუტინსა და მედვედევს ვძულდით, თურმე მთელ რუსეთს ვძულვართ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მივესალმები ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებას — რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე.

სამშენებლო კომპანია „არსმა“ გორში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

ომის პერიოდში გორზე საჰაერო იერიშის განხორციელების შემდეგ უამრავი ადამიანი დარჩა სახლ-კარის გარეშე. რუსულმა ბომბებმა საცხოვრებელი კორპუსები და სახლები დაანგრიეს, რის შედეგადაც ასეულობით ადამიანი სკოლებსა თუ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში ცხოვრობს. მათი სახლების აღდგენა, პირველმა, სამშენებლო კომპანია „არსმა“ დაიწყო.

რა სამუშაოებს ასრულებს სამშენებლო კომპანია „არსი“, ამაზე კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი **თორნიკე აბულაძე** გვესაუბრება:

— როდის დაიწყო აღდგენითი სამუშაოები გორში?

— კომპანია „არსმა“ აღდგენითი სამუშაოები გორში უკვე რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო. თბილისის მერიის ინიციატივით, ჩვენ დავიწყეთ იმ კორპუსის აღდგენა, რომელიც ყველაზე მეტად იყო რუსული ბომბების მიერ დანგრეული. ეს არის გორის სატანკო ბაზის უშუალო სიახლოვეს მდებარე 3-სადარბაზოიანი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც პირდაპირი დამიზნებით მოხვდა ბომბი. აღდგენითი სამუშაოები რამდენიმე ეტაპად ხორციელდება: ჯერ დიაგნოსტიკა კეთდება, შემდეგ შემუშავდება აღდგენისათვის ჩასატარებელი სამუშაოების კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც სამუშაოები განხორციელდება და ბოლოს რემონტით დასრულდება.

— რამდენი კაცია დასაქმებული აღდგენით სამუშაოებზე?

— ჯერჯერობით ობიექტზე მუშაობს სპეციალისტების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ახორციელებს ობიექტის დაზიანებების ანალიზს. მათი მუშაობის დასრულების შემდეგ ჩვენ ზუსტად გვეცოდინება, კონკრეტულად რა მიმართულებით არის ჩასატარებელი აღდგენითი სამუშაოები.

დიაგნოსტიკამ აჩვენა, რომ ამჟამად ბევრი მუშახელის მუშაობა ობიექტზე სახიფათოა, ვინაიდან არსებობს სახლის მიშენების ჩამოწოლის საშიშროება. კონკრეტულად ერთ სადარბაზოში, სადაც მოხვედრილია ბომბი, ძალიან არის დაზიანებული შენობის მზიდი ნაწილი და მიშენება ფაქტობრივად მოშორებულია ძირითად შენობას. ამის გამო, მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტი მუშაობს. როგორც კი ჩამოწოლის საფრთხე აღარ იქნება, ამის შემდეგ იმდენ ადამიანს ჩავრთავთ, რამდენიც ობიექტის დათქმულ ვადაში და ზუსტად პირვანდელი სახით აღდგენას დასჭირდება. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე შეძლონ ადამიანებმა საკუთარ სახლებში დაბრუნება.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ყველაზე რთულ ობიექტს აღადგენთ.

— გეთანხმებით. სწორედ ამიტომ ავიღეთ ამ ეტაპზე მხოლოდ ეს ობიექტი. საცხოვრებელი კორპუსი საშინელ მდგომარეობაშია. გარდა უშუალოდ ნგრევისა, ბომბის ჩამოვარდნის შემდეგ გაჩენილ ხანძარს, სერიოზულად აქვს დაზიანებული შენობის სხვა ნაწილიც. დაზიანებულია ეზო და კორპუსის კუთვნილი ავტოფარეხებიც, რომელთაც ასევე აღდგენა სჭირდება. აქ ყველანაირი სამუშაოა გასაკეთებელი: როგორც გამაგრება, ასევე დაზიანებული ნაწილების მონგრევა, გასუფთავება და თავიდან მზიდი ნაწილის აშენება, შემდეგ შევსება და სრულად გარემონტება. ამ კორპუსის მცხოვრებლებს გარემონტებულ ბინებს ჩავაბარებთ.

გარდა ამისა, დავიწყეთ თბილისში, გეოფიზიკის ინსტიტუტის შენობის რემონტი, რათა დევნილებმა ღირსეულად შეძლონ იქ ცხოვრება. ამ სამუშაოებისათვის საჭირო თანხებს „არსი“ საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფს. მერიის მონაცემებზე დაყრდნობით, გეოფიზიკის ინსტიტუტში 850 კაცმა უკვე დაიდო ბინა. ამ ეტაპზე გაგვყავს დენი, ვაკეთებთ სველ წერტილებს და ცხელ წყალს, რადგან ამ მხრივ ყველაზე მძიმე სიტუაციაა. ამასთან ერთად, კომპანია „არსის“ ერთ-ერთ ობიექტზე, ჩვენ თავშესაფარი მივეცით რამდენიმე ოჯახს, დაახლოებით 20-მდე ადამიანს, მათ შორის კონფლიქტური რეგიონებიდან ჩვენს მომხმარებლებს, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ. პირველ ყველაზე მძიმე დღეებში სრულად უზრუნველვყავით ისინი საკვები პროდუქტებით, საწოლებით და მედიკამენტებით, ერთი სიტყვით, ყველაფრით, რისი შეგროვებაც მოვახერხეთ იმ ეტაპზე.

— რამდენ ხანში დასრულდება გორის ობიექტის აღდგენა?

— კომპანია „არსი“ ობიექტის აღდგენას გორში სავარაუდოდ ნოემბერ-დეკემბერში დაასრულებს. თუმცა შევეცდებით, ამ კორპუსში მოსახლეობა ეტაპობრივადაც შევასახლოთ. სულ სამი სადარბაზოა და რემონტს სადარბაზოების მიხედვით გავაკეთებთ, რაც საშუალებას მისცემს იმ მოსახლეებს, რომელთა ბინები დასრულდება, მაშინვე დაუბრუნდნენ საკუთარ ჭერს. თუ იქნება აუცილებლობა, ჩვენ რამდენიმეცვლიანი სამუშაო დღით ვიმუშავებთ, რომ ობიექტი დათქმულ ვადაში ჩავაბაროთ მოსახლეებს.

— აღდგენით სამუშაოებს მარტო თქვენი რესურსით აკეთებთ?

— თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა რამდენიმე ობიექტის ჩვენი რესურსებით გაწვდომა. გორის ობიექტზე თანხას თბილისის მერია გამოყოფს. ჩვენ ჩვენი კომპეტენციით და ადამიანური რესურსებით ვცდილობთ დახმარებას. აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის სურვილი ომის პირველსავე დღეებშივე გამოვთქვით. შემდეგ თვითონ თბილისის მერია დაგვიკავშირდა და გვთხოვა აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა. მოხარულები ვართ, რომ შეგვიძლია, ჩვენი 20-წლიანი გამოცდილება და კომპეტენცია ჩვენს ქვეყანას მოვახმაროთ. 1989 წლიდან მრავალი კრიზისი დაგვიძლევია და ჩვენს ქვეყანასთან ერთად, ამ რთულ პერიოდსაც ღირსეულად გავართმევთ თავს.

— კომპანია „არსი“ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დევნილთა დახმარება დაიწყო ომის დღეებში.

— როდესაც უშუალოდ საომარი მოქმედებები დაიწყო, ყველანი ძალიან დაძაბული ვიყავით. მთელი დღე ვუყურებდით საინფორმაციო გადაცემებს, არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. ვგრძნობდით, რომ რაღაც უნდა გაგვეკეთებინა მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე. როდესაც დევნილებზე პირველი ინფორმაცია გავრცელდა, პირდაპირ დავრეკეთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში და დევნილების განსახლების ბაზა გამოვართვით. შემდეგ ყველა თანამშრომელს ვთხოვეთ, რაც შეეძლოთ, მოეტანათ. დავურეკეთ კლიენტებს, შევეხმიანეთ არსის უბნის მოსახლეობას, ვისაც მივწვდით — მეილით, მესიჯით თუ ტელეფონით — ყველას შევატყობინეთ, რომ დევნილების დასახმარებლად ვაგროვებდით ტანსაცმელს, პროდუქტებს, საწოლებს, ბავშვის საკვებს და ვთხოვეთ, ვისაც რა შეეძლო მოეტანა. 5 დღეში 16 ბაგა-ბაღსა და თუ სკოლაში შევძელით მისვლა და ჩვენი ძალებით დაახლოებით 3500-მდე დევნილს მივაწოდეთ ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ უსახლ-კაროდ დარჩენილ ადამიანებს. მთელი კომპანია, ჩვენი კლიენტები და პარტნიორებიც კი იყვნენ ჩართული ამ მძიმე დღეებში დევნილთა დახმარებაში. ყველა ვცდილობდით, რომ პირადად გავსულიყავით ლტოლვილებთან და ჩვენი ხელით მიგვეწოდებინა ტანსაცმელი იქნებოდა თუ პროდუქტი, საწოლი თუ ლეიბი, ან სულაც ბავშვის სათამაშო. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ ამ ადამიანებისთვის პირობების შემსუბუქებაში.

მოხდა თუ არა გარიგება პირველ სექტემბერს

„მათი ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალი — საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობაა“...

ქართველი ხალხი ელოდა, რომ ბრიუსელში პირველ სექტემბერს შეკრებილი 27 ევროპული ქვეყნის ლიდერი კრემლის სახიფათო პოლიტიკას შესაფერის შეფასებას მისცემდა და მოსკოვს სერიოზულ სანქციებს დაუწესებდა. ქართველების იმედი არ გამართლდა — ევროპა რუსეთის მიმართ მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა, საქართველო კი სავიზო რეჟიმის გამარტივებით და ეკონომიკური დახმარებით დაამშვიდა. როგორ აფასებენ მომხდარს პროფესიონალი პოლიტოლოგები? ამ კითხვით ამჯერად ბატონ გიორგი ხუციშვილს მივმართეთ.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო გიორგი, თქვენი აზრით, ძირითადად, რატომ შეიკავა ევროკავშირმა თავი რუსეთის მიმართ სანქციების შემოღებისგან?

— ევროპის მხრიდან რადიკალური გადაწყვეტილებების და რუსეთის მიმართ სანქციების დაწესების მოლოდინი არც უნდა გვქონოდა. ჩვენი საზოგადოება ამ საკითხთან დაკავშირებით, არასწორად იყო ინფორმირებული და ამიტომ დარჩა იმედგაცრუებული. ახლა ჩვენ გვგონია, რომ „გადაგვაგდეს“, დაგვჩაგრეს. იქ სიტუაცია სხვაგვარად არის დაბალანსებული, სხვა სახის ბერკეტები მუშაობს და უნდა გვცოდნოდა, რომ სარკოზი ამაზე მეტს ვერ მიაღწევდა.

— საზოგადოება ასეთ მოლოდინში იმიტომ იყო, რომ სამიტის დაწყებამდე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები რუსეთის მიმართ ძალზე მწვავე განცხადებებს აკეთებდნენ.

— კარგია, რომ დასავლური სამყაროს ლიდერებმა რუსეთის მიმართ კრიტიკული განცხადებები გააკეთეს. ჩემი აზრით, მათ ისე მკაცრად შეაფასეს რუსული აგრესია, როგორც საჭირო იყო.

— მაშინ რა არის იმის მიზეზი, რომ სანქციები მაინც არ შემოიღეს? ევროკავშირს რიგ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ფარული გარიგება ხომ არ მოხდა?

— რუსეთს ჰყავს ლობისტები, რომლებმაც დაარწმუნეს ევროკავშირი; რომ სანქციების დაკისრების შემთხვევაში მოსკოვი მათ გაზს გადაუკეტავდა და ჩიხში მოაქცევდა. ევროკავშირი რუსეთთან დასაპირისპირებლად, არც თავად არის მზად. ევროპული ქვეყნების მთავრობები მხოლოდ იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ საერთაშორისო დონეზე დაარეგულირონ ურთიერთობები ან რუსეთის ექსპანსია შეაჩერონ. მათი ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალი — საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობაა. ისინი ყველანაირად ცდილობენ, რუსეთთან დაპირისპირებამ ევროპა ეკონომიკურ ჩიხში არ შეიყვანოს და ამით გადამხდელთა ორგანიზაციები არ გაანაწყენონ. თქვენ იცით, რომ ერთი დღის განმავლობაში რუსებმა გაზი გადაკეტეს და ამით თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინეს?!.

— ეს გარიგებაა თუ შანტაჟი?

— დიახ, შანტაჟია. მაგრამ რუსეთის პოლიტიკა ხომ, თავიდან ბოლომდე, შანტაჟსა და დაშინებაზეა აგებული.

— ევროპას ის თუ აქვს გააზრებული, რამდენად სახიფათო პოლიტიკას აწარმოებს კრემლი?

— ევროპელებს არც ეს აქვთ გააზრებული. მათ ჰგონიათ, რომ რუსეთთან ურთიერთობას დათმობებით დააბალანსებენ. სინამდვილეში, მოსკოვმა თუ ევროპის კონსოლიდირება არ დაინახა და მკაცრი შეფასებები არ მიიღო, წახალისდება და სამხედრო აგრესიას სხვა ქვეყნებშიც განახორციელებს.

— ბრიუსელში გამართულ სამიტზე ევროპული ქვეყნების ლიდერებმა რუსულ ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან გასასვლელად, 73-დღიანი ვადა მისცეს. თუ პუტინმა და მედვედევმა ევროპის ამ მოთხოვნას ისევ იგნორირება გაუკეთეს, ამ შემთხვევაში მაინც თუ ამოქმედდება მათ წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები?

— იმედი მაქვს, რომ ამოქმედდება. ევროკავშირის ლიდერებს ამ საკითხთან დაკავშირებით ვალდებულება აქვთ აღებული, რაც დოკუმენტურად არის დამოწმებული, ამიტომ ისინი იძულებული იქნებიან, სიტყვა შეასრულონ და რუსეთს მკაცრი სანქციები დაუწესონ. რუსეთისათვის მიცემული პერიოდის განმავლობაში, თავად ეცდებიან, პრობლემა დიპლომატიური და პირადი კავშირებით დაარეგულირონ. მაგრამ დაინახავენ, რომ პუტინ-მედვედევის ტანდემს დიპლომატიითა და დაყვავებით ვერაფერს შეაგნებინებენ.

— ანუ რუსული ჯარი საქართველოდან ისევ არ გავა?

— არა მგონია, რომ გავიდეს. რუსეთი საქართველოდან ჯარებს იმ შემთხვევაში გაიყვანდა, თუ ევროპისაგან მკაცრ განცხადებებსა და ეკონომიკურ სანქციებს მიიღებდა. ბრიუსელის სამიტზე პოლონურ ვარიანტთან მიახლოებული გადაწყვეტილება მაინც რომ მიეღოთ, რუსული ჯარი ახლა უკვე ფოთიდან გასული იქნებოდა.

— თუ რუსეთი 73 დღის შემდეგაც არ გავა საქართველოდან და ევროპა ისევ მოერიდება კრემლის განაწყენებას, მოვლენების როგორი განვითარება წარმოგიდგენიათ?

— ამის წარმოდგენაც კი არ მინდა. თუ რუსეთს ასეთი ძალადობა გაუვიდა, მის მაგალითს სხვებიც მიჰბაძავენ და თურქეთი — აჭარის, სომხეთი კი — ჯავახეთის მიტაცებას შეეცდება. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთის ჯარი საქართველოდან გავიდეს. უკან დასახევი გზა არ გვაქვს.

— რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ინგუშეთმაც დაიწყო. შესაძლოა, იმავე მოთხოვნით ჩეჩნები და ყაბარდოელებიც გამოვიდნენ. ეს ყველაფერი რუსეთს გათვლილი არ ჰქონდა?

— ეს ყველაფერი რუსეთს შესანიშნავად ჰქონდა გათვლილი, მაგრამ კრემლს აქვს საიმისო ბერკეტები, რომ ინგუშეთში არსებული უკმაყოფილება ჩაახშოს. ვფიქრობ, კავკასიის რესპუბლიკებში (ჩრდილოეთ კავკასიას ვგულისხმობ) დესტაბილიზაცია არ მოხდება. იმ რეჟიმის პირობებში, რომელიც დღეს რუსეთშია, ეს ხალხი დამოუკიდებლობისათვის ბძოლას ვერ მოახერხებს.

თამუნა კვინიკაძე

„მის საქართველო“ გუელის სწორს ეძებს

ჟურნალისტი – რატი დურგლიშვილი
რესპონდენტი – ხათუნა სხირტლაძე

იურმალაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, რატი დურგლიშვილს საზოგადოების წინაშე წარდგენა ნამდვილად აღარ სჭირდება. ის ყველა თაობის ადამიანებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. რატი პროფესიით მოქანდაკეა. ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ იმაშიც დარწმუნდებით, რომ ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, ჟურნალისტობაც მშვენივრად გამოსდის. ის რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — „მის საქართველო 2008“ ხათუნა სხირტლაძესთან ერთად მოვიწვიეთ. წლის წარმატებულმა ადამიანებმა შეხვედრის დროს, ერთმანეთის შესახებ ბევრი საინტერესო რამ შეიტყვეს. გულახდილად ისაუბრეს პირად ცხოვრებაზე, პარტნიორებზე, გემოვნებაზე... ასე რომ, წინ საინტერესო დიალოგი გელით.

„მე და მაკა ტუუპისცალებივით ვართ“...

— ხათუნა, „მის საქართველოს“ ტიტულის მოპოვებას გილოცავ. ჩვენ ერთმანეთი უკვე გავიცანით. მოდი, ახლა „გზის“ მკითხველებს გაეცანი.

— გმადლობ. შენ და მაკას მეც გილოცავთ დიდ გამარჯვებას. „გზის“ მკითხველებს კი ვეტყვი, რომ ვარ 18 წლის, ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის II კურსზე. მყავს მშობლები და ძმა. 2 წელია, რაც „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი ვარ.

— სამომავლოდ რას აპირებ? წინ დიდი კონკურსი გელის.

— კიევში „მის მსოფლიოზე“ უნდა გავემგზავრო. კონკურსი 4 ოქტომბერს იმართება. მხარდამჭერი ჯგუფი იქმნება. შეგიძლია შენც ჩამობრძანდე.

— გამარჯვებას ელოდი?

— ვფიქრობდი, შეიძლება „მის საქართველო“ გავხდე-მეთქი, მაგრამ ჩემი კონკურენტები იმდენად კარგი გოგონები იყვნენ, ზოგჯერ გამარჯვების იმედს ვკარგავდი.

— რით აჯობე იმ გოგონებს?

— ალბათ გამოცდილებით, ენების ცოდნით. ინგლისურ ენას უნდა ფლობდე. გარეგნობის შემდეგ, ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

— როგორია შენი პარამეტრები?

— 84X60X88. იდეალურია 90X60X90-ზე. ამიტომ ახლა სულ ჭამას მაძალებენ. ცოტა უნდა მოვიმატო. კიევში 90 კონკურენტი მეყოლება. საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის გამოცდილება უკვე მაქვს. ჩინეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, დაზარალებულთა დასახმარებლად „მის ტურიზმი“ ჩატარდა. გოგონებს რაღაც ნივთები უნდა გაგვეყიდა. რაც მეტ თანხას შევიტანდით, ჩვენთვის უკეთესი იყო. მაშინ „მის კეთილდღეობა“ გავხდი.

— მსმენია, ასეთ კონკურსებზე ინტრიგები ხდებაო. მართალია?

— მართალია. ერთმანეთს კაბებს უჭრიან და ა.შ.

— შენი სილამაზის გარდა, კიდევ რით აპირებ ჩვენი ქვეყნის წარმოჩენას — ცეკვით, სიმღერით თუ?..

— ალბათ, ვიცეკვებ. 7 წლის მანძილზე ქართულ ცეკვებს ვცეკვავდი.

— ხათუნა, შეყვარებული ხარ?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი.

— გულქვა ხარ *(იცინის)*?

— არა, გულქვა ნამდვილად არ ვარ. უბრალოდ, ჯერ ის ადამიანი ვერ ვიპოვე.

— ეი. ეძებ?

— ვეძებ...

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— ჩემთვის გარეგნულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა იყოს მაღალი, სიმპათიური...

— *(აწყვეტინებს)* **ავანგარდული.**

— ერთი სიტყვით, კარგი ტიპი უნდა იყოს.

— კარგი ტიპი როგორია?

— ჩაცმულობა, მანერები, ხასიათი — იმ ადამიანის ყველაფერი უნდა მომწონდეს. ქურდულ გაგებას რომ აწვებიან, ისეთები არ მაინტერესებს.

— აბა, როგორი! ჰალსტუხებიანები *(იცინის)*?

— კარგი, რა, როგორ შეკითხვებს მისვამ?!. შენ როგორი ტიპები მოგწონს?

— მე ტიპები არ მომწონს... დაახლოებით ისეთი გოგონები მომწონს, როგორიც შენ ხარ. შენი ცხოვრების მთავარი პრინციპი რა არის — კარიერა თუ ოჯახი?

— ჯერჯერობით მხოლოდ კარიერაზე ვფიქრობ.

— შენ მოდელიც ხარ და მომავალი იურისტიც. რომელ სფეროს გულისხმობ?

— თუ „მის მსოფლიოდან“ გამარჯვეული დავბრუნდი, სამოდელო კარიერას უფრო დიდ ყურადღებას მივაქცევ, თუ არა და, სწავლას მივხედავ. ვეცდები, წარმატებული იურისტი გამოვიდე.

— მოდელები როგორ ცხოვრობენ — „პაკაზებით“? როგორც ვიცი, ამ სფეროში დიდი ფული არ ტრიალებს. ალბათ ამიტომაც არის, რომ მდიდარ ფეხბურთელებზე თხოვდებიან.

— ხშირად ასეც ხდება, ცოლად მდიდარ კაცებს მიჰყვებიან.

— რას ფიქრობ იმ გოგონებზე, რომლებიც ასაკით 20-30 წლით

ღამის 12 საათის შემდეგ ოჯახის წევრები სახლიდან არ მიშვებენ

უფროს მამაკაცებზე თხოვდებიან?

— თუ ერთმანეთი უყვართ, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ანგარების გამო ოჯახის შექმნა ჩემთვის მიუღებელია.

— **დასასვენებლად სად დადიხარ?**

— ზღვა ძალიან მიყვარს. უკვე 6 წელია, კვარიათში ვისვენებ.

— **თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— მეგობრებთან ერთად ვერთობი.

— **ალკოჰოლიან სასმელს სვამ?**

— არა.

— **ღამის კლუბებში დადიხარ?**

— არა. ღამის 12 საათის შემდეგ ოჯახის წევრები სახლიდან არ მიშვებენ. მათგან მხოლოდ ეს ერთი აკრძალვა მაქვს.

— **რომ გაგიშვან, სად წახვიდოდი?**

— არ ვიცი. ღამის კლუბების ინტერესი აღარც მაქვს...

— **აკრძალვას არ აპროტესტებ?**

— ერთ დროს ვაპროტესტებდი. შემდეგ მივხვდი, რომ ასე იყო საჭირო.

— **როგორი თინეიჯერი ხარ?**

— არ ვიცი, რა გიპასუხო.

— **ქცევებზე გეტყობა, ტიპური თინეიჯერი ხარ. რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც „მის საქართველო“ გახდი?**

— ახლა ყველაფერს უფრო დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები.

— **შენმა თაყვანისმცემლებმა გამარჯვება როგორ მოგილოცეს?**

— საჩუქრებით. ზოგი ბათუმშიც ჩამოვიდა, კონკურსს დაესწრო.

— **და დაძმაკაცდნენ?**

— არა, არ დაძმაკაცებულან (*იცინის*).

— **პრიზი რა იყო?**

— „პეჟო 207“. თქვენი?

— **ჩვენი — „შევროლე“ იყო, მაგრამ მე მანქანა („მერსედესი“) მანამდეც მყავდა. არ გინდა, ჟურნალისტობა დაიწყო?**

— უკვე ჩემი დრო დადგა? არ ვიცი, როგორ გამომივა.

ჟურნალისტი – ხათუნა სხირტლაძე

რესპონდენტი – რატი ღურგლიშვილი

— **რატი, როდიდან დაიწყო შენი კარიერა?**

— 7 წლიდან ვმღერი, მაგრამ ბავშვობაში ისე ვმღეროდი, მამას გული სწყდებოდა, — ჩემს შვილს უკეთესი მონაცემები უნდა ჰქონდესო... მშობლების რჩევით, სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე სწავლა. მოქანდაკე ვარ.

— **შენ არა მარტო მშობლებს, არამედ მთელ საქართველოს იმედი გაუმართლე. თქვენი დუეტის „იურმალაზე“ გასვლის გადაწყვეტილება ვინ მიიღო?**

— მე და მაკა თავდაპირველად ბარში ვმღეროდით, შემდეგ, ლელა წურწუმიას დახმარებით, „იმედის ტალღაზე“ გავედით და პრიზიორები გავხდით. მაშინ მაია ყიფიანს დაებადა აზრი, რომ ჩვენი დუეტი „იურმალაზე“ წასულიყო. მოსკოვში კასტინგი გავიარეთ და... ასეთი იყო ჩვენი გზა იურმალამდე.

— **წელს გავიმარჯვეთ, მაგრამ შარშანდელ ფესტივალზე ქართველებმა თავი ვერ ვისახელეთ.**

— შარშან, ელეონორა ბევრს მოსწონდა. ამაში იურმალაში ჩასვლისას კიდევ უფრო დავრწმუნდი. ის ლიდერად მიიჩნეოდა.

— **მაშ, რა მოხდა?**

— ის გაცივდა და ვეღარ იმღერა. რაც არ უნდა მაღალი ტემპერატურა იყოს, იმ დარბაზში მაინც ცივა, ზღვასთან ახლოს არის და ორპირი ქარია. გაცივებას ვერც მე და მაკა გადავურჩით, მაგრამ წამლებით, ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანეს. ელეონორას შემთხვევაში საქმე უფრო რთულად იყო. ექიმმა თქვა: მას ხმის იოგი დაუზიანდა და ამის გამო ვეღარ იმღერაო, თორემ რეპეტიციებზე არაჩვეულებრივი იყო. პირველ სამეულში აუცილებლად შევიდოდა.

— **გამარჯვება მოგილოცათ?**

— კი, დაგვირეკა და მოგვილოცა. მაკამ ტირილი დაიწყო. გვინდა, რომ მას გვერდით დავუდგეთ.

— **რაც ჩვენ ვიცით, იმის გარდა კიდევ რა პრიზები გადმოგცეს?**

— 70 ათასი დოლარის გარდა, გვაჩუქეს თეთრი ოქროსგან დამზადებული შავი ბრილიანტისთვლიანი კულონები, რომელიც ძალზე ძვირფასია. ჟოზეფ ქეიმ სვაროვსკის თვლის ვარსკვლავი გვაჩუქა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასი — კათოლიკოს-პატრიარქის ნაჩუქარი ბოლნური ჯვარია. იმ დღის შემდეგ სულ თან ვატარებ. როცა პატრიარქმა დაგვირეკა და დაგვლოცა, იმ დღეს ყველაზე მაღალი ქულები მივიღეთ. მასთან შეხვედრა ჩემთვის დიდი პატივი იყო, ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ეს გამარჯვებაზე მეტია.

— **რატი, გამარჯვებამ ხომ არ შეგცვალა?**

— არანაირად. როგორიც ვიყავი, ისევ ისეთი ვარ.

— **მე რომ მკითხე, ახლა შენც**

7 წლიდან ვმღერი

არ ვიცი, რა მოხდება მომავალში. თავს ვერაფერზე დავდებ



„იმედის ტალღამდე“ შეყვარებული მყავდა, მაგრამ ერთმანეთს დავშორდით

მითხარი — შეყვარებული ხარ?

— „იმედის ტალღამდე“ შეყვარებული მყავდა, მაგრამ ერთმანეთს დავშორდით. ახლა წარმატების ისეთ საფეხურზე ვარ ასული, რომ დავოჯახდე, ვიცი, პროფესიულ წინსვლაში ხელი შემეშლება.

— ეს შენზეა დამოკიდებული? აბა, რომ ამბობენ — სიყვარული თავისით მოდისო?..

— ვცდილობ, ჩემზე იყოს დამოკიდებული. საკუთარ თავს ვაკონტროლებ.

— ის გოგო, რომელიც გიყვარდა, შენგან რატომ წავიდა?

— დღემდე ეს შეცდომა ყველა ჩემს შეყვარებულს მოსდის. ჩემი ცხოვრების პრინციპია — შეყვარებული იქნება ის, მეგობარი თუ სრულიად უცნობი ადამიანი, — ყველას გავუფრთხილდე, მე კი არ მიფრთხილდებიან. მხოლოდ სითბოს მოვითხოვ, მეტს არაფერს. კიდევ, არ მიყვარს, როცა არ მენდობიან, ამის საბაბს არავის ვაძლევ.

— მოქანდაკე ხარ. ამ პროფესიას უნდა უღალატო?

— არა, ამ სფეროში მუშაობა იმდენად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რომ შეიძლება დადგეს დრო და ამ პროფესიას მივუბრუნდე.

— რას გვეტყვი მაკაზე, შენს არაჩვეულებრივ პარტნიორზე?

— მე და მაკა 12 წელია, ვმეგობრობთ. სულ ერთად ვართ. ერთი პერიოდი მაკა მეუღლესთან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა. შემდეგ მას დაშორდა და თბილისში ჩამოვიდა. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, „იმედის ტალღაზე“ მოვხვდით.

— მაკა როგორი მეგობარია?

— მაკა ჩემი სიმდიდრეა. მისი დამსახურებაა, რომ სიმღერა სერიოზულად დავიწყე. მაკას გარდა კიდევ 4 უახლოესი მეგობარი მყავს.

— თქვენ შორის ისეთი ურთიერთობაა ჩამოყალიბებული, ალბათ კითხვის დასმა არ შეიძლება...

— (*აწყვეტინებს*) ვხვდები, რისი თქმაც გინდა...

— შენ და მაკა იურმალაში ბევრს შეყვარებულები ეგონეთ.

— მართალს ამბობ. იქ ყოფნის დროს კონკურსანტებიდან კრუტოიმ მხოლოდ მე და მაკა მიგვიპატიჟა, წვეულებაზე მაღალი წრის წარმომადგენელი ორი ქალბატონი მოვიდა. მე და მაკას გვთხოვეს, სიმართლე გვითხარით — შეყვარებულები ხართ თუ არა, ერთმანეთს დიდ თანხაზე დავენაძლევეთო. მე ვუპასუხე, რომ — არა, მაკამ კი დაუდასტურა (*იცინის*).

— კიდევ უფრო დაგიბნევიათ.

— სამაგიეროდ, სიმართლეს „გზის“ მკითხველებს ვეტყვი. მე და მაკას შორის არაფერი ხდება. ჩვენზე ჭორაობენ და ალბათ მომავალშიც იჭორავებენ.

— რა იცი, რა მოხდება მომავალში? ხომ გაგიგონია, — შეძახილმა ხე გაახმოო...

— (*იცინის*) არ ვიცი, რა მოხდება მომავალში. თავს ვერაფერზე დავდებ. ჩვენ ტყუპისცალებივით ვართ — ნამცხვარიც კი ერთნაირი გვინდება ხოლმე...

— შენი ჰოროსკოპიც მაინტერესებს.

— ვერძი ვარ. შენ?

— მე — ტყუპი. გაორებული ადამიანი ვარ. როგორი გოგონები მოგწონს?

— ძალიან მაღალი გოგონები არ მომწონს, უფრო საშუალო სიმაღლის, საყვარელი გოგონები მიზიდავენ.

— „მის საქართველოს“ გამოვლენის შემდეგ, გოგონები „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ ირაკლი ფირცხალავას კონცერტზე წაგვიყვანეს. იქ მსახიობმა კახა მიქიაშვილმა გამოაცხადა, — იურმალაში რატომ და მაკამ გაიმარჯვესო... იცი, იქ რა ხდებოდა? ვერ აღგიწერ.

— ხათუნა, წინ დიდი კონკურსი გელის. პირველ რიგში, უფლის რწმენა გქონდეს. მხოლოდ გამარჯვებაზე არ იფიქრო. გადი იმ მიზნით, რომ შენი თავი და ქვეყანა ღირსეულად წარმოაჩინო. მერწმუნე, ეს აუცილებლად დაგიფასდება.

— დიდი მადლობა რჩევისთვის!

— ყოჩაღად იყავი, შენ გვერდით არის დუეტი „ჯორჯია“. ■

წერილები რედაქციას

ბებრაოლის საშინელი ინტერესია და ჭკუიდან შეშლილი ხარისკაცი

ანუ ქართველების მძიმე ხვედრი

ლიკა ქაჯაია

ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა თინეიჯერები საომარ განწყობილებაზე დააყენა. ბევრი მათგანი ოცნებობს იმაზე, რომ რუს ჯარისკაცებს დაუსვას კითხვები — რატომ აწიოკებდნენ ქართველ მოსახლეობას, რა დაუშავეს იმ გოგონებმა, რომლებსაც ატყვევებდნენ და შემდეგ საშინლად ამცირებდნენ; რა დაუშავა იმ ტყეებმა თუ ბაღებმა, რომლებიც გადაწვეს და ა.შ.? ომის დროს ზოგს შეყვარებული წაართვა რუსის ტყვიამ, ზოგს — ქმარი ან ძმა, ზოგის ახლობლები კი, მართალია, ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ გორსა თუ ცხინვალში ნანახმა მათზე ისე იმოქმედა, რომ ახალგაზრდა ბიჭები ჭკუიდან შეიშალნენ.

ელენიკო, *16 წლის:*

„იცით, რუსებს ვეღარ ვიტან, რადგან მათ შეყვარებული წამართვეს. ლაშა ჯარისკაცი გახლდათ და როცა სამშობლოს მისი თავი დასჭირდა, ზოგიერთებივით, უკან ხომ არ დაიხევდა?! ჰოდა, მეგობრებთან ერთად, ცხინვალში წავიდა. წასვლის წინ მითხრა, — ელენიკო, შეიძლება, ცოცხალი ვერ დავბრუნდე, მაგრამ იცოდე, ყოველთვის მეყვარები და საიქიოშიც შენთვის ვილოცებო. ვუპასუხე, — რა სისულელეს ამბობ, გულს ნუ მიხეთქავ-მეთქი! თავი ჩაღუნა და ძლივს გასაგონად ჩაილუღლუღა: — გული ცუდს მიგრძნობს, იცოდე, „შავები“ არასდროს ჩაიცვა და შენს თვალებზე ცრემლი არავინ დაინახოსო. მერე ბევრი ვიტირე, ის კი გულში მიკრავდა, მეფერებოდა და მამშვიდებდა. თურმე ლაშას ინტუიცია არ ღალატობდა. როცა მისი სიკვდილის ამბავი შეგვატყობინეს, ძალიან ცუდად გავხდი, მაგრამ მტრის ჯინაზე და ლაშას ხათრით, შავი ტანსაცმელი არ ჩავიცვი, ცრემლი კი ვერ შევიკავე. რუსებო, რას გვერჩოდით?! რატომ გამაუბედურეთ? რატომ ყოფთ ცხვირს სხვის საქმეში? ნუთუ საკუთარი ჯარისკაცები მაინც არ გეცოდებათ?! მე ხომ წამართვით საყვარელი ადამიანი და ვინ იცის, კიდევ რამდენი გოგოა ჩემნაირ სიტუაციაში?.. ჰოდა, რით ვერ გაძეხით ქართული სისხლით? რატომ არ მიბრძანდებით ჩვენი ქვეყნიდან? წადით, ბარბაროსებო, წადით და დაივიწყეთ საქართველო! P.S. რუსი ეროვნების ადამიანი სადაც არ უნდა შემხვდეს, არ დავინდობ და კარგად გამოვლანძღავ“.

უცნობი:

„როცა რუსეთი საქართველოს მიმართ აგრესიულობას ისტორიული სამართლიანობის აღდგენით ამართლებს, რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენ მათაც და სხვა ქვეყნებსაც 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება შევახსენოთ: რუსებმა მაშინდელი ანექსიით ხომ სოჭის ოლქი მიიტაცეს! საინტერესოა, ეს ხელშეკრულება რატომ მივივიწყეთ?“

რეზერვისტის დედა, *საბერძნეთიდან:*

„საქართველოსთვის აგვისტო საშინელი აღმოჩნდა, საბერძნეთში მყოფი ქართველებისთვის კი ორმაგად საზარელი. ჩვენ ყოველდღე ტირილით ვისივებდით თვალებს. როცა გავიგე, რომ ჩემი შვილი რეზერვისტად წავიდა, თავი ჯოჯოხეთში მეგონა. ვიცი, როცა ქვეყანას უჭირს, სახლში ჯდომა და კომპიუტერით გართობა არაკაცობაა, მაგრამ იცით, რა დამემართა? — კინაღამ გავგიჟდი; თან, სატელეფონო კავშირიც რომ გაწყდა, სულ გადავირიე... ვიზიარებ იმ დედების მწუხარებას, რომელთა შვილებმაც სამშობლოს შესწირეს თავი. ხალხო, იამაყეთ იმ გმირებით, რომლებმაც კაიფში კი არ დალიეს სული, არამედ საქართველოსთვის გაწირეს სიცოცხლე. ღმერთს ვთხოვ, რომ სისხლის ღვრა აღარასდროს განმეორდეს“.

ლანკა, *19 წლის:*

„ჩემი ნათლია გორში ცხოვრობს. როცა იქაურობას ბომბავდნენ, ცოლშვილს ხელი მოჰკიდა და ზუგდიდში ჩამოიყვანა, მაგრამ მერე აქედანაც გასაქცევად გაგვიხდა საქმე. ნათლიაჩემის 18 წლის შვილი — გიორგი ზუგდიდიდან გაგვეპარა და გორიდან დაგვირეკა. გვითხრა: სხვანაირად არ შემეძლო, ჩემი მეგობრები აქ იხოცებიან და მე ზუგდიდში რა გამაჩერებდა? ხალხი გორის დასაცავად, სამეგრელოდან აქეთ მორბოდა და მე იქით უნდა გავქცეულიყავი? ბოლოს და ბოლოს, ლაჩარი ხომ არ ვარო?! მისმა მშობლებმა, დებმა და ნათესავებმა თვალები ტირილით დავითხარეთ, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდით, რომ ის მართალი იყო. ბიჭი რომ ვყოფილიყავი, მეც ასე მოვიქცეოდი! ჩვენი უბედურება ისაა, რომ ახლა არც კი ვიცით, გიო მკვდარია თუ ცოცხალი. არ ვიცით, ვიგლოვოთ თუ დველოდოთ. ნათლიაჩემი მის მოსაძებნად გორში წავიდა, მაგრამ რას იპოვიდა?! იმედია, ის იმ უცნობ გმირებს შორის არ დაუკრძალავთ, რომლებსაც ამ რამდენიმე დღის წინ მიაგეს პატივი (ჩვენ მათ დაკრძალვას ვერ ჩამოვუსწარით და ნათლიაჩემის ცოლი ამას ძალიან განიცდის). გიო, თუ ცოცხალი ხარ, შეგვეხმიანე. ვინ იცის, იქნებ, რომელიმე საავადმყოფოში წევხარ და „გზა“ შემთხვევით ჩაგივარდეს ხელში. იცოდე, ჩვენ ძალიან, ძალიან გვაკლიხარ“.

გაგრძელება იხ. გვ. 84

მან მტრის მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდო

„სამშობლოს რომ დასჭირდეს, დღესვე წავალ და საერთოდ, იმდენჯერ ვიბრძოლებ, რამდენჯერაც ჩემს ქვეყანას დასჭირდება“ — მითხრა 25 წლის უფროსმა სერჟანტმა თემურ ბუცხრიკიძემ ისეთი ტონით, რომ ერთი რუსი ე.წ. სამშვიდობოს სიტყვები გამახსენდა: ისინი საბრძოლველად ისე ლაღად მიდიოდნენ, გეგონებოდათ, სამხედრო აღლუმზე მიემართებოდნენო... ჩვენი რესპონდენტი სპეციალობით მეზენიტეა და იმ 20-მდე ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავიდან ერთი-ერთი მის ანგარიშზეა.

ქართველი სერჟანტის მონათხრობი და ფრონტის წინა ხაზზე წაკითხული მუხრანის ლექსი

ლალი პაპასკირი

— თემურ, რამდენი წელია, რაც სამხედრო სამსახურში ხარ?

— მეშვიდე წელია და იმედია, კიდევ დიდხანს მექნება პატივი, ჩემი ქვეყნის სამსახურში ვიდგე... თავიდან, სავალდებულო სამხედრო სამსახური მოვიხადე და მერე ჯარში ყოფნა და მუშაობა იმდენად მომეწონა, რომ დავრჩი. მართალი გითხრა, ჯარის ცხოვრება და რეჟიმი ადვილი დასაძლევი არ არის, — თავიდან რაღაც-რაღაცები, მათ შორის, დილით ადრე ადგომა მიჭირდა; ჩემს გემოზე გართობა და დასვენებაც მინდოდა... მაგრამ თანდათან შემიყვარდა ეს საქმე. როგორც ნებისმიერი ქართველი მამაკაცი, არც იარაღთან ვიყავი მწყრალად. ერთი სიტყვით, სამხედრო სფეროში უკეთ გარკვევა გადავწყვიტე. ჯარისკაცობა და სამხედრო სამსახური მშვიდობიანი ვითარების დროსაც ძალიან რთულია, მაგრამ საომარი მოქმედებების დროს — ათასჯერ უფრო საპასუხისმგებლო, მით უმეტეს, როცა საქართველოსნაირ პატარა ქვეყანაში ცხოვრობ. ეს ჩემს თავზე გამოვცადე. მაგრამ მეც და ჩემს მეგობრებსაც ბოლო მოვლენებმა სამშობლოსა და ხალხის სიყვარული გაგვიათმაგა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ სიყვარულს, თანაგრძნობას, პატივისცემასა და სიბრალულსაც. ეს ყველაფერი ჯარისკაცისთვის დიდი სტიმულია.

— ახლა სად მსახურობ?

— მეორე ბრიგადაში, უფროსი სერჟანტი ვარ... ჯარისკაცი სულ რეჟიმში და ნებისმიერ დროს საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს; ბოლომდე ჰქონდეს გააზრებული, რომ პატარა ქვეყნის შვილია და ეს ქვეყანა დღემდე, მეომარმა წინაპრებმა მოუტანეს. ყველაფერთან ერთად, პასუხისმგებელი ვართ მომავალი თაობის წინაშე. ეს ჰაერში ნასროლი სიტყვები არ არის, მართლა ასეა და მათი მნიშვნელობა ბიჭებს კარგად ესმით. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ცხინვალის მისადგომებთან ვიდექით. სრული პასუხისმგებლობით და სიამაყით უნდა ვთქვა, — სანამ მტერთან პირისპირ ვიბრძოდით, ქართველი ჯარისკაცის შეშინებული სახე არ მინახავს. მოწინააღმდეგესთან ბრძოლისას, დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ვფლობდით. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ყველაზე მაგრები ვართ, უბრალოდ, მოტივაცია გვქონდა სხვანაირი. მათ ბრძოლის ველზე გამბედაობა არ ჰყოფნით და იმიტომ ომობენ მთვრალები. ეს გამწარებული და დამარცხებული მებრძოლის ნათქვამი არ გეგონოთ, რეალობაა, რომელსაც ნებისმიერი ქართველი ჯარისკაცი დაგიდასტურებთ.

— პირველი დღიდანვე იბრძოდი?

— 8 აგვისტოს ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებში შევედით. მოსაღამოებული იყო. სროლის ხმები თითქმის არ ისმოდა, შედარებით სიწყნარე დაგვხდა. ძირითადად, ნიქოზში ვიყავით განლაგებული. სოფელი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილი იყო, მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. წინა ღამისგან განსხვავებით, ის ღამე მშვიდი ნამდვილად არ ყოფილა. დილით ინტენსიური სროლები დაიწყო. 10-11 საათისთვის კი სიტუაცია ძალიან დაიძაბა და როგორც ბიჭები ვიტყვით ხოლმე, სერიოზული ბრძოლები დაიწყო...

— ვიცი, რომ არ გინდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა გკითხო: იმ დღეს ჩამოაგდე მტრის თვითმფრინავი?

— არ მახსოვს, ზუსტად რა რიცხვი იყო — ის რამდენიმე დღე ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ბიჭები აზარტში ვიყავით შესული. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, რაც მევალებოდა, ის შევასრულე... დასანანია, რომ მეტის ჩამოგდების საშუალება არ მომეცა, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი წინ არის... არ ვიცი, ახლა, ამ პოზიციიდან რამდენად მართებულია ამაზე საუბარი, მაგრამ ნებისმიერ ქმედებაზე, ტაქტიკასა და სიტუაციაზე გვეტყობოდა, რომ აშკარა უპირატესობას ვფლობდით... რაც შეეხება, მტრის მოიერიშე თვითმფრინავის ჩამოგდებას, — ასე ვთქვათ, მე ამის სპეციალისტი ვარ. რამდენიმეთვიანი სასწავლო საზენიტო კურსები გავიარე. ამის შემდეგ სხვა თანამდებობაზე დავინიშნე და მერე ერაყში მომიწია წასვლამ, კონტრაქტი გავაფორმე.

— ერაყში ალბათ სამშვიდობო მისიით იყავი.

— კი, ქართული ქვედანაყოფები სამშვიდობო მისიით ვიყავით. იქ 7

ნებისმიერ ქმედებაზე, გაქტიკასა და სიტუაციაზე გვეტყობოდა, რომ აშკარა უპირატესობას ვფლობდით...

თვეზე მეტი დავყავით. ჩვენმა შემცვლელმა ქართულმა ქვედანაყოფმა ჩასვლა დაიგვიანა და განსაზღვრულ დროზე მეტხანს დავრჩით. მართალია,

მშვიდობიანი მოსახლეობისაც ეშინოდა, — აბა, რას უნდა ნიშნავდეს საცხოვრებელი სახლებისა და კორპუსების დაბომბვა?!

სამშვიდობო ფუნქცია გვეკისრა, მაგრამ გარკვეულ სამხედრო გამოცდილებასაც ვიღებდით — წვრთნებს გვიტარდებდნენ.

— ხალხში ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი მებრძოლების შემართებაზე. რა შეგიძლია მითხრა ამასთან დაკავშირებით?

— არ მიყვარს ასეთ რაღაცებზე საუბარი, მაგრამ რახან მთხოვე, გიპასუხებ. პირადად მე, უამრავ ჩემს მეგობარს, ახლობელს — პირველად მოგვეცა საშუალება, სამშობლო დაგვეცვა. ძნელია გადმოგცე, ასეთ დროს რას განიცდის ადამიანი... იქ მდგომ ბიჭებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ მათი ქვეყნის მთლიანობისა და კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ. სამხედრო სამსახური მხოლოდ ვარჯიში და ფორმის ტარება არ არის. როცა საჭირო იქნება, სამშობლოს და ხალხს ფარად უნდა დავუდგეთ — ეს არის ჩვენი მოტივაცია. მე მინახავს, როგორ მღეროდნენ ჩვენი ბიჭები საქართველოს ჰიმნს. ზოგიერთი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ისინი ერისთვის გმირებად დარჩებიან. სამხედრო პირმა იცის, რომ ომი თამაში არ არის, იქ ყველა ჯარისკაცი სიკვდილს თვალებში უყურებს, მით უფრო, როცა რუსეთისნაირი გველეშაპის მოშთობას ვცდილობთ. ჩვენმა ბიჭებმა ღირსეულად იბრძოლეს. თითოეულ მათგანს წინ, დაკარგული ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი გვედგა... მეხსიერებიდან არასდროს ამომეშლება იმ ბიჭების სახეები, ვინც ცხინვალის მისადგომებთან ჩემთან ერთად იბრძოდნენ: მღეროდნენ, ხუმრობდნენ... სიკვდილის არავის ეშინოდა. ერთი ბიჭი თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. გავძახე, — რას შვრები, ბიჭო, საკუთარ თავს ელაპარაკები-მეთქი? — მოიცა, რა, ლექსს ვკითხულობო, — მიპასუხა. — რა ლექსს-მეთქი? მომიბრუნდა და გაღიმებული სახით მიპასუხა: „შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო?.. შენ სად არ გხვრეპდა შავი ყორანი?.. ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს?.. ნადიდგორალი, ნაშამქორალი...“ მერე კი ხმას აუწია და მხატვრულად წაიკითხა: „შენ სისხლო ჩემო, სისხლო ხნიერო, დაუდგრომელო და უცნაურო, საბედნიეროდ, საბედნიეროდ, ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ!..“ აი, ასე ვიბრძოდით.

— მითხარი, რომ ის ბიჭი ცოცხალია...

— კი, მართლაც — საბედნიეროდ, ცოცხალია.

— შენ არ კითხულობდი ლექსს?

— გონებაში ერთი ქართული ლექსი მიტრიალებდა, მაგრამ ახლა ვერაფრით ვიხსენებ, რომელი იყო... ვნახე დაჭრილი ბიჭები, რომლებიც ექიმებს ეუბნებოდნენ, — მე არაფერი მიჭირს, აი, იმას უფრო სჭირდება თქვენი დახმარებაო... ჩვენს ხალხს გენში აქვს ბრძოლის ჟინი.

— ბევრი ამბობს, — რუსეთი საჰაერო შეტევაზე რომ არ გადასულიყო, ომს მოვიგებდითო...

— დიახ, ეს გადაჭარბებული შეფასება სულაც არ არის. რომ არა ზურგის დაბომბვა, დღეს ცხინვალი ჩვენი იქნებოდა. რუსეთი, რომელიც წლების განმავლობაში თავს იწონებდა თავისი მრავალრიცხოვანი არმიით, შეშინდა, რადგან ჩვენმა ბიჭებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს.

რომ არა ზურგის დაბომბვა, დღეს ცხინვალი ჩვენი იქნებოდა

— ყველა ამბობს, რომ საჰაერო იერიშებმა ვითარება შეცვალა...

— ასეა, ძალიან იმოქმედა ბიჭებზე. ჩვენ ყველას ოჯახები გვაქვს და როცა იცი, რომ შენს ახლობლებს საფრთხე ემუქრება, მშვიდად ვერ იქნები. სწორედ ამაზე იყო გათვლილი მტრის მოქმედება... თუმცა იმედია, ყველაფერი ასე არ დამთავრდება, როგორც მტერს აქვს ჩაფიქრებული. ჩვენ ცოცხლები ვართ და რუსეთის მონობას არ ვაპირებთ. ჩემი ხვედრი — საქართველოს მამულიშვილობა ყოფილა და რახან სამხედრო ფორმა ჩავიცვი, მზად ვარ, ჩემი ქვეყნისთვის თავი გავწირო. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ცხოვრობს და ვისაც როგორ შეუძლია, ისე კვდება. ნებისმიერი ქართველი ვალდებულია, ამ ბრძოლაში დაცემულ გმირებს პატივი მიაგოს. რუსების ფაშისტური ქმედებების გამო, ბევრი უცნობი ჯარისკაცის საფლავი გაგვიჩნდა და ჩემს ხალხთან ერთი მოკრძალებული თხოვნა მექნება: ამ ბიჭებისთვის ალალ ცრემლებს ნუ დაიშურებთ!.. მტერს ქართული არმიის ეშინოდა და შორიდან, ყველანაირი გამანადგურებლით გვებრძოდა.

— მათ მშვიდობიანი მოსახლეობაც დაბომბეს...

— დიახ, რუსს ქართველი მებრძოლების კი არა, მშვიდობიანი მოსახლეობისაც ეშინოდა, — აბა, რას უნდა ნიშნავდეს საცხოვრებელი სახლებისა და კორპუსების დაბომბვა?! ეს ფაშიზმია, მაგრამ ამაში შურის მომენტიც ჩანს: მათ არ ეგონათ, თუ ასეთი მომზადებული იქნებოდა ქართული არმია. მათნაირი მათხოვრები ვეგონეთ. საქმე ის არის, რომ რუსმა საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სიყვარული არ იცის. ის იბრძვის იმიტომ, რომ მეთაურის ბრძანებას ასრულებს. ასეთი იდეოლოგიით მოტივირებული ჯარი კი მორალურად ყოველთვის სუსტია და მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, ყველანაირი ხერხით იბრძოლებს... მესმის, რომ საზოგადოება ნერვიულობს, ისედაც ცოტანი ვართო, მაგრამ აქამდე ხომ ბრძოლით მოვედით, ჩვენი წინაპარიც იბრძოდა, ყველას სიმწარე გამოუვლია და უარესისთვისაც გაუძლია. როგორღაც უნდა შევძლოთ — ჩვენი მიწა რუსულ ჩექმასაც დავატოვებინოთ... ■

როცა წყალგამყოფი ოჯახის „ტერიტორიაზე“ გაღის

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ არ მეგულება ქართველი, ვისაც ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებსა თუ, ბოლოს და ბოლოს, მეზობლებს შორის, ოსი ან რუსი ეროვნების ადამიანი არ ჰყავდეს. ამ ერებთან ჩვენი დამოყვრება, ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, პოლიტიკური და გეოგრაფიული გარემოებებითაც იყო განპირობებული. ქართული, ოსური და რუსული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, შერეული ოჯახების შექმნით, ერთმანეთს შეერწყა. ამბობენ, კარგი და ცუდი ყველა ერშიაო, მაგრამ კონფლიქტში, რომელიც ომის მასშტაბებს იღებს, კარგისა და ცუდის გარჩევა მეტად ჭირს.

ემა ტუხიაშვილი

2002 წელს ჩატარებულმა, მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ ცხადყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონის მიღმა, 38 ათასი ეთნიკური ოსი ცხოვრობდა. 1991-1992 წელს გაღვივებული ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ, ქვეყანაში მცხოვრები ოსური მოსახლეობის ნაწილმა გვარებიც კი „გადმოიქართულა“ და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება საქართველოს მიმართ, მაგრამ ისეთებიც არიან, ვისაც ოსური გვარი და წარმომავლობა ხელს არ უშლის, საქართველოსა და ქართველი ერის სიყვარულში. მაგალითად, თბილისელი ქალბატონი, ეროვნებით ოსი, ჯულიეტა ბოლოთაევა 33 წელია, ქართულ-ოსური ოჯახის დედაბოძი გახლავთ.

ჯულიეტა ბოლოთაევა:

— ჩემი წინაპრები, გორის რაიონიდან, სოფელ ხურვალეთიდან ყოფილან. მე კი თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ისე დავამთავრე სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, წლების განმავლობაში ვმუშაობდი კვლევით ინსტიტუტში, რომ არავისგან მიგრძნია — ოსი ხარ და ამიტომ უნდა დაგჩაგროთო. მთელი გულით მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, ამიტომ ჩემი ცხოვრების მეგზურად, ქართველი მეუღლე, წარმოშობით რაჭველი, სოსო მეტრეველი ავირჩიე. მე და სოსოს ორი შვილი და ორი შვილიშვილი გვყავს. ჩემმა შვილებმა ისევე იციან ქართული ენა, როგორც ოსური. ჩვენს ოჯახში მოსულ სტუმარს კი ოსური ხაბიზგინითაც ვუმასპინძლდებით და რაჭული ლობიანითაც. მსოფლიოში არ მეგულება ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ორი ერი, ვიდრე ქართველები და ოსები არიან. ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს — საქართველო. ნურავინ შეეცდება ამ ორი, ერთმანეთის მოსიყვარულე ერის დაშორებას! დარწმუნებული ვარ, ამას წინ აღუდგებიან, როგორც ქართველი, ასევე ოსი დედები. სამხრეთელი ოსები ძალიან განსხვავებულები ვართ ჩრდილოელი ოსებისგან. სხვადასხვა გვაქვს ენაც და სარწმუნოებაც. აქაური ოსები იმათ „წმინდა წყლის ოსებს“ ვუწოდებთ, ჩვენ კი „ქართველი ოსები“ ვართ. ვიცი, ამ დღეებში ბევრმა ოსმა და ქართველმა დედამ დაღვარა ცრემლი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ დრო ჭრილობებს მოაშუშებს და ოსები და ქართველები ისევ ერთად ვიცხოვრებთ.

ცნობილია, რომ შერეული, ქართულ-ოსური ოჯახების სიმრავლით, ლიახვის ხეობა და მთლიანად გორის რაიონი გამოირჩევა. სწორედ ასეთი ოჯახების გაცნობის მიზნით, კონფლიქტის ზონიდან თბილისში დევნილ მოსახლეობას მივაკითხე და ჩემთვის სრულიად მოულოდნელ რაღაცას წავაწყდი: ერთ-ერთი სკოლის შენობაში დროებით შესახლებულმა დევნილებმა ერთგვარ ცოცხალ რკალში მომაქციეს და დაჟინებით მოითხოვდნენ, დეტალურად ამეხსნა — თუ რატომ ვინტერესდებოდი იმით, თუ ვის ჰყავდა ოჯახში ეთნიკურად ოსი წევრი. ვითარება მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, რაც ამ ადამიანებს ვუჩვენე დოკუმენტი, რომელიც ადასტურდებს, რომ პრესის წარმომადგენელი ვარ და, სტატიისთვის ინფორმაციის მოპოვების გარდა, სხვა ზრახვები არ მქონდა. ამის შემდეგ, ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩემთან საუბარი ისურვა, მაგრამ მაინც მთხოვა მისი გვარი არ გამემჟღავნებინა...

არ მეგულება ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ორი ერი, ვიდრე ქართველები და ოსები არიან

რომ იცოდეთ, რა გააკეთეს რუსებმა ცხინვალში! ოსი ბიჭები, ჯარისკაცები უმოწყალოდ აწამეს და ისე დახოცეს, რომ შემდეგ ეს სისასტიკე ქართველი ჯარისკაცებისთვის დაებრალებინათ

თამრიკო, *ლიახვის ხეობიდან დევნილი:*

— ცხინვალელი ქალი გახლავართ, ეროვნებით ოსი. სკოლა რომ დავამთავრე, მამიდამ სოფელ თამარაშენში, ქართულ ოჯახში გამათხოვა. ხუთი ქართველი აღვუზარდე ქვეყანას, აქედან სამი — ვაჟკაცი. სამივე სამხედრო მოსამსახურე გახლავთ, სამივე იბრძოდა ამ ომში. მადლობა ღმერთს, ცოცხლები და უვნებლები დამიბრუნდნენ. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ყველა ჩემი ნათესავი ცხინვალში ცხოვრობდა. სამწუხაროდ, ახლა არ ვიცი, რა ბედი ეწიათ. საომარი მოქმედებების დროს, ღმერთს თან ჩემი შვილების გადარჩენას შევთხოვდი, თან ვევედრებოდი, — ისე ნუ მოხდება, რომ ძმამ ძმა მოკლას-მეთქი: ჩემი დისშვილები და ძმისშვილები, ჩემი შვილებისთვის ხომ იგივე დები და ძმები არიან!.. ეს ხომ ძმათა შორის ომი იყო. ჩვენი სოფლელი ბიჭი, ეროვნებით ოსი, მაგრამ ქართველად აღზრდილი, „კომანდოს“ ბატალიონში მსახურობდა, ომის წინა ხაზზე უკრეს თავი. დღემდე არაფერი ვიცით მის შესახებ. საწყალი დედამისი იმედს არ კარგავს: ტყვედ იქნება ჩავარდნილი, ოსები თავიანთ სისხლსა და ხორცს სასიკვდილოდ არ გაიმეტებდნენო. შიდა ქართლში ოჯახი არ მეგულება, ოსი ნათესავი რომ არ ჰყავდეს. სეპარატისტებმა ყველა მოღალატეებად უნდა გამოგვაცხადონ?.. რუსები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთი შეიძულონ. იმას კი ვერ ხვდებიან — ჩვენი ნათესაური კავშირები იმდენად მჭიდროა, რომ დედა-შვილსა და და-ძმას ერთმანეთს ვერანაირი ძალა ვერ შეაძულებს. სიმართლე თუ უნდათ, შუღლი და მტრობა რუსების მოგონილია. რომ იცოდეთ, რა გააკეთეს რუსებმა ცხინვალში! ოსი ბიჭები, ჯარისკაცები უმოწყალოდ აწამეს და ისე დახოცეს, რომ შემდეგ ეს სისასტიკე ქართველი ჯარისკაცებისთვის დაებრალებინათ. შემდეგ, ცხინვალის ცენტრში დაყრილი, ნაწამები გვამები ვიდეოფირზე გადაიღეს და გაავრცელეს. მინდა, რუსებმა იცოდნენ, რომ საომარი მოქმედებების დაწყებისას სწორედ ცხინვალელმა ოსებმა დაგვიჭერეს და გაგვაფრთხილეს: აქ მოსახლეობის ევაკუაციაა გამოცხადებული, რუსები რაღაცას აპირებენ და თქვენც თავს უშველეთო. ასე რომ, რაც პუტინმა და მედვედევმა მტრობით დაგვინგრიეს, ოსები და ქართველები ისევ სიყვარულით ავაშენებთ.



ჩვენი სოფლელი ბიჭი, ეროვნებით ოსი, მაგრამ ქართველად აღზრდილი, „კომანდოს“ ბატალიონში მსახურობდა. დღემდე არაფერი ვიცით მის შესახებ

ნანი ივანიშვილი, *გორის რაიონიდან დევნილი:*

— სხვათა შორის, სტალინი პაპაჩემის მეგობარი ყოფილა და მეორე მსოფლიო ომის დროს ისე არ უჭირდა ჩვენს ოჯახს, როგორც ახლა გვიჭირს. 8 აგვისტოს მოხუცებული დედა ძლივს გამოვიყვანე სოფელ ვარიანიდან, რომელიც ინტენსიურად იბომბებოდა რუსული ავიაციის მიერ. საცოდავი, შიშისგან ოთახის კუთხეში მიკუნჭულიყო და ერთიანად ცახცახებდა. ბებია მყავდა ოსი, გვარად ხუბაშვილი. პირველად ამის შესახებ მაშინ გავიგე, როდესაც 1991-1992 წლებში ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. მხოლოდ ამის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემს მეზობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს შორის უამრავი ეთნიკური ოსი იყო. მანამდე ამაზე არავინ ლაპარაკობდა. არასდროს გვითქვამს ერთმანეთისთვის, — შენ ოსი ხარ და შენ — ქართველი-თქო... პირველი კონფლიქტის შემდეგ, ქართველებსა და ოსებს შორის „ჩატეხილი ხიდი“ ახლა უკვე აღდგენილი იყო. როგორც ჩანს, სწორედ ეს არ მოუვიდა რუსეთს თვალში. ცხინვალში, 8 ივნისის ქუჩაზე ჩემი დეიდაშვილები — ქართველები, გვარად კვაღინიძეები ცხოვრობდნენ. მათი სახლის მახლობლად ერთი სახლი იყო-

ცხინვალში, 8 ივნისის ქუჩაზე ჩემი დეიდაშვილები — ქართველები, გვარად კვაღინიძეები ცხოვრობდნენ

ბიძაშვილი მყავს გათხოვილი ოსზე სოფელ თამარაშენში და ჩვეულებრივი მოყვრობა გვქონდა

დაიტანა და მკურნალობის კურსს თბილისის ცენტრალურ კლინიკაში გადის. დევნილობაში მყოფი ქართულ-რუსული ოჯახის შესახებ ქალბატონი ნინას მეუღლემ — **გერისო მინდიაშვილმა** *გვიამბო.*

— მანამ, სანამ თქვენ მკითხავდეთ, გეტყვით, რომ ცნობილ რუს გენერალს, როიდებოდა და მისი შეძენა გვსურდა. თანხის ნაწილი, 8 ათასი დოლარი უკვე გადახდილი გვქონდა. ახლა ამბობენ, რომ რუსულ ბომბდამშენებს ის ადგილი მიწასთან გაუსწორებიათ. არ ვიცი, ჩემს დეიდაშვილებს რა ბედი ეწიათ, არც ის ვიცი, ცოცხლები არიან თუ არა... უკანასკნელ მოვლენებამდე ცხინვალში ბევრი ქართული ოჯახი ცხოვრობდა, მათ შორის — კობალაძეები, გახელაძეები, ცერცვაძეები. იქნებ როგორმე, ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დიმიტრი სანაკოევს მივაწვდინო ხმა და გავიგო, რა ბედი ეწიათ ცხინვალელ ქართველებს... არაფერი ვიცი გორში მყოფი ჩემი ნათესავების შესახებ. მივმართე შესაბამის კომისიას, მაგრამ ვერაფერი დაადგინეს. ჩემი ბიცოლა, ჟუჟუნა ივანიშვილი და რძალი, ზოია მურადაშვილი დაბომბვისას გორში იმყოფებოდნენ. ერთი ჭურვი სწორედ მათ სახლს დაეცა. თბილისში ყველა საავადმყოფო მოვიარე, დაჭრილებში ვეძებდი, მაგრამ მათ კვალს ვერსად მივაკვლიე. ისიც კი ითქვა, ოკუპაციის დროს გორში დარჩენილმა მოსახლეობამ ყველა მიცვალებული, მათ შორის ბავშვებიც, ერთ სამარეში დაკრძალაო. გორშიც ვერ მივდივარ, რადგან ჯერ ერთი, ავადმყოფ დედას ვერ ვტოვებ და მეორეც, დევნილებს ელემენტარული სახსრები არ გაგვაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვისარგებლოთ.

კონფლიქტის ზონიდან დევნილებს შორის, ქართულ-რუსული ოჯახიც აღმოვაჩინე. სამწუხაროდ, ამ ოჯახის დიასახლისი, ეროვნებით რუსი, ნინა როდიონოვა დროებით თავშესაფარში არ დაგვხვდა. მომხდარის გამო მან მძიმე ნერვული შოკი გა-

1992 წლებში მსხვერპლი იყო როგორც ქართველებში, ისე — ოსებში. მახსოვს, პირველი კონფლიქტის დროს ჩვენი სოფელი რამდენიმე ოსურმა ოჯახმა დატოვა. მაგრამ წლების შემდეგ, იარები მოშუშდა და ისინიც ისევ დაუბრუნდნენ მამაპაპისეულ კერას. ოსები და ქართველები კი არა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების გამო ქართველები ხოცავდნენ ერთმანეთს: მე ცოტა მერგო, შენ კი — ბევრიო. არც ჩემი მეუღლისთვის უთქვამს ვინმეს, — რუსი ხარ და ამიტომ, საქართველოში სხვებზე ნაკლები უფლებებით სარგებლობო. დედაჩემს ისე უყვარდა ნინა, თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა. მოხუცებულობაში დედას თავისი ხელით ვარცხნიდა თმას, ისიც, მადლიერების ნიშნად, რძალს ხელებს უკოცნიდა ხოლმე. შესაშური რძალდედამთილობა ჰქონდათ. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე გამოვამგზავრეთ შვილები და შვილიშვილები თბილისში, ნინამ კი ერთი წუთით არ მიმატოვა, ბოლომდე ჩემთან დარჩა. ამბობდა: თუ სიკვდილი გვიწერია, ერთად მოვკვდეთო. არც ის გვეთმობოდა, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში უდიდესი შრომის ფასად შევქმენით. მას შემდეგ, რაც რუსულმა ავიაციამ იერიში ჩვენს სოფელზე მიიტანა, შინდისი ჩვენც დავტოვეთ. შეიძლება ითქვას, რომ ჭურვების

ქართველებსა და ოსებს შორის „ჩატეხილი ხიდი“ ახლა უკვე აღდგენილი იყო. როგორც ჩანს, სწორედ ეს არ მოუვიდა რუსეთს თვალში

ვილით გაგვაბედნიერეს. ჩვენი სოფელი ცხინვალთან ახლოს მდებარეობს. ოსებთან ვმეგობრობდით, ვურთიერთობდით და არასდროს განმისხვავებია ადამიანები ეროვნების მიხედვით. მეტიც, ბიძაშვილი მყავს გათხოვილი ოსზე სოფელ თამარაშენში და ჩვეულებრივი მოყვრობა გვქონდა, როგორც სხვა ქართველ სიძეებთან. ჩვენ შორის უთანხმოება იმთავითვე პოლიტიკოსებმა დათესეს და ეროვნული ნიშა საბაბად გამოიყენეს. 1991-

წვიმა გამოვიარეთ; ცოცხლები კი გადავრჩით, მაგრამ ნინამ მძიმე ნერვული სტრესი განიცადა. მახსოვს, შეშინებული, მთელი ხმით ყვიროდა: არ გვინდა ომი, არ გვინდა მტრობა, ეს ყველაფერი სატანების ბრალიაო!.. არც ქართველს, არც ოსს და არც რუსს ომი არ უნდა. ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ, შრომა და იმ მიწაზე დაბრუნება გვინდა, რომელიც ახლა საოკუპაციო ჯარების მიერ ითელება.

■

„მე ყველაფერი ვიცი, „მრავალწახნაგოვანი“ ადამიანი ვარ“

ცნობილი ქართველი მომღერალი ეთერ კაკულია იმ იშვიათთგანი აღმოჩნდა, ვინც ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა არ მოიმიზეზა და „ერუდიტში“ სტუმრობაზე დამთანხმდა. უფრო მეტიც — თამამად განაცხადა, რომ ის ინტელექტუალური, განათლებული ადამიანია და მსგავსი „გამოწვევები“ არ აშინებს. სხვათა შორის, ქალბატონმა ეთერმა ჩემ მიერ დასმულ კითხვებს იმაზე უკეთ გაართვა თავი, ვიდრე წარმომედგინა...

ხათუნა ბახტურიძე

პრეამბულის მაგიერ

— ქალბატონო ეთერ, რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა აგრესიამ თქვენზე როგორ იმოქმედა?

— ძალიან დავითრგუნე. არ მეგონა, რომ რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ ასეთ საშინელ ნაბიჯს გადადგამდა. ამდენი ცხოვრებაში არ მიტირია. ახლა ცოტა დავმშვიდდი. საპროტესტო აქციებში ვმონაწილეობ და ამას როგორღაც, გამოვყავარ მდგომარეობიდან. გარდა ამისა, ტელევიზორიდანაც იმედის მომცემ ინფორმაციებს ვისმენ.

— რუსი აგრესორების ქმედებებიდან ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?

— რუსების თითოეული სიტყვა, საქციელი და მიმიკაც კი გამაღიზიანებელია. ყველაზე მეტად მათი უტიფრობა მაბრაზებს. რა უნდათ ამ „ვარვარებს“, რატომ გვართმევენ ჩვენს მიწა-წყალს?! თავიანთი უზარმაზარი ტერიტორია არ ჰყოფნით?! ნამდვილი ბარბაროსები ყოფილან. ვერ გამიგია, რუსეთის პრეზიდენტი რატომ არის ასეთი აგრესიული ჩვენ მიმართ, ის ხომ საქართველოში დაიბადა?!

— მაგას ვლადიმირ პუტინზე ამბობენ. რუსეთის პრეზიდენტი ახლა მედვედევია...

— კარგი, რა, მაგ ზღაპრების თქვენც გჯერათ?! რუსეთის ნამდვილი პრეზიდენტი ახლაც პუტინია.

— ცხინვალის დასაცავად, თქვენი ვაჟიშვილი თუ იყო წასული?

— არა, მაგრამ ამ ყველაფერს ძალიან განიცდიდა და წასასვლელად მზად იყო. რა გვიქნეს, ამ ვითომ მეგობრებმა, ქვეყანა თავზე არ დაგვამხეს?! ბოლო დროს, იცით, რა ხალისიანად ვიყავი განწყობილი?.. უამრავი კონცერტი მქონდა დაგეგმილი. ახლა გადავწყვიტე, პროტესტის ნიშნად, ახალი სიმღერა ჩავწერო.

— სიმღერისთვის ტექსტი და მუსიკა უკვე შერჩეული გაქვთ?

— მუსიკა ვახტანგ ტატიშვილის იქნება, ლექსს კი ჩემი ძმა მიწერს. რამდენიმე დღეში ყველაფერი მზად გვექნება... „ერუდიტის“ ჩაწერა როდის უნდა დავიწყოთ? ხომ არ გადაიფიქრეთ? ხომ იცით, მე არაფრის მეშინია!..

— კარგი, დავიწყოთ. ვის მიუძღვნა აკაკი წერეთელმა ლექსი „განთიადი“?

— დიმიტრი ყიფიანს.

— რატომ გამოამწყვდიეს დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლის ციხეში?

— რუსი მღვდელი გაანაწყენა. ხომ მართალი ვარ?

— დიახ, ნაწილობრივ. მან საქართველოს ეგზარქოსს, პაველ ლებედევს, რომელმაც ქართველი ხალხი დაწყევლა, საქართველოს დატოვება მოსთხოვა. რა ჰქვია ბალერინის ფეხსაცმელს?

— პუანტები.

— 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, გლოვის ნიშნად, ქართველი ინტელიგენციის ოთხმა წარმომადგენელმა შავი ჩოხა ჩაიცვა. ვინ იყვნენ ეს რაინდები?

— კონსტანტინე გამსახურდია აუცილებლად იქნებოდა, პავლე ინგოროყვაც, არა?!. კიდევ ვინ იყო?

— კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროყვასთან ერთად, ვახტანგ კოტეტიშვილი და ალექსანდრე აბაშელი იყვნენ. რას ნიშნავს „ამირეჯიბი“ არაბულ ენაზე?

— ცხენოსანს?

— „ამირეჯიბი“ არაბულ ენაზე მეფის მრჩეველს ნიშნავს. ვინ იყო ზაზა ფანასკერტელი?

— ექიმი, მეცნიერი — ყველაფერი იყო.

— ამერიკის რიგით მეორმოცე პრეზიდენტი, ვიდრე ამ თანამდებობას დაიკავებდა, ჯერ მაშველი იყო, შემდეგ — მსახიობი. ვისზეა ლაპარაკი?

— ალბათ, რონალდ რეიგანზე. ხომ ეგ არის?

— დიახ. აშილ მიურატმა სიკვდილის წინ, სასთუმალთან მჯდარ ფრანგ ექთანს „უცნაურ ენაზე“ უმღერა. როდესაც ექთანმა ჰკითხა, — რა ენაზე მღერითო? — მომაკვდავმა, სევდიანი ღიმილით უპასუხა, — ეს ჩემი მშობლიური ენაა, სიმღერა კი — ყველაზე ტკბილიო. რა იმღერა სიკვდილის წინ აშილ მიურატმა?

— მეგრულ „ნანას“ იმღერებდა — ყველაზე ტკბილი ეგ არის.

— დასახელეთ ესპანელი მომღერალი, სიმპატიური, რომელმაც „ნორმას“ პარტიის შესრულებისათვის გაითქვა სახელი.

— მგონი, მონსერატ კაბალიე.

— მართალი ბრძანდებით.

— (*იცინის*) აბა, რა! მე ყველაფერი ვიცი, „მრავალწახნაგოვანი“ ადამიანი ვარ.

— ვინ გამოიგონა მორზეს ანბანი?

— მორზემ.

— ამერიკელმა მხატვარმა, სემიუელ მორზემ.

— ასე რატომ მიკონკრეტებ? მართლა, ყველაფერი ხომ არ მეცოდინება?!

— კარგი. რომელ სახელმწიფოშია იენის უნივერსიტეტი?

— გერმანიაში.

— მას „დიდ მოურავს“ უწოდებდნენ...

— გიორგი საკაძეს.

— რომელ ქვეყანაში მოკლეს ის?

— ირანში?.. არა, არა, თურქეთში. ეს როგორ შემეშალა?!

— რომელმა ბერძენმა ტრაგიკოსმა გამოიყვანა კოლხი მედეა შვილების მკვლელად?

— ევრიპიდემ.

— „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო...“ ვის ეკუთვნის ეს ლექსი?

— ილია ჭავჭავძეს.

— ამ ლექსის ავტორი — დუტუ მეგრელია...

— ვაიმე, „დამერხა“!..

— რას ნიშნავს ქართულად ბახის გვარი?

— ალბათ, ჩარტყმას.

— ბახის გვარი ქართულად ნაკადულს ნიშნავს. დაასახელეთ კომპოზიტორი, რომელზეც ჰომოსექსუალი მეფე — ლუი მეორე იყო შეყვარებული.

— მოიცა, მოვიფიქრებ... მგონი, ვაგნერი.

— სწორი ვერსიაა. ხომ არ გახსოვთ — 1924 წელს, რუს ოკუპანტებთან ბრძოლას რამდენი ქართველი შეეწირა?

— რამდენიმე ათასი კაცი იქნებოდა.

— რუსებთან ბრძოლას 10 ათასი ქართველი შეეწირა. ერთხელ, ალბერტ აინშტაინმა ჩარლი ჩაპლინს მისწერა: „გავიგე, რატომ ხარ უდიდესი ადამიანი. შენი ფილმები გასაგებია ყველასათვის, კრეტინებისთვისაც კი!“ როგორ ფიქრობთ — რა უპასუხა ჩარლი ჩაპლინმა?

— თავად ხარ კრეტინიო, არა?

— არა, ქალბატონო ეთერ. მან უპასუხა: „მე შენით ვარ აღფრთოვანებული, იმიტომ, რომ შენი ფარდობითობის თეორია ვერავინ გაიგო, მაგრამ მაინც უდიდესი პიროვნება გახდი“.

— მართალია ყოფილა ის კაცი!

— ის იყო ფრანგი ჯარისკაცი, რომელსაც „მოარულ საიდუმლოს“, „რისკის ხელმწიფეს“, „ათასსნოვან ადამიანს“, „იატაკქვეშა ნაპოლეონს“ უწოდებდნენ.

— რომ ვერ ვხდები?!.

— დაგეხმარებით. ის იმავდროულად, მეთოვეინე-მსახიობი, ფარიკაობის მასწავლებელი, მანუფაქტურისტი, მეკობრე და მოთამაშე გახლდათ. ის იყო ერთადერთი, ვინც სტრასბურგის ციხიდან გაქცევა მოახერხა.

— არ ვიცი. რას მაწვალებ?! მითხარი!

— ეჯენ ფრანსუა ვიდოკი.

— ვიცოდი. ვიდოკზე ფილმიც არის გადაღებული, მთავარ როლს ჟერარ დეპარდიე თამაშობს. ხომ გითხარი, გონება მაქვს გადაღლილი-მეთქი.

— ის თუ იცით, ვინ მოიპოვა პირველად ოქროს მედალი ათენის ოლიმპიადაზე?

— გიორგი ასანიძემ?

— არა.

— კურტანიძემ?

— არა. ახმეტელმა ძიუდოისტმა — ზურაბ ზვიადაურმა. რომელ მცენარეს უწოდებდნენ რომის პაპები „მცრალ, ეშმაკისეულ ბალახს“?

— პლანს?

— არა, თამბაქოს. ვინ შეკერა პირველად ჯინსის შარვალი?

— ჯინსმა... არ დაიჯეროთ, თქვენს გასამხიარულებლად ვთქვი. პირველი ჯინსი ლევი სტრაუსმა შეკერა.

— რა ჰქვია ჯეიმს ბონდის შემსრულებელ, შოტლანდიერ მსახიობს, კონერის?

— შონი.

— როგორ ადამიანს უწოდებენ დილეტანტს?

— გამოშტერებულს.

— დილეტანტს უწოდებენ იმ ადამიანს, რომელმაც ყველაფერი ზერელედ იცის. საქართველოს რომელ კუთხეშია ხერთვისის ციხესიმაგრე?

— ჯავახეთში.

— მითხარით, ფრანგი მებრძოლი ქალის სახელი, რომელმაც ინგლისელი დამპყრობლებისგან ქალაქი ორლეანი გაათავისუფლა. ის 19 წლის ასაკში...

— ვიცი, ვიცი! 19 წლის ასაკში კოცონზე დაწვეს. ჟანა დ'არკი იყო... აბა, რა გგონიათ? ყველაფერი ვიცი. ხომ გითხარით, ერუდირებული ვარ.

— აბა, ამას თუ მეტყვით: ვინ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი?

— ნიკო მუსხელიშვილი, ჩემო კარგო. ეგ როგორ არ მეცოდინებოდა?!

— ვის ეკუთვნის ფრაზა — „სადაც ჩლუნგი გონებაა, იქ ხუმრობას რა ხელი აქვს?!“

— ვაი, არ ვიცი.

— შექსპირს.

— რა მაგარი რამე უთქვამს! ეგ ფრაზა აუცილებლად უნდა ჩავიწერო.

— დაასრულეთ აფორიზმი: „ერთხელ სვლობია სიკვდილი, სულ მუდამ...“

— ვერ მოვიფიქრე. არადა, ადვილია...

— „ერთხელ სვლობია სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასა“. რამდენ წლის იყო ნინო კაპადოკიელი, როდესაც საქართველოში შემოვიდა?

— 14 წლის.

— ვინ იყო მარტინ ლუთერი?

— ბერი. მაგ კაცმა დაგმო კათოლიკური ეკლესიის დოგმა — რომ ეკლესია და სამღვდელოება აუცილებელი შუამავლები არიან ადამიანსა და ღმერთს შორის. ისიც ვიცი, რომ ლუთერი XVI საუკუნეში მოღვაწეობდა. სულ ახლახან წავიკითხე მის შესახებ.

— ვინ თქვა ეს სიტყვები: „სიჭაბუკისა ყვავილი, დამიჭკნო ჟამთა დენამა“?

— სულხან-საბამ. ვგიჟდები სულხან-საბაზე.

— რამდენი ნახევარსფერო აქვს ტვინს?

— ორი. მარცხენა — კითხვაზე, ლაპარაკსა და ლოგიკურ აზროვნებაზე ზრუნავს, მარჯვენა კი — მუსიკალურობასა და ხატოვან აზროვნებაზე. ხედავთ, როგორი ამომწურავი პასუხი გაგეცით?!

— და ბოლო კითხვა: ვინ გამოიგონა პარი?

— ედვარდ ბერნესმა, მგონი, ამერიკელი იყო.

— ამჯერადაც მართალი ხართ.

— სულ ეს იყო? დაასრულეთ?

— დიახ.

— (*იცინის*) აღიარეთ, რომ ერუდირებული მომღერალი ვარ.

— ვაღიარებ. ■

ერუდიტი +

კატაპულტა (ლათ. CATAPULTA) — *1. მანქანა, რომლითაც ისროდნენ ლოდებს, ცხელი კუპრითა და ზეთით სავსე კასრებს. მას ძველად ბერძნები და რომაელები ციხესიმაგრეთა ალყის ასაღებად იყენებდნენ. 2. ავიაშზიდზე მოწყობილი მექანიზმი, რომელიც გემბანიდან თვითმფრინავის ჰაერში ასატყორცნად გამოიყენება. 3. მოწყობილობა თვითმფრინავიდან მფრინავის ან ეკიპაჟის სხვა წევრის ავტომატურად ამოსატყორცნად.*

კატარი (ბერძ. KATARRHUS) — *რაიმე ორგანოს (ცხვირის, ყელის, კუჭის) ლორწოვანი გარსის ანთება.*

პატენტი (ლათ. PATENS — *ღია, აშკარა*) — *1. მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე. 2. მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობის ან რეწვის უფლებას.*

ტონუსი (ლათ. TONUS, **ბერძ.** TONUS) — *დაძაბვა — ნერვული ცენტრებისა და კუნთოვანი ქსოვილის ხანგრძლივი აგზნება დაღლილობის გარეშე.*

ქართული საბრძოლო ხელოვნება ევროპიდ პოდიუმი

ქართული საბრძოლო ხელოვნება — ესაა სიბრძნე, სამართლიანობა და ძალა! სწორედ ასე აღიქვეს იგი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ჩატარებულ ფორუმზე, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ძნელბედობის ჟამს — აგვისტოს შუა რიცხვებში მიმდინარეობდა.

ოფიციალურად მას ტრენინგების კურსი ერქვა. ორგანიზატორი — ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია გახლდათ, რომლის საქმიანობის მთავარ მიზანს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთათვის ერთურთის კულტურის გაცნობა წარმოადგენს. წლევანდელი პროექტი — სპორტის როლსა და დანიშნულებას ეთმობოდა. ევროკავშირისა და კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები იმ სპორტული სახეობების პრეზენტაციას ატარებდნენ, რომელიც მათთან უფრო მეტად არის განვითარებული. ქართველებმა ჩვენი საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები გამოიტანეს დამსწრეთა სამსჯავროზე. ფორუმის მონაწილე ნინო ლარცულიანი მოგვითხრობს:

მაია ღულუნიშვილი

— ქართული საბრძოლო ხელოვნების ასოციაციის მენეჯერი გახლავართ. ტრენინგზე, რუსთავში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „სიქას“ (საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის) მივლინებით გავემგზავრე. თან ფოტო და ვიდეომასალა წავიღე. კურსი 8-დან 16 აგვისტომდე მიმდინარეობდა — ე.ი. იმ დროს, როცა საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა იყო შექმნილი. ძალიან გაგვიჭირდა. ყველა თანაგვიგრძნობდა და გვამშვიდებდა...

— რომელი ქვეყნები მონაწილეობდნენ და რამდენად საინტერესო იყო მათ მიერ წარმოდგენილი მასალა?

— ესპანეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ესტონეთი, პოლონეთი, მაკედონია, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ჩვენი მონათესავე — ბასკეთი. ყველა ქვეყნის პრეზენტაცია ძალიან საინტერესო იყო. სპორტული სახეობები ძირითადად, ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული. მაგალითად, ესტონელებს აქვთ სპორტის ასეთი სახეობა — თხილამურებით რბოლა ვაკეზე, რადგან მათ ტერიტორიაზე მთიანი ადგილები თითქმის არ არსებობს. ბასკების გამორჩეული სპორტის სახეობა — მძიმე წონის საგნების აწევაა. ამგვარად, ქვეყნის სპორტული სამყარო ეფუძნება ბუნებრივ პირობებსა და ტრადიციულ კულტურას. ამ მხრივ, ჩვენი პრეზენტაცია მაინც ყველაზე ორიგინალური იყო, რადგან წარმოვადგინეთ ქართული საბრძოლო ხელოვნება, რომელიც ერთდროულად, კულტურაც არის, ხელოვნებაც, სპორტიც, ტრადიციაც და მორალურ-ფსიქოლოგიური წვრთნაც. ვიდეომასალაზე წარმოდგენილი გვქონდა: ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ჭიდაობა, კრივი, სიგრძეში ხტომა, ცხენოსნობა, ხელჯოხით ბრძოლა, ხელცულით ბრძოლა, მყარი საგნების მტვრევა. ასევე ვუჩვენეთ ბავშვთა ვარჯიშები, რომლებიც ლოცვით იწყება და ლოცვითვე მთავრდება. ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში კარგად ჩანდა ქართული საბრძოლო ხელოვნების სულისკვეთება — სიბრძნე, სამართლიანობა და ძალა! სწორედ ეს წარმოადგენს მთელი ამ კულტურის ხერხემალს.

— როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენ მიერ წარმოდგენილმა მასალამ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზე?

— აღფრთოვანებულები და გაოცებულები უყურებდნენ ამ მასალებს. გვეკითხებოდნენ, — ამ მეთოდებს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხომ არ იყენებთო? მათთვის ეს სპორტი ერთგვარი ეგზოტიკა იყო. ვფიქრობ, ჩვენ მიერ წარმოდგენილმა მასალამ დღევანდელი სიტუაციისთვის განსაკუთრებით ბევრი რამ გამოხატა, ჩვენს მებრძოლ ბუნებასთან დაკავშირებით. ზოგმა ისიც გვითხრა — მებრძოლებად თქვენმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და რიცხობრივმა სიმცირემ ჩამოგაყალიბათ: ძალიან ცოტანი ხართ და ასეთი მებრძოლები თუ არ იქნებით, თავს როგორ დაიცავთ?! — ეს ხელოვნება ხომ, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური წრთვნა არისო. ძალინ საღად და სწორად შეაფასეს. პოლონელმა თქვა — ეს არა მარტო სპორტი და ხელოვნება, არამედ თქვენი ცხოვრების წესიცაა.

აღფრთოვანებულები და გაოცებულები უყურებდნენ ამ მასალებს. გვეკითხებოდნენ, — ამ მეთოდებს ყოველდღიურ ცხოვრებამიც ხომ არ იყენებთო?

თურქმა სპორტსმენმა პირდაპირ გამოგვიცხადა — მიუხედავად სპორტული ფორმისა, მე თქვენს საბრძოლო ხელოვნებას სპორტად არ ვცნობ, ეს — ხელოვნება და დიდი კულტურაა. ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა თავისებური შეფასება მოგვცა. ძალიან საინტერესო იყო ასევე, პროექტის ხელმძღვანელების შეფასება. ისინი გააოცა ბავშვთა ვარჯიშებმა, რომლებიც ყოველი მეცადინეობის წინ და მისი დასრულების შემდეგ, ლოცვებს კითხულობენ. გაუკვირდათ — რა კავშირშია ლოცვა სპორტთან. მე ავუხსენი, რომ აქ არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ მორალურ წვრთნასაც ეუფლებიან, რადგან ძალა და ღონე არაფერია სიბრძნის გარეშე, ხოლო სამართლიანობის გარეშე — დამღუპველიცაა... ხშირად ვაჩერებდი ფირს და ცალკეული კადრების ჩვენებით ვუხსნიდი, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელ სპორტულ ილეთებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა ჭიდაობაში ცალი ხელით მოქმედება

ვთხოვე, ცოტა ხნით გიტარა ეთხოვებინა. გვერდზე მივუჯექი და ავმღერდი

— ე.წ. მაჯურა ჭიდაობა: როცა მამაკაცი ცალ ხელში დაიჭრებოდა, მას ბრძოლა მაინც უნდა შესძლებოდა.

— კიდევ რა ღონისძიებები გაიმართა ეროვნული კულტურის წარმოსაჩენად?

— ერთ დღეს ინტერკულტურული საღამო გავმართეთ, სადაც ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა ეროვნული კერძი და სასმელი მოამზადა. ყველა ქვეყანას განსხვავებული ტკბილეული და კერძი ჰქონდა: ესტონელები გამოირჩეოდნენ შოკოლადის მრავალსახეობით, თურქული სამზარეულო — სხვადასხვანაირი ტკბილეულით. ჩვენ ჩურჩხელები წავიღეთ, ეროვნული ტკბილეულის სახით. კიდევ, წაღებული მქონდა მამაჩემის მიერ დაწურული თეთრი ღვინო, რომელიც ძალიან მოეწონათ. მჭადები გამოვაცხვეთ და იმერული ყველი შემოვუწყვეთ. ძალიან მინდოდა ხინკლის გაკეთება, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე.

ყველა ქვეყანას განსხვავებული ტკბილეული და კერძი ჰქონდა

— რას ამბობდნენ მასპინძლები და სხვა სტუმრები ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე?

— ინფორმაციას მხოლოდ თურქული ტელეგადაცემების მეშვეობით, ჩვენი თურქი მეგობრების დახმარებით ვიღებდით. თურქეთში ჩვენთან ერთად, პოლონელი გოგონა, ალინა გამოემგზავრა, რომელიც საქართველოში მოხალისედ იმყოფებოდა. ის 8 თვე იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში და ქართული ენა და ჩვენი ტრადიციებიც საკმაოდ კარგად შეისწავლა. აქვე გეტყვით, რომ მან პოლონურ ენაზე გალაკტიონის რამდენიმე ლექსიც თარგმნა. სამწუხაროდ, თურქეთიდან საქართველოში ვეღარ დაბრუნდა: პოლონეთის საელჩომ ის სამშობლოში დააბრუნა. ალინამ ეს ამბავი ძალიან განიცადა: ჩემი გული საქართველოში დარჩაო, — ტიროდა. თუმცა მაინც იმედიანად წავიდა: მალე ისევ დავბრუნდები, ვერავითარი ომი ვერ შემაშინებსო, — ამბობდა... რაც შეეხება სხვებს, — ყველა გვგულშემატკივრობდა, გვაიმედებდნენ, გვამხნევებდნენ, — ყველაფერი კარგად დასრულდებაო. ერთ დღეს, სტრესისგან დაღლილს სიმღერა მომინდა. დავიწუწუნე, — რატომ ინსტრუმენტი არ გაქვთ, რომ დავუკრა და ვიმღერო-მეთქი?!. ტრენერმა მიკროფონი მომაწოდა — იმღერეო. „სულიკო“ ვიმღერე. სიმღერა რომ დავასრულე, ჩემთან ბასკი მოვიდა და მითხრა, — იცი თუ არა, რომ ეს სიმღერა ჩვენი ნაციონალური მელოდიაც არის, ოღონდ ჩვენს ვერსიაში ტექსტი თავისუფლების თემაზეაო... მერე ერთად ვმღეროდით ხოლმე. ერთ დღეს ქუჩაში გამოვედით და სტუდენტი გიტარაზე უკრავდა, წინ ყულაბა ედგა, სადაც ფულს უყრიდნენ. ვთხოვე, ცოტა ხნით გიტარა ეთხოვებინა. გვერდზე მივუჯექი და ავმღერდი. ხალხი შემოგვეხვია და ფულს გვიყრიდა, მაგრამ ეს ბიჭი ყველას უკან უბრუნებდა... ■

ᲑᲔᲯᲡᲔᲚᲔᲠᲘ „ᲛᲒᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲐᲕ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ. ᲡᲐᲓ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲖᲚᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲡ, ᲑᲝᲠᲝᲯᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ



ჩემი ბავშვობის მეგობარი რუსი ოფიცერი:

„შოკში ვარ და სამხედრო სამსახურის დატოვებაზეც კი ვფიქრობ...“

ისე მოხდა, რომ განათლება გოგებაშვილის „დედაენით“ კი არა, „Русское слово“-თი დავიწყე. სკოლიდან დაწყებული, რუსი ეროვნების უამრავი ამხანაგი და მეგობარი მყავს. ჩემდა სასიხარულოდ, რუსული გვარის მიუხედავად, ბევრი მათგანი ირწმუნება, — ქართველი ვარო! — რადგან ეროვნება მარტო გვარიშვილობა არ არის. ჩემი რუსი მეგობრების უმრავლესობა დღეს ქართული ოჯახის დიასახლისია და ქართველ შვილებს ზრდის...

ინგა ჯაყელი

ისევე, როგორც სკოლაში, ინსტიტუტშიც რუსულად ვსწავლობდი და ჩემი ორი ყოფილი თანაკურსელი რუსეთის არმიის მაღალჩინოსანია. ერთ-ერთი მათგანი დიდი ხანია, არ მეკონტაქტება. გავიგე, აფხაზეთის ომის დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა და თუ ჩემთან ურთიერთობას სირცხვილის გრძნობის გამო ერიდება, ვეცდები, მივუტევო და მისი ცოდვილი სულისთვისაც ვილოცო, რადგან მამით ობოლს იმდენი სიკეთე უნახავს ქართველი მეზობლებისა თუ მეგობრებისგან, თუ რაიმე აქვს კაცური, სწორედ მათ უნდა უმადლოდეს...

*მეორე — დღემდე საქართველოს სიყვარულითა და ტკივილით ცხოვრობს. მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში გადასახლება ამჯობინა, მაგრამ ქუთაისში მამის საფლავი დატოვა და ქართველი ნათლია — **გივი ჭეიშვილი**, რომელსაც ყოველ ზაფხულს უგზავნიდა თავის შვილებს, რადგან იცოდა — ბატონი გივი, როგორც საკუთარ შვილიშვილებს, ისე მიხედავდა და იმედი ჰქონდა, ტყუპი — იგორი და ალექსანდრე (ახლა 13 თუ 14 წლის იქნებიან) ქართული მიწის, ისტორიისა და ტრადიციების მადლით, ნამდვილ ვაჟკაცებად იქცეოდნენ... ორი წელია, არ უნახავს იგარიოკი და საშა და მონატრებას ვერ ფარავს:*

— ძალიან მენატრებიან ეს მამაძაღლები, მათი მამაც. ის ჩემი შვილის, ნუგზარის ტოლია, ჩემს სახლში სადილ-ვახშმობდა... მამამისის საფლავსაც მე ვუვლი დღემდე. კოლია სოკოლოვი ნაღდი ქუთაისელი, ქართველი იყო!..

იურიც ქართველობდა ერთ დროს და ძალიან გაგვიკვირდა, რუსეთში წასვლა რომ გადაწყვიტა, მაგრამ ის ჯარისკაცი იყო და სადაც უბრძანეს, იქ წავიდა. მხოლოდ ერთი ბრძანება არ შეასრულა — აფხაზეთში არ წამოვიდა საომრად, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა და ვინ იცის, რა დაემართებოდა, რომ არა ერთი ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელმაც იურას გულახდილობა მოუწონა და სასჯელსაც გადაარჩინა... თუმცა არ იფიქროთ, რომ ვცდილობ, ანგელოზად წარმოვაჩინო ბავშვობის მეგობარი, რომელიც იარაღით ხელში საქართველოში არ წამოსულა, მაგრამ ჩეჩნეთშიც იბრძოდა და სხვაგანაც, სადაც უბრძანებდნენ... მით უფრო მაინტერესებდა, თუ რას ფიქრობს აგვისტოში მომხდარ ამბებზე და ბევრი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, ინტერნეტის მეშვეობით დავუკავშირდი.

— **როგორ ხარ, იურა?**

— თუ დამიჯერებ, ძალიან ცუდად. საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ, ღრმა დეპრესია დამეწყო.

— **აღიარებ, რომ ეს რუსეთ-საქართველოს ომია და არა — ოსების, აფხაზების და ქართველების?**

— რა თქმა უნდა! ჩვენთან ჯარში გაწვეულ 18 წლის ბიჭებთან პოლიტმეცადინეობები საქართველოსადმი სიძულვილის ჩანერგვით იწყება... არა მხოლოდ საქართველოსადმი, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესების სფეროში, ბევრი სხვა ქვეყნის დაჩოქება და დამონებაა... ჯარისკაცებს მკვლელებად, ყაჩაღებად ზრდიან... საქართველოში ჯარის ის ნაწილებიც გამოუშვეს, რომლებიც უპატრონო ბავშვთა სახლებში აღზრდილი ბიჭებითაა დაკომპლექტებული და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან — მათ ხომ ბავშვობიდან მკვლელებად ზრდიან!.. რუსეთი უზარმაზარ მონსტრადაა ქცეული და არავინ იცის, მის ჯარს რა უბედურების დატრიალება შეუძლია. როცა მედვედევმა ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარის გაყვანის შეთანხმებას ხელი მოაწერა, მაგრამ პირობა არ შესრულდა, სერიოზული შიში გაჩნდა, რომ ჯარი პრეზიდენტის ბრძანებასაც არ დაემორჩილებოდა და არც ის იქნებოდა გასაკვირი, თუ იარაღს საკუთარ მთავრობას მიუტრიალებდნენ ზომბირებული, სიძულვილით გაგიჟებული რუსი ჯარისკაცები. ამისი ყოველთვის ეშინოდათ და დღემდე ეშინიათ საქმეში ჩახედულ ოფიცრებს: რუსულ ჯარს, იარაღისა და სიძულვილის მეტი არაფერი გააჩნია. ისინი შიშვლები, მშივრები არიან და მშობელ დედასაც არ დაინდობენ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს... მაპატიე, მეტს ვეღარაფერს გეტყვი, შოკში ვარ და სამხედრო სამსახურის დატოვებაზეც კი ვფიქრობ... მაპატიეთ, ქართველებო, მე მაპატიეთ და უბრალო რუს ხალხს აპატიეთ ის ბოროტება, რომელიც აგვისტოს ცხელ დღეებში დაგატეხათ თავს რუსეთმა. რუს ხალხს არ სძულხართ და თუ ღიად ვერ გაბედეს თანაგრძნობა, არ ნიშნავს, რომ სიმართლეს ვერ ხედავენ. უამრავი რუსი ლოცულობდა ამ დღეებში ქართველი ერის გადარჩენისთვის და უფალს შესთხოვდა, რუსი ერი არ დაესაჯა რამდენიმე პოლიტიკოსის არაკაცობისთვის. ბოროტება არავის შერჩება და რუსეთი სასტიკად დაისჯება იმისთვის, რაც საქართველოს დამართა.*

იურიმ ერთი საიდუმლოც გამანდო: ამ ომის გამო რუს ოფიცრებსა და სამხედრო მაღალჩინოსნებს შორის საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაც დაწყებულა; საბედნიეროდ, ბევრი ხვდება, რომ ასეთი უგუნური აგრესია პირველ რიგში, რუსეთისთვისაა სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი...

— ომი იმის გამოც შეწყდა, რომ რუსულ გენერალიტეტში მოსალოდნელ დაპირისპირებას ფართო მასშტაბი არ მიეღო და ომი რუსეთის ტერიტორიაზეც არ გაჩაღებულიყო!

— **ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსებს ასეთი გონიერი ოფიცრებიც ჰყავს...**

— საბედნიეროდ, ასეა და იმედია, სწორედ ეს ჯანსაღი ნაწილი მოვა ადრე თუ გვიან სათავეში, რომელმაც შეიძლება მესამე მსოფლიო ომის დაწყებაც კი ააცილოს კაცობრიობას...

— **გმადლობ, იური!**

— რისთვის?

— **ინფორმაციისთვის და იმისთვის, რომ არასოდეს აგიღია ხელში იარაღი, ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად!...**

— გაუმარჯოს საქართველოს!..

აფხაზეთი პოლიტოლოგის ფიქრი ფაფასქალა

„ადამიანის სული ყველაზე მეტად მთავი მოგზაურობის დროს ფიფვლდება“

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ გართობისა და დასვენებისათვის საუკეთესო პერიოდი — ახალგაზრდობაა. ის დღემდე სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როდესაც მშობლიურ ლიძავაში (ბიჭვინთის რაიონი) ყოველ ზაფხულს ჩადიოდა. როგორც თავად გაგვიმხილა, პირველი სიყვარული სწორედ იქ ეწვია. მართალია, მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს გრძნობა სიყვარული კი არა, მხოლოდ გატაცება ყოფილა, მაგრამ გულში მაინც ლამაზ მოგონებად შემორჩა. (ბატონ გიას დასვენებასა და საზაფხულო არდადეგებზე, ომის დაწყებამდე ვესაუბრეთ...)

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო გია, როგორ და რა პირობებში გიყვართ დასვენება?

— როდესაც ყოველდღიური საქმიანობისგან გამოთიშვის საშუალება მეძლევა, შემოქმედებითად უფრო ვაქტიურდები და ამ დროს, ძირითადად, ვწერ. შესაბამისად, მირჩევნია, წყნარ, მშვიდ ადგილას დავისვენო, სადაც განმარტოება და ფიქრი იქნება შესაძლებელი. ძალიან არ მომეწონა და საოცრად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნიუ-იორკმა. ეს იყო დიდი საგიჟეთი. ჩემი აზრით, ასეთ ქალაქებში ადამიანები რობოტებივით, მექანიკურად ცხოვრობენ, არანაირი სულიერება არ აქვთ. ალბათ, მათი ცხოვრება ისე გაილევა, დაფიქრებასაც ვერ მოახერხებენ. ეს სამყარო სულიერებისაგან აბსოლუტურად დაცლილია. ნორმალური ადამიანი მსგავს ქალაქში ვერ გაძლებს, თუნდაც იმიტომ, რომ დაძინების შანსი არ ექნება. ნიუ-ორკში 10-დღიანი მივლინებით, 1991 წელს წავედი. მანამდე საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ამერიკაში მოხვედრა მხოლოდ უშიშროების თანამშრომლებს, მათი ოჯახის წევრებსა და დიპლომატებს შეეძლოთ. ამ ქვეყანაზე ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ მეგონა, თუ იქ მოვხვდებოდი, ჩემს ქვეყანაში დაბრუნება აღარ მომინდებოდა, მაგრამ ერთ კვირა ძლივს გავძელი, მერე კი სულ კისრისტეხით გამოვიქეცი და იქითკენ გახედვაც აღარ მინდა. სხვათა შორის, უკან დაბრუნების მიზეზი მარტო ის არ იყო, რომ „საგიჟეთში“ მოხვედრა არ მომეწონა, ჩემი შვილის გამოც წამოვედი — ახალდაბადებული იყო და ძალიან მენატრებოდა. შეიძლება, ჩემი რუსეთთან დამოკიდებულების ფონზე, გაგიკვირდეთ, რასაც ახლა გეტყვით — ყველაზე სასიამოვნო დასვენება მოსკოვის გარეუბნებში — ზაგორსკსა და კრასნოგორსკში გამომივიდა. ძალიან ლამაზი ადგილებია, მაგრამ რასაკვირველია, საქართველოს ვერ შეედრება. აქ სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან კარგი ბუნება და სასიამოვნო გარემოა. განსაკუთრებით, ბაკურიანში ყოფნა მიყვარს. საქართველოში ეგზოტიკური და სასოფლო-სამეურნეო ტურიზმის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს, ხოლო საზღვაო ტურიზმის განვითარება ძალიან გაგვიჭირდება მანამ, ვიდრე აფხაზეთს არ დავიბრუნებთ. მანამდე, რაც არ უნდა ვიწვალოთ, თურქეთს კონკურენციას ვერ გავუწევთ, ვერც კლიმატური პირობებით, ვერც კომფორტით და ვერც მომსახურების დონით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფასები ჩვენთან უფრო მაღალია, ვიდრე თურქეთში, საქართველოს ზღვისპირეთში დასვენება საერთოდ აღარ ღირს. ბოლო დროს ჩვენთან საზღვაო დასვენება, პროვინციული გახდა.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— რა ვიცი, ასე მეჩვენება. ალბათ იმიტომ, რომ ქუჩებში ზედმეტი ხმაურია, ხალხიც ზედმეტადაა აჟიტირებული. არ შეიძლება, რესტორანში ისე ხმამაღლა ჟღერდეს ბანალური მელოდია, რომ ის მთელ ქალაქში ისმოდეს.

— საკურორტო რომანები რამდენად სერიოზულად მიგაჩნიათ?

— ხშირად ამბობენ, რომ საკურორტო რომანებს მამაკაცები არასერიოზულად უყურებენ. ვფიქრობ, რომ ასეთ დროს არც ქალია მაინცდამაინც სერიოზულად განწყობილი. ალბათ, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ კურორტებზე, განსაკუთრებით ზღვაზე, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ყველაფერი ისეა გაშიშვლებული, რომ საიდუმლო აღარ რჩება. ყველას აქვს კონკრეტული ინტერესი, პრაგმატული გეგმა, რაც იმის საშუალებას არ გაძლევს, რომ მატერიალურსა და სულიერს შორის უპირატესობა სულიერს მიანიჭო.

— მოსკოვის გარეუბნებში როგორ ერთობოდით?

— იქ ფანტასტიკური ბუნებაა, მშვიდი გარემო, პატარა ტბები, მწვანე საფარი. მაშინ დისერტაციას ვწერდი და ასეთი სიმშვიდე ძალიან მომეწონა. ქართველებს არასწორი წარმოდგენა აქვთ რუსეთის ბუნებაზე. ყველას ჰგონია, რომ იქ სულ ტრამალები და სტეპებია, სინამდვილეში კი ძალიან ბევრი ლამაზი და საინტერესო ადგილია.

— თუ გავითვალისწინებთ ქართველი მამაკაცების რუსი ქალბატონებისადმი დამოკიდებულებას, არცთუ ისე მშვიდ გარემოში უნდა ყოფილიყავით...

— რუს მანდილოსნებს, მამაკაცის კისერზე ჩამოკიდება არ ახასიათებთ. ჩვენ შორის სულ სხვა ურთიერთობები იყო. რუს მანდილოსნებთან ძირითადად, ვმეგობრობდი, ზოგის მიმართ კი ცოტა უფრო თბილი გრძნობაც მქონდა, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა. ისე, რა ვიცი, შეიძლება, ქართველებს ისეთი „სუპერმენებიც“ გვყავს, რომლებსაც ქალები „კალთებს ახევდნენ“... არ მინდა, ისე გამიგოთ, რომ მხოლოდ რუსეთის კურორტები მომწონს. ძალიან მიყვარს სამხრეთ აფრიკა, განსაკუთრებით — იოჰანესბურგი და სანსიტი, რომლებიც უდაბნოშია გაშენებული და საოცრად ლამაზი ქალაქებია.

— როგორც ვიცი, აფრიკა თავგადასავლების ქვეყანაა...

— კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ მე იქ განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი არაფერი გადამხდენია. უბრალოდ, ერთხელ სერიოზულ ხიფათს გადავურჩი. იოჰანესბურგთან ერთი ანკლავია, რომელსაც სუეტო ჰქვია. იქ პოლიცია საერთოდ ვერ შედის და სრული კრიმინალური განუკითხაობაა. დანარჩენი სამყაროსგან შლაგბაუმით არის გამოყოფილი და უცხოსათვის ერთი წუთით შესვლაც კი ძალიან სახიფათოა. ერთხელაც, სანსიტიდან

რომ ვბრუნდებოდით, გზა აგვერია და სუეტოში მოვხვდით. შლაგბაუმი რომ გავიარეთ, პოლიციელს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა, ჩვენთვის იქ შესვლა აეკრძალა. ამიტომაც, მხოლოდ ის გვირჩია, მანქანის შუშები ბოლომდე აგვეწია და არსად გავჩერებულიყავით. თავიდან ვერ მივხვდით, ასეთი დარიგებები რატომ მოგვცა, მაგრამ კიდევ კარგი, მალევე მოვედით აზრზე და სასწრაფოდ გამოვიქეცით იქიდან. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკაში აპარტეიდი აღარ არსებობს, თეთრები და შავები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და მათი ერთმანეთთან შეხვედრა საკმაოდ სახიფათოა. სხვათა შორის, იქ რამდენიმე ქართული ოჯახიც ცხოვრობს. ჩვენ ერთი კარგი თვისება გვაქვს — უცხოეთში ქართველები ერთმანეთს ეძებენ, თუმცა, ერთმანეთს მალევე ეჩხუბებიან. სამხრეთ აფრიკაში სულ რამდენიმე ქართული ოჯახია და ერთმანეთთან მაინცდამაინც კარგად ვერ არიან. მე ყველა მათგანის გაცნობა მოვასწარი.

ეს იყო დიდი საგიქეთი. ჩემი აზრით, ასეთ ქალაქებში ადამიანები რობოტებივით, მექანიკურად ცხოვრობენ

აქ სადაც არ უნდა წასვიდე, ყველგან კარგი ბუნება და სასიამოვნო გარემოა. განსაკუთრებით, ბაკურიანში ყოფნა მიყვარს

— **ეროვნული თვითმყოფადობა რამდენად აქვთ შენარჩუნებული?**

— გარკვეულწილად, შენარჩუნებული აქვთ, მაგრამ იქაური ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მაინც განსხვავებულად ცხოვრობენ. ერთ-ერთი მათგანი, ვახო რეხვიაშვილი, აფრიკაში ცნობილი ექიმია. ეს ფაქტი ძალიან მეამაყება.

— **ამბობენ, რომ ადამიანის ხასიათი ყველაზე კარგად მოგზაურობაში გამოიცნობა. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— რა თქმა უნდა, მოგზაურობა ადამიანური ურთიერთობების ყველაზე დიდი გამოცდაა. მეტსაც გეტყვით, ადამიანის სული ყველაზე მეტად მთაში მოგზაურობის დროს შიშვლდება. ასეთ დროს, რამდენიმე დღეში, ამა თუ იმ ადამიანზე რადიკალურად შემცვლია წარმოდგენა. როდესაც მთაში მიდიხარ, ხშირად აწყდები ბარიერებს, სახიფათო სიტუაციაში ვარდები, ვიღაცისთვის თავგანწირვა გიწევს. აი, ამ ყველაფრის გადალახვისას ადამიანის ნამდვილი ბუნება ვლინდება.

— **სახიფათო ვითარებაში ხშირად ალმოჩენილხართ?**

— ძალიან ხშირად, მაგრამ ყველაზე მეტად 20 წლის წინ მომხდარი ამბავი დამამახსოვრდა. ცხინვალში, ყელის ტბაზე გადავდიოდით. ძალიან დავიღალეთ და წამოვწექით. ყველას ჩაგვეძინა. ძილში უცნაური შრიალი გავიგონე და თვალები გავახილე. საოცრება დავინახე — მძინარეებს თავზე, სულ ცოტა, ოცი არწივი დაგვტრიალებდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან შეგვეშინდა. ჯერ არწივის დანახვა როგორია, მერე ამდენის ერთად და ისიც — ახალგაღვიძებულზე.

— **მთაში ცხენით თუ გივლიათ?**

— ცხენითაც მივლია და ფეხითაც. ისე, მე ძველი ცხენოსანი ვარ. ერთ დროს, სპორტით აქტიურად ვიყავი დაკავებული. კალათბურთს და მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობდი, მაგრამ ცხენოსნობით ყველაზე ხანგრძლივად და ინტენსიურად გახლდით გატაცებული. იპოდრომზე პირველად სტუდენტობის დროს, მეგობრებთან ერთად, შემთხვევით მოვხვდი და მას მერე ცხენოსნობა ფანატიკურ გატაცებაში გადამეზარდა. დღის ცხენები მიყვარდა. დილის შვიდი საათიდან შუადღის პირველამდე იპოდრომზე ვიყავი. დიპლომის დაცვის დღეს ჯერ ცხენით ვიჯირითე და სასწავლებელში მერე წავედი. ბოლოს, ისე გავაფანატე, რომ მშობლებმა იპოდრომზე სიარული ამიკრძალეს. იძულებული გავხდი, ამის მერე მათთვის ტყუილები მეთქვა. დედაჩემს ვეუბნებოდი, — ხაშზე მივდივარ-მეთქი და საჯირითოდ მივდიოდი. ტოტალიზატორშიც ვთამაშობდი და ერთხელ მოსკოვში სოლიდური თანხაც მოვიგე.

— **აზარტული ყოფილხართ.**

— კი, ძალიან აზარტული ვარ, მაგრამ ფსონებს „ჰაერზე“ არასდროს ვდებდი. ერთხანს ცხენების გენეალოგიას ვსწავლობდი და ვარკვევდი, რა ჯიშის დედა ან მამა ჰყავდა, რა რესურსები ჰქონდა.

— **ამ საქმიანობით ახლაც ხართ დაინტერესებული?**

— ტოტალიზატორისთვის დრო აღარ მრჩება, ცხენზე ჯირითს კი ფიზიკურად ვეღარ ვახერხებ. რამდენიმე ხნის წინ მოვსინჯე, მაგრამ დოღის ცხენის სრულფასოვანი მართვა ვეღარ შევძელი, უბრალო ცხენი კი, რომელიც ჯორივით დადის, ჩემთვის საინტერესო არაა.

— **ახლა რით ერთობით?**

— სამწუხაროდ, გართობას საერთოდ ვეღარ ვახერხებ. ბოლო წლებში ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ პირადი სიამოვნებისათვის ვეღარ ვიცლი.

— **დასასვენებლად წასვლას არ აპირებთ?**

— არა, ბევრი საქმე მაქვს და თანაც, სიცხე დიდად არ მაწუხებს (*იცინის*).

— **ალბათ, ზაფხული ძალიან გიყვართ.**

— ზაფხული მიყვარს, მაგრამ შემოდგომა მირჩევნია — წელიწადის ამ დროს ხომ ადამიანი მოსავალს იღებს. ძალიან მომწონს ისიც, რომ შემოდგომას ზაფხულის წასვლის სევდა ახლავს. ჩემი აზრით, ადამიანს სევდაც სჭირდება.

— **სევდას წარსულის მოგონებაც ხომ არ გგვრით?**

— გარკვეულწილად, კი. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩემი ცხოვრებით დღესაც არ ვარ უკმაყოფილო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა მაქვს, თავს მშვენივრად ვგრძნობ. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ მე საკუთარი პრობლემებიც მიყვარს. წინააღმდეგობებისა და სირთულეების გარეშე ცხოვრება უინტერესოდ მიმაჩნია. ადამიანები მაშინ ვცხოვრობთ, როდესაც რაღაც გვტკივა, რაღაც გვაწუხებს და რაღაცის მოგვარებას ვცდილობთ. ალბათ, იცით, რომ პასკალი ყველაზე უბედურ ადამიანებად მეფეებს მიიჩნევდა. მათი ცხოვრება, ჩემი აზრითაც ძალზე მოსაწყენი და უინტერესო იყო. ■

ექიმები ომში და ზიარება განსაცდელის წინ

„თურმე რამდენი გმირი გვყოლია“

ექიმები ომში ისეთივე შემართებით „იბრძოდნენ“, როგორითაც ქართველი ჯარისკაცები. მათ ბარბაროსებიც არ ესვრიან, მაგრამ რუსებმა ხომ ბარბაროსებზე უარესის გაკეთება შეძლეს. ხაშურის „სასწრაფო დახმარების“ მანქანა მათი სამიზნე გახდა, ხოლო გორის ჰოსპიტლისთვის ნასროლმა ჭურვმა იმ ექიმის სიცოცხლე შეიწირა, რომელიც ეზოში მიყვანილი პაციენტის დასახმარებლად იყო ჩასული. კონფლიქტის ზონაში თბილისის სამედიცინო დახმარების ცენტრის მე-9 ქვესადგურის 39-ე ბრიგადა მუშაობდა. ქართველი ჯარისკაცების სიმამაცითა და ვაჟკაცობით აღფრთოვანებული ექიმები, პროფესიული მოვალეობის შესრულების ყველაზე რთულ დღეებს ასე იხსენებენ.

თამუნა კვინიკაძე

გიგა უჩავა, *გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის ხელმძღვანელი:*

— დაჭრილები ტყვიავიდან გორის ჰოსპიტალში გადმოგვყავდა, დღეში რამდენიმე რეისს ვაკეთებდით, ერთდროულად 2 და 3 პაციენტიც მოგვყავდა. დაბომბვის შედეგად უფრო მეტი მოქალაქე და ჯარისკაცი იყო დაზარალებული, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღით.

— მოქალაქე უფრო მეტი იყო, დაჭრილი თუ ჯარისკაცი?

— მოქალაქე. ისინი გორის საავადმყოფოში გადაგვყავდა, მეომრები — ჰოსპიტალში.

— კონფლიქტის ზონაში მუშაობა ძალიან რთული იყო ჟურნალისტებისთვის. მათ თავს გამიზნულად ესხმოდნენ. ექიმების მიმართაც აგრესიული დამოკიდებულება ჰქონდათ?

— ცალკეული შემთხვევა იყო, მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. მოგეხსენებათ, მათ ჭურვი ხაშურის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანას ესროლეს. სამწუხაროდ, ამ ომს გორის ჰოსპიტლის ექიმიც ემსხვერპლა.

ირმა კაციტაძე:

— საშინელი დღეები გამოვიარეთ. მე და ჩემი კოლეგები ვცდილობდით, დაჭრილებისთვის დახმარება დროულად გაგვეწია, რაც შეიძლებოდა მეტი ქართველი გადაგვერჩინა. საბედნიეროდ, ჰოსპიტალიზაციის პერიოდში სიკვდილიანობის ერთი ფაქტიც არ დაფიქსირებულა.

გიგა:

— სანამ გორის მასობრივი დაბომბვა დაიწყებოდა, თბილისიდან გავედით. გორში ჩვენი შესვლა და ბომბების წვიმასავით წამოსვლა ერთი იყო. მთელი ქალაქი იბომბებოდა. ერთი ჭურვი ადგილობრივ „03“-ის ფილიალსაც მოხვდა. საშინელი სურათი იყო — სიბნელე, კვამლი, სუნი, ხანძარი, შეშინებული სახეები და ქუჩაში დაჭრილები... მაგრამ ვიცოდით, რომ შიშისა და დაბნეულობის დრო არ იყო.

ერთი ჭურვი ადგილობრივ „03“-ის ფილიალსაც მოხვდა. საშინელი სურათი იყო — სიბნელე, კვამლი

ირმა:

— კონფლიქტის ზონაში ჩასვლისთანავე ერთ-ერთმა ქართველმა სამხედრო პირმა ტყვიავიდან „სასწრაფო დახმარების“ 8 მანქანა გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანა. სად მივდიოდით, არ გვეუბნებოდა. ბოლოს, ერთ-ერთ საველე ჰოსპიტალთან შევჩერდით. როგორც გვითხრეს, ფრონტის წინა ხაზიდან მცირე მანძილი გვაშორებდა. მანქანებიდან გადმოსულებიც არ ვიყავით, ბომბდამშენმა რომ გადმოიფრინა. საღამოს 5 საათი იყო. ის ბომბდამშენი აღარ „მოგვშორებია“. მთელი ღამე თხრილებში ჩაწოლილებმა გავათენეთ, მანქანასთან მისვლაც კი საშიში იყო.

— იმ საველე ჰოსპიტალში ბევრი დაჭრილი დაგხვდათ?

— 120 დაჭრილი იყო. მათი გადაყვანა და სამედიცინო დახმარების გაწევა მოხერხდა. იქიდან მე-2 დილით წამოვედით, ახალმა ბრიგადამ შეგვცვალა. როცა შესვენების შემდეგ სამორიგეოდ კვლავ დავბრუნდით, ქართველებს ის პოზიციები უკვე დატოვებული ჰქონდათ და კარალეთში იყვნენ გამაგრებულები. ჩვენც იქ მიგვიყვანეს.

— ქალისთვის ასეთ პირობებში მუშაობა ალბათ ძალზე რთულია...

— ისეთივე რთულია, როგორიც მამაკაცისთვის. ჩვენი ბრიგადები თითო ქალბატონით და თითო მამაკაცით იყო დაკომპლექტებული.

ნიკა გოჭოშვილი:

— ფრონტის ხაზთან იმდენად ახლოს მივდიოდით, ჩვენი ჯარისკაცები გაკვირვებულები გვეკითხებოდნენ, —

როცა დაჭრილებს ვუვლიდი, მეკითხებოდნენ, — ბრძოლის ველზე გასვლას მალე შევძლებთო?

თქვენ აქ რა გინდათო?! ისინი ჩვენ გვიფრთხილდებოდნენ. ვიცოდით, რომ სადღაც 300 მეტრში რუსები იდგნენ. დაჭრილები ტყვიავის ჰოსპიტალში სანიტარული მანქანებით მოჰყავდათ.

ნიკა ჯალაბაძე:

— ქართველი ჯარისკაცების სიმამაცემ გამაოცა. ერთი შეშინებული მეომარი არ მინახავს; მტკივაო, — არავის უთქვამს. მათი კვნესაც არ გამიგონია. მე წარმოშობით სოფელ ქორდიდან ვარ. ეს სოფელი ცხინვალიდან 4 კილომეტრშია. იქიდან რუსები ჯერ კიდევ არ გასულან.

გიგა:

— რომ გავლენ, ნიკას სახლში ჩავალთ და ვიქეიფებთ.

ირმა:

— როცა დაჭრილებს ვუვლიდი, მეკითხებოდნენ, — ბრძოლის ველზე გასვლას მალე შევძლებთო? არ უნდოდათ, რომ იარაღისთვის ხელი გაეშვათ. ვაჟკაცობის ისეთი მაგალითები, რაც მე იქ ვნახე, არც ფილმებში მინახავს და არც წიგნებში წამიკითხავს. ტყვიით დაჭრილი ძალიან ცოტა მეომარი იყო. უმეტესობას დაბომბვის შედეგად მიყენებული დაზიანებები აღენიშნებოდა.

გიგა:

— დაჭრილებს შორის უმეტესობა ბავშვი, ქალი და ხანდაზმული ადამიანი იყო.

ნიკა:

— მე და ერთი ჩემი კოლეგა ისეთ დაბომბვაში მოვყევით, მიწაზე დაწოლაც კი ვერ მოვახერხეთ, საკაცით ავადმყოფი მოგვყავდა. გორის ჰოსპიტლის ექიმმა გვითხრა, — ერთ დღეს 480 პაციენტი მივიღეთო.

— რუს სამხედრო ტყვეებთან ხომ არ გქონდათ ურთიერთობა?

ირინა:

— გორისკენ გზად მიმავალი ჩვენი ერთ-ერთი ბრიგადის თანამშრომელი ტანკიდან გადმოვარდნილ რუს სამშვიდობოს გადაეყარა — ქალაფუძის მოტეხილობა ჰქონდა და მიწაზე ეგდო. რუსები ჩვენს ექიმებს თავზე იარაღით დასდგომიან და უთქვამთ: სასწრაფოდ მანქანაში ჩასვით და ვლადიკავკაზში გადაიყვანეთო. ქართველ ექიმს ისინი დაურწმუნებია, რომ პაციენტისთვის გორის ჰოსპიტალში უკეთესი პირობები იყო. წამოიყვანეს, მაგრამ იმდენად მძიმე დაზიანება ჰქონდა, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ნიკა:

— ყველა რუსი ერთნაირად არ იქცეოდა. გორის საავადმყოფოში ვნახე ქართველი ქალბატონი, რომელსაც ბარძაყის ძვლის მოტეხილობა ჰქონდა. ის გორიდან თბილისში გადმოვიყვანეთ. გვითხრა, რომ 1 კვირის მანძილზე რუსები უვლიდნენ.

— „სასწრაფო დახმარების“ მანქანებს გადაადგილებაში ხელს არ უშლიდნენ?

ნინო გოგიძე:

— რუსების კონტროლირებადი ტერიტორიიდან დაჭრილი ჯარისკაცების გამოყვანის მცდელობა არაერთხელ იყო. ამბობდნენ, კორიდორს გავაკეთებთ და ცხინვალში „სასწრაფო დახმარების“ მანქანებს შევუშვებთო. თავდაპირველად, დაპირების თანახმად, მხოლოდ ექიმები უნდა ვყოფილიყავით. შემდეგ პირობა შეცვალეს და გვითხრეს, — 2 ავტომატით შეიარაღებული სამხედროც გამოგყვებათ; რაც შეიძლება სწრაფად იმუშავეთ, დაჭრილებთან ერთად, ცხედრებიც წამოიღეთო. გორიდან ცხინვალის მიმართულებით ორჯერ წაგვიყვანეს, მაგრამ ორჯერვე უკან მიგვაბრუნეს. ჩამქრალი მაშუქებით მივდიოდით. მითითება გვქონდა, რომ მანქანას მკვეთრი მანევრები არ უნდა გაეკეთებინა. სანამ ცხინვალისკენ დავიძრებოდით, ჩვენთან ერთად სასულიერო პირებიც იყვნენ. ერთი მათგანი ფეხშიშველი დადიოდა. როცა გაიგო, რომ ცხინვალში შევდიოდით, ჩვენამდე სირბილით მოვიდა. ვინც მონათლულები ვიყავით, ყველანი გვაზიარა, დაგვლოცა და ისე გაგვიშვა. შემდეგ რაციით გადმოგვცეს, რომ ჩვენ წინ ტერიტორია იბომბებოდა. უკან მოვბრუნდით. გორი ბნელეთის ქალაქად იყო ქცეული, არც ერთი ნათურა არ ენთო, ჩვენც ჩამქრალი ფარებით ვმოძრაობდით. მოსახლეობა უკვე გაყვანილი იყო. იმ ღამეს ერთი დაჭრილი ვნახე. ჭრილობა შევუხვიე თუ არა, იარაღი აისხა, — მე თბილისში წამსვლელი ვარ?! აქ უნდა მოვკვდეო! ბიჭებს ძვლების მოტეხილობა ჰქონდათ, ტკივილგამაყუჩებლებსაც კი არ იკეთებდნენ!.. აღარ ვიცი, რა გითხრათ, იქ ყველანი ერთმანეთს ვეფერებოდით. ჩვენი ჯარისკაცების შემყურე ვფიქრობდი: თურმე რამდენი გმირი გვყოლიამეთქი!.. ■

რაციით გადმოგვცეს, რომ ჩვენ წინ ტერიტორია იბომბებოდა. უკან მოვბრუნდით. გორი ბნელეთის ქალაქად იყო ქცეული

ბიჭებს ძვლების მოტეხილობა ჰქონდათ, ტკივილგამაყუჩებლებსაც კი არ იკეთებდნენ!..

საკლასო ოთახის ჯარნიმიდან გორის სამხედრო ჰოსპიტლამდე ანუ გადარჩენილი პაციენტები და საუმის გარეშე დარჩენილი შვილები

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, სწორედ მაშინ, როცა სიღნაღის ბებერმა მიწამ თავისი ღვიძლი შვილი, ცხელი აგვისტოს სისხლიანი დღეების მსხვერპლი — ექიმი გოგა აბრამიშვილი მიიბარა, ქალაქს დაებადა საკუთარი ეროვნული გმირი, რომლის სიკვდილმაც სიღნაღ-შიც პირველყოფილი სიცხადით დაატრიალა ბომბის, ტყვიებისა და დენთის საზარელი სუნი. და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ გმირები შემთხვევით არ ხდებიან, გმირებად იბადებიან...

მარინა გოგოლაშვილი

ლუიზა აბრამიშვილი, გოგას დეიდა:

— რაც მოხდა, ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ერთგულებისა და თავგანწირვის უნარი გოგას უმთავრესი თვისებები იყო. ჩუმი იყო, უსიტყვო და დამთმობი. ჩვენ სამი და ვართ და ჩვენი შვილები — ექვსივე დეიდაშვილი — ღვიძლი და-ძმებივით იზრდებოდნენ. გოგა 17 წლის იყო, თბილისში რომ ჩამოვიდა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. არ მახსოვს, ოდესმე რომელიმე დეიდაშვილს ჯიბრში ჩასდგომოდა ან რომელიმესთან ეჩხუბა. ძალიან დამთმობი იყო, მაგრამ ამავე დროს, საოცრად გულადი. ნებისმიერ განსაცდელს პირველი უნდა შეჰგებებოდა. აფხაზეთის ომში ორჯერ წავიდა. მაშინ მისი ტყუპი ძალიან პატარა — ორი წლისა იყო. მისმა მეუღლემ დაბნეულმა დაგვირეკა და გვითხრა, — არ ვიცი, როდის გაიტანა ტანსაცმელი, ჩუმად წასულა აფხაზეთშიო.

გოგას, როგორც ქირურგის წარმატებების მოწმენი არაერთხელ ყოფილან ყველა იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც კი უმუშავია: რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თბილისის ჰოსპიტალში, კერძო კლინიკაში, ეუთოს ორგანიზაციაში — ჯერ ახმეტის რაიონში და შემდეგ — ყაზბეგში, სადაც სამედიცინო ხაზით, ინსტრუქტორად მსახურობდა.

მიმდინარე წლის თებერვლიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადავიდა და ომის დაწყებამდე, დღეში ოთხ-ხუთ ურთულეს ოპერაციას ატარებდა. შემდეგ ეს საზარელი ომი დაიწყო და ხუთი დღის მანძილზე, სანამ ცოცხალი იყო, დღეში ათამდე ოპერაციის ჩატარება უწევდა.

გორის ჰოსპიტალში გოგასთან ერთად, ანესთეზიოლოგად მუშაობდა მისი ქვისლი, თემური, რომლისგანაც გოგას ახლობლებმა შეიტყვეს, რომ 10 აგვისტოს გორში გამოცხადებული ევაკუაციის დროს, გოგა აბრამიშვილმა უარი თქვა წამოსვლაზე და 12 აგვისტოს დილამდე იქ დარჩა, რათა ჰოსპიტალში მოყვანილი დაჭრილებისთვის მოევლო. სიცოცხლის ბოლო დღეს ის თურმე, განსაკუთრებით დათრგუნა დამწვარ-დანახშირებული ფეხმძიმე ქალის ბედმა, რომლის ქმარი, მისი გადარჩენის მცდელობისას, ხანძარში ჩაიფერფლა. ქალს საზარელი, ღია ჭრილობები ჰქონდა და მისი გადარჩენა ვერც ჰოსპიტალში გახდა შესაძლებელი. დაიღუპა დედის არსებაში მფეთქავი, ექვსი თვის ნაყოფიც. ბატონი თემურისგან იციან ახლობლებმა ისიც, რომ როდესაც მორატორიუმი გამოცხადდა, გოგა აბრამიშვილი მზად იყო, ქართველი მიცვალებულების გადმოსასვენებლად ცხინვალში წასულიყო.

გოგას სამ შვილს — ტყუპ სტუდენტ გოგონასა და 7 წლის თენგიზს — ამიერიდან უკვე სამუდამოდ მოაკლდებათ მამის ხელი

დედას, ქალბატონ ნათელას, ცხადია, არ ასვენებდა ომის ქარცეცხლში მყოფ შვილზე ფიქრი, მაგრამ მაინც ერიდებოდა მასთან ხშირად დარეკვას, — მუშაობაში ხელი არ შევუშალოო.

ლუიზა:

— ჩემი და ავადმყოფია. გოგა მას თვალებში შეჰყურებდა. უერთგულესი შვილი იყო. მე ასეთი დედაშვილობა არ მინახავს. ხანდახან ჩემს დას შევუძახებდი, — რა არის, ასე მოწიწებით რომ ექცევი, შვილია-მეთქი! — მაგრამ გოგას სხვანაირად ვერავინ მოექცეოდა, რადგან თვითონაც ასეთი მორიდებული იყო ურთიერთობებში.

დაღუპვამდე სამი დღით ადრე ელაპარაკა დედას შვილი, რომელსაც შესაძლოა, გულმა უგრძნო, რომ ეს მათი უკანასკნელი საუბარი იყო და სთხოვა, — დე, არ გათიშო, რამდენ ხანსაც გინდა, მელაპარაკეო.

როგორც იმ საბედისწერო ღამით ჰოსპიტალში დარჩენილი ორი ექიმი გოგონასგან შეიტყვეს ახლობლებმა, 12 აგვისტოს, ღამის პირველი საათისთვის, გოგა ექიმი შვილებს შეეხმიანა, მერე სიდედრ-სიმამრის — ვაჟა და თინა გვერდწითელების სახლში წავიდა, ცოტა დაისვენა და ღამის ორი საათისთვის კვლავ ჰოსპიტალში დაბრუნდა. დენი გამორთული იყო, ბნელოდა. თვითმფრინავი არ ჩანდა. უეცრად, აფეთქების ხმა გაისმა, ჰოსპიტლის ეზოში ბომბი ჩამოვარდა და ნაძვს დაეცა. ბომბის ნამსხვრევმა კი იქ, ეზოში მიმავალ გოგა აბრამიშვილს თავის ქალა ჩაულეწა. მხოლოდ გამთენიისას შეუმჩნევიათ ეზოში მკვდარი კაცი, მაგრამ გოგაზე ეჭვიც არავის გასჩენია, უკვე თბილისში წასული ეგონათ.

დილის შვიდის ნახევარზე დეიდაშ-

ვილმა, მაია ფეიქრიშვლმა დაურეკა გოგას. მის მობილურზე უცხო ხმამ უპასუხა: არ ვიცი, გოგა ვინ არის. მე პატრული ვარ და ეს ტელეფონი ძირს დაგდებული ვიპოვეო. ნახევარ საათში, აფორიაქებულმა დეიდაშვილებმა კვლავ დარეკეს. ვინ ხართ გოგასიო? — იკითხა ახლა სულ სხვა ხმამ. დეიდაშვილიო, — მიუგო მაიამ. — გოგას მოხედეთო... — იყო პასუხი.

დაღუპული გოგა აბრამიშვილი სიდედრ-სიმამრმა გამოიტაცეს აფეთქებულ-

გოგა კლასში მართლაც გამორჩეული ბიჭი იყო, ჰქონდა სხვისი გახარების საოცარი უნარი (მარცხნიდან პირველი – გოგა აბრამიშვილი)

აალებული გორიდან, საიდანაც, ინტესიური სროლების გამო, მხოლოდ ერთადერთმა „სასწრაფომ“ გაბედა დედაქალაქისკენ მიმავალი გზით წამოსვლა. თბილისში უამრავი მეგობარი დახვდა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ადამიანს ამდენი მეგობარი შეიძლებოდა ჰყოლოდაო, — შენიშნავს ქალბატონი ლუიზა. იმ საზარელ, გლოვის მძიმე დღეებში გოგას ერთ მეგობარ — დათო გობეჯიშვილს უთქვამს: ორივენი ბევრჯერ აღმოვჩენილვართ განსაცდელში და მე, ოჯახსა და ცოლ-შვილზე ფიქრისას, ხშირად უკან დამიხევია, გოგამ კი უკან დახევა არ იცოდაო. მეგობრები იმასაც აღნიშნავენ, რომ გოგა არც პრობლემებით აწუხებდა და არც წარმატებით აბეზრებდა ვინმეს თავს. მისი მეუღლე, თავადაც ექიმი — ნანა გვერდწითელი ერთგვარი გულისტკივილით ამბობს: ჩემი ქმარი ისეთი „ყრუ-მუნჯი“ იყო, საოპერაციოში სასწაულიც რომ მოეხდინა, სიტყვა არ დასცდებოდაო.

თუმცა გოგას დეიდა ერთ ადრინდელ ამბავს მაინც იხსენებს:

— მაშინ გოგა ორდინატურის კურსს გადიოდა. რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაჭირვებულმა გლეხმა მიაკითხა, კუჭი ჰქონდა გახეთქილი და სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა. გამოუწერეს წამლები, რომლებიც უნდა შეეძინა. კაცმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია და წავიდა. გოგამ შეიტყო, გლეხი წამლების მყიდველი არ იყო და სთხოვა, ახლავე მობრუნდი პალატაში, წამლებს მე ვიყიდიო. ეს ამბავი რომ გაიგო, დედამ შეაქო: — ყოჩაღ, გოგა, მამაშენის ღირსეული შვილი ხარო. სამაგიეროდ, თავად გოგას შვილებს ერთი თვის მანძილზე არც შაქარი ჰქონდათ, არც — ცხიმი...

ქალბატონი ლუიზა ცრემლებს ვერ იკავებს, რადგან გოგას სამ შვილს — ტყუპ სტუდენტ გოგონასა და 7 წლის თენგიზს — ამიერიდან უკვე სამუდამოდ მოაკლდებათ მამის ხელი, მისი სითბო და მზრუნველობა. განსაკუთრებით, პატარა თენგოს გაუჭირდება, რომელსაც ისე უყვარდა მამა, რომ შვლის ნუკრივით სულ უკან დასდევდა. მის დაბრუნებამდე, რაც უნდა გვიანი ყოფილიყო, არ იძინებდა. როდესაც მამის გარდაცვალების ამბავი გაუგია, თავის ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით ჩაულაპარაკია: აფსუს, რა კარგად ვთამაშობდით მე და მამიკო!..

21 ნოემბერს ორმოცი წლის გახდა გოგა აბრამიშვილი და ასევე შერჩება იგი მარადისობას, რადგან ის მსხვერპლი არ არის, ის — სამშობლოსთვის თავშეწირული მამულიშვილია. ასე ფიქრობენ სიღნაღის საშუალო სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებული, გოგას თანაკლასელები, რომელთა სახელითაც „გზის“ მკითხველებს **თამარ გურასპაშვილი** მოუთხრობს:

— *გოგაზე ცრემლის გარეშე ლაპარაკს ვერ ვახერხებ და მაპატიეთ, რომ ვტირი. ვტირი იმიტომაც, რომ კლასში სულ 18 გოგო და 9 ბიჭი ვიყავით და ამ ცხრიდან ოთხი უკვე გარდაცვლილია. მეოთხე — გოგაა. ასეთი უცნაური ბედი გვერგო, ერთი პატარა კლასი იქით სამყაროში გვაქვს... გოგა კლასში მართლაც გამორჩეული ბიჭი იყო, ჰქონდა სხვისი გახარების საოცარი უნარი. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან და ამ სიკეთით სხვათა გაბედნიერებაც შეეძლო. უფასლაც კარგი უყვარსო, — ნათქვამია, მაგრამ ამის გახსენებაც ვერაფერი შვებაა. ნებისმიერი სიტყვა უფერულდება გოგას პიროვნების წარმოსაჩენად. როგორც არ უნდა მოინდომოთ, ვერ ნახავთ ვერც მასწავლებელს, ვერც მოსწავლეს ჩვენს თაობაში, გოგასგან რაიმე წყენა რომ ახსოვდეს... მახსოვს, მეცხრე კლასში მეტიჩარა გოგონებმა კლასის გალამაზება და ფანჯრებზე ფარდების დაკიდება გადავწყვიტეთ. ამისთვის საჭირო იყო კედლების გამოთხრა და კარნიზების ჩამაგრება, რასაც, ცხადია, ბიჭების გარეშე ვერ მოვახერხებდით. ბიჭებს დაეზარათ და გაიფანტნენ. გოგა ალყაში მოვიქციეთ და დახმარება ვთხოვეთ. ბიჭებმა ეზოდან ამოსძახეს: თავი დაანებე მაგ „ტინგიცებს“ და ჩამოდი, გელოდებითო. გოგა ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე იღლიაში ამოდებული ჩანთა ისევ მერხზე დადო და მეგობრებს ჩასძახა: გოგონებს მესამე სართულიდან გადმოსაყრელად ხომ არ გავიმეტებ, გავაკეთებ კარნიზებს და დაგეწევითო... ისე ლამაზად და მყარად გააკეთა... დღემდეა სკოლაში მისი ეს ნახელავი. არ ვიცი, ვის უნდა მივმართოთ. ეგებ, ჟურნალ „გზის“ მეშვეობით მიაღწიოს ჩვენმა თხოვნამ იქამდე, ვისაც ამის დაკანონება ხელეწიფება: გოგა საქართველოსთვის შეწირული გმირია. სიღნაღს სახელოვანი და გამოჩენილი შვილი ბევრი ჰყავს, მაგრამ ძნელბედობის ჟამს მამულისთვის თავდადებული მხოლოდ გოგა აბრამიშვილია. სიღნაღის საშუალო სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებულთა სურვილით, სიღნაღის რომელიმე ქუჩას ან მისსავე მშობლიურ სკოლას გოგა აბრამიშვილის სახელი ეწოდოს, რადგანაც მიგვაჩნია, რომ მისი გმირობა მისსავე უკვდავების ღირსია...* ■

კლასში სულ 18 გოგო და 9 ბიჭი ვიყავით და ამ ცხრიდან ოთხი უკვე გარდაცვლილია

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ყურის პრობლემები

მკითხველები ბევრ კითხვას გვიგზავნიან და გვთხოვენ, სხვადასხვა დაავადებასთან გამკლავების რეკომენდაციები მივცეთ. ამჯერად, ყურთან დაკავშირებულ პრობლემებს მოვუყარეთ თავი.

შეკითხვა 1.

„ჩემს 8 წლის გოგონას ძალიან ხშირად უჩნდება ყურებში გოგირდის საცობები, ამის გამო სმენა უქვეითდება და იძულებული ვხდები, წავიყვანო პოლიკლინიკაში ყურების გამოსარეცხად. ეს საკმაოდ უსიამოვნო პროცედურაა 8 წლის ბავშვისთვის. ძალიან გთხოვთ, გამარკვიოთ — რატომ უჩნდება ბავშვს ასე ხშირად საცობები, მე ხომ მას თითქმის ყოველდღე ვუწმენდ ყურებს. პატივისცემით ნანა მუსერიძე“.

— ქალბატონო ნანა, უპირველეს ყოვლისა, მოგახსენებთ, რომ ხალხში გავრცელებული აზრი — თითქოს ყურების ხშირი და საფუძვლიანი გაწმენდა სასარგებლოა, არ შეესაბამება სინამდვილეს. ჯანმრთელი ყურები ჩვენი დახმარების გარეშეც მშვენივრად იწმინდება. სასმენი მილების თვითგაწმენდის პროცესი ხორციელდება გარე სასმენი მილის წინა კედელთან მდებარე, საფეთქელ-ქვედაყბის სახსრის მოძრაობით — მაგალითად, ღეჭვის, ლაპარაკის ან ხველის დროს. ყურის ნიჟარა უნდა გაიწმინდოს შიდა მხრიდან, მაგრამ სასმენ მილში შეღწევა საჭირო არ არის.

გარე სასმენი მილი შედგება ორი ნაწილისგან: ხრტილოვანი (გამოსასვლელთან ახლოს) და ძვლოვანი (მდებარეობს უფრო ღრმად). ხრტილოვანი ნაწილის კანი თავისთავად იწმინდება მრავალგვარი ცხიმოვანი და გოგირდის ჯირკვლებისა და თმის დახმარებით. გარე სასმენი მილის კანის თვითგაწმენდა ხორციელდება კანის ზედაპირული უჯრედების ზრდის ხარჯზე.

გოგირდი გამომუშავდება მხოლოდ ხრტილოვან ნაწილში. ის იცავს სასმენი მილის კანს დაზიანებისა და ანთებისაგან. ასე რომ, გოგირდი ჭუჭყი არ გახლავთ, ამიტომ მისგან ყურის გათავისუფლების მცდელობა საჭირო არ არის. ხრტილოვანი ნაწილიდან ძვლოვანში გადასასვლელი ვიწროა (ყელი), ამიტომ როცა ადამიანი ყურს დამოუკიდებლად იწმენდს, ხდება გოგირდოვანი მასების ამ ყელში ჩაჭედვა და წარმოიქმნება გოგირდოვანი საცობები.

დამოუკიდებლად ყურის ღრმად გაწმენდა საშიშია — არ არის გამორიცხული, სასმენი მილისა და დაფის აპკის დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სმენის დაქვეითება და საშინელი თავბრუს ხვევა.

ყურის წმენდისას გოგირდის ჯირკვლები ღიზიანდება. გოგირდი, შეიძლება, საჭიროზე მეტი ან პირიქით, ნაკლები რაოდენობით წარმოიქმნას; შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ საერთოდ, აღარც წარმოიქმნას. ნებისმიერ შემთხვევაში, სარგებელი ცოტაა — ჭარბწარმოქმნისას ვითარდება საცობები, გოგირდის არქონისას კი ადამიანს აწუხებს ქავილი და სიმშრალის შეგრძნება სასმენ მილში.

გოგირდის საცობები, გოგირდის ჯირკვლების სეკრეტის, კანის უჯრედებისა და მტვრის გროვას წარმოადგენს. მისი გაჩენის მიზეზი რამდენიმეა:

- გოგირდის დაპრესა და საცობად ჩამოყალიბება, ყურების ბამბის ჩხირებით, ასანთითა და „შპილკით“ რეგულარული წმენდის გამო;
- ორგანიზმის ბუნებრივი მიდრეკილება გოგირდის ჭარბწარმოქმნისკენ;
- სასმენი მილის ვიწრო გამოსასვლელი;
- ყურის ანთება, სასმენ მილში უცხო სხეულის მოხვედრა, მტვრის ნაწილაკების არსებობა;
- ნივთიერებათა ცვლის მოშლა (სისხლში ქოლესტერინის დონის მატება).

საცობებზე ეჭვის მიტანა აუცილებელია, თუ უმიზეზოდ ხდება:

- ყურების დაგუბება;
- საკუთარი ხმის რეზონანსის შეგრძნება;
- ყურებში ხმაური.

გოგირდოვანი საცობების გამორეცხვა მხოლოდ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს შეუძლია. ამ პროცედურის შემდეგ კი პროფილაქტიკის მიზნით, დამოუკიდებლად, შინაურ პირობებში თვეში 2-3-ჯერ კარგია მარტივი პროცედურის ჩატარება: დაწექით გვერდზე და ჩაიწვეთეთ ყურში 5 წვეთი წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარი ან ვაზელინის ზეთი და არ ადგეთ 15-20 წუთი. ამის შემდეგ გაიწმინდეთ სტერილური ბამბით, წრიული მოძრაობით, სასმენ მილში შესასვლელი, გარედან. არასტერილური ბამბის წკირები ყურისთვის არ გამოიყენოთ, ასევე არ შეიძლება ასანთზე დახვეული ბამბის ხმარება: ამ დროს ყურის სტრუქტურის დაზიანების ალბათობა დიდია.

შეკითხვა 2.

„გთხოვთ, მიპასუხოთ, თუ რა შეიძლება იყოს ყურში ხმაურის და ქავილის მიზეზი? თქვენი ერთგული მკითხველი თ. გუნავა“.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ელვა
პრესის გავრცელების საagენტო
ქ. თბილისი
თოხლიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com
აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

— ყურებში ხმაურის შეგრძნების მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც ყურის, ისე სხვა ორგანოების პათოლოგიები. დამოუკიდებლად, ექიმის კონსულტაციისა და სათანადო გამოკვლევების ჩატარების გარეშე ამის დადგენა შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია ოტო-ლარინგოლოგთან ვიზიტი.

ახლა კი მოგახსენებთ ყურებში ხმაურის შეგრძნებისა და ქავილის მიზეზებზე.

● ყურებში ხმაურის და ზარის ხმის მიზეზი შეიძლება იყოს: ყურის ანთება; გოგირდოვანი საცობები; სასმენ მილში უცხო სხეული; სასმენი ნერვის დაზიანება; ასაკობრივი ცვლილებები. გარდა ამისა, ხმაური ყურებში შეიძლება გამოიწვიოს თავის ტრავმამ, თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზმა, კისრის მალების ოსტეოქონდროზმა; თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევამ და სხვა.

● ყურში წყლის ყურყურის შეგრძნების მიზეზი არის სითხის არსებობა დაფის ღრუში, რაც შეიძლება იყოს ყელ-ყურ-ცხვირის ორგანოების ანთებისა და ტრავმის შედეგი ან ბანაობის შემდეგ ყურში დარჩენილი წყალი.

● ყურების დაგუბების მიზეზი შეიძლება იყოს შუა ყურის მწვავე ანთება, სასმენი ნერვის დაზიანება; ყურის ტრავმა; უცხო სხეული სასმენ მილში; ცხვირის ღრუში ადენოიდების გაღიზიანება;

● ყურში ქავილის მიზეზი შეიძლება იყოს გარეთა ყურის ანთება, ყურის ხშირი გამოწმენდის შედეგად სასმენი მილის ეგზემა; სოკოთი გამოწვეული სასმენი მილის ანთება; გოგირდის არქონა; ალერგია.

შეკითხვა 3.

„ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია ყურის ტკივილი, დამემოწმება, რომ კბილის ტკივილი მასთან შედარებით, არაფერია. გთხოვთ, მიპასუხოთ, რა ვქნათ, თუ ყური გვტკივა, თავი გვისკდება და ექიმთან დაკავშირება ან აფთიაქში წასვლა ყოვლად შეუძლებელია? წინასწარ გიხდით მადლობას, დ. შ.“.

— თავდაპირველად, მკითხველს ვურჩევთ ოტო-ლარინგოლოგთან ვიზიტს, რათა გაირკვეს ყურის ტკივილის მიზეზი და დაინიშნოს შესაბამისი მკურნალობა. ყურის ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს ანთება, რაც აუცილებლად საჭიროებს ადეკვატურ მკურნალობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, გამოიწვიოს მეტად სერიოზული გართულება, მაგალითად, სმენის დაქვეითება.

თუ ყური აგტკივდათ, მაგრამ უმალ ვერ ახერხებთ ექიმთან წასვლას, მაშინ:

ჩაიწვეთეთ ცხვირში სუნთქვის გასაუმჯობესებელი წვეთები: ნაზივინი, სანორინი და სხვა. ეს აუცილებელია შეშუპების მოსახსნელად და შევიწროებული სასმენი მილის გასაფართოებლად. შედეგად კი მოხდება დაფის ღრუდან შიგთავსის თავისუფალი გადინება.

ჩაწვეთების პროცედურა ასე აწარმოეთ — დაწექით გვერდზე, წამალი ჩაიწვეთეთ ქვემოთ მოქცეულ ნესტოში და იწექით 7-10 წუთი. შემდეგ გადაბრუნდით და ისეთივე პროცედურა გაიმეორეთ.

თუ ყურიდან გამონადენი არ გაქვთ, მაშინ სასმენ მილში ჩაიწვეთეთ 5 წვეთი (ბავშვებმა 2-3 წვეთი) არაყი ან 96-გრადუსიანი სპირტი.

მიიღეთ ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი საშუალება, მაშინაც კი — თუ ტემპერატურა მაღალი არ გაქვთ (ნუროფენი, კოლდრექსი, პარაცეტამოლი, ასპირინი და სხვა).

შესაძლებელია კომპრესის გაკეთება, მაგრამ თუ ზუსტი დიაგნოზი არ იცით, მაშინ უმჯობესია, თავი შეიკავოთ.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ყურის ტკივილის შემთხვევაში არ გადადოთ ექიმთან ვიზიტი.

სიახლე!
ჩანართი მათთვის, ვისაც
სახლში პაპარა ჰყავს
პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში
ბავშვის ჯანმრთელობის
პედიატრი
შეკითხვები პედიატრს
0-დან 1-მდე
ბავშვის ფსიქოლოგია
როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა
მედიცინის დიდი საოჯახო ენციკლოპედია
ჟურნალი
მთავარი თემა:
ბავშვურსისლდეთ მხედველობას
თანამედროვე შეხედულება ქოლესტასიზის შესახებ
მამაკაცის სქესობრივი პროგლემები
სამკურნალო ნეტილები
პედიკულოზი
ბავშვობის ოფლიანობა
ბავშვი ოფლიანობს ქოლიბაქტერიოზ
ბავშვი ოფლიანობს ბაქტერიოზ
ბავშვი ოფლიანობს ბაქტერიოზ
ბავშვი ოფლიანობს



„ტერორში ვართ, მვეშინია, ხმამაღლა მარტოსტესტება ქვირაზე არ დამვიჯდესო...“

მარინა ბაბუნაშვილი

მან თავისი ოჯახის წევრებთან ერთად გამოიარა აფხაზეთიდან სვანეთისკენ მიმავალი სიკვდილ-სიცოცხლის გზა. ამ გზაზე სიკვდილს თვალებში ჩახედა, მაგრამ სიცოცხლის გაგრძელების, შინ დაბრუნების იმედი არასოდეს დაუკარგავს.

იმ დღიდან 15 წელი გავიდა. ქეთინოს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა. ჩვენ კი, ტრადიციულად ჯერ მისი ცხოვრების პირველ ნაწილს („კვირის პალიტრა“, 2005 წ. 29 აგვისტო, „ჩემი აწმყო წარსულთანაა გადაჯაჭვული“) შემოგთავაზებთ...

ამბავი პირველი

სიკვდილ-სიცოცხლის გზის გავლის შემდეგ

საკენი-ჭუბერის გზაზე 21 წლის გოგო მკერდზე მიკრული პატარათი მოდიოდა. უჭირდა სიარული. სექტემბრის ბოლო იყო. ამ დროს სოხუმში ჯერ კიდევ ბანაობენ ხოლმე, დევნილებს კი ათოვდა. თითქოს, სხვა გაჭირვება არ ეყოფოდათ, რომ ბუნებამაც რისხვა დაატეხა თავს. ბევრი, რომელსაც არც ლუკმა ჩასვლია პირში და არც თბილად იყო ჩაცმული, გზაზე დარჩა. სხვები კი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად აგრძელებდნენ გზას. იმ სიცივეში გაჩერება და სამადლო საფლავის გათხრა, ხომ ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქეთინოს მამამ მაინც ვერ შეძლო, გულგრილად აევლო გვერდი ხანდაზმული ქალისთვის, მკერდზე მიკრული ბავშვიანი ახალგაზრდა ქალისთვის და ბერიკაცისთვის... სამივეს იქვე გაუთხარა სამარე და მიწას მიაბარა.

ეს ყველაფერი როგორც კოშმარული სიზმარი, ისე ახსენდებოდა ქეთინოს. უკვირდა კიდეც, ჩვენ როგორ გადავრჩითო. მასაც ხომ ჰყავდა 2 წლის ნიკუშა, დედამისს კი ფეხი ჰქონდა ნაღრძობი და ძლივს დადიოდა. ღმერთს არ უნდოდა მათი სიკვდილი და გადარჩნენ. თბილისში, ერთ საერთო საცხოვრებელში დაბინავდნენ და გააგრძელეს ცხოვრება. იმედი იმისა, რომ ადრე თუ გვიან, მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდებოდნენ, არც ერთს არ დაუკარგავს.

არადა, რა ბედნიერი იყო ქეთი იქ, სოხუმში. 16 წლისას ესტუმრა პირველი სიყვარული. გურამი 18 წლის იყო, სოხუმის უნივერსიტეტში, იურიდიულზე სწავლობდა. პირველ სიყვარულს პირველი გულისტკენაც მოჰყვა, რადგან მშობლები უშლიდნენ გურამთან ურთიერთობას, შეძლებულს ყოველთვის შეძლებული მოსწონს, გურამი კი ღარიბი ოჯახის შვილი იყო. იმდენად ღარიბი, რომ მის სწავლას და შესაძლო წარმატებულ კარიერასაც არაფრად აგდებდნენ ქეთის მშობლები. ყოველდღიურად ეჩიჩინებოდნენ: ღლაპმა როგორ მოინდომე სიყვარულობანა? თანაც, შენი ტოლი და სწორი როგორ არ უნდა იცოდეო? ამის გამო ბევრჯერ უტირია კიდეც ქეთის, მაგრამ გრძნობა არ შესცვლია გურამის მიმართ. მშობლების გამო სტკიოდა გული, რომ ვერ უგებდნენ და არ თანაუგრძნობდნენ, თორემ გურამთან მომავლის სულაც არ ეშინოდა.

ერთხელაც, უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. გურამის ერთ-ერთ მეგობარს ფულს სძალავდნენ უცნობები. გურამი მეგობარს გამოესარჩლა, ატყდა ჩხუბი. გურამმა კარგა გვარიანად დაალილავა ისინი (კრივზე დადიოდა!). ერთ-ერთი დაზარალებულის მამა თანამდებობის პირი აღმოჩნდა და იჩივლა. გურამის მშობლებს ურჩიეს, ციხეს ჯარი გერჩივნოთ, 2-წლიან სამხედრო სამსახურში გაუშვით და დროებით მოაშორეთ აქაურობასო. ასეც მოიქცნენ. გურამმა თავის თანაკურსელს და მეგობარს, დიმას ჩააბარა ქეთინო, ჩემს ჩამოსვლამდე მიმიხედე, არავინ აწყენინოსო. 1988 წელი ილეოდა...

დიმამაც „მიხედა“ ქეთის. ხშირად აკითხავდა გოგოს სკოლაში. ხშირადაც სეირნობდნენ სოხუმის სანაპიროზე. მათი საუბრის თემა გურამი და მისი ჯარის ეპიზოდები იყო. ერთმანეთს უამბობდნენ, გურამმა რა მისწერა და რა უამბო წერილში. ქეთის და გურამს გადაწყვეტილი ჰქონდათ, როგორც კი გურამი ჯარიდან დაბრუნდებოდა, გოგოსაც დამთავრებული ექნებოდა სკოლა, მშობლებს აღარც კი დაეკითხე-

ბოდნენ, ისე მოაწერდნენ ხელს... თანდათან იძაბებოდა აფხაზეთში სიტუაცია, თუმცა, ომზე მაინც არ ფიქრობდა ხალხი. ამბობდნენ, — ომამდე არ მივა საქმეო. ერთ მშვენიერ დღეს, დიმა სიყვარულში გამოუტყდა ქეთის: ვიცი, არ ვარ მართალი, მაგრამ სიყვარულმა არ იცის მტყუან-მართალი. მიყვარხარ და მორჩაო. ძალიან განიცადა ეს ამბავი ქეთიმ. დიმას აუკრძალა, — აღარ გაბედო ჩემთან მოსვლაო. არადა, ქეთის მშობლებს სწორედ დიმა მოსწონდათ სასიძოდ. გურამი ერთ თვეში უნდა დაბრუნებულიყო. მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა. დიმამ ქეთი მოიტაცა. მშობლებმა ქეთის ურჩიეს, შინ შერცხვენილი სახელით დაბრუნებას, დიმას ცოლობა გირჩევნია, არ არის დასაწუნი ბიჭიო. შავ დღეში ჩავარდა ქეთი, მაგრამ რა ექნა, სად წასულიყო? სოხუმში დაბრუნებულმა გურამმა ქეთი მოინახულა, მაგრამ მისგან უარი მიიღო, — აწი, გვიანია, შენი გზით უნდა იარო, მე დამივიწყეო! გურამი მოსკოვში წავიდა. ქეთიმ მალე ვაჟი გააჩინა, ნიკუშა. ცოტა ხანში კი ომიც დაიწყო... სწორედ ის ომი, რომელსაც ხალხი არ ელოდა.

ქეთის გათხოვების დღიდან მშობლებთან უთანხმოება ჰქონდა, მაგრამ ახლა ამის დრო აღარ იყო. მშობლებთან მივიდა და უთხრა: გადავწყვიტე, დიმას გავცილდე, თქვენთან ერთად ვიყო და თუ კიდევ დაიწყებთ ჩემს დამოძღვრას, თვალით აღარ დაგენახვებით, ისე გავქრები თქვენი ცხოვრებიდანო. მშობლებმაც დათმეს. ბოლო დღემდე სჯეროდათ, რომ სოხუმი არ დაეცემოდა. ეს იმედიც გაქრა და ქეთის ოჯახი, როგორც წერილის დასაწყისში გითხარით, მრავალათასიან დევნილთან ერთად საკენი-ჭუბერის გზას დაადგა...

ამბავი მეორე
„შის წინაშე დამნაშავე ვიყავი“

მათი ცხოვრება, რაღაც კალაპოტში ჩადგა (თუ შეიძლება, დევნილის ცხოვრებას „კალაპოტში ჩამდგარი“ ეწოდოს). დიმა დედით აფხაზი იყო, მაგრამ სოხუმის დასაცავად იბრძოდა, მერე ადლერში გადავიდა, სადაც მშობლები ჰყავდა. კარგა ხნის შემდეგ თბილისში ჩამოაკითხა ქეთის, სცადა მასთან შერიგება, მაგრამ მისგან საბოლოოდ უარი მიიღო. იგი უცხოეთში წავიდა და დღემდე მიუნხენში ცხოვრობს. რაც შეეხება გურამს, მის შესახებ თავად ქეთი გვიამბობს:

— მამამ, რომელიც კარგ ცხოვრებას იყო მიჩვეული, ვერ აიტანა დევნილობა და 1996 წელს გარდაიცვალა. მას დედაც მალე მიჰყვა. დიმა მეხმარებოდა ძალიან. ის მიგზავნიდა ფულს. გურამი 2003 წლამდე მოსკოვში ცხოვრობდა. როცა ჯარიდან ჩამოსვლის მერე მომაკითხა, ჩემსა და დიმას შორის უსიამოვნება უკვე გაღრმავებული იყო. ჩვენ ფაქტობრივად აღარც ვიყავით ერთად, მაგრამ შვილიანი ქალი მერქვა და გურამს უარი ვუთხარი. ეს ძალიან ვინანე. მერე, კიდევ ჩამომაკითხა გურამმა; არც მაშინ მითქვამს, რომ დიმასთან უკვე გაშორებული ვიყავი. ჩვენ ცოტა ხანს ერთად ვიყავით. გურამისგან ორსულად დავრჩი. ახლაც არ მესმის, რატომ ვჯიუტობდი. თითქოს თავს ვისჯიდი დიმას გამო, რომ მოტაცების შემდეგ ხელი ჩავიქნიე და მას ცოლობაზე დავთანხმდი. მეორე გოგო შემეძინა. ეს რომ გურამმა გაიგო, ნაწყენი დარჩა, ჩემზე თქვა — მომატყუა, მითხრა, რომ დიმასთან ურთიერთობა გავწყვიტე, არადა, მისგან მეორე შვილი გააჩინაო. საკმაოდ გვიან, თავად დიმასგან გაიგო გურამმა სიმართლე. ეტყობა, დიმა სინდისმა შეაწუხა და როცა თავისი საქმის გამო მოსკოვში მოუწია ჩასვლამ, გურამი მოინახულა და ყველაფერი უამბო. სამწუხაროდ, გურამი მაშინ უკვე დაცოლშვილებული იყო. აფხაზეთიდან დევნილი და მოსკოვში გადახვწილი ქართველი ქალი შეირთო ცოლად. ამის შეტყობის მერე, იქვე აღარ გაჩერდა. ჩამომაკითხა. სიკვდილამდე არ დამავიწყდება მისი გაფითრებული სახე. რატომ მოიქეცი ასე, რატომ არ მითხარი, რომ მარიამის მამა მე ვარო? — მკითხა გაბზარული ხმით. რა უნდა მეთქვა? თავი დავისაჯე-მეთქი, ვერ ვეტყოდი, რადგან გურამი ცოცხალმკვდარი იჯდა ჩემ წინ და დასჯილს ის უფრო ჰგავდა, ვიდრე მე. გურამმა მითხრა: ჩემი ცოლი მძიმედ ავად რომ არ იყოს, ხვალვე გადავწყვეტდი ყველაფერს, მაგრამ ახლა მისგან წამოსვლა არ შემიძლიაო.

— რა სჭირდა მის მეულლს?

— ლილის მეორე მშობიარობის მერე სისხლდენა ვერ შეუჩერეს და საჭირო გახდა, მისთვის სერიოზული ოპერაცია გაეკეთებინათ, თუმცა გარკვეული პერიოდის მერე პრობლემებმა კვლავ იჩინა თავი და... გურამმა მას არაფერი დააკლო, გერმანიაშიც კი ჰყავდა. იქ მკურნალობის მერე თითქოს გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ კვლავ დამძიმდა. ლილი 2001 წელს გარდაიცვალა. როცა პირველი ინტერვიუ ჩავწერეთ, მაშინ ბევრი რამ ვერ ვთქვი, ახლა კი თავს უფლებას ვაძლევ, უფრო გულახდილად ვილაპარაკო.

— დრო ბევრ რამეს ანელებს და იმიტომ?

— ეგეც არის და თან, გურამის გამო ვიხევდი უკან. მე მის წინაშე დამნაშავე ვიყავი და მის დაუკითხავად ჩვენს პირადულზე ყველაფერს ვერ ვიტყოდი. ახლა ერთად ვართ და ამიტომაც ვამბობ რაღაც-რაღაცებს.

— როგორც ვიცი, გურამს ერთხანს უნდოდა, მოსკოვში წასულიყავი და იქ გეცხოვრათ.

— ჰო, ასე უნდოდა, მაგრამ ჩემგან სასტიკი უარი მიიღო. გურამის ვაჟი იქ დარჩა, ლილის მშობლებთან და ძმასთან, უმცროსი გოგონა კი აქ ჩამოიყვანა და ყველანი ერთად ვართ... მოსკოვში რა წამიყვანდა, როცა ჩემი მშობლების საფლავი აქაა, თანაც საქართველოდან რატომ უნდა წავსულიყავი რუსეთში? განა, მაშინაც არ ვიცოდით, რომ აფხაზეთი რუსეთის უშუალო ჩარევით დავკარგეთ?

— ახლა რას იტყვი დღეს ვანდელ მოვლენებზე?

— რა უნდა ვთქვა! მიუხედავად იმისა, რომ ადრე თუ გვიან, ველოდი რუსებისგან მსგავს პროვოკაციებს, მაინც გაოგნებული ვარ. გურამს მოსკოვში ბევრი რუსი მეგობარი ჰყავს, იქ ხომ დიდხანს ცხოვრობდა. იცით, რამდენი იყო მისი მადლიერი? მახსოვს, აქაც რომ ჩამოვიდნენ, გურამს ხოტბა-დიდებას ასხამდნენ, — შენ რომ არა, დღეს ჩვენ არაფერი ვიქნებოდითო. ისინი ამ დღეებში არც კი შეგვეხმიანნენ. გურამმა ცოტა ხანს ადროვა, 3 დღის მერე კი დაურეკა და მკვდარი და ცოცხალი აგინა „მეგობრებს“. ძლივს ამოილუღლუღეს, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ ხომ არ ვიბრძვით, ხალხს ვინ რას ჰკითხავსო? ახლა ამაზე გაგიჟდა გურამი: აქამდე თქვენი „ღმერთი“ და „გადამრჩენელი“ ვიყავი, თქვენი ხელისუფლება რასაც წარმოადგენს, კი ვიცი, მაგრამ ჩემს ქვეყანაში რომ ომს აწარმოებს ოსი და აფხაზი ხალხის „დასაცავად“, ტერიტორიებს რომ მართმევს, ერთხელ როგორ არ უნდა დაგერეკათ და მოგეკითხეთო?! მოკლედ შავი დღე აყარა და იმათაც, სხვა სათქმელი აღარ ჰქონდათ, ჩვენ გიხდით ბოდიშს პუტინისა და მედვედევის გამოო... ისიც წამოსცდათ, ჩვენსავით ბევრია ამ ომის წინააღმდეგი, მაგრამ ტერორში ვართ, გვეშინია, ხმამაღლა გაპროტესტება ძვირად არ დაგვიჯდესო... მე მჯერა, ეს ომი ამ მუტანტების (ორთავიანი არწივი, აბა, სხვა რისი ნიშანია, თუ არა მუტანტობის?) ბოლო გაბრძოლებაა. სულ იმას ვამბობდი, ომით დაკარგულს ომით თუ დავიბრუნებთ-მეთქი. აბა, რუსეთთან რომელ დიპლომატიურ ხერხებზეა ლაპარაკი? ჩვენ მივაღწევთ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. თანაც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობით, როგორც ამას მიაღწია თავის დროზე ჩეხეთმა, პოლონეთმა, უნგრეთმა, ბალტიისპირეთმა... მჯერა, მალე ყველაფერი კარგად იქნება. ●

სულიერად ვერ ვაკვეთენენ...

მაგრამ ეროვნებზე ვინ გაგვცემს პასუხს?

ომმა თავის „ტალღაზე“ გადაგვისროლა. გვინდა თუ არა, ნებსით თუ უნებლიეთ, თითოეული ჩვენგანის ფიქრი მაინც ომის თემას დასტრიალებს, ამიტომაც სულაც არ მიკვირს, რომ მიღებული მესიჯები და წერილები — უკლებლივ ყველა, მტრისგან ოკუპირებულ ტერიტორიებს და თავად ოკუპანტებს ეხება.

„სულაც არ მინდა გულუბრყვილოდ ჩამთვალოთ ან მხოლოდ პატრიოტობას მიაწეროთ ჩემი ნაზრევი, მაგრამ გჯეროდეთ, რომ რუსეთის ძლევამოსილი იმპერია ინგრევა. ის ახლა მომაკვდავ გველეშაპს ჰგავს, რომელიც კუდს იქნევს და ირგვლივ ყველაფერს აცამტვერებს. ახლა უნდა შევეცადოთ, რომ რამენაირად მისი კუდი არ მოვიხვედროთ... რაც უფრო ნაკლები მსხვერპლით მოვიპოვებთ თავისუფლებას, მით უკეთესი, მაგრამ პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენთვის მცირე მსხვერპლიც საკმაოდ დიდი დანაკლისია. ალბათ, კიდევ უნდა გავიჭირვოთ და შემდგომ ამისა, ჩვენ აუცილებლად გვერქმევა დამოუკიდებელი, თავისუფალი და აყვავებული ქვეყანა. თამაზ გვასალია, ფოთი“.

„გაიგეთ, ხალხო, ჩვენი დიდი მეზობლის სახით, ორი საუკუნეა, ჭირი გვჭირს და ეს სახადი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვიხადოთ... აქა-იქ, ხელისუფლების კრიტიკა ისმის. ეს არ არის სწორი. მაგის დრო არაა ახლა და დიდსა თუ პატარას უნდა ესმოდეს, რომ მტრის წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასია ხელისუფლების კრიტიკა. დავდგეთ ერთად! რიცხობრივად ბევრი, მაგრამ ბეცი, რიცხობრივად მცირეს, მაგრამ გაერთიანებულ, სულიერად მტკიცე ერს ვერ მოგვერევა. ლერი დონაძე, 32 წლის, ქუთაისი“.

„ალბათ, არ იქნება სწორი, ომის ავ-კარგსა და კანონზომიერებაზე ველაპარაკოთ შვილმკვდარ დედას ან იმათ, ვინც ახლობელი დაკარგა ამ ომში, თუმცა თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მინდა ჩემს ერს მივმართო, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა ჯარისკაცმა... მე ვიყავი ამ ომში და ვიბრძოდი. ღვთის მადლით გადავრჩი, მხარში ვარ დაჭრილი და ეგ არაფერია, მომირჩება. მთავარია, სულიერად ნუ დავძაბუნდებით, თორემ ფიზიკურ ტკივილსაც გავუძლებთ და ჭრილობაც მოშუშდება... შეცდომებზე ნუ ვილაპარაკებთ. ომის დროს კარგიც წარმოჩნდება და ცუდიც, შეცდომაც იქნება თავზე საყრელად, მაგრამ ერთი მთავარი რამ ყველამ უნდა დაინახოს. დღეს ჩვენი არმია აღარაა აფხაზეთის ომისდროინდელი, როცა ტყვია-წამლის მაგიერ „კონსერვებს“ ვიღებდით და ბევრი მებრძოლი „მოცალეობისას“ იმ გამოცარიელებულ „კონსერვის“ ყუთზე სწავლობდა მიზანში სროლას... ჩვენ ახლა მაღალი დონის, საკმაოდ კარგად მომზადებული ჯარი გვყავს და ამის არდანახვა, დიდი ცოდვაა. საქართველოს გა-უ-მარ-ჯოს!!! გოჩა ღამბაშიძე, სამტრედია“.

„...როგორც კი ომი დაიწყო, ავღანეთში ნაბრძოლი ბიჭები შევიკრიბეთ და გადავწყიტეთ, რაზმები ჩამოგვეყალიბებინა. არ გვინდოდა, პატარა ბიჭებს ეომათ, ჩვენ კი, გამოცდილი ხალხი შინ ვმჯდარიყავით. ვერ გაგვიგია, განა, ჩვენი შვილები ჩვენზე კარგად იომებდნენ? მაშ, რატომ მივიღეთ უარი ხელმძღვანელობისგან? — ჯერ თქვენ არ ხართ საჭირო, როცა დაგვჭირდებით, ჩვენ თავად შეგეხმიანებითო. ისე წაიყვანეს 20-22 წლის ბიჭები, რომ არავინ შეგვეხმიანა. რატომ მოხდა ასე, იქნებ, ამ კითხვაზე ვინმე კომპეტენტურმა გაგვცეს პასუხი. ჩვენ გამოცდილებაც გვაქვს და ძალაც შეგვწევს, რომ საკადრისი პასუხი გავცეთ მტერს. მაშ, მოგვეცით უფლება, დავიცვათ სამშობლო. ავღანეთში მებრძოლთა კავშირის წევრები“.



„ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ. ერთად დამიბრუნდნენ ძმა და ჩემი შეყვარებული. ისინი ერთად იყვნენ რეზერვში, კოჯორში. როცა ჩემი შეყვარებული გაიწვიეს, ჩემი ძმა კინაღამ გაგიჟდა, — რას ჰქვია, მე არ მეძახიანო?! — წავიდა და იმდენი ქნა, ისიც წავიდა (ისინი მეგობრები არიან). ძნელია, გადმოგცეთ ის განცდა, რასაც ვგრძნობდი მათ დაბრუნებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საშინელ რაღაცებს იხსენებს, მათი განწყობილება მაინც ასეთია: თუ გაგვიწვიეს, წავალთ და ახლა უფრო ჭკვიანურად ვიბრძოლებთო. ვერ გეტყვით, რას ნიშნავს „ჭკვიანურად“ ბრძოლა, თუმცა აშკარაა, რომ ისინი პირველ ბრძოლაში საკუთარი თავით არ არიან კმაყოფილები. დედაჩემი სულ იმას ვიშვიშებს, რაღა ვქნა, თუ კიდევ იქნება ომი, შვილი არ მომიკლანო. ჩემი ძმა დათო კი ამშვიდებს: მაგარი შვილი გყავს, ტყვია არ მეკარება და არც ახლა მომეკარებაო. მე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემს მშობლებს მიაჩნიათ, რომ წინა ფრონტზე რეზერვისტების გადასროლა, შეცდომა იყო და იგივე აღარ უნდა განმეორდეს. მეტი რა გითხრათ, აბა?! ვიცი ის, რომ მე ახლა ძალიან ბედნიერი ვარ და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. 18 წლის ანუკი, თბილისი“.

„გვინდა, წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს გამოვეხმაუროთ, გავამხნევოთ თქვენი რესპონდენტი, ნინო მარდალეიშვილი, რომელიც პატარაობისას მომხდარი უბედური შემთხვევის მერე სამუდამოდ დაინვალიდდა. ნინო! შენ მართლაც გმირი ქალი ხარ! გმირობის ტოლფასია, როცა მოძრაობა არ შეუძლია ადამიანს, უნარშეზღუდულია და იმედს მაინც არ კარგავს, მაინც მოძრაობაშია და კიდევ იმდენს ახერხებს, რომ სხვებს ეხმარება. ბარაქალა შენს ქალობას! სხვა შენს ადგილას გაცილებით ადრე ჩაიქნევდა ხელს, შენ კი საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინე. შენ მარტო არ ხარ! გვიყვარხარ!

მაია და თეა ჩიგოგიძეები. ოზურგეთი.“

ომის გაძიძასავით

„ომისა იმედები საბოლოოდ დაიმსხვრა“

გულდათუთქული გწერთ ამ წერილს საბერძნეთიდან. მე და ჩემი მეგობარი 7 წელია, რაც სალონიკში ვართ და ვმუშაობთ. ბედს არ ვემდურით, კარგ ოჯახებში მოვხვდით და შინაურებივით გვექცევიან... ჩემმა მეგობარმა ლიამ თავისი ქმრის ბიძაშვილი ჩამოიყვანა. მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ციური უსაზღვროდ კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ისიც ჩვენსავით უსახსრობამ გადმოხვეწა ამ უცხო მხარეში. როცა ლიას შესჩივლა, ძალიან მიჭირს, იქნებ, მომიხერხო და მეც შენთან წამიყვანოო, ლიამ



ყველაფერი გააკეთა, რომ დახმარებოდა. ციურიმ ორი შვილი დიდი სასოებით ჩააბარა ქმარს და დედამთილს: თქვენ გაბარებთ და აბა, თქვენ, იცით, როგორ მიხედავთო. საწყალი, აქ რომ ჩამოვიდა, სულ ტიროდა, ედარდებოდა შვილები, — მე მათ ახლა ვჭირდები და რა დროს გამოვეცალეო?! თავს მხოლოდ იმით ინუგეშებდა, რომ უკვე წამოზრდილი ჰყავდა ბიჭები — უფროსი 20 წლის, უმცროსი — 14-ის იყო. მერე შეეჩვია აქაურობას. როცა ფულის გაგზავნა დაიწყო ოჯახში და იქიდანაც ატყობინებდნენ, რომ ვალები გაისტუმრეს და წელში გასწორდნენ, სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა ქალი. ომმა აქ მყოფ ყველა ქართველს თავზარი დაგვცა. განსაკუთრებით ბიჭების დედები ნერვიულობდნენ. ციურიც ადგილს ვერ პოულობდა, დღე და ღამე ტიროდა. კარგა ხანს ატყუებდნენ და სიმართლეს არ უმხელდნენ, რომ მისი უფროსი ბიჭი ომში იყო წასული. ბოლოს მაინც გაიგო და იმ უბედურმა ისე ინერვიულა, გული გაუსკდა. ძალიან განვიცადეთ მისი ამბავი. შევაგროვეთ ფული და მისი ცხედარი თუთიის კუბოთი გამოვგზავნეთ. ცოტა ხანში, ისიც გავიგეთ, რომ ციურის ვაჟი უვნებელი დაბრუნებულა შინ... რისთვის დაისაჯა ის უბედური? შვილზე ნერვიულობას შეეწირა, არადა მათთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად წამოვიდა საბერძნეთში. მისი იმედები საბოლოოდ დაიმსხვრა. უსაზღვროდ გვეცოდება მისი ქმარ-შვილიც... ამ ომმა ბევრი შეიწირა! როდემდე უნდა გაგრძელდეს საქართველოს ოკუპაცია? ყოველდღე სანთლებს ვანთებთ და ღვთისმშობელს ვავედრებთ მის წილხვედრ ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს. იმედია, თავის კალთას გადაგვაფარებს.

ნელი გუგუშვილი, სალონიკი.

„ომმა შეარიგა“

სამი წელი უყვარდათ ჩემს მეგობარ ხათუნას და უჩას ერთმანეთი, მერე შავმა კატამ გაირბინა მათ შორის — *გვწერს თბილისელი ნატო ს. და განაგრძობს:*

— ხათუნა ამბობდა, რომ უჩამ უღალატა და მათ შორის გაჩნდა „შავი კატა“, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელსაც უჩამ სიყვარული ანაცვალა. უჩა თავს იმართლებდა: ხათუნას რაღაცები ელანდება, ერთხელ შემთხვევით მნახა ძველ ნაცნობთან ერთად და მისმა ფანტაზიებმა აფრები აუშვაო. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ამდენი ხნის ურთიერთობა თანდათან გაცივდა. მეგობრებზე ძალზე იმოქმედა მათმა კონფლიქტმა, როგორ არ ვეცადეთ, მაგრამ ერთიც გაჯიუტდა და, მეორეც. ხათუნა ისევ იმას ამტკიცებდა: ახლა რომ ამას ბედავს, მაგის ცოლი რომ გავხდები, რას იზამსო? უჩა კი — ახლა არ სჯერა ჩემი და მერე ეჭვებით კიდევ უფრო დაავადდებაო. ოთხი თვე არ ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს. ორივეს ეტყობოდა, რომ განიცდიდნენ, იტანჯებოდნენ, მაგრამ ჯიუტობდნენ და შერიგებისკენ არც ერთს არ უნდოდა პირველი ნაბიჯის გადადგმა. მეგობრები (რამდენიმე გოგო) 5 აგვისტოდან ქობულეთში ვაპირებდით წასვლას, მათ შორის ხათუნაც. ვერ მოვითმინე და უჩას გავაგებინე, თან ვთხოვე, იქნებ, დათმო და ჩამოგვაკითხო ქობულეთში-მეთქი. დამპირდა, ჩამოვალო... 6 აგვისტოს ომი დაიწყო, 8-დან კი სიტუაცია დამძიმდა. ქობულეთშიც პანიკა ატყდა. ხალხი ამბობდა, რომ ფოთის მერე, რუსები ბათუმსა და ქობულეთსაც დაბომბავდნენ. თბილისში წამოსვლა გვინდოდა, მაგრამ „მარშრუტკებზე“ ისეთი რიგი იდგა, ვერ წამოვედით. მერე მამაჩემი შეგვეხმიანა და დაგვამშვიდა, ნუ ინერვიულებთ, მანდ იყავით, მგზავრობას მანდ ყოფნა სჯობსო... მოგვიანებით ისიც გავიგეთ, რომ უჩა და მისი ორი ძმაკაცი, როგორც რეზერვისტები, ჯერ გორში, მერე კი ცხინვალში წასულან. სადღა იყო ხათუნას სიჯიუტე და თავმოყვარეობა? კინაღამ გაგიჟდა. ამბობდა: თავს არ ვიცოცხლებ, ჩემს უჩას რამე რომ დაემართოსო. ისეთი შეშლილი სახე ჰქონდა, დაქალები რიგრიგობით ვდარაჯობდით, ზღვაში არ შესულიყო და რაიმე სისულელე არ ჩაედინა. 16 აგვისტოს უჩა დამიკავშირდა და გამაფრთხილა, ხმა არ ამოიღო, მე რომ გირეკავ, მისამართი მითხარი, ხვალ დილას მოულოდნელად დაგადგებით თავს და სიურპრიზს მოვუწყობ ხათუნასო. მეც ენას კბილი დავაჭირე და მეგობრისთვის არაფერი მითქვამს. ენით არ გამოითქმის ის ემოცია, ვერც იმ სცენას აღგიწერთ დაწვრილებით, ხათუნა და უჩა ერთმანეთს რომ შეხვდნენ. ხათუნამ კივილი მორთო, თვალებს არ უჯერებდა, გვეკითხებოდა მართლა უჩაა თუ გავგიჟდი და მეჩვენებაო? ხან ტიროდა, ხან იცინოდა... მოკლედ, ომმა შეარიგა წაჩხუბებული შეყვარებულები. უჩა და მისი ძმაკაცი ჩვენთან ერთად იყვნენ და ქობულეთიდან 24-ში დავბრუნდით. ღმერთმა ქნას, მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში და მე კი იმას გეტყვით, რომ ხათუნა და უჩა სექტემბრის ბოლოს აპირებენ დაქორწინებას.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899827.25.61. ან ელფოსტით: **mbabunashvili@posta.ge.**

ეგზიეპერის საბედისწერო ქალი

კონსუელო


ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

არსებობს მათი პირველი ჯოცნის 4 ვერსია და ყველა მათგანს ერთნაირი დასაწყისი აქვს... თვითმფრინავი, რომლის შტურვალთანაც ანტუან დე სენტ ეგზიუპერი იჯდა, გვერდს ჯი უცნობი, ლამაზი ქალი უმშვენებდა, ბუენოს-აირესის ერთ-ერთი აეროდრომიდან აფრინდა. ქალს ჯონსუელო ერქვა. პილოტი მგზავრისკენ დაიხარა, თითქმის უბრძანა, რომ მისთვის ეჯოცნა. ამ ქალის პასუხის 4 ვარიანტი არსებობს. პირველი: „მე ქვრივი ვარ და უცნობი მამაკაცის ჯოცნის მორალური უფლება არ მაქვს"; მეორე: „ჩემს ქვეყანაში მხოლოდ იმ მამაკაცს ჯოცნიან, რომელიც უყვართ"; მესამე: „უცნობი მამაკაცის ჯოცნა არ მჩვევია"; მეოთხე: „ზოგიერთი ყვავილი მიახლოებისას ფურცლებს ხურავს".

შეხვედრა

იმ მომენტისთვის, როცა არგენტინულმა, საფრთხით სავსე ღამემ ახალგაზრდა ქვრივი (რომელიც ორი მოქიშპე პოლიტიკური პარტიის წევრების მიერ გამართული სროლებისგან თავის დაღწევას ცდილობდა) ეგზიუპერის მკლავებში მოაქცია, მამაკაცს ცხოვრებაზე გული გატეხილი ჰქონდა. ახალგაზრდობაში მან ფრანგი ლამაზმანი, ლუიზა ვილმორენი დანიშნა, მაგრამ საპატარძლოს მდიდარი მშობლები უარზე დადგნენ.

მათი აზრით, ახალგაზრდა ეგზიუპერი სამეფო კარის ღარიბი წარმომადგენელი და მათი ქალიშვილისთვის შეუფერებელი საქმრო გახლდათ. ლუიზა ნიშნობის ჩაშლას გულგრილად შეხვდა. ანტუანს კი მიყენებული ჭრილობის მოსაშუშებლად დიდი დრო დასჭირდა.

შემდეგ მის ცხოვრებაში სხვა ქალები იყვნენ, მაგრამ დიდხანს არავისთან ჰქონდა ურთიერთობა. ეჩვენებოდა, რომ ყველა ქალი მისი ცხოვრების მოწყენილობის ჩარჩოებში მოქცევას ცდილობდა. ერთ-ერთ „საყვარელ ქალთან" განშორების მიზეზი ის იყო, რომ საღამოს, შინ დაბრუნებულმა დაინახა, როგორ კემსავდა მის წინდებს.

ანტუანის გაცნობამდე კონსუელომ ორჯერ დაქვრივება მოასწრო. თანაც, დადიოდა ხმა, რომ მეორე ქმარი თვითმკვლელობამდე თავადვე მიიყვანა.

კონსუელო დაბალი ტანის გახლდათ. მის ნატიფ, შავგვრემან სახეს დიდრონი, მბრწყინავი, მოციმციმე თვალები ამშვენებდა. კონსუელო თავისი ფანტაზიით შექმნილ გარემოში ცხოვრობდა და

მფრინავი-მწერალი

ხმაურიანი პატარა არსება

რეალური ცხოვრება არ აინტერესებდა.

ბუენოს-აირესში ეგზიუპერისთან შეხვედრის შემდეგ ის პარიზში დაბრუნდა და მეგობრებს ძლიერი, შესანიშნავი, მასზე შეყვარებული ადამიანის შესახებ უამბო, რომელიც სამწუხაროდ, დაიღუპა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მან მეგობრები გააოცა, როდესაც გამოაცხადა, რომ იმ „დაღუპულ“ მამაკაცზე ქორწინებას აპირებდა.

მთელი მისი ცხოვრება უცნაურობებით იყო აღსავსე. პარიზში, კონსუელოს სახლში მისი პირველი ქმრის, არგენტინელი ჟურნალისტის, ჰომეს კარილოს ნიღაბი ეკიდა. თვითმხილველები ირწმუნებოდნენ, რომ როდესაც დიასახლისი სხვა მამაკაცთან ფლირტს აბამდა, ნიღაბი ჭრაჭუნებდა.

მტანჯველი სიყვარულის მშვენიერი საჩუქარი

ანტუანს ქალი ერთი ნახვით შეუყვარდა, რადგან მიაჩნდა, რომ კონსუელოს არ ჰქონდა ის თვისებები, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა. არავითარი მეშჩანობა, არავითარი მოწყენილობა და სიმყუდროვე. ის კონსუელოზე მაინც დაქორწინდა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი, რომლის აზრსაც ანტუანი დიდ პატივს სცემდა, ამის წინააღმდეგი იყო.

წყვილის ოჯახური ცხოვრება დაიწყო... ეს იყო 2, ნამდვილი „სამყაროს ადამიანის“ ცხოვრება. მათ არ ჰქონდათ სახლი, ხშირად რჩებოდნენ უფულოდ, მაგრამ თუ 2 „კაპიკი“ გაუჩნდებოდათ, ცოლ-ქმარი დაუნანებლად ხარჯავდა — აწყობდნენ მიღებებს, შეეძლოთ გაესესხებინათ კიდეც. ასეთ დროს ანტუანი ცოლისთვის ყვავილებს მის გადასაზიდ ორთვალასთან ერთად ყიდულობდა. კონსუელომ მწერლის ცხოვრებაში სიმსუბუქე, პოეზია და ფანტაზია შეიტანა. ის შესანიშნავი მთხრობელი გახლდათ და უბრალო ამბის მოყოლისას, ხშირად, ისეთ ჯადოსნურ დეტალებს ჩააქსოვდა, რომ ანტუანი ხელმეორედ მოყოლას სთხოვდა. ისიც დაუზარებლად იწყებდა ხელახლა თხრობას და კიდევ უფრო წვრილმან დეტალებს აქსოვდა.

ანტუანი თავის კონსუელოს ყველაფერს ჰპატიობდა — იმასაც კი, როცა განრისხებული მთელი ხმით გაჰყვიროდა, რომ ქმრისთვის ყელის გამოჭრა სურდა. ამ ყველაფრის მიღმა ის ნამდვილ სიყვარულს ხედავდა. მისთვის 2 კონსუელო არსებობდა. ერთი — რეალური, მოსიყვარულე, ლამაზი და ყურადღებიანი; მეორე — ნაზი, დახვეწილი, პოეტური. სწორედ კონსუელოს პროტოტიპია „პატარა უფლისწულის“ როზა.

ეგზიუპერის ოჯახში ატეხილი სკანდალების გამო, პარიზში ათას რამეს ამბობდნენ. იმას, რაც ანტუანს კონსუელოში ასე უყვარდა, მეორე მხარეც ჰქონდა. მწერლის დამატყვევებელი ექსპანსიურობა ხშირად უმართავ კაპრიზად იქცეოდა ხოლმე. კონსუელოს მიერ შეთავაზებული რიტმით ცხოვრება მწერალს ყოველთვის არ შეეძლო. იმისათვის, რომ ახალი ნაწარმოები შეექმნა, მას სიმშვიდე სჭირდებოდა. სიმშვიდე და კონსუელო ერთმანეთთან შეუთავსებლები იყვნენ. როდესაც ეს შეუთავსებლობა მწერლის განწყობილებაზე აისახებოდა, სწორედ მაშინ იჩენდა თავს სკანდალი.

ერთხელ მეუღლეები რაღაცის გამო წაკამათდნენ. კონსუელო ტყუოდა, მაგრამ დათმობა არ სურდა. ქმარიც ჯიუტად იდგა თავის აზრზე. კამათი თანდათან ჩხუბში გადაიზარდა და კონსუელომ პატარა, ჭირვეული ბავშვივით ყვირილი დაიწყო. ანტუანს შეეშინდა, რომ ხმაურზე მეზობლები შემოცვივდებოდნენ და ცოლს ეხვეწებოდა, გაჩუმებულიყო, მაგრამ ის ყვირილს უფრო და უფრო უმატებდა. ანტუანმა ცოლი საწოლამდე მიათრია, დააგდო და თავზე ბალიში დააფარა. კონსუელო წინააღმდეგობას უწევდა, ფრჩხილებით ფხოჭნიდა, მაგრამ მამაკაცის ძლიერი ხელი წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა. უეცრად ყვირილი მიწყდა. თითქოს ხმა შორიდან მოდიოდა. ანტუანმა ბალიში ასწია და დაინახა, რომ ქალს კბილებით გამოეგლიჯა. უამრავი ბუმბული გადაეყლაპა და ვეღარ სუნთქავდა. ეს ყველაფერი ტრაგიკულად და ცოტა სასაცილოდაც კი გამოიყურებოდა. მოგვიანებით ანტუანმა ფილოსოფიურად შენიშნა: „არასოდეს მინახავს, რომ ასეთი პატარა არსება ამდენ ხმაურს იწვევდეს“.

მათ ოჯახში მსგავსი სცენები იშვიათობას არ წარმოადგენდა. ხანდახან ერთმანეთს შორდებოდნენ კიდეც.

ერთხელ კონსუელო შინიდან ისე გაემგზავრა, რომ ქმარი არ გააფრთხილა. 48 საათის შემდეგ ეგზიუპერი ძალზე აღელდა და ადგილს ვერ პოულობდა. არავინ იცოდა, სად შეიძლებოდა წასულიყო პატარა, ჯიუტი არსება.

როგორც იქნა, ტელეფონის

ზარის ხმა გაისმა.

— სად წახვედი? რატომ მანერვიულებ? ყველაფერს გპატიობ, ოღონდ დაბრუნდი, — ყვიროდა ანტუანი.

— არა, — კონსუელო შეუვალი იყო.

— ის მაინც მითხარი, სად ხარ.

— სენ-მარტენის არხის სანაპიროზე ვარ და ახლა წყალში გადავეშვები, მშვიდობით, ტონიო!

1 საათის შემდეგ კონსუელო შინ დაბრუნდა.

რა თქმა უნდა, მათი ცხოვრება მხოლოდ სკანდალებით არ შემოიფარგლებოდა და სულიერი და ფიზიკური ერთიანობის პერიოდიც ჰქონდათ.

მეუღლეებს ძალიან ხშირად ჰქონდათ მატერიალური პრობლემა. ერთხელ პარიზში მათ გადაუხდელობის გამო დენი და ბუნებრივი აირიც გამოურთეს. ანტუანი კარგა ხანს ეძებდა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს, მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არ ჩანდა. მაშინ კონსუელო ქმარს ნაზად მოეხვია და უთხრა:

— ნუ დარდობ, საყვარელო, ამ მდგომარეობიდან აუცილებლად გამოვძვრებით.

— როგორ? — ჰკითხა ანტუანმა.

— წავალ და ვიმუშავებ.

— სად?

— დღიურ მუშად.

— ასეთი პატარა ხელებით?

— ქრისტესაც პატარა ხელები ჰქონდა, — უპასუხა ცოლმა.

— ნუ დარდობ, საყვარელო, ამ მდგომარეობიდან აუცილებლად გამოვძვრებით.

ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?

ანტუანისა და კონსუელოს ქორწინება თავიდანვე თავისუფალი იყო. ანტუანისთვის ფიზიკური ერთგულება მნიშვნელოვანი არ გახლდათ და კონსუელო ამით სარგებლობდა. ამბობენ, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე კონსუელო ქმარს თეფშებს ესროდა, ის კი ღიმილით იჭერდა. თუმცა, ასეთი გულგრილობა ხანდახან ეგზიუპერისაც არ ტოვებდა. 1935 წელს, ერთ-ერთი გაფრენის წინ ის მთელი ღამე ცოლს ბარებში ეძებდა. ის თავს აიძულებდა, რომ არ ეეჭვიანა, მაგრამ ეს თანდათან უფრო უძნელდებოდა. შედეგად, შტურვალს გამოუძინებელი მიუჯდა. თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა და მოხერხებულმა პილოტმა თვითმფრინავის უდაბნოში დასმა მოახერხა. თუმცა, რომ არა არაბი ბედუინი, რომელმაც ქვიშაში ჩაფლული მფრინავი იპოვა, ის შინ ვეღარ დაბრუნდებოდა. შინ კი აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები და უკმაყოფილო ცოლი ელოდნენ.

კონსუელოს მგზნებარე რომანები ანტონიოს სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონდა. წლების მატებასთან ერთად კი პრეტენზიული და ამაყი კონსუელო ქმარს იმპოტენციაშიც სდებდა ბრალს. ისეც ხდებოდა, რომ ამ პრეტენზიებს ის სახალხოდ ამჟღავნებდა. მწერლის ცხოვრებაში სხვა ქალები სწორედ ამ დროს ჩნდებოდნენ, კონსუელო ამას მშვიდად ვერ ხვდებოდა. ის ეჭვიანობდა ქმარზე არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ქალებს სწყალობდა, არამედ იმის გამოც, რომ ის მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. მას სურდა, რომ პირველ ადგილზე თვითონ ყოფილიყო.

უნდა ითქვას, რომ კონსუელოს გამოგონილი იმპოტენცია ხელს არ უშლიდა ახალგაზრდა მსახიობს, ნატალი პალეისა და მხატვარ ჰედე სტერნის ანტონიოს საყვარლობაში და მისით, როგორც მამაკაცით აღფრთოვანებაში, „პატარა უფლისწულის“ ავტორის ცხოვრებაში დიდი როლი ნორჩმა სილვია რეინჰარდტმაც ითამაშა.

ვაუკაცურად ეზიდებოდა თავის ჯვარსა და ნახევრად გიჟი მატყუარას ველურ სიყვარულს.

სილვიასგან მან მიიღო ის, რასაც კონსუელასგან ვერ იღებდა: სიმყუდროვე და სულიერი სითბო. მიუხედავად ამისა, ანტუანი ყოველთვის ცოლთან ბრუნდებოდა. ეგზიუპერი წერდა, რომ სიყვარული ბედნიერებაა, რომელიც ტანჯვითაა გაჯერებული.

მწერალი-მფრინავი, რომლითაც მთელი მსოფლიო იყო აღფრთოვანებული, ვაუკაცურად ეზიდებოდა თავის ჯვარსა და ნახევრად გიჟი მატყუარას ველურ სიყვარულს.

ეგზიუპერი ომში მიდიოდა და უკან დაბრუნების სურვილი არ ჰქონდა. არც დაბრუნებულა. ის სიკვდილს ეძებდა და იპოვა კიდეც.

1944 წელს ანტუანი თანამებრძოლებს ღიმილით უყვებოდა, რომ მკითხავმა მას ზღვის ტალღებში სიკვდილი უწინასწარმეტყველა, რადგან მეზღვაურად მიიჩნია.

1998 წელს, საფრანგეთის სანაპიროზე მეთევზეებმა ბადეს ოქროს სამაჯური ამოაყოლეს, რომელზეც ეგზიუპერისა და კონსუელოს სახელები იყო ამოტვიფრული. ●

პოტოლა



იმის გამო, რომ ჩვენი „გმირი“ ანა დასასვენებლად დასავლეთში გახლდათ და გასაგები მიზეზების გამო ვერ ჩამოდიოდა, ტელეფონი კი არ იჭერდა, მასთან დაკავშირება ვერ შევძელი. „რეალურის“ შეწყვეტის მიზეზიც ეს იყო. ამას იმ მკითხველებისთვის განვმარტავ, რომლებიც შეშფოთებული მირეკავდნენ, მიმესიჯებდნენ და ინტერესდებოდნენ, გაგრძელდებოდა თუ არა ანას ამბავი. როგორც იქნა, მე და ანა ერთმანეთს შევხვდით და ამბის გაგრძელებაც მოვისმინე. ახლა ჯერ თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

„მარი, რა ხდება, სად არის „რეალური“? უკვე 3 კვირაა, ანას შესახებ არაფერი ვიცით. ინტერესით ვკვდები, რა ხდება მის ცხოვრებაში. იქნებ მოახერხო და გვიამბო. ნატკა“.

„ნეტავ, ანას ამბავი აღარ იქნება? „რეალური“ ომის გამო შეწყდა? გაახურეს ამ რუსებმა საქმე, ყველაფერი აურ-დაურიეს და რა ხდება ქვეყანასა და ჟურნალში ვეღარ ვიგებ. „გზა“ ისე შეიცვალა, რომ ვეღარ „ვცნობ“. მარ, გააგრძელე „რეალური“ მტრის ჯინაზე, არ შეწყვიტო, რა?! ჩვენც, მგაზვნელებიც დავუბრუნდებით ძველ კალაპოტს. ისე, გრძნობ, რომ ეს საათივით აწყობილი ჩანართი ლამის თავზე დაგვემხო? რა ძნელი იქნება შენთვის, არა? ყველაფერი თითქმის თავიდან უნდა დაიწყო. წარმატებები, მარ“.

„ანა, სად ხარ? რატომ აღარ წერს მარი შენს ამბავს? შენი კაცებიდან ვინმე ომში ხომ არ წავიდა? დაგვიბრუნდი, ოჯახის წევრივით შეგიყვარეთ და არ დაგვტოვო. როდის გამოჩნდები? ენაგრძელი“.

„მარ, იცი, რას ვნატრობ? როდის ვიხილავ ჟურნალში შენს სიტყვებს: „ახლა კი განვაგრძობთ ამბის მოყოლას, რომელიც იმ მომენტში შევწყვიტეთ, როცა ანას ყოფილმა მეუღლემ, მახომ და ალენამ ერთმანეთი გაიცნეს, შემდეგ ანამ ალენას გულახდილად უთხრა, რომ მახოსთან ერთხელ სექსი ჰქონდა, შინ მისულმა კი აღმოაჩინა, რომ მახო ჯერ არ იყო სახლში დაბრუნებული. მზია ამის გამო ღელავდა და როცა ანამ დაამშვიდა, უთხრა, რომ გრძნობდა, მახოს ისევ ანა უყვარდა. მერე, მარი? რა მოხდა ამის მერე? კუკლა“.

მკითხველმა ისე კარგად ჩამოაყალიბა ჩემი სათქმელი, რომ სხვა გზა არ დამიტოვა, გარდა იმისა, რომ ვთქვა: ახლა კი ამბის გაგრძელებას გთავაზობთ.

დასაწყისი — „გზა“, №11-32

მარი ჯაფარიძე

— შენ ასე ფიქრობ, რომ მახოს მე ვუყვარვარ? — ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— ამას „შეუიარაღებელი“ თვალითაც შენიშნავს ადამიანი.

— არა მგონია, — ვთქვი ჩუმად და დავფიქრდი.

ნუთუ მართლა ასეა და მე ვერ ვამჩნევ? იქნებ სწორედ ამიტომ გაღიზიანდა, როცა ალენასთან ერთად დამინახა? იქნებ ამიტომ ცდილობს ჩემთან ახლოს ყოფნას? არა, არა! ეს გამორიცხულია!

— უბრალოდ, მას ისეთივე რეაქცია აქვს ჩემს საქციელზე, როგორიც ნებისმიერ მამაკაცს ექნებოდა, — ხმამაღლა ვთქვი, რათა მზიას გაეგო: ჩვენ ერთად რომ არ ვცხოვრობდეთ, დარწმუნებილი ვარ, ყურადღებასაც არ მიაქცევდა ჩემს საქციელს. ახლა კი ძალაუნებურად, ყველაფერზე რეაქცია აქვს.

— შენ გიყვარს?

— ვინ, მახო? რა სისულელეს ამბობ, რომ მიყვარდეს, ვინ დამიშლის მასთან ურთიერთობას?

— იქნებ, შენი საქციელი უბრალოდ, შურისძიებაა და მეტი არაფერი? იქნებ გიყვარს და თავის საქციელს ვერ ჰპატიობ? გავა დრო, გული მოგიბრუნდება და ტკბილად და ბედნიერად იცხოვრებთ. მე კი სამსახურსაც დავკარგავ და საყვარელ მამაკაცსაც.

— ნუ ნერვიულობ, — ხელზე ხელი დავადე მზიას, — ჩემგან ასეთი საფრთხე არ გელოდება. მე სხვა მიყვარს და მალე ალბათ ცოლად გავყვები, მახო კი შენთვის დამითმია თავისი კარგი და ცუდი თვისებებით.

მივხვდი, რომ მზიას გულზე მოეშვა, იმედი გაუჩნდა და შვებით ამოისუნთქა. ადგა და სამზარეულოში გავიდა, მე კი ჩემს საფიქრალს ჩავუღრმავდი.

მგონი, ნაადრევად დავთანხმდი ალენას წინადადებას. მახო რომ არ შეგვხვედროდა, ასე არ მოვიქცეოდი. ახლა? ახლა მახოს გულის გასახეთქად ხმამაღლა განვაცხადე, ალენას

ცოლად მივყვები-მეთქი; ორიოდე წუთის შემდეგ ალენას გამოვუტყდი, მახოსთან სექსი მქონდა-მეთქი და რა? საქმე გავაფუჭე. ნეტავ, მაიკო რას იტყვის, ახალ ამბავს რომ ვეტყვი? მან ჯერ ისიც არ იცის, ჩემსა და ალენას შორის ფლირტი რომ იყო და უცებ რომ ვეტყვი, ცოლად მივყვები-მეთქი, შოკში ჩავარდება. ახლაღა გამახსენდა, მაიკომ დღეს თავისთან მისვლა რომ მთხოვა. საათს შევხედე, ღამის 12 იყო „გაჭიმული". „ახლა კონკია რომ ვიყო, ჩემი ეტლი კვახად, ცხენები — თაგვებად, მე კი ჩამოძონძილ გოგოდ გადავიქცეოდი", — გავიფიქრე და გამეღიმა. ძალიან მომინდა ვინმესთვის გულის გადაშლა და მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიანი იყო, ტელეფონზე მაიკოს ნომერი ავკრიბე.

— გოგო, აკი დღეს უნდა მოსულიყავი? — პირველსავე ზარზე ეცა ტელეფონს და მივხვდი, რომ ჯერ არ ეძინა.

— საქმე მქონდა, თუ გინდა, მოვალ და მოგიყვები, რატომ ვერ მოვედი.

— მოდი, მარტო ვარ.

— ხელოსანი მოვიდა? ფანჯრები უკვე შეღება?

— ხელოსანი მთელი კვირა მატყუებდა და არ მოვიდა. შენ იმიტომ დაგირეკე, რომ შეღებვაში მომხმარებოდი, მაგრამ არ მოხვედი და მარტომ გავაკეთე.

— კარგი, ახლავე მოვალ, — ჩავძახე ყურმილში და მანქანის გასაღებს დავწვდი, — მზია, ამაღამ მაიკოსთან დავრჩები, — გავძახე და ღია კართან შეჩეხებულ მახოს გვერდი მდუმარედ ავუარე.

— ქალბატონი ალბათ ღამის პაემანზე მიბრძანდება, არა? — სიმთვრალის გამო ძლივს ამოთქვა მახომ. — ის მაინც მითხარი, მე მჯობია სექსში? — დაამატა ბოლოს, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და კიბეზე ჩავირბინე.

საჭეს რომ მივუჯექი, მაიკოს სიტყვები გამახსენდა, „მალიარად" რომ მეპატიჟებოდა და გამეცინა. ჩემგან „მალიარი" ისევე ვერ დადგებოდა, როგორც მედვედევისგან — პრეზიდენტი.

რამდენიმე წუთში უკვე მაიკოს რბილ სავარძელში ვიჯექი და შეუმშრალი საღებავის სუნს, ახალმოდუღებული ყავის სურნელთან ერთად ღრმად ჩავისუნთქავდი.

— ახალი რა არის, როგორ ხარ? — ისე, სხვათა შორის მკითხა მაიკომ.

— ახალი ის არის, რომ შეიძლება მალე გავთხოვდე, — მეც სხვათა შორის ვთქვი და მის რეაქციას დაველოდე.

— რაააა??? მართლა?

— ჰო, მართლა.

— დღეს პირველი აპრილი ნამდვილად არ არის. ალბათ, უბრალოდ, ხუმრობის გუნებაზე ხარ, არა?

— არა, სიმართლეს ვამბობ, მართლა ვაპირებ გათხოვებას, მაგრამ რომ გაიგო, ვისზე ვთხოვდები, გაოცება მერე ნახე.

— ახლა არ მითხრა, რომ გაბოზე თხოვდები, — ისეთი გამარჯვებული სახით შემომხედა, რომ დარწმუნებული იყო, გამოიცნო.

— გაბოსთვის გემეტები, ადამიანო? არ გრცხვენია?

— მე არ მემეტები, მაგრამ შენ თუ არ დაიშლი, რაღას ვიზამ? მეც ბედს შევურიგდები.

— გაბო გამორიცხე, ასეთი ქლესა კაცები არ მხიბლავენ, — ისე დავიმანჭე, რომ დარწმუნდა, სიმართლეს ვამბობდი.

— აბა, ვინ არის, გოგო, მე ვიცნობ?

— კი, იცნობ.

— მაშინ ან დათო იქნება, ან შენს ქმარზე მეორედ თხოვდები.

— არა, — ისევ გავაქნიე თავი.

— მითხარი, სული ნუ ამომხადე, ნამდვილი სადისტი ხარ.

— ალენაზე!

— რაო? მომესმა თუ მართლა ამბობ?

— მართლა ვამბობ.

— შენ ახლა ისე მაწყენინე, რომ ჩემს გულს ვერასოდეს მოიგებ, — მითხრა და თვალები აუწყლიანდა.

— რა იყო, რატომ გამიბრაზდი? — მისი რეაქცია მართლაც მოულოდნელი იყო.

— ჩემ ცხვირწინ რომანი გქონია გაბმული, ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებამდეც მისულხარ და მე ამას ახლა ვიგებ?

— აა, აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე, მე კი მეგონა, შენც ალენა გიყვარდა, — ვთქვი და გადავიხარხარე.

მაიკოს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი და მივხვდი, რომ თხრობის დასასრულს ჩემზე გული საბოლოოდ მოუბრუნდა.

— მე ეგ კაცი ძალიან მომწონს, გარეგნულად „კრასავჩიკია", როგორც ამბობენ, არც ვაუკაცობით ჩამოუვარდება ვინმეს და არც ქონებით. თუ უყვარხარ, მაგას რა სჯობია?

— რა ვიცი, ვფიქრობ, რომ ცოტა ნაჩქარევად მივიღე გადაწყვეტილება, მაგრამ ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს.

მე და მაიკოს დილამდე თვალი არ მოგვიხუჭავს, ყველა თემას შევეხეთ, გავარჩიეთ და როგორც ქალური საუბრების უმეტესობა სრულდება, ჩვენც იმ დასკვნამდე მივედით, რომ ყველაფერს ისევ უმამაკაცოდ ცხოვრება სჯობს, მაგრამ მთლად უიმათოდაც არაფერი გამოვა.

დილით ადრე გავიღვიძე და ავფუსფუსდი. ერთი სული მქონდა, სამსახურში როდის მივიდოდი. ალენა მთელი საღამო არ დამკონტაქტებია, რაც ცოტა უჩვეულოდ მომეჩვენა და ამის გამო ვღელავდი.

კაბინეტში შევედი თუ არა, მაშინვე ფეხდაფეხ მომყვა.

— დილა მშვიდობისა, მის, — მითხრა და შემომცინა.

— სად იყავი გუშინ? — ეჭვით შევხედე და მკაცრი სახე მივიღე.

— რატომ მეკითხები?

— ჯერ მე დავსვი კითხვა და პასუხი გამეცი, მერე მე გეტყვი, რატომ გეკითხები.

ალენა შეყოვნდა, პასუხი მაშინვე არ გამცა.

— რატომ დუმხარ?

— არ მინდა, მოგატყუო.

— ჰოდა, ნუ მომატყუებ, სიმართლე მითხარი.

— სიმართლის თქმა კი არ მინდა, — თქვა და საათს დახედა.

— გასაგებია, — გულ-დაწყვეტილმა ჩავილაპარაკე და მივხვდი, რომ ალენას წუხანდელი დაკარგვა ქალთან იყო დაკავშირებული.

— რა არის გასაგები? — ჩამეკითხა.

— ახლა ამ თემაზე სალაპარაკოდ არ მცალია, არც სამაგისო განწყობილება მაქვს, მარტო მინდა დარჩენა, რადგან ბევრი საფიქრალი მაქვს.

— ჩვენზე უნდა იფიქრო?

— ჩვენზეც!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲨᲕᲐᲠᲪᲕᲔᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ...



დღესდღეობით რჯინის არნის ცხოვრებაში ყველაფერი ჩვეულებრივ რიტმს მიჰყვება – მისი ქონება 100 მილიონი დოლარია, სულ უბრალო როლისთვის ჯი 20 მილიონს უხდიან; გემოვნებით იცვამს და ჯეთილად უღიმის ჯალიფორნიელ ამომრჩეველს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა. არც ისე დიდი ხნის წინ, დაჯუნთული, ცისფერთვალება ყმაწვილი ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა იყო.

ის 1947 წლის 30 ივლისს, ავსტრიულ ქალაქ გრაცში დაიბადა. დედამისი დიასახლისი გახლდათ, მამა — პოლიციელი. ბიჭუნას სპორტი ბავშვობიდან იტაცებდა, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა, რომ საყვარელი საქმით დაკავებულიყო. მამამისს სულ უბრალო ოცნება ჰქონდა — მისი არნი ფეხბურთელი გამოსულიყო, მაგრამ იღბალმა სხვაგვარად ინება. არნიმ ფეხბურთი მიატოვა და ბოდიბილდინგით დაკავდა.

რკინის არნი იხსენებს, რომ ძალზე რთული პერიოდი გაიარა, მაგრამ წარმატება არასოდეს ტოვებდა. როგორც თვითონ ამბობდა, სპორტს მხოლოდ მაშინ მიატოვებდა, თუ უდროოდ გარდაიცვლებოდა. თავის კოლეგა კულტურისტებს შორის ის ყველაზე სენტიმენტალურ მამაკაცად მიიჩნეოდა. ბოლოს და ბოლოს, სპორტის ისტორიაში ყველაზე დაკუნთული მამაკაცის სახელით შევიდა. სინამდვილეში კი ბოდიბილდინგის პოპულარიზაცია სწორედ მისი დამსახურება გახლდათ.

რაც შეეხება ჯილდოებს, ჩვენმა გმირმა მრავალგზის მოიპოვა „მისტერ სამყაროსა“ და „მისტერ ოლიმპიადის“ ტიტული. არნოლდი ამას კანონზომიერად მიიჩნევდა.

22 წლის ასაკში არნოლდმა გადაწყვიტა, თავი კინოში ეცადა და გეზი ჰოლივუდისკენ აიღო. პროდიუსერებს თვალში მოუვიდათ მისი გარეგნობა და აღნაგობა. მიიჩნიეს, რომ მომხიბვლელი ყმაწვილი იყო და უმალვე შესთავაზეს მთავარი როლები.

ღმერთმა იცის, რამდენი წლის განმავლობაში თამაშობდა სუსტების დამცველისა და ქვეყნიერების გადამრჩენის როლს. წლების მატებასთან ერთად, ნაოჭების დაფარვა უფრო და უფრო ჭირდა. ჩვენმა საყვარელმა ტერმინატორმა სამყარო სამჯერ უკვე გადაარჩინა და ახლა მეოთხედ აპირებს. ეს ჰოლივუდისთვის საოცრად ხანგრძლივი პოპულარობაა.

მიუხედავად იმისა, რომ შვარცენეგერი წლების განმავლობაში სექსუალურ გიგანტად მიიჩნეოდა, მის ცხოვრებაში არსებული ქალების შესახებ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. ადრინდელი ფოტოებიდან მხოლოდ ისინია შემორჩენილი, სადაც ის „მის ამერიკასთან“ ერთადაა გადაღებული.

დანამდვილებით კი მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მის ცხოვრებაში ერთხელ გამოჩნდა ცოლი... მომავალ მეუღლეს არნი ელიტურ საღამოზე შეხვდა და 10 წლის განმავლობაში მისი ოფიციალური თაყვანისმცემელი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჟურნალისტი მარია შრაივერი მის ცოლობას დათანხმდა. როდესაც არნის ეუბნებოდნენ, რომ ანგარებით დაქორწინდა, ის პასუხობდა, რომ დიახ, ანგარებით დაქორწინდა, მაგრამ მას მარიას საზოგადოებრივი მდგომარეობა და სიმდიდრე კი არა, მისი წელის ქვედა ნაწილი ხიბლავდა. ცნობილი არნი ცოლის მონად გადაიქცა.

20-წლიანი თანაცხოვრების შედეგად არნოლდსა და მარიას 4 შვილი შეეძინათ. გამოკითხვების მიხედვით, ამერიკელებს მათი ოჯახი იდეალურად და სამაგალითოდ მიაჩნიათ. თვით არნიც ყველა ინტერვიუში აღნიშნავს, როგორ უყვარს თავისი მარია.

ცნობილია მისი ერთადერთი, ოფიციალური საყვარელი, რომელმაც მათი სიყვარულის შესახებ წიგნი დაწერა, არნიმ კი ამ წიგნისთვის — წინასიტყვაო-











ბა. ამბობენ, რომ მათ ჰონორარი „ძმურად“ გაინაწილეს.

გარდა სულით მტკიცე ქალებით გატაცებისა, კალიფორნიის გუბერნატორს კიდევ ერთი უცნაურობა ახასიათებს. მას იაფფასიანი სიგარები მოსწონს. ყველამ იცის, რომ ყველაზე ძვირი სიგარა, რომელიც არნის მოუწევია, 7 დოლარი ღირდა. მერე რა? ის ამით ამაყობს კიდეც, რადგან რაც მოსწონს, იმას ეწევა და მიიჩნევს, რომ ასე გაცილებით მომხიბვლელია.

ამჟამად არნი ღია ფერის, ცნობილი დიზაინერების მიერ შეკერილ კოსტიუმებს იცვამს, მაგრამ ოდესღაც ის თავისი სპორტული ტრუსებით იყო ცნობილი. ჰქონდა ტრუსი — ნებისმიერი შემთხვევისთვის. თუმცა, კარიერის დასაწყისში არნის შეეძლო, რომ ტრუსის გარეშეც გადაეღო სურათი, მაგრამ ღია პორნოგრაფია არ ხიბლავდა, მხოლოდ მსუბუქი ეროტიკით შემოიფარგლებოდა და ამბობდა: „სიამოვნებით გადავიღებ შიშვლად. მე მაქვს ის, რისი ჩვენებაც ამაყად შეიძლება“.

მოგვიანებით, როდესაც ჟურნალები მისი შიშველი სურათებით აჭრელდა, განაცხადა, რომ ამიერიდან მხოლოდ ჩაცმული გამოჩნდებოდა პრესის ფურცლებზე. ჩაცმაში ის ტრუსში გამოწყობას გულისხმობდა.

მისი ტრუსების კოლექციაში შედიოდა კლასიკური, პატარა, შავი ტრუსის ოდნავ გრძელი მოდელი, რომლითაც ის ჰოლივუდის დასაპყრობად ჩამოვიდა; წითელი, რომელსაც თავად „ვაჟკაცურს“ უწოდებდა; რომანტიკული, ვარდისფერი ტრუსი და მისი კოლექციის ვარსკვლავი — ყველაზე საყვარელი, ყვავილებით მოჩითული ტრუსი.

უგემოვნობისა და უმსგავსობის ეს ზეიმი ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა, რომ არა სპორტული ტანისამოსის მწარმოებლები, რომლებმაც არნიზე ზრუნვა გადაწყვიტეს.

არნის არასოდეს ეშინოდა სასაცილოდ გამოჩენის. როდესაც პაპარაცის მიერ გადაღებულმა, სქელი არნის ფოტოებმა მსოფლიო მოიარეს, რა სისაძაგლეც უნდა ეთქვათ ამის თაობაზე, რკინის არნი რკინისებურად დუმდა და კომენტარს არ აკეთებდა.

მას შეეძლო, პუბლიკის წინაშე ნებისმიერ მდგომარეობაში წარმდგარიყო — მაგალითად, გატეხილი ტუჩით. შვილთან ერთად ავტოავარიაში მოხვედრის შემდეგ გუბერნატორს 15 ნაკერი დაადეს. ის კი არათუ იმალებოდა, თავისი იარის დემონსტრირებასაც ახდენდა. რაც შეეხება



ბოლო ინაუგურაციას, როდესაც ამერიკელების საყვარელი არნი კალიფორნიის შტატის გუბერნატორად მეორე ვადით აირჩიეს, ის ცერემონიაზე მოტეხილი ფეხითა და ყავარჯნით წარდგა. მიუხედავად ამისა, ცერემონია საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.







ყველაზე ბედნიერი დღე

მარი ხაფარიძე

ნინოს და გიორგის ცხოვრებაში, როგორც იქნა, ყველაზე ბედნიერი დღე დადგა. ისინი სანაპიროზე, ხელიხელჩაჭიდებული იდგნენ, დაღლილები და უბრალოდ, ელოდნენ, როდის მოხდებოდა მათ ცხოვრებაში ყველაზე დიდი ცვლილება.

მათთან გიორგის მეგობარი და „შეთავსებით" მეჯვარე, დათო მივიდა.

— აბა, რაო, მტრედებო, ხომ არ ნერვიულობთ? ჩვენი რიგიც მალე მოვა.

— მართლა? როგორც იქნა, — გახარებულმა უპასუხა გიორგიმ და ფეხი მოინაცვლა. ნინოს ხელი უფრო მაგრად ჩასჭიდა და ლამაზი სახლის შესასვლელი კარისკენ გაიყოლა. ნინო კნუტივით მორჩილად მიჰყვა.

მცირე ინსტრუქტაჟის შემდეგ წყვილი მთავარ დარბაზში მიიწვიეს. გიორგისა და ნინოს ყურს საოცნებო მარშის ხმა მისწვდა და უზარმაზარი კარიც გაიღო.

— რა ლამაზია ჩემი გოგონა, — ობოლი ცრემლი მოიწმინდა ნინოს დედამ.

— ჩემი ბიჭი ნაკლებია? ნახე, როგორი მაღალი და ლამაზია, ენაცვალოს დედა, — იდაყვი გაჰკრა გიორგის დედამ და გულმოსულმა გვერდზე გაიხედა.

ამ დროს ნინო და გიორგი დარბაზის შუაგულს მიუახლოვდნენ, სადაც მათ ცერემონიის წამყვანი, თმაგაწეწილი, ფაშფაშა ქალბატონი ელოდათ.

ქალბატონი „წამყვანი" ძალზე ნერვიულობდა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და განწელილად წარმოთქვა:

— ამ ღისშესანიშნავ დღეს ჩვენთან სტუმრად შესანიშნავი წყვილია. მათ სურთ, თავიანთი ურთიერთობა ოფიციალურად დაარეგისტრირონ.

ქალბატონმა მცირე პაუზა გააკეთა და განაგრძო:

— ბევრს აღარ მოგაცდენთ და დავიწყებ. ბოლოს და ბოლოს, ქორწილი ხომ არ არის?! მაშ ასე, განქორწინდებიან ნინო და გიორგი. ნინო, თანახმა ხარ, განქორწინდე გიორგისთან?

— დიახ, თანახმა ვარ!

ქალბატონი გიორგის მიუბრუნდა:

— გიორგი, თანახმა ხართ, განქორწინდეთ ნინოსთან?

გიორგიმ გაბრწყინებული თვალებით გადახედა ნინოს და თქვა:

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ!

ქალბატონმა „წამყვანმა" შვებით ამოისუნთქა, თავისი ქაღალდები დაკეცა და ვალმოხდილი ადამიანის ხმით განაცხადა:

— ასეთ შემთხვევაში, გაცხადებთ ყოფილ ცოლ-ქმრად. შეგიძლიათ, ბეჭდები დააბრუნოთ.

ნინომ უცებ მოიხსნა თავისი დაუსრულებელი რეცხვითა და სახლის ლაგებით დაკაწრული რგოლი, გიორგი კი კარგა ხანს ეჭიდებოდა თავის ბეჭედს. ყვითელ რგოლს არაფრის დიდებით არ უნდოდა ლუდის სმით დასივებული თითის დატოვება. როგორც იქნა, ბეჭედი დანებდა. ქალბატონმა ფრთხილად ჩამოართვა ოჯახური ცხოვრების უკვე უსარგებლო ატრიბუტები, დამსწრე საზოგადოებას გადახედა და კმაყოფილი სახით განაცხადა:

— ახლა სტუმრებს შეუძლიათ ახალგანქორწინებულებს მიულოცონ.

ასეთი უზარმაზარი თაიგულები ნინოს ქორწილშიც კი არ უნახავს. მისი ხელისმომკიდე ლამის წელში ილუნებოდა ყვავილების სიმძიმით. გიორგის მეგობრები ორივეს კოცნიდნენ და აღტაცებას მხარზე ხელის ტყაპუნით გამოხატავდნენ: „ყოჩაღ, გიორგი, კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო!" გიორგი იღიმებოდა და ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

ოფიციალური „განყოფილება" მალე დასრულდა და ბედნიერი წყვილი, სტუმრებთან ერთად რესტორან „თეთრ ლამეს" ეწვია, სადაც გამოცდილი თამადა, გურგენ ვასილევიჩი ელოდათ. მან წყვილს თასით ღვინო მიართვა.

— აბა, ვინც მეტს მოსვამს, ის ყოფილა ყველაფერში დამნაშავე და ოჯახის ბიუჯეტსაც ის ანიავებდა.

ღვინის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, გიორგიმ მოსვა.

— აი, სიმართლე სად გამოჩნდა, ხელფასის ნახევარს მეგობრებში ხარჯავდა, — ჩაიცინა ნინომ.

გიორგიმ ყოფილ ცოლს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და გაჩუმდა.

სტუმრები უკვე სუფრასთან ისხდნენ. ახალგანქორწინებულთათვის ცალკე სუფრა იყო გაშლილი. მათ საკმეხს შუა კი მოზრდილი ტუმბო იდგა. ყოფილი ქმრის უკან კედელი წარწერებით იყო აჭრელებული: „კმარა!" „გაუმარჯოს უცოლოდ ცხოვრებას!" „სექსს ცოლი კი არა, საწოლი სჭირდება!" ყოფილი ცოლის უკან კი არანაკლები აგიტაციის შემცველი პლაკატები იწონებენ თავს: „წინდების რეცხვა მოწყენილობის საწინდარია!" „გაუმარჯოს თავისუფლებას!" „ძირს კაცები!"

პირველად ნინოს სადღეგრძელო შესვეს, რომელმაც „დიდხანს ითმინა, ითმინა, ბოლოს კი ვეღარ მოითმინა და საერთოდ, ისინი თავიდანვე შეუფერებელნი იყვნენ". შემდეგ გიორგი ადღეგრძელეს, რომელიც „ნამდვილი მამაკაცი, ოჯახის ბურჯი და ცოლის ერთგული ადამიანია, მაგრამ ასეთი ცოლის ხელში ვერ გაიხარა, მისი სიკეთე ვერავინ დაინახა"; შემდეგ მშობლების სადღეგრძელოც შესვეს, რომლებიც „მათი ქორწინების წინაალმდეგი თავიდანვე იყვნენ, მაგრამ ყური არავინ უგდო".

შემდეგ შეზარხოშებულმა სტუმრებმა „გორკაც" დაიძახეს. ახალგანქორწინებულები წამოდგნენ, გიორგი ნინოსკენ გადაიხარა და ორივე ხელის თითები ყელზე შემოაჭდო. ყოფილმა ცოლმა კი ყვირილი ატეხა და გიორგის ცემა დაუწყო.

როგორც იქნა, გურგენ ვასილევიჩმა წყვილი დააშოშმინა და ახალგაზრდებმა საჩუქრების დარიგება დაიწყეს.

უზარმაზარი ტომრებიდამ იღებდნენ ერთ დროს მათთვის ნაჩუქარ ნივთებს და უკან არიგებდნენ.

— ეს დედამთილმა მაჩუქა, — თქვა ნინომ და უზარმაზარი, ალუმინის ქვაბი დაუბრუნა ყოფილ მფლობელს.

— ეს კი მამაშენმა, — გიორგიმ ძველი პატეფონი ამოათრია ტომრიდან.

— ეს ირმის რქები მამიდაშენმა მაჩუქა, — ნინომ შელახული რქები პატრონს გადააწოდა.

მთელი საღამო სტუმრები ახალგაზრდების საღეგრძელოს სვამდნენ და მათ ახალ ცხოვრებას ლოცავდნენ.

მოგვიანებით კი მათ განმარტოებისა და „უკანასკნელი საქორწილო ღამის" ჩატარების საშუალებაც მისცეს. ახალგაზრდებს სურდათ, ერთმანეთისთვის დაუვიწყარი მოგონებები დაეტოვებინათ და მთელი გულით გადაეშვნენ სიყვარულის მორევში.

დილით ნინო ყავის სასიამოვნო სურნელმა გააღვიძა. გიორგი საწოლზე ჩამომჯდარიყო და მისთვის ყავა მოერთმია. ეს მათი თანაცხოვრების მანძილზე პირველად ხდებოდა. ნინომ მშვიდად დალია ყავა და ჭიქის ძირში ბრილიანტისთვლიანი, ოქროს ბეჭედი ალმოაჩინა. ყოფილ ქმარს გაოცებულმა შეხედა.

— ნინო, გამომყევი ცოლად! — ჩაიჩურჩულა მან, — დიდი ხანია, ამ ბეჭდისთვის ფულს ვაგროვებდი. ყოველ ხელფასზე გარკვეულ თანხას ვინახავდი.

ალბათ მიხვდით, რომ ისინი ხელახლა დაქორწინდნენ და დღესაც ერთად ცხოვრობენ. 3 შესანიშნავი შვილი ჰყავთ...

გვჯერათ? არა, ნუ დაიჯერებთ, რადგან ეს მხოლოდ ზღაპარია, სინამდვილეში ისინი დიდი სკანდალით დაშორდნენ ერთმანეთს, გაინაწილეს ბინა, ქონება...

გიორგი განქორწინების შემდეგ ხელიდან წავიდა, ნინომ კი მდიდარი საყვარელი გაიჩინა.

ყველაფერი კი ისე რომ მომხდარიყო, როგორ მე ზემოთ აღვწერე, მაშინ განქორწინების შემდეგ გაცილებით მეტი ადამიანი იგრძნობდა თავს ბედნიერად. ●

უცნაური დაავადებები



ვინ ჰოფი

ვინ არ ყოფილა ავად? ყველაზე ჯანმრთელ ადამიანსაც კი შეიძლება, სურდო შეეყაროს. თუმცა, ეს ძალზე ტრივიალურია იმასთან შედარებით, რასაც ახლა გიამბობთ. ზოგიერთ ადამიანს ისეთი უცნაური და იშვიათი დაავადება აწუხებს, რომ მის დასამარცხებლად მედიცინა უძლურია და ექიმები მხოლოდ მხრებს იჩეჩენ.

59 წლის ინგლისელი მისტერ პერი წონაში მომატებას ვერ ახერხებს. ბავშვობაში ის საკმაოდ პუტკუნა იყო, მაგრამ 12 წლის ასაკში წონა 1 ღამეში დააგდო. ძირფესვიანი გამოკვლევის შედეგად, ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მისი ორგანიზმი საჭიროზე 6-ჯერ მეტ ინსულინს გამოიმუშავებს. ასე რომ, რა რაოდენობის კალორიაც უნდა მიიღოს, მის ორგანიზმში ცხიმები თვალის დახამხამებაში იწვის.

ვიმ ჰოფმა მსოფლიოში უკვე გაითქვა სახელი, როგორც ყინულის ადამიანმა. 48 წლის ჰოლანდიელ მეცნიერებს თავისი ამტანობით აოცებს. მას შეუძლია, ნებისმიერ ტემპერატურას გაუძლოს. ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ დაბალ ტემპერატურაზე მოკვდება. ერთხელ ის შორტში გამოწყობილი მონბლანის მწვერვალზეც კი ავიდა.



რეტ ლემბი

ქეი ანდერვუდი

ნატალი კუპერი

რეტ ლემბი ერთი შეხედვით 3 წლის ბავშვისგან არაფრით განსხვავდება, გარდა იმისა, რომ მას საერთოდ არ სძინავს. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ექიმებმა ტვინის იშვიათი პათოლოგია აღმოუჩინეს. თუმცა, მშობლების ხვედრი ამით არ შემსუბუქებულა. 3 წლის ბავშვს დღედაღამ ყურადღება სჭირდება.

ეშლი მორისისთვის აბაზანის მიღება, ზღვაში ბანაობა და ოფლის გამოყოფაც კი არ შეიძლება. საკმარისია ნებისმიერ სითხესთან კონტაქტი და, 19 წლის ავსტრალიელს ალერგიული გამონაყარი უჩნდება.

17 წლის ნატალი კუპერი უცნაური დაავადებით იტანჯება. როგორც კი საკვებს მიიღებს, მაშინვე გული ერევა. მისი კუჭი ვერანაირ საკვებს ვერ ამუშავებს, გარდა „ტიკტაკისა“.

დები ბერდი



მისტერ პერი

24 წლის ამერიკელი, კრის სენდსი ყოველ 2 წამში ასლოკინებს. ხანდახან — ძილის დროსაც კი. ამის მიუხედავად, ის როკჯგუფში მღერის. როგორც თავად კრისი ამბობს, ავადმყოფობამ მას საშუალება არ მისცა, მუსიკოსი გამხდარიყო. ექიმები ამბობენ, რომ ყველაფერში დამნაშავე კუჭის დაავადებაა და ცდილობენ, ავადმყოფის განკურნების გზას მიაკვლიონ.

20 წლის ქეი ანდერვუდი კატაპლექსიითაა დაავადებული. ნებისმიერი განცდა — სიხარული, სიბრაზე, სიცილი, შიში, მოფერებაც კი გოგონას გონს უკარგავს. გარდა ამისა, გოგონას ნარკოპლექსიაც აწუხებს. ეს უეცრად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩაძინებას ნიშნავს.

დები ბერდს არ შეუძლია მობილური ტელეფონით ლაპარაკი, კომპიუტერთან ჯდომა, მიკროტალღურ ღუმელთან ურთიერთობა, ტელევიზორის ყურება, რადიოს მოსმენა და გადაადგილებითაც მხოლოდ განსაკუთრებული ავტომობილებით გადაადგილდება. თანამედროვე აპარატურის ელექტრომაგნიტური გამოსხივება კანის ალერგიულ რეაქციას იწვევს.

დისტანცია სიყვარულს შეგინარჩუნებს

ზოგიერთი ქალი სულიერ გრძნობებსა და ქალურ ამბებზე დედასთან მუსაიფობს, ქმართან კი მხოლოდ სამსახურებრივ უსიამოვნებებზე ლაპარაკობს და მისგან მხარდაჭერას ელის. ზოგიც, ბავშვობიდან მოყოლებული, მთელ თავის ისტორიასა და ნათესავ-მეგობრების ოჯახურ მდგომარეობაზე ლაპარაკით ქმარს გულს უწყალებს.

იმას კი არ გირჩევთ, რომ ქმართან თქვენს წარსულზე, ჯანმრთელობასა და ნეთესავ-მეგობრებზე საერთოდ არ ისაუბროთ, არამედ, როგორც ყველაფერში, აქაც ზომიერების დაცვაა საჭირო. მამაკაცი თქვენდამი რომანტიკულ განწყობილებას მანამ ინარჩუნებს, სანამ ბოლომდე არ შეგიცნობთ.

გრაფი მარხანი

დაიცავით დისტანცია

რა თქმა უნდა, ძნელია, თავი შეიკავო და არაფერი ჰკითხო ქმარს, როდესაც შინ გვიან და შეფიქრიანებული ბრუნდება, მაგრამ დაფიქრდით, სურს კი მას ყოველთვის, რომ მისი უგუნებობის მიზეზი გაიგოთ? თუ თქვენს კითხვაზე გაღიზიანებული გიპასუხებთ, ეს საკმარისი მიზეზია უკან დასახევად. ბევრი ქალი, განსაკუთრებით ის, ვისაც შვილი არ ჰყავს, უბრალოდ, როლებს ურევს, დედობრივი ინსტინქტით ხელმძღვანელობს და მამაკაცს ბავშვივით ეექცევა. ზოგს ეს მოსწონს, ზოგს კი აღიზიანებს. არსებობს ქალთა ისეთი კატეგორიაც, რომლისთვისაც სიყვარული „მეგობრის ყოველი აზრის შეტყობას“ ნიშნავს და ქმარს გულს უღონებს კითხვებით: „რაზე ფიქრობ?“ „თუ გინდა, დაგეხმარები!“ სინამდვილეში, დახმარების ნაცვლად, ხელს უშლის და მოთმინებიდან გამოჰყავს. სამსახურზე, წარსულსა და ნათესავებზე კითხვებით თავს ნუ მოაბეზრებთ, თუ ამას თვითონ არ მოისურვებს, მაგრამ აქაც ფრთხილად იყავით, არ გადაამეტოთ.



ნაკლები ინფორმაციით

სიყვარულის ერთ-ერთი მთავარი მტერი ყოფით პრობლემებზე წუწუნია. მართალია, ცხოვრებაში მათ გვერდს ვერ აუვლით, მაგრამ გაკონტროლება და რაოდენობის შემცირება შეგიძლიათ. ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ფულზე, საყოფაცხოვრებო პრობლემებზე, სამსახურსა და ახლობლებთან ურთიერთობაზე საუბრების 80% უსარგებლოა. ე.ი. წუწუნი პრობლემების გადაჭრაში ვერ დაგეხმარებათ. მაშ, თქვენი ცხოვრება ლაყბობაში რატომ უნდა გაატაროთ? ეს ყველაფერი გრძნობებს ღუპავს. თუ ყოფითი პრობლემები გულს გიმძიმებთ და გტანჯავთ, საუკეთესო საშუალებაა, მათზე მაღლა დადგეთ. ე.ი. მათ შესახებ არ ისაუბროთ (ან რაც შეიძლება, ნაკლები ილაპარაკოთ). ამგვარად, მაღალ და დაბალ ღირებულებებს შორის ზღვარს გაავლებთ. თქვენი ცნობიერებისთვის რეალურია ყველაფერი, რაც სიტყვებითაა გადმოცემული. თუ მამაკაცს მხოლოდ „მდაბალზე“ ესაუბრებით, თქვენი ურთიერთობა სიმაღლეს დაკარგავს. თუ სიყვარულზე — ე.ი. „მაღალზე“ დაელაპარაკებით, ურთიერთობაც ამაღლებული იქნება.

წელიწადში ერთხელ ერთმანეთს დაშორდით

რაც უნდა ძლიერ უყვარდეთ მამაკაცს, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მისი ფსიქიკის შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის. მას თქვენგან დასვენება ესაჭიროება. ქალის მიმართ რომანტიკული დამოკიდებულება ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პროცესში მდაბალი გრძნობების არქონის გამო აღმოცენდება. მაღალი გრძნობების შესანარჩუნებლად დროებითი განშორება უბრალოდ, აუცილებელია. თუ ამას ცხოვრება არ გთავაზობთ, თვითონ მოაწყვეთ (მოითხოვეთ მივლინება ან მეგობართან ერთად დასასვენებლად წადით). გავრცელებული აზრის თანახმად, განშორება სიყვარულს ამძაფრებს და აწრთობს. ფსიქოლოგების ენაზე ეს ნიშნავს, რომ თქვენი ხანგრძლივი არყოფნის განმავლობაში მამაკაცის ცნობიერებაში თქვენი პირველი ხატი ცოცხლდება და ხელახლა შეგიყვარებთ. დაბრუნების შემდეგ ის თქვენ მიმართ უფრო ყურადღებიანი და მოსიყვარულე გახდება.

თუ გაწყენინებთ, გაებუტეთ

ერთმანეთისგან დაღლას მხოლოდ განშორება არ ხსნის. ასევე „გამამხნევებელი“ ეფექტი აქვს გაუგებრობასაც. ნუ გაგიკვირდებათ, წვრილმანი უთანხმოება იმის დასტურია, რომ თქვენ სხვადასხვანი ხართ. ე.ი. თქვენ შორის ჯერ კიდევ დისტანცია არსებობს, ამ დისტანციაში კი ერთმანეთს რომანტიკული კუთხით ხედავთ. თუ ვინმე გიყვართ, შეყვარებული საკუთარი თავიც გიყვართ. თუ მეგობარი მამაკაცი გაწყენინებთ

(ლაპარაკია ისეთ წყენაზე, რომლის მიტევებაც შეიძლება), რამდენიმე ხნით გაებუტეთ. ეს მას გამოაფხიზლებს და ძალას მისცემს. ჩხუბში ხომ ყველაზე სასიამოვნო პროცესი შერიგებაა.

ყურადღება მიაქციეთ გარეგნობას

საგნები თავისთავად გრძნობას არ ბადებს, მაგრამ არც მხოლოდ შიშველი სული უყვართ. მამაკაცზე ზემოქმედებას ქალი სამოსითა და კარგი გარეგნობით ახდენს. ალბათ, ხშირად გსმენიათ მეგობრებისგან: „მამაკაცს მე ვუყვარვარ და არა ჩემი ჩვრები“ ან „ისეთ მამაკაცს დაველოდები, რომელსაც მე დავჭირდები“. ასეთ ქალებს არ ესმით სიყვარულის ფსიქოლოგია — მამაკაცში გრძნობების გასაჩენად გარეგნობა გადამწყვეტ როლს ასრულებს. ყველაფერი სწორედ აქედან იწყება. მომავალში მის გარეშე ურთიერთობა სიმაღლეს კარგავს. თუ გათხოვების შემდეგ ქალი თავის გარეგნობაზე აღარ იზრუნებს, მამაკაცის თვალში თანდათანობით იმ მიმზიდველობას დაკარგავს, რითაც მისი მოხიბვლა შეძლო.

აქვე ერთ ფსიქოლოგიურ ტესტს შემოგთავაზებთ.

ვინ ხართ თქვენ მისთვის?

ეს ტესტი დაგეხმარებათ, გაარკვიოთ, ვინ ხართ მამაკაცისთვის — დედა, შვილი თ თანასწორუფლებიანი მოკავშირე?

1. როგორ ცდილობთ მამაკაცთან ახალდაწყებული ურთიერთობის განმტკიცებას?

ა) ცდილობთ, გააგებინოთ, რომ შესანიშნავი დიასახლისი ხართ — 2;

ბ) კეკლუცობთ და უშუალოდ იქცევით — 1;

გ) მაშინვე არ იხსნებით, ცდილობთ მისთვის გამოცანად დარჩეთ — 0.

2. ზოგჯერ ფიქრობთ, რომ მამაკაცები არიან...

ა) დიდი ბავშვები, რომლებიც გამუდმებით მზრუნველობას საჭიროებენ — 2;

ბ) ძლიერები და ქალის დაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავენ — 1;

გ) ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვთ — 0.

3. თქვენ ქმარი ან მეგობარი მივლინებაში აპირებს წასვლას. ჩვეულებრივ, წინა საღამოს თქვენ...

ა) ძირითადად მის მომზადებას უნდებით და თვალყურს ადევნებთ, რომ არაფერი დარჩეს — 2;

ბ) განსაკუთრებულ სინაზეს ავლენთ და უფრო მეტ დროს მის ალერსს უთმობთ — 1;

გ) მისთვის თავის მობეზრება არ გსურთ და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარებით — 0.

4. ხელოსანთან შესაკეთებლად ნაღებული მტვერსასრუტი წამოსაღები გაქვთ. მას არ სცალია. თქვენ...

ა) მოთმინების ფიალა გევსებათ და თავად მიდიხართ ნივთის წამოსაღებად — 2;

ბ) მოუწყობთ სკანდალს, რომ იმავე საღამოს მოიტანოს მტვერსასრუტი — 1;

გ) ძალას არ დაატანთ, მაგრამ ტკბილი სიტყვებით ეცდებით, მტვერსასრუტის მოსატანად გაგზავნოთ — 0.

5. მაღაზიაში რაღაც ნივთი მოგეწონათ და გსურთ, შეიძინოთ. როგორ სთხოვთ საყვარელ მამაკაცს ამის თაობაზე?

ა) მოგერიდებათ თხოვნის, ვიდრე თავად არ წამოიწყებას საუბარს ამ საკითხზე — 2;

ბ) შემოვლით ეტყვით, რომ ეს ნივთი ძალიან გჭირდებათ — 1;

გ) ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ მოსთხოვთ, რომ ეს ნივთი გიყიდოთ — 0.

6. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფლირტის მიმართ?

ა) ვიდრე მამაკაცისგან არ იგრძნობთ ინიციატივას, ფლირტს არ წამოიწყებთ — 2;

ბ) მამაკაცებს ყოველთვის ეკეკლუცებით — 1;

გ) ფლირტზე არასოდეს ამბობთ უარს, თუ მამაკაცი მოგწონთ — 0.

7. ჩვეულებრივ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას — თქვენ თუ ის?

ა) უფრო ხშირად მე — 2;

ბ) უფრო ხშირად ის — 1;

გ) ურთიერთშეთანხმებით — 0.

8. რომელ პერსონაჟს ჰგავხართ ხასიათით?

ა) მელანის — „ქარწაღებულნი“ — 2;

ბ) ჯულია რობერტსის გმირს — „ლამაზმანი“ — 1;

გ) მილედის — „სამი მუშკეტერი“ — 0.

9. როგორი ტიპის მამაკაცებთან გიადვილდებათ ურთიერთობა ან როგორ მამაკაცებს უფრო მოსწონხართ?

ა) ჟენიასნაირთან — „ბედის ირონია ანუ გაამოთ“ — 2;

ბ) გოშასნაირთან — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ — 1;

გ) რეტ ბატლერისნაირთან — „ქარწაღებულნი“ — 0.

12–18 ქულა. „ქალი-დედა“: მას სურს თავად აკონტროლებდეს ყველაფერს, გადაჭარბებულად ზრუნავს საყვარელ მამაკაცზე, როგორც შვილზე. ოჯახის ყველა პრობლემის გადაჭრას თავის თავზე იღებს. იმორჩილებს ქმარს და ისე მართავს, როგორც თავად სურს.

6–11 ქულა. „ქალი-გოგონა“: გამუდმებულ სიყვარულსა და მზრუნველობას თავად საჭიროებს. ეძებს მამაკაცს, ვინც საკუთარ თავზე აიღებს მთელ პასუხისმგებლობას. მისი აზრით, მამაკაცები იმიტომ არსებობენ, რომ ქალი დაიცვან. იმისათვის, რომ ასეთი ტიპის ქალმა წარმატებას მიაღწიოს, აუცილებლად უნდა გაიზარდოს და დამოუკიდებელი გახდეს.

0–5 ქულა. „ქალური-ქალი“: ის თავისუფლად ახერხებს ნებისმიერ მამაკაცთან ურთიერთობას და მოქნილობა მისი უმთავრესი თვისებაა. მას შეუძლია, თავად მიხედოს თავს და მამაკაცის მიერ გამოვლენილი ყურადღებითაც ისარგებლოს. დარწმუნებულია საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში და მამაკაცთან თანასწორი ურთიერთობა აქვს. ეს არის ორი ზრდასრული, დამოუკიდებელი პარტნიორის ურთიერთობა, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება და ჰარმონიული კავშირი ძალუძს.

როგორ ამოვიცნოთ ქალი საყვარელი სასმელის მიხედვით

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ თურმე, სულ იოლი ყოფილა ქალის ბუნების ამოცნობა იმის მიხედვით, თუ რომელ სასმელს ანიჭებს უპირატესობას. მთავარია, ქალი რესტორანში დაჰატიჟოთ და ჰკითხოთ – რას დალევ?

შამპანურს ახალგაზრდა, ფარცქვალა და პრანჭია ქალები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი გაგებით ეკიდებიან მამაკაცის მიერ ნათქვამ ნებისმიერ ფრაზას. უყვართ შოკოლადი და კალორიული დესერტი, ათქვეფილი ნაღებით. მიმნდობი, მხიარულად მოკისკისე ქალბატონები ბევრ სასმელს მიირთმევენ, მალე თვრებიან და ჯანსაღი განსჯის უნარსაც მალევე კარგავენ. მამაკაცს იოლად შეუძლია მათი მდგომარეობით სარგებლობა.

საშუალო ასაკის ქალები უპირატესობას კონიაკს ანიჭებენ. ისინი მამაკაცისგან ყოველთვის დიდ ყურადღებასა და სითბოს მოითხოვენ. უყვართ ცივი საუზმე და ტკბილეული — შოკოლადი ან ნაყინი. ასეთ ქალს ყველა სანუკვარი ოცნება სახეზე აწერია — თვალები უბრწყინავს, ლოყები აწითლებული აქვს და მისი ბაგეები ვნებით ჩურჩულებენ — „მიყვარხარ“.

თავდაჯერებული და უკომპლექსო, არაორდინარული საქციელის, გიჟური ქმედებების ქალებითვის ვისკი „მორიგე“ სასმელია. ხანდახან მშრალად, დესერტის გარეშეც კი სვამენ, უფრო ხშირად კი „კოკა-კოლას“ აყოლებენ. მიუხედავად სასმლის სიმაგრისა, ნელ-ნელა თვრებიან, მაგრამ შესაძლოა, ისეთი რამ ჩაიდინონ, რომ მეორე დილით გახსენებაც არ უნდოდეთ.

მშფოთვარე და ექსტრავაგანტური ქალბატონები მარილიან ტეკილას ამჯობინებენ. სვამენ ბევრს, ხშირად თვრებიან და მომენტალურად კარგავენ განსჯის უნარს.

რომ-კოლას თამამი ექსპერიმენტების მოყვარული ქალბატონები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი მუდამ მზად არიან, რაღაც სიახლეს გემო გაუსინჯონ. უყვართ ფანტაზიორობა და სასმლის შერევა, დაუშვებელი ოდენობითაც კი. მალე ფხიზლდებიან და უეცრად ქრებიან.

ჯინ-ტონიკს ირჩევენ ისეთი ქალბატონები, რომლებიც სპირტიან სასმელებში ცუდად ერკვევიან. ვერ აფასებენ ამ ჯოჯოხეთურ ნარევს, მალე თვრებიან, დილაობით სხვის საწოლში, თავის ტკივილით იღვიძებენ და ცდილობენ გაიხსენონ, რა მოხდა წინა საღამოს.

წითელი ღვინო ვნებიანი, ემოციური და აზარტული ქალბატონების საყვარელი სასმელია. ისინი მოხერხებულად მალავენ სექსუალურ სურვილებსა და ეროტიკულ ფანტაზიებს. გარეგნულად სკოლის მოსწავლეა, შინაგანად — მტაცებელი.

თავდაჯერებული ქალბატონები თეთრ ღვინოს ანიჭებენ უპირატესობას. ისინი ცივი ბუნების, უემოციო, ფრთხილი, მუდამ ფხიზელი, ანგარიშიანი ადამიანები არიან და სისულეებს იშვიათად სჩადიან.

ლიქიორი უინიციატივო, არამსმელი ქალბატონების საყვარელი სასმელია. ისინი, როგორც წესი, მოუთმენლები არიან, სწრაფად, ღამის გულის წასვლამდე თვრებიან და დილით ფიცს დებენ, რომ მეტად არავისთან, არასოდეს დალევენ...

ლუდი უპრეტენზიო ქალბატონების სასმელია. ასეთი ქალები მუდამ მზად არიან, ნაცნობ მამაკაცთან ვახშამი, საწოლი და პრობლემები გაინაწილონ. შეუძლიათ ბევრი შვილის გაჩენა, არიან კარგი დიასახლისები და სანდო მეგობრები.

არაყს ძალაუფლების მოყვარული, ძლიერი ქალები ეტანებიან. მათ უყვართ, როცა ყველაფერს კონკრეტულად ეუბნები და არ მოსწონთ გაურკვევლობა. ამ სასმლის მოყვარულთ, როგორც წესი, კარგი ჯანმრთელობა და კარგი მადა აქვთ, — არაყს ხომ კარგი, ნოყიერი მისაყოლებელი სჭირდება. ფაქტობრივად, არ თვრებიან, სურვილებს არ მალავენ და ვახშმის შემდეგ პირდაპირ ამბობენ: „წავედით, ბიჭო?“



გზა ჟვილები

4.09. – 10.09.2008

ლამაზი სიყვარულის ამბავი

მიუხედავად იმისა, რომ წინა კვირაში ვცადე, ნეიტრალური თემა შემერჩია, მკითხველებმა მაინც ომის თემაზე ლაპარაკი ამჯობინეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გამოგზავნილი ამბები მხოლოდ თავის საწუხარს კი არა, თემასაც მოარგეს.

ახლა ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, რომ „გზავნილები" ძველ კალაპოტში დავაბრუნოთ. ახლა კი თქვენი მესიჯები და ამბები სიყვარულზე.

ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს გამოდევნებული სხვისი ცოლი

მოულოდნელი დაბრუნება

„შეიძლება მთლად ბოტჩელის მადონას არა, მაგრამ ასათიანის „ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა" ნამდვილად იყო ჩემი პატიდაშვილი ნათია, რომელზეც სკოლაში ყველა ბიჭი უმედოდ იყო შეყვარებული, მაგრამ ვინ გაამხელდა მეთერთმეტეკლასელი გიორგის შიშით, რომელსაც სკოლაში „პალაჟენიე" მიჰყავდა? მალე გიორგიმ სკოლა დაამთავრა, ნათია კი მხოლოდ მეცხრე კლასში იყო. ახლაც მახსოვს, სკოლის მასწავლებელთა გაოცებული, მეოცნებე და სულ ცოტათი შურიანი თვალები, როცა მათ გაკვეთილებზე რომელიმე დავაკაკუნებდით და ნათიასთვის ულამაზესი გლადიოლუსებისა და ვარდების თაიგული შეგვქონდა. მოულოდნელად, თაიგულები შეწყდა. პასუხი მარტივი და თავზარდამცემი იყო — გიორგი აფხაზეთის ომში წავიდა და ერთადერთ იმედად დედისა და ნათიას გულმხურვალე ლოცვა წაილო. მერე კი ცნობა მოვიდა, რომ გიორგი გმირულად დაიღუპა. ჩაიფერფლა ნათია, ძაძით მოსილი, ბედისადმი უხმო საყვედურის გამსახიერებად იქცა. დრო უძლური აღმოჩნდა მისი ტკივილის მოსაშუშებლად და ნათიამაც, ერთადერთი შვილის დამკარგავ, გიორგის დედასთან ერთად დედათა მონასტერს შეაფარა თავი. ერთ დღეს ნათიამ და მისმა ექსადედამთილომ მონასტრის საფუტკრიდან თაფლი ამოიღეს და შესანახავად მიჰქონდათ, როცა მათ ფეხებთან „ბეემვე" გაჩერდა და იქიდან მარჯვენამოკვეთილი, ფილტვში ტყვიაგავლილი, მაგრამ მაინც სალ-სალამათი გიორგი გადმოვიდა. შეჰკივლეს ნათიამ და გიორგის დედამ, გულწასულებს ვერ შეაშველა მარჯვენა გიორგიმ, მაგრამ სიცოცხლის ზეიმი და სიკვდილზე გამარჯვება იყო მათი ჯვრისწერა. თურმე, დაჭრილი გიორგი ერთადერთი შვილის დამკარგავ, მოხუც აფხაზებს შეუფარებიათ და დიდი ძალისხმევით გადაურჩენიათ. დაე, ღმერთმა ჩვენი ნაომარი ბიჭების მომლოდინე ასულებსაც ასე ლამაზად აუხდინოთ სიყვარული და მოტირალ დედებსაც ასე გაახდევინოს ძაძება. აფხაზები და ოსები, პუტინი პოლიტიკური პუტანკაა და მას მონები სჭირდება და არა — მეგობრები. წარსულის მწარე გამოცდილებიდან გამოვიტანოთ დასკვნები. ნათია და და გიორგი კი დღეს 3 ულამაზეს ვაჟკაცს უზრდიან სამშობლოს. მშვიდობას ვუსურვებ მათაც და მთელ საქართველოსაც ენგმა".

სინანული

„ლამაზი სიყვარულის ამბავზე ჩემი და ჩემი ექსლოვეს ლოვე სთორი გამახსენდა... გუგაჩო შემთხვევით გავიცანი. დაქალს ვწერდი მესიჯს და მასთან მოვხვდი. მერე შევხვდი. მერე? მერე დაიწყო ერთად გატარებული უბედნიერესი დღეები, სიცივესა და წვიმაში ღამით სეირნობა. მალე საუკეთესო მეგობრები გავხდით. ყველაფერს გულწრფელად მიყვებოდა. როდესაც ჩემთან იყო, თავის „ლოვეებს“ (5 ერთად ჰყავდა) ატყუებდა, ვმეცადინეობ, სახლში ვარო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე 2 წლით უმცროსი იყო, ყველას პირიქით ვეგონეთ, მე 15-ის და ის — 17-ის. სადაც კი გავივლიდით, ყველა იმას ამბობდა, რა ლამაზი წყვილიაო. ჩვენ კი ამაზე ვხალისობდით. თუმცა, მას მართლა შევუყვარდი, მისთვის პირველი სიყვარული ვიყავი. გამუდმებით ფოტოებს მიღებდა, ყველაფერს ყიდულობდა, რაც მინდოდა, ჩემთან ერთად უამრავ სიგიჟეს სჩადიოდა. 16-ის რომ გახდებოდა, ჩემს ცოლად მოყვანას და იტალიაში წაყვანას აპირებდა. მე კი გული ვატკინე და მივატოვე. თუმცა, დღეს ამას ძალიან ვნანობ. ASHLEY PCD“.

აუტანელი

„11 წლის წინ გავიცანი. ის 7-ის იყო, მე — 5-ის. ვერ ვიტანდი, ვერ მიტანდა. 8 წელი ერთმანეთთან ქიშპობაში გავატარეთ. 8 წლის მერე მითხრა, მომწონხარო. მე ვუთხარი, ვერ გიტან-მეთქი. 9 წლის მერე მივხვდი, რომ მიყვარდა. მივხვდი, იმასაც ვუყვარდი, მაგრამ ჩემი უარის გამო არ იმჩნევდა. ღირსი ვიყავი. მე ვიტანჯებოდი, ვგრძნობდი, მან იცოდა, რომ მიყვარდა. მერე ერთი წელი გერმანიაში წავედი. ხშირად მირეკავდა, მაგრამ სიყვარულზე არაფერს ამბობდა. წელს ჩამოვედი, დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე და დაბადების დღეზე, ყველას თანდასწრებით მითხრა, რომ ვუყვარვარ“.

ომი და სიძვა

„ჩემი ქმარი ომიდან რომ დაბრუნდა, ერთი გოგო, რომელიც ერთი თვის გათხოვილი ყოფილა, სენაკიდან უმესიჯებდა და ჭკუაზე არ იყო, ეგ საცოდავი. აბა, სხვა რა ვუწოდო, როცა ყველამ კარგად ვიცით, რაც ხდებოდა სენაკში, ის კი გამწარებული ჩემს ქმარს MMS-ით უგზავნიდა თავის თმაგაჩეჩილ ფოტოებს, ჩემს ტელეფონზე (მეუღლის ტელეფონს არ აქვს MMS-ების მიღების ფუნქცია). რა თქმა უნდა, მე ვნახულობდი ამ სურათებს და მაგრად ვკაიფობდი, მაგრამ მიკვირდა. ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, ბომბები ცვიოდა, მოირწყა სისხლით მიწა, ის კი რამ გაამწარა, ერთი თვის გათხოვილი სხვის ქმარს რომ „კერავდა“? არ ვიცი, ასეთი ადამიანები თუ კითხულობენ რამეს ან საერთოდ თუ იციან კითხვა, მაგრამ თუ „გზას“ კითხულობს, მიხვდება „ძვირფასი ნე“, რომ ეს მას ეხება. მარი, ეს არის „ლამაზი“ ამბავი სიყვარულზე“. უკაცრავად — სიძვაზე“.

მტირალა მეოცნებე

„ღამეული სილამაზით დამტკბარი გოგონა და ბიჭი ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან. სიჩუმე გოგონამ დაარღვია:

— შენთან როდის წამიყვან?

— ჯერ პატარა ხარ, გპირდები, მალე ერთად ვიქნებით.

— რატომ ვარ პატარა?

— იმიტომ, რომ ტირი.

— ვტირი? არა, არ ვტირი.

— მაშ, არ ტირი... აბა ახლა თვალები რატომ გაქვს ცრემლიანი და რატომ სლუკუნებ პატარა ბავშვივით?

— ჰო, ვტირი, მერე რა, დიდებიც ხომ ტირიან?

— არა, დიდები არ ტირიან, მხოლოდ პატარები.

— მაშ, შენც პატარა ყოფილხარ!

— მე რატომ?

— იმიტომ, რომ ახლა შენც ტირი.

— შენ გამო ვტირი, შენ რომ ტირი, მაგიტომ.

— ???

— რატომ ხარ ჩუმად?

— გაგებუტე!

— აი, ხომ გითხარი, პატარა ხარ-მეთქი.

— არ ვარ პატარა, არა!

— აბა, რატომ იბუტები? დიდები არ იბუტებიან. ნუ გეშინია, გპირდები, მალე სამუდამოდ ერთად ვიქნებით.

— ნუ მოხვალ, მე აღარ დაგელოდები.

— ???

— ხმას რატომ არ იღებ?

— გაგებუტე.

— აბა, დიდები არ იბუტებიანო?! მაშ, შენც პატარა ყოფილხარ.

ამჯერად — ცოცხალი

„მე და შაკოს 3 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. შვიდ აგვისტოს უნდა გავპარულიყავით. ის ჯარისკაცია, ბრძანება მიიღო და გეგმებიც ჩაგვშალა. ომის პერიოდში ყოველდღე ველაპარაკებოდი. ერთხელაც მითხრა — „ტელეს“ არ გამოვრთავ და თუ ველარ დაგირეკე, ჩათვალე, რომ დავილუპე. შენ კი გახსოვდეს, რომ უზომოდ მიყვარხარ და ჩვენი სიყვარულის გამო შენ უნდა იცოცხლო! საღამოს ვურეკავდი. ტელეფონი გამორთული ჰქონდა და არ მინერვიულია. მაშინ ქალები ჭედავდა და ამას დავაბრალე. მაგრამ... მეორე დღეს მისმა ძმაკაცმა მასთან სახლში დარეკა და გარდაიცვალაო, თუწყა. წარმოიდგინე, რა დამემართა. ლამის გავგიჟდი. ჩემმა ოჯახმა საბერძნეთში წასვლა გადაწყვიტა. მეც აქ რალა მინდოდა? საბუთები მზად მქონდა, ბარგიც ჩავალაგე. 9 დღე მასზე ვერაფერი გავიგე. მკვდარიც ვერ დავიტირე-მეთქი, ვეჩხარობდი. იმ ღამეს სახლთან ძაღლის ყეფა შემომესმა. გავედი და მთლად დასისხლიანებული შაკო შემრჩა ხელში, ამჯერად — ცოცხალი! ახლა კი ბედნიერი ვარ. ვიცი“.



— დიდებიც ვიბუტებით, მხოლოდ მაშინ, როცა გულს გვტკენენ.

— მეც მეტკინა გული და მაგიტომ გაგებუტე. შევრიგდეთ?

— შევრიგდეთ.

— როდის? მალე მოხვალ და წამიყვან?

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, სიხარულო.

— ჩვენი ერთად ყოფნის დრო როდისაა?

— ცაში აიხედე. ხედავ, იმ ორ ვარსკვლავს, ერთმანეთის მოშორებით რომ არიან? როცა ეს ვარსკვლავები შეერთდებიან, მაშინ მოვალ და წაგიყვან.

— ეს ვარსკვლავები როდის შეერთდებიან?

— მაშინ, როცა მე შენთან მოვალ.

— შენ როდის მოხვალ ჩემთან?

— როცა ვარსკვლავები შეერთდებიან! ტირი?

— არა.

— აბა, რას აკეთებ?

— ვტირი.

— ნუ ტირი, მალე მოვალ და სამუდამოდ ერთად ვიქნებით. ახლა უნდა დაგტოვო.

— ნუ წახვალ, გთხოვ... მალე მოხვალ?

გოგონამ პასუხი ვეღარ მიიღო. ყოველღამე იმ ორ ვარსკვლავს უყურებს.

— ნეტავ, როდის შეერთდებიან ვარსკვლავები?

— მალე, სულ მალე! — გოგონას იდუმალი ხმა ჩაესმა, გაირინდა.

— ისევ მოხვედი? ხომ აღარ წახვალ?

— მე ყოველთვის შენთან ვარ.

— მე რომ ვერ გხედავ?

— მალე დამინახავ.

— როდის მალე?

— აი, ის ორი ვარსკვლავი როცა შეერთდება.

...და კვლავ ზეცას მიაპყრო გოგონამ თვალები.

— ნეტავ მალე მოვიდეს ჩემი ოცნების გმირი... ლუნა“.

ეს იყო ადრე...

„ერთ დროს „გზავნილებში“ ჩვენზეც დაიწერა... ეს იყო ადრე, მაშინ, როცა მზე ანათებდა ჩემთვის, როცა მისი ნათქვამი სიტყვები — „ალოუ, ზორბეგი, მიყვარხარ, ე...“ — ქვეყანას მერჩია! მაშინ, როცა მასზე ფიქრში თენდებოდა და მზეს მთვარე ცვლიდა. მერე? მერე იყო გაურკვევლობის ერთი თვე, უამრავი ცრემლიანი დღე და ფარნავაზთან გატარებული უთვალავი საღამო, გაურკვევლად დაშორება და დარდი იმაზე, რომ უღირსი არჩევანი გავაკეთე. ახლა? ახლა გულგრილად ვერ ვუვლი ავლაბარს, მეტეხს, ნარიყალას... რა დამრჩა? მისგან მოძღვნილი ლექსები, წვერმოშვებული ხალხის სიყვარული და უსაშველოდ გატეხილი გული. ილინმა „ცხვრის მოშენება“ რომ დაიწყო, მივბაძე და შევცდი... პირობას ვდებ, აღარ ვიტირებ უღირსი ადამიანის გამო. მარ, დამიბეჭდე ეს ჩემი „წარსულთან გამოსათხოვარი“ მესიჯი. იყო ლამაზი ამბავი სიყვარულზე, იყო... P.S. ნეტავ, თუ მიცანი? იმედია — კი“.

ქორწილი

„ეჰ, ხელვაჩაურის ბაზა კი გადარჩა, მაგრამ აჭარელი, ვაჟკაცი ბიჭების ცხედრების ჩამოტანას ბოლო არ უჩანს. ერთ ოჯახშიც ჩამოასვენეს ჯარისკაცის ცხედარი, რომელსაც თავი არ ჰქონდა, მაგრამ იმ ჟილეტით, რომელსაც სახელი და გვარი აწერია, ამოიცნეს და ჩამოასვენეს. გამწარდა ოჯახი, დედამ დაიტირა გმირი შვილი, შეყვარებული, რომელსაც მალე თეთრი კაბა უნდა ჩაეცვა, შავებში გამოეწყო. დაიტირა მთელმა სოფელმა და სანათესავომ. დაკრძალვიდან ორ დღეში კი მათი შვილი შინ დაბრუნდა. მართალია, ცოტა გამხდარი და წვერმოშვებული, მაგრამ ცოცხალი და საღ-სალამათი. გაოგნებული უყურებდნენ. აბა, ის ვინ იყო, ვინც ასე დაიტირეს და დაკრძალეს? საბოლოოდ კი გაირკვა, რომ მისი ჟილეტი



დიეგოს დროს
14 დღის განმავლობაში
2 ყვრილს დავკარგე.

მის თანამებრძოლსა და მეგობარს სცმია. დარდისგან გადაღლილ ოჯახს კი ერთი პატარა ქორწილი ნამდვილად არ აწყენდა და ჯარისკაცმა შეყვარებულს ხელი სახალხოდ სთხოვა. აი, ლამაზი ამბავიც. აბლახანუმი“.

ძმაკაცების სიყვარული

„ლადო და დიმა ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ, ყოველთვის კარგი მეგობრები იყვნენ. ახლა უკვე დიდები არიან და მიუხედავად იმისა, რომ სულ ჩხუბობდნენ, დღესაც შესაშური მეგობრობა აქვთ. ლადო სერიოზული, კეთილი, ცოტათი მხიარული და საქმის მოყვარულია, დიმა კი — ჭკუამხიარული და გართობის მოყვარული. ლადოს ისტორიული ფილმები უყვარს, დიმას — თანამედროვე კინო. ლადოს ფეხბურთი იზიდავს, დიმას — კალათბურთი. მიუხედავად ამდენი განსხვავებისა, მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ და ჭირსა და ლხინშიც ერთად არიან. მათ მეგობრობას ერთი ქალის სიყვარულმაც კი ვერაფერი დააკლო. ერთი ქალი უყვარდათ, მაგრამ მათ მეგობრობა აირჩიეს და დღესაც ძალიან უყვართ ერთმანეთი. მე მოტრფიალე ვარ მათი წმინდა და მყარი მეგობრობის. ლუნა“.

ისევ ომის თემაზე

წყევლა

„ასე და ამგვარად, გურიაში სიმშვიდემ დაისადგურა. ჟურნალ-გაზეთებიც ჩამოგვიტანეს და აი, მეც გწერთ. თურმე ნუ იტყვი და, ჩვენს „სტუმარ“ რუსებს ლანჩხუთისთვისაც გადაუფრენიათ და თავისთვის ჩაულაპარაკიათ: „ეს ქალაქი უკვე დაგვიბომბავს“. ჰოდა, ასე გადავრჩით გურულები. თუმცა, ჩვენ რა გვიჭირს, ქუთაისელების ამბავს არ იკითხავთ? აღშფოთებულები არიან — რავა, ჩვენ ხალხი არ ვიყავით, თავზე ტყვილა რო გადაგვიფრინესო? ისე, რაც გურულმა ქალებმა სწყევლეს ლილიპუტი პუტინი, დიდიდიდი, 2 პარასკევი ჰქონდეს დარჩენილი. ლანჩხუთიდან, იკუშკები“.

ჩემი ბრალია...

„საშინელი რამ ყოფილა ომი, ძალიან საშინელი... ამდენი ატირებული და გაუბედურებული ადამიანი... ეეეჰ, რატომ არ ვარ იმ ასაკის, რომ მეც წავეყვანე ჯარში და წინა ხაზზე, 1-2 „კალაშნიკოვის“ ტყვია მიმერთმია რუსებისთვის. ასე მგონია, ჩემი ბრალია, ომი რომ წავაგეთ. საქართველო, 4EVER!!! wind of Cange“.

შეუფერებელი წყვილი

„ავტობუსში ერთმანეთზე ჩახუტებული წყვილი ამოვიდა. ულამაზესი ბიჭი და უმახინჯესი გოგო. ბიჭი მაღალი, ქერა თმით, მწვანე თვალებითა და ულამაზესი სახით, გოგოს ვერც ალვწერ, რადგან მართლაც უმახინჯესი იყო. მხოლოდ თვალები ჰქონდა ძალზე ჭკვიანური. მთელი მგზავრობის განმავლობაში ბიჭი გოგოს ეფერებოდა, ეხვეოდა და კოცნიდა. შეუფერებელი წყვილის დანახვაზე ხალხმა ჭორაობა და ქილიკი დაიწყო. ალბათ შურდათ კიდეც გოგონასი. ჩემ გვერდით მჯდომი ქალი მიმიბრუნდა და მითხრა: ნახე, რა ბიჭია და ამ მურთს გოგოს როგორ ეფერება. ბიჭმა ავტობუსი გააჩერებინა და წყვილი ჩასასვლელად გამზადა. გოგომ ბიჭი წინ გაუშვა. ბიჭის ჩასვლის შემდეგ შემოტრიალდა და თქვა: „როცა ღმერთი სიყვარულს არიგებდა, ყველას, ყველას გეძინათ და მე ამ დროს გამეღვიძა“. სურამელი“.

შურისმაძიებელი მამა

„გზას“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ დამესიჯებაზე არასდროს მიფიქრია. ომის შედეგებზე დაწერილ მესიჯებს რომ ვკითხულობდი, გადავწყვიტე, მომეწერა. ომი რომ დაიწყო და რეზერვისტები გაიწვიეს, ირაკლი მოხალისედ წავიდა — სადაც ჩემი ძმაკაცები, იქაც მეო. რამდენიმე დღეში წინა ხაზზე გადაიყვანეს და იქ დაიჭრა. ძმაკაცმა არ მიატოვა და ტყვიების წვიმიდან გამოიყვანა, მაგრამ თვითონ დაიღუპა. ირაკლი ჰოსპიტალში გადაიყვანეს, მძიმედ იყო დაჭრილი და რომ გამოვიდა, მაშინვე ძმაკაცის მშობლებთან წავიდა. მათ არ იცნობდა, მაგრამ მისამართი იცოდა. იქ რომ მივიდა და უთხრა, თქვენი შვილი ჩემი გადარჩენისას დაიჭრაო, დედამისს გული წაუვიდა, მამამისმა კი მის მოსაკლავად გაიწია. ძლივს გამოასწრო... ირაკლი ახლაც

მთვრალი მაცნე

„ბიძაჩემის მეზობლად კაცი მოკვდა. მისი შვილი სამსახურში იყო წასული. მეზობლებმა ვერ გაბედეს წასვლა და სამწუხარო ამბის შეტყობინება. ბოლოს, ერთმა კაცმა თქვა: — ასი გრამი არაყი დამალევინეთ, წავალ და ვეტყვიო. მართლაც, დაალევინეს და წავიდა. მისულა სამსახურში და უთქვამს:

— ლერი, ამ დილით მამაშენი ნახე?

— კი, ვნახე, — უპასუხია ლერის.

— ჰოდა, ანი ჩემს ფეხებს ნახავო...

ფახუცანა“.

3X4-ზე

„თელავში, ფოტოატელიეში შევიდა ქალი. ასე 40 წლის იქნებოდა. სურათის გადაღება სურდა, 3X4-ზე დაეღდა. ფოტოგრაფმა უკვე უნდა გადაიღოს და ამ დროს დაიძახა — მოიცა! ფოტოგრაფი შეჩერდა. ქალმა ჩანთიდან სუნამო ამოიღო, მოისხურა და — ახლა გადაიღეო, უთხრა. ერთ კორპუსში კაცი დაილუპა. მეზობელი ჩამოდგა და ამბობს — ჩვენთან ისეთი ვიწრო „პადიეზდია“, მკვდრები „პოდრუჩკით“ ჩამოგვყავსო. შაქრიანელი დაქალი მეზობლის ბავშვებთან ერთად ალაზანზე იყო წასული. ერთი ბავშვი ეუბნება — თაქ, წამო, გავილურჯოთო... აი, მოკლე მიმოხილვა, რა სიტუაციაა დღეს თელავის რაიონში. თელაველებო, მივეარხარით! მის რეალი“.

ემალება მათ, სხვა რა გზა აქვს, თავს ხომ არ შეაკლავს? ბუთხუზა“.

უმწეო

„გამარჯობა. იცი? როცა ომის შედეგებზე თემა ვნახე, დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ არ მომეწერა. ვიცოდი, ძალიან ბევრი გამოთქვამდა გულისტკივილს. ამიტომ, ვიფიქრე, ჩემით აღარ დამემძიმებინა თქვენი გულები. ალბათ ჯობდა, გუშინდელი „გზა“ საერთოდ არ მეყიდა. ასეთი საშინელი ემოცია თვით ომის დროსაც არ მქონია. ალბათ მაშინ ანალიზის დროც არ იყო.

გაოგნებული ვარ. ეს რამოდენა ტკივილი ჰქონიათ ამ ჯერ კიდევ სულ ნორჩ ბავშვებს. სესის, პატარა მავნეს, ლუნას, ლორელაის, კამელიას, აპოლონის, ლიმონასა და საერთოდ, ყველა მგზავნელის მესიჯმა ერთიანად შემძრა. ნეტავ, ოდესმე მოგვასვენებს ეს საშინელი კოშმარი? დაბომბვების დროს ერთ საოცარ ფაქტს შევესწარი: გორის შესასვლელთან უამრავი ადამიანი ირეოდა. შიში, სასოწარკვეთა, რაღაც ცუდის მოლოდინი და სიცოცხლის გადარჩენის იმედი ჩანდა ყველას თვალებში. ყველა ვიღაცას ეძებდა, ეხუტებოდა, ეხვეწებოდა, დახმარებას სთხოვდა. ყველა ღმერთს ეკედრებოდა გადარჩენას. ვუცქერდი ამ ყველაფერს და მეგონა, აღარასდროს დასრულდებოდა ის საშინელი წუთები. უეცრად, პატარა, ათიოდე წლის ბიჭი დავინახე. დიდი, საოცარი, შავი თვალები ჰქონდა. ვიღაცას ეძებდა, გამწარებული. მერე ერთ ქალთან მივიდა, კალთაზე ჩამოეკიდა და ისე საცოდავად ჰკითხა, — ჩემი დედიკო სად არისო? გული ამიდუღდა. ქალმა ხელები მოხვია და გულში ჩაიხუტა. არ ვიცი, რა

გაქცევა

„მივესალმები ყველა მკითხველს. მარი, უკვე ძალიან ცუდად ვარ, ჩემს სახლში მინდა — ახალგორში. იქ „რუსის ჯარია“ და ვერ მივდივარ. სიკვდილი არ მინდა. არადა, არც ლტოლვილობა მსურს. რა საშინელება ყოფილა, სახლიდან რომ გამოიქცევი და სხვის სახლში იცხოვრებ, თან რომ არაფერი მოგაქვს, ფიქრობ, გაასწრო „რუსის ჯარს“, რომ არ მოგკლან... გურანდა“.

ყველაფერზე, თემის გარდა

ხურდა

„ერთხელ „მარშრუტკაში“ ვიჯექი. ერთმა ქალმა გააჩერებინა და ჩასასვლელად წამოდგა. მძღოლმა მოულოდნელად დაამუხრუჭა, ამ ქალს შემთხვევით „გაეპარა“ და

გაქცეული რუსი

„ერთი კვირის წინ ჩემი თანამშრომელი სამსახურში მოსულ კლიენტს ტელეფონის ნომერს რუსულად კარნახობდა, იმან კი რუსული არ იცოდა და სთხოვა, ქართულად ეთქვა. ჩემმა თანამშრომელმა ჰკითხა — კი, მაგრამ იმდენი რუსული მაინც თუ იცი, რომ გაქცეული რუსი მოაბრუნოო? იმან უპასუხა — ოლონდ რუსი გაიქცეს და იმას რავა მოვაბრუნებო. გოგა“.

დამემართა, ცრემლებმა თვითონ დამიფარა სახე. ვტიროდი არა იმიტომ, რომ რამის მეშინოდა, იმიტომ, რომ ის უმწეო ბიჭი ტიროდა. გეფიცებით, ისეთი სევდიანი, ისეთი შეშინებული მზერა არასდროს მინახავს. იმ პატარა ცრემლის წვეთებში ერთად იყო თავმოყრილი მშობლის დაკარგვითა და საშინელი ხმაურით გამოწვეული შიში. ჩვენი ბიჭების, ჩვენი მოსახლეობის სიკვდილით, წამებით, გოდებითა და ცრემლით გამოწვეული ტრაგედია და კიდევ მომავალი... მომავალი, რომელიც, ვინ იცის, რას გვიმზადებს. დღეს ყველაზე მეტად გარდაცვლილთა ლამაზი სულები მტკივა. მაესტრო“.

ჰაერი გააფუჭა. საწყალს ისე შერცხვა, მძღოლს 5-ლარიანი მიაჩეჩა და ჩავიდა. ჰოდა, ერთმა მთვრალმა მგზავრმა გადაყო „გასივებული თავი“ და მიაძახა: — აე, კუან, მოიცა, ხურდა დაგრჩაო. „მარშრუტკა“ ხარხარმა ისე შეაზანზარა, ლამის ბორბლები გზაში დატოვა. მგზავნელებო, გენაცვალეთ. კახელო, kiss you! Cupi“.

„ნაოშნიკები“

„ბებიას ამ ბოლო დროს ყურთასმენა დაუქვეითდა და რომ ველაპარაკები, თითქმის ვყვირი. ამას წინათ, შვილები და შვილიშვილები ვესტუმრეთ. მე, როგორც ყველაზე პატარამ, ოჯახის საქმეებზე



„ტაიმაუტი“ ავიღე, ტელეფონის „ნაუშნიკები“ მოვირგე და ლაპარაკით დავიღალე. თან ისე გულიანად ვიცინოდი... ბებიამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მოინდომა და მკითხა: — რას ხედავ გოგო, სასაცილოს? ეს რაღა შნურები გიკეთიაო? — ვუთხარი, ტელეფონზე ვლაპარაკობ, ეს კი „ნაუშნიკებია“ და ამაში გაცილებით უკეთ მესმის ლაპარაკი-მეთქი. სახე გაუნათდა: — ბებო გენაცვალოს, ხომ ხედავ, ყურთ დამაკლდა, მაჩუქე ეგ რაღაც „ნაოშნიკები“, იქნებ რამე მეშველოსო. კახელო-616“.

გრუზინკას ოცნება

„როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, ვოცნებობ ხოლმე. ვოცნებობ ყველაფერზე, რაზეც შეიძლება, ადამიანმა იოცნებოს. ხანდახან კი თვით ღმერთსაც ვსაყვედურობ. ვერ გამიგია, რატომ შექმნა ჩემნაირი ანგელოზი — ნაკლიანი. როცა პატარა ვიყავი, ვერ ვგრძნობდი, რომ განსხვავებული ვიყავი. არ შემეძლო სიარული, სირბილი, ფეხებში ძალა არ მქონდა. ჩემს მკურნალობას შეალიეს ჩემმა მშობლებმა მთელი ფული და ენერგია. ჰოდა, ამის გამო, ვინც კი მიცნობდა, ყველა ფულის ტომარას მეძახდა, რადგან ჩემს მკურნალობაში, როგორც ამბობენ, ჩემი წონა ოქრო იყო დახარჯული. სად არ მატარა დედაჩემმა, რომ თითისტოლა გოგონასთვის ყველანაირად ემკურნალა. განა ტყუილადაა ნათქვამი — წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჰოდა, ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მე დღეს შედარებით ჯანმრთელი ვყოფილიყავი. არ შეიძლებოდა, მეც სხვებივით ჩვეულებრივი ადამიანი ვყოფილიყავი? მერბინა, მეცეკვა, მეხტუნა, მაგრამ ამ სევდიან აზრებს მალევე ვიშორებ და თავს ვინუგეშებ. ღმერთს... განსაკუთრებულად რომ ვუყვარვარ, ამით დამიმტკიცა, რადგან ყველა ადამიანს არა აქვს ის შინაგანი სამყარო, რომლითაც მე ვარ დასაჩუქრებული. ყველას კი არ შეუძლია, ანუგეშოს სხვა ადამიანი მაშინ, როდესაც თავად სჭირდება ნუგეში; დაეხმაროს როგორც მორალურად, ასევე სულიერად, როდესაც თავად ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება. მე არ მაქვს უფლება, ვუსაყვედურო ღმერთს იმის გამო, რომ მე სხვას არ ვგავარ. მან უკეთ იცის, ვინ და როგორი უნდა შექმნას. მე კი წუწუნის უფლება არ მაქვს, რადგან ზოგი ადამიანი ფიზიკურად ჯანმრთელია, მაგრამ სულიერად იმდენად მახინჯი, მის ადგილას ყოფნას ნამდვილად არ ვინატრებდი. მადლობა უფალს იმის გამო, რომ ასეთი განსაკუთრებული და განსხვავებული შემქმნა. გრუზინკა“.

„აბორიგენი“ ქიზიყელი

„არ ვიცი, რა დღეა, რა რიცხვია, რა თემაა. უბრალოდ ვიცი, რომ სიყვარულისა და გვერდში დგომის დროა ჩვენს ქვეყანაში. ომია, ქარია, ყინვაა და შენ რა გიხარია, ზურიკელაო, ისეა ჩემი საქმე, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ, კურიოზს რა გამოლევს? ქიზიყის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში ვარ დასასვენებლად. ნუ, ასე ჰქვია, თორემ აგერ უკვე კილოც ავითვისე და „აბორიგენ ქიზიყელობამდე“ რაღა მიკლია? აქ პირველად ვნახე „დრელზე“ შეერთებული მიქსერის ჯოხი, პალტოიანი ძროხა (გაცივებული იყო, ალბათ), მეზობელთან რეანდზე (რეჰანი) მიმავალი „ზონტიკიანი“ ქალები, „პორტფელით“ ხელში, 60 წლის პატარძლები (რძალს სიცოცხლის ბოლომდე პატარძალს ეძახიან). აქ თეთრი, ფუმფულა და თვალებბრიალა პატარძლები არიან მოდაში. ეჰ, რავა ტყვილა ვიდიეტე და რავა ტყვილა ვიყავი მდინარის პირას, ცხელ ქვებზე გაკრულიიი! ჰო, ჩემი ყოველი დღე რადიო „ჰერეთით“ იწყება. მოგესალმები, კახეთო! კახელებო, კარგები ხართ. პენსიონერო, განსაკუთრებით — შენ. არა კი არა და როგო არა! :) მარ, მაიტა და დამიბეჭდე. ვირუსა89“.

გადარჩა

„ჩემი სოფელი, რგანი ჭიათურის ზეგანზეა შეფენილი. ადგილობრივი მცხოვრებლები თუ შპს-ები დიდი ტემპით მუშაობენ მანგანუმის მოპოვებაზე, ღია კარიერის სახით. სულ გადათხრილია მთელი სოფელი. როცა რუსების „სუ-24“-ებმა გადაიფრინეს, სოფელი დაბომბილი ეგონათ და აღარ დაბომბეს. აი, ასე გადავრჩით. ოლეგარიო“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიზარმაცის შედეგი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ბუნების საოცრებანი

1. ყველასთვის ცნობილი ქუდიანი სოკოები 3-6 დღის განმავლობაში იზრდება და 10-14 დღის შემდეგ „კვდება“. სოკოს ზოგიერთი სახეობა 600 წელიწადს ცოცხლობს.

2. ცერატონია (Ceratonia) ყოველთვის ერთნაირ თესლს იძლევა და მისი წონა 0,2 გრამია. ასეთ თესლს ძველად იუველირები წონის ერთეულად იყენებდნენ და მას კარატს უწოდებდნენ.

3. ყველაზე ხშირად მეხი მუხას ეცემა, ცაცხვსა და ნაძვს — იშვიათად, კიდევ უფრო იშვიათად არყის ხეს და თითქმის არასოდეს ეცემა ალვისა და კაკლის ხეს.

4. დედამიწაზე იმდენი მწერი ცხოვრობს, რომ თითოეულ ადამიანზე 250 მილიონი მოდის. მწერების 80% მცენარეს ჭამს, 15% — მტაცებელია, 5% — სისხლისმწოველი და მძორისმჭამელი. მწერები ყოველწლიურად მსოფლიოში არსებული მოსავლის 25-30%-ს ანადგურებენ.

5. ფუტკრის ერთი ოჯახი ზაფხულის განმავლობაში 150 კილოგრამ თაფლს ამზადებს. 1 კილოგრამი თაფლის დასამზადებლად ნექტრის 100 ათასი ულუფაა საჭირო.

6. ჭრიჭინას ნახტომის სიჩქარე 96 კმ/სთ-ია.

7. კვერცხის დების დროს ზოგიერთი ფრინველი ფრენის უნარს კარგავს. მაგალითად, გარეული იხვები 20-35 დღით, გედები კი 1,5 თვით.

8. სირაქლემა ერთადერთი ფრინველია, რომელსაც შარდის ბუშტი აქვს.

9. წეროს თბილ ქვეყნებში გადაფრენის დროს, შეუძლია ფრენის დროს 15 წუთით დაიძინოს და ფრენის სიჩქარე არ შეამციროს.

10. ყანჩა ჩვეულებრივი ფრინველია, მაგრამ მისი გამორჩეული თვისება ის გახლავთ, რომ შეუძლია, საკუთარ თავს ოყნა გაუკეთოს. თავის გრძელ ნისკარტში წყალს იგროვებს და საჭიროების შემთხვევაში პროცედურას იტარებს.

საინტერესო ფაქტები ჩინეთის ოლიმპიადის შესახებ



1. პეკინის ოლიმპიადის დროს მშვიდობა და სიმშვიდე ოლიმპიური თამაშების ხუთმა თილისმამ განაპირობა. ისინი ჩინეთში ბედნიერების სიმბოლოდ მიიჩნევა: ბეიბეი — თევზი; ძინძინ — დიდი პანდა; ხუან-ხუან — ოლიმპიური ცეცხლი; ინინი — ტიბეტური „საიგაკა“ და ნინი — მერცხალი. საინტერესოა ის გახლავთ, რომ თიჯინების სახელები ისე იყო შერჩეული, მათი პირველი მარცვლების შეერთებით მიიღებოდა ფრაზა: „პეკინი მოგესალმებათ“.

2. ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე ყველაზე იაფი ბილეთი 200 (25,5 დოლარი) იუანი ღირდა. ფინალზე დასასწრები ბილეთები გაცილებით ძვირი — 1.000 იუანი (127,5 დოლარი). ცნობისთვის, პეკინში საარსებო მინიმუმი 300 იუანია, ხოლო ხელფასის მინიმალური რაოდენობა 580 იუანი.

3. ოლიმპიადის მომსახურებისთვის მუშების მთელი არმია დაიქირავეს. მათ რიგებში მოხვედრა არც ისე იოლი გახლდათ. თითოეულ მათგანს კარგი ჯანმრთელობა უნდა ჰქონოდა, ჩინურად გამართულად უნდა ელაპარაკა. სასურველი იყო ინგლისური ენის ცოდნაც და რაც ყველაზე მთავარია, მათი დაბადების თარიღი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს — 1980 წლის 30 ივნისი.

4. ოლიმპიადის ყველა მონაწილე (სპორტსმენები, მწვრთნელები, ოფიციალური დელეგაციის წევრები) ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით იკვებებოდნენ. ამ მიზნით პეკინის სოფლის მეურნეობის მუნიციპალურმა კომისიამ უზარმაზარი „ბოსტანი“ შექმნა — სპეციალური მინდორი, რომლის ფართობიც 4 ათასი ჰექტარი

იყო და ოლიმპიელებისთვის იქ ბოსტნეული მოჰყავდათ.

5. ოლიმპიადისთვის პეკინში ჰაერიც კი გააუმჯობესეს. წინა 3 წლის განმავლობაში პეკინის ავტოპარკის ნახევარზე მეტი ბიოსაწვავზე გადაიყვანეს. გარდა ამისა, ქვეყანაში 2006 წლიდან ქვეყანაში 800 ათას ჰა მიწაზე ხეები დარგეს.

6. ოლიმპიადის დაწყების თარიღმა და დრომ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საღამოს 8 საათი, მე-8 თვე, 2008 წელი. ჩინური გაგებით, ციფრი „8“ სიმდიდრისა და უსაზღვრო ნეტარების სიმბოლოა. ნაციონალური პრიორიტეტების მიხედვით მას უფრო მაღალი შეფასება აქვს, ვიდრე „6“-ს — იღბლის სიმბოლოსა და „9“-ს — ბედნიერების სიმბოლოს.

7. ცალკე თემაა, ოლიმპიადაზე უსაფრთხოების დაცვა. ოლიმპიურ ობიექტებზე შესატანი ნივთების აკრძალვის სიაში მოხვდნენ: იარაღი, ნარკოტიკი, ასაფეთქებელი ნივთიერებები, მომწამლავი, რადიაციული ნივთიერებები და ცხოველები. გარდა ამისა, „შავ სიაში“ მოხვდა დიდი ზომის დროშები და ბანერები, რამეთუ ორგკომიტეტის უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლების თქმით, ისინი სხვა მაყურებლებს ხელს შეუშლიდნენ.

8. ოლიმპიადის მზადების დროს პეკინში 8 ახალგაზრდა პანდა მოიყვანეს. მათი შერჩევა ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყეს. ეს ერთგვარი სილამაზის კონკურსი გახლდათ, რომელშიც ჩინეთის ყველა ზოოპარკის ბინადარი პანდა მონაწილეობდა. გამარჯვებულები საზეიმო წარმოდგენებში მიიღებდნენ მონაწილეობას.

9. კომუნისტური რეჟიმი მსოფლიოში ყველაზე პროგრესულია. თამაშების ორგკომიტეტმა პეკინის იმიჯის გასაუმჯობესებლად სპეციალური პატრული შექმნა, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ, ქალაქის მცხოვრებლებს ქუჩაში რომ არ დაეფურთხებინათ. სასტუმროს თანამშრომლებს სპეციალურად შეასწავლეს კარგი მანერები, ხოლო პოლიციელებისა და ტაქსის მძღოლებისთვის სპეციალური ბროშურები გამოუშვეს, სადაც მითითებული იყო, როგორ უნდა ელაპარაკონ უცხოელებს ინგლისურ ენაზე.

ხელის თხელის ბიღტუალი ხალალხეა ქვეყანაში

1. ჩინელი ყმაწვილები და ქალიშვილები არცთუ იშვიათად, თავის მონაცემებს ქაღალდის კუპიურებზე წერენ. სხვათა შორის, ჩინელი ქალიშვილი ვალდებულია, საქმროს აღმასრულებელი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა წარუდგინოს, სადაც მითითებული იქნება მისი სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა და სექსი.

2. აფრიკაში, მაკუას ტომში, რომლებიც კონგოს სანაპიროზე ცხოვრობენ, საქმრო ქალიშვილს უამრავ, ფერად კენჭს მიართმევს. თუ გოგონა ქორწინებაზე თანახმაა, გოგონა მისი ხელისგულიდან კენჭებს პირით იღებს.

3. კიდევ ერთ აფრიკულ ტომში ნიშნობა უჩუმრად ხდება. მამაკაცი ქალიშვილს თეთრი ფერის კოლას თესლს უძღვნის. თუ ქალიშვილი უარზეა, ის კოლას თესლს უბრუნებს, ოღონდ — წითელი ფერისას.

4. შუა საუკუნეებში ინგლისში ახალგაზრდა გოგონებს, რომლებსაც გათხოვება უნდოდათ, ერთი საინტერესო წესი ჰქონდათ: ეკლესიაში უზარმაზარი, მასიური ზანდუკი იდგა. გათხოვების მოსურნე გოგონა მასთან უნდა მისულიყო და ცალი ხელით თავი აეხადა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის მზად იყო, ოჯახის ტვირთი ეზიდა. თუ ქალიშვილი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევდა და თავსახურს ძვრას ვერ უზამდა, შესაძლებელი იყო, ნიშნობაც ჩაშლილიყო.



5. იავაზე, შეყვარებულ მამაკაცს ქალიშვილის ეზოში ლერწმით უფანჯრო ქოხი უნდა დაედგა. დილით, როდესაც გოგონა ეზოში დადგმულ ქოხს იხილავდა, თუ მასში ფაჯრებს გამოჭრიდა, ე.ი. სასიძოს თანხმობას უცხადებდა.

6. ნიშნობის დროს სმასა და ცეკვას ბალტიისპირეთში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მომავალი საცოლე ცეკვის დროს მამაკაცს ფეხზე ფეხს ადგამს და ამოწმებს, ნამდვილად მამაკაცია თუ ეშმაკი. იქნებ ფეხსაცმლის ქვეშ ჩლიქებს მალავს?

7. კათოლიკურ ირლანდიაში გოგონებს უფლება ეძლევათ, თვითონ შესთავაზონ მამაკაცს დაქორწინება, მაგრამ საამისოდ ერთი დღე არსებობს — 29 თებერვალი.

8. ტოგოს სახელმწიფოში მამაკაცი ქალს კომპლიმენტს იშვიათად ეუბნება, რადგან აქ კომპლიმენტი დაქორწინების წინადადებად მიიჩნევა.

9. ბუშმენებს სპეციალური „სიყვარულის ისრები“ აქვთ. ეს გახლავთ გალესილი ძვალი, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი მცენარის წვენს უსვამენ. შეყვარებულმა მამაკაცმა წვერწამახული ძვალი საყვარელ ქალიშვილს თეძოში მშვილდის გარეშე უნდა ჩაარჭოს. თუ მიზანში ზუსტად მოახვედრა, გოგონა მხოლოდ ამ შემთხვევაში მისცემს დადებით პასუხს. ადგილობრივ გოგონებს საკმაოდ შთამბეჭდავი ზომის თეძოები აქვთ და თუ სასიძომ მიზანს ააცილა, ის საყოველთაო დაცინვას დაიმსახურებს. ამის შემდეგ მას საქმროების სიიდან ამოშლიან.

10. XIX საუკუნის შუა წლებში რუსეთში მომხდარმა ერთმა ამბავმა დიდი ხნის განმავლობაში მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ერთ-ერთმა ახალგაზრდა პოეტმა საყვარელ ქალბატონს თავისი ლექსების კრებული გაუგზავნა და ხელი და გული სთხოვა. ქალბატონი მანამდე უარით ისტუმრებდა ახალგაზრდა მამაკაცს, მაგრამ ასეთი ჟესტის შემდეგ თანხმობა განაცხადა. ლექსების კრებულის ყდა პოეტის ხელის კანისგან იყო დამზადებული.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 32 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

2. ვარ 32 წლის, წესიერი, პატიოსანი ქალიშვილი. თუ ვინმე სიყვარულს და სითბოს ეძებს, გამომეხმაუროს. გასართობად თავს ნუ შეიწუხებთ.

3. ვარ 32 წლის, პატიოსანი და წესიერი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-37 წლამდე მამაკაცს, სერიოზულად და გთხოვთ, სამაიმუნოდ თავს ნუ შეიწუხებთ.

4. ვარ მაღალი, შავგვრემანი, 34 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, მაღალ, სერიოზულ მამაკაცს.

5. ვარ 39 წლის, გასათხოვარი. მსურს გავიცნო მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით, სერიოზული და დასაქმებული პიროვნება, 48 წლამდე. ვცხოვრობ რაიონში.

6. თბილისელ, 50 წლის, დასაქმებულ, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს სურს შექმნას ოჯახი. შვილები დააბინავა, ამჟამად ცხოვრობს შვილთან. გამოეხმაუროს თბილისელი მამაკაცი.

7. ვარ 45 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ, ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს. ვარ ქვრივი, მყავს 3 შვილი, დაოჯახებული. ლალი.

8. მყავს დაქალი, ძალიან კარგი გოგო. არის 36 წლის, ძალზე თბილი, დასაქმებული და პატიოსანი. გამოეხმაუროს მხოლოდ დაოჯახების მსურველი, წესიერი მამაკაცი.

9. ვარ 35 წლის, განათხოვარი, თბილი, ერთგული ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, ერთგულ მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.

10. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზის“ მე-2 ნომრის 25-ე მესიჯის ავტორთან. ნინო.

11. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზის“ 52-ე ნომრის მე-18 მესიჯის ავტორთან.

12. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო კარგი ხასიათის, ახალგაზრდა მამაკაცი, 29 წლამდე. მე მქვია ნინო, ვარ 23 წლის. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

მამაკაცები

13. დაოჯახების მიზნით გავიცნობ განათხოვარ ან ქვრივ, პატიოსან, ლამაზ, უზრუნველყოფილ, 25-34 წლამდე თბილისელ მანდილოსანს. ვარ 34 წლის, 180/77, მამაკაცი.

14. მაინტერესებს „გზა“№20, მე-10 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი და მე-13 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. დიდი მადლობა.

15. გავიცნობ 18-22 წლის მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 20 წლის, სიმპათიური ბიჭი. გელით. კროლო.

16. ვეძებ სასიამოვნო გარეგნობის, მეოჯახე და პატიოსან გოგოს, ვისაც უნდა ჰქონდეს თბილი და ლამაზი ოჯახი. ვარ 42 წლის, კარგი გარეგნობისა და ხასიათის მამაკაცი.

17. გავიცნობ ლამაზ, მოხდენილ, პატიოსან, მშვიდ, ინტელექტუალურ, გრძელთმიან მანდილოსანს. ვარ 24 წლის, შავგვრემანი, სპორტული აღნაგობის.

18. ვარ 38/176/72, სიმპათიური, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფილ, 23-35 წლის, წესიერ ქალიშვილს.

19. ვარ 48 წლის, თბილისში მცხოვრები მამაკაცი, დასაქმებული. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ მანდილოსანს.

20. ვარ 30 წლის, დასაქმებული, სიმპათიური, მხიარული. რუსთაველო და თბილისელო გოგონებო, დამიმესიჯეთ, ვისაც ლამაზი ოჯახის შექმნა გსურთ. დაბლებთან — ბოდიში. დათო.

21. ვარ 33 წლის, ცოლს გაცილებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 25-33 წლის, პატიოსან, თბილ, მოსიყვარულე გოგოს. ერთგული ბიჭი.



სავლესმაგრ

• ეს რუსეთის ბრძნული სწავლის ძველი დოგმა გახლავთ: ამერიკა-ყაყაო, სსრკ-კაკა! დღეს პირიქით გამოვიდა და რუსეთმა — ყაყამ, საქართველო დაამსგავსა ხეიბარს და საპყარს! კოკოითიც შეეტენა რუსს ყაყიან ტაკოში, აფსუებსაც გაუკეთეს ყაყიანი ნარკოზი. ღმერთმა მეტი ნურც აღირსოთ,

იგორაონ „გავნოში“. საქართველოს თავის გზა აქვს, ნათელი გზა — ნატოში! ტურბულენტურ ზონაშია დღეს რუსეთის რუტინა, ჯოჯოხეთის ვიზა მისცა დღეს მთელ რუსეთს პუტინმა. კიდევ კარგი, ვერ მოასწრო, ვერ დაგვაინფიცირა, გაწყდეს ჩრდილოელი დათვის ჯილაგი და სინსილა! ენიგმა.

• მარ, ლამაზი სიყვარული, იცი, როგორია? აი, ისეთი, მგზავნელებს რომ გვაქვს. შაბათს ფელამუშა, პავლიკა, ჭრიჭინა და მე შევხვდით ერთმანეთს. აუ, აი, პავლიკა რომ მიყვარდა, ეგ ჰო, მაგრამ ახლა ჭრიჭინა და ფელამუშაც უკვე ძალიან მაგრად შემიყვარდნენ. მოკლედ, მაგრად მიყვარხართ სამივე, ჩემი ძმები და და ხართ. შაბათს ისევ გნახავთ. გაკოცეთ. p.s. ფელამუშ, მალე გამოჯანმრთელდი, რა... ფეხი აღარ გტკიოდეს. სესი.

• ამ ბოლო დროს ერთი ბოროტული ოცნება დამებადა. მინდა, მინიმუმ 15-ბალიანი მიწისძვრა მოხდეს და მთელი რუსეთი ამოწყდეს. ღმერთმა მაპატიოს, ვცოდავ. ჩვენი სისხლი არ შერჩებათ! კუკლანი.

• ვემზადებით ცოცხალი ჯაჭვისთვის. ჩემს პატარას „კენგურუში“ ჩავისვამ და ისე დავდგები მაგისტრალზე. ამ ყველაფერთან დაკავშირებით კი მამაჩემმა იხუმრა — მთელი საქართველო რომ ჩაჰკიდებს ხელს, ერთი თავიდან შეუშვებენ დენს და ბოლომდე გავაო. ჩემმა სტუმარმა, ნათიამ კი დაიჯერა და შეშინდა. გაკოცეთ. ელისო.

• გოგონებო, ეს რა პანიკაა, ეს რა გჭირთ? რას წუწუნებთ? ან რას ჰქვია — რისთვის იყო საჭირო ამდენი მსხვერპლიო? ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, ხალხნო? სწორედაც, რომ საჭირო იყო! საჭირო იყო იმიტომ, რომ სამშობლოს არსი გაგვეგო, ჩვენი ერთიანობა გაგვეხსენებინა. ზოგიერთს საქართველო მარტო ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოების თქმის დროს თუ ახსენდება. აქამდე ყველამ არ იცოდა სამშობლოს ფასი. ახლა მიხვდნენ, მაგრამ ეს დიდი სისხლის ფასად დაგვიჯდა. მთავარია, ახლა მაინც მიხვდნენ. თურმე, რამდენი დადიანი თუ დემეტრე თავდადებული ჰყოლია საქართველოს! მე ვამაყობ ამით... გოგონებო, ეს წუწუნი არაფერს უშველის, ეს ტკივილი ყველას ხინჯად ჩაგვრჩება გულში, მაგრამ სწორედ ეს ტკივილი გაგვაზრდევინებს ახალ დადიანებსა და თუთაშხიებს, ხერხეულიძეებსა თუ ჭავჭავაძეებს... ამაში კი დიდი წვლილი ჩვენ უნდა შევიტანოთ, ჩვენ, მომავალმა დედებმა... ეს ომი არასოდეს დამთავრდება. გუშინ ოსმალები იყვნენ, დღეს რუსები, ხვალ — ღმერთმა იცის, ვის მოვუვალთ თვალში. დღეს ქართველი დედა იმის ნაცვლად, რომ შვილს „იავნანის“ თუ გალობების ქვეშ ზრდიდეს, უფლისა და სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდეს, როკ-მუსიკის ჰანგებქვეშ „უზრდის მამულს შვილს“. ან უფრო უარესი — საერთოდ ვერ იცლის შვილის გასაზრდელად. მიზეზიც თითქოსდა დამაჯერებელი აქვთ — ხომ უნდა ვარჩინოთო? ჰოო? კაი, კაცო, ჩაცმა-დახურვასა და საკვების მოპოვებაში გართულებს, ჩვენი უმთავრესი ვალი გვავიცყდება — შვილის აღზრდა და არა გაზრდა). ჯერ ამისთვის უნდა მოვიცალოთ. სირცხვილი იმ დედას, ვისმა შვილმაც ქართველების სისხლით დაწერილი ისტორია არ იცის და „არსენალის“ თუ „ჩელსის“ ფეხბურთელების ბიოგრაფია თუ გატანილი გოლები წყალივით ახსოვს! დარწმუნებული ვარ, სხაპასხუპით გეტყვიან, ვინ, როგორ და რა პოზაში გაიტანა გოლი ამა თუ იმ წელს. აბა, „ჩიხურას“ ბრძოლაზე ჰკითხე? ოჰ, მსაჯის ბრალი იყო, თორემ მოგებული გვექნებოდაო, გეტყვის („ჩიხურა“ ერთ-ერთი საფეხბურთო გუნდია) თვალებგაბრწყინებული. ეეჰ, დღეს არავის ულხინს, ერთი-ორის გარდა, არც დედაჩემს ულხინდა, მე რომ მზრდიდა, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ის მაინც შეძლო, ნამდვილ ქართველ მანდილოსნად აღვეზარდე. ეს უმთავრესი არ დამაკლო. შენ შემოგევლე, დედა, ამისთვის, თქვენ შემოგევლეთ, ქართველო დედებო!



აქ ჩემზე „ძველი“ ვინ არის?



ჯილდო ერთგულებისთვის

ჩემს სოფელში, ჩემ ირგვლივ მცხოვრებ ბავშვებს რომ ჰკითხო, ვინ გამოხვალო, სიამაყით ანთებული თვალებით გიპასუხებს — ჯარისკაცი-დადიანი. რამდენი რამ იხატება ამ ორ სიტყვაში — იმედი გამარჯვების, იმედი გადარჩენის. ამ პატარა ბავშვებისგან ამას რომ ვისმენ, გული სიამაყით მევსება. რაღა გვიჭირს, ხალხო, აი, ამისთვის უნდა ვიცოცხლოთ, აი, ამისთვის უნდა გავძლოთ გოგონებო... მართალია, ბევრი შეეწირა ამ ომს, მაგრამ ტირილი და ვაი-ვიში არ გვარგებს, არ გვეკადრება, გოგონებო, მათ ნაცვლად ჩვენ ავწიოთ ქართული დროშები, მტერს ვუჩვენოთ, რომ „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“... იმის გარკვევაში, ვინაა დღეს საქართველოს მართვის ღირსი, პოზიციად თუ ოპოზიციად ვართ დაყოფილნი. რა მნიშვნელობა აქ დღეს, მიშა იქნება თუ გრეჩიხა, დრონი მეფობენ და არა — მეფენი. ყოველთვის იდგმება ბაზალეთის ტბაში ოქროს აკვანი. მთავარია, ჩვენ ვიყოთ ერთად — ხმა ღვთისა და ხმა ერისა, ერთია. ჩვენი ერთად ყოფნა, შვილების სწორი აღზრდა, „ჭირსა შიგან გამაგრება“ თუ გადაგვარჩენს! „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. საქართველო, უპირველეს ყოვლისა! ლიმონა.

• ჩემმა ახლობელმა გოგომ თავისი მომავალი ქმარი ინტერნეტით გაიცნო. ისინი ერთმანეთს ყოველდღე, საათობით ელაპარაკებოდნენ. ერთ დღესაც გადაწყვიტეს, შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ კიდეც და... შემდეგ იყო ულამაზესი დღეები, ქორწილი... ახლა კი გულს უხარებთ 1 წლის და 4 თვის პატარა ლიზი. lovely-girl.

• ახლა ცრემლიან-ღიმილიანი თვალებით ჩავათავე „გზავნილების“ კითხვა. გული დამიმძიმა მგზავნელების მიერ მონათხრობმა ამბებმა. შეიძლება ჩემი ნათქვამი ბევრს (თუ ყველას არა) სისულელედ მოეჩვენოს, მაგრამ ჩემი აზრით, ღმერთმა ომის სახით სასჯელი მოგვივლინა და ერთად დგომა, ერთმანეთის სიყვარული გვასწავლა. ამას წინათ „კურიერს“ ვუყურებდი. ერთ ქალს ჩამოართვეს ინტერვიუ, ის კი ისეთი დაბნეული იყო, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და — თქვენ გენაცვალეთ, ქართველებო! ამაზე მეტის თქმა რაღა საჭირო იყო? მინდა, ყველას მეც ამავე სიტყვებით მოგმართოთ — თქვენ გენაცვალეთ, გამრავლდით და გაიხარეთ, ქართველებო! მაგდალინა.

• მგზავრი კვლავაც „მგზავრობს“ „გზაში“, ხონსკიც კიდევ აქვეა/ ომის შემდეგ ზოგიერთი ტკივილისგან თავქვეა/ ლიმონჩიკას აზრთა რითმამ დამავიწყა სიმწარე/ რადგან კვლავაც შეიტანა „გზავნილებში“ სიმართლე/ ლორელაი დაგვიმწუხრდა, ვიზიარებ ტკივილს შენსას/ სისხლიანი გამარჯვება მოსალოცად თუ ღირს, ნეტავ../ კიკო, მე გთხოვ, დაგვიბრუნდი, მენატრება სტიქიაც/ ნეტავი სად დაიკარგა ეს პოეტი ბიჭია?/ იკჩო-სიხჩო სტუმრობს თელავს, შემოგვეჭრა გულებში/ ჩორის ნახვა ისე მინდა, რომ დავფრინავ ღრუბლებში/ მავნე გოგოს ვენაცვალე, მწვანეს ვუნთებ გულში/ ნონ სტოპმა არ მიმასტოპა, ღელვა იყო ფუჭი/ ოლეც თურმე გვერდში გვიდგას, არტემიდაც სტარტზეა/ იარმორკელი ჩვენს გუნდში, „გზავნილებში“ ხაზზეა/ კახელო616 დადის კიდევ აღმა-დაღმა/ მე დამტოვა აქ, გამოღმით, გულს უხარებს ვინცხებს საცხა/ ადვოკატი ფელამუშა ჩურჩხელაზე არის ტკბილი/ ფრთხილად იყავით მაგასთან, არ გამოგკრათ ვინმეს კბილი/ მე დღეს ამით დავამთავრე მგზავნელების მოკითხვები/ მის რეალმა თქვენ მოგიძღვნათ სიყვარულით, ეს სტროფები.

• ყოვლადწმინდაო მარიამ, უბრწყინვალესო ნათელო, ღვთისა მშობელო ქალწულო, ცისა და მიწის სანთელო, მე შენში ვხედავ იდეალს ჩვენი ქართველი დედების, სიმართლის გზებით გვატარე, ცუდი ნუ დაგვებედების, შენ გაგვიზარდე შვილები, მიეც ძალა და მხნეობა, არა გაქრების ქართული, ტრადიცია და ზნეობა. ვერვინ წაბილწავს ჩვენს ერსა, ჯავრი არ შეგვჭამს მტრისანი, დაზრდილნი გვყვანან იცოდეთ, ალეგეთს, ლეკვები მგლისანი. ვერვინ წაგვართმევს აფხაზეთს, დღეს საქართველო ერთია, ჩვენი ძმებია ოსებიც და ამის მოწმე ღმერთია. მარიამობის ღამესა, ქართველთ იმედი გვიჩნდება, რომ შენთან ერთად მტრის ძლევა აწი არ გაგვიჭირდება... წილხვდომ ქვეყანას შენსასა, არ მიატოვებს უფალიც, ერთად ვიბრძოლებთ დედაო, რომ ვიყოთ თავისუფალნი. ლიმონა.

• დროთა დინებას გაუძლებს, ეს მეგობრობა წმინდა, ყველამ გაიგოს, მიყვარხართ, რა ვქნა, მე ასე მინდა. ანგელოზებმა დაგვლოცეს, ღმერთმა გვაკურთხა ციდან, არ ვნანობ მე თქვენს გაცნობას, ჟურნალი ამად ღირდა. დაე, ნუ იყოს ხანმოკლე ჩვენი სიტყვები, თქმული, ვერ დაგვშლის თავად სიკვდილიც, როცა ბატონობს გული. ჩვენს მეგობრობას დავლოცავ, ჭირსა და ლხინში ქებულს, მე ამაყი ვარ თქვენით, მე თქვენ გიწოდებთ რჩეულს. მაოცებს თქვენი გული და მაგ თვალების სითბო, თქვენი სპეტაკი სული, მუდამ რო მასთან მიხმობს. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, აღარ უნდა ბევრი მტკიცი, მწამს არასდროს დაირღვევა ჩვენი მეგობრობის ფიცი. ჩორის თამადობით ჩვენი მეგობრობისა იყოს, მგზავნელებო! ლიმონა.

• ეჰ, ნეტავ „გზა“ დროულად მოაღწევს ჩვენამდე? უჰ, როგორ მომენატრა „გზავნილების“ ცხელ-ცხელი ამბები! 13.07.

• ზურა, ძამი, გულს ნუ გაიტეხ, შენ უკეთესს იმსახურებ, ვინც მთელი არსებით შეგიყვარებს. ახლა შენი დროა. 13.07.

• ეჰ, ლორე, მარტო გაძარცვით არ დაკმაყოფილდნენ დამპალი რუსები, ბომბიც ესროლეს ჩემს სახლს, რის შედეგადაც სახურავი აღარაა და ოთახიც ჩამოინგრა. ეს ყველაფერი მხოლოდ ბომბის დაცემამ გამოიწვია. საბედნიეროდ არ აფეთქდა, თორემ... ნიკოლი.

• საზღვართან ცრემლებად დადენილი, ციმციმა ალმასები მკერდზე ეფსკვნე-



ქალში ყველაზე მეტად
ვ შანს ვათასებ —
სახე და მკერდი.

ბოდა, მძივად. ყელში გაჩხერილი ქვითინის ლოდები სულში გროვდებოდა ბოღმად, იდგა გარინდული, მშობლიურ საზღვართან და გულში ჩაეკრა ზეცას. გაბნეულ აზრებს არც კი დაეძებდა, მხოლოდ ჯავრი ჰქონდა შიშად. ყველაფერს შეხებოდა, მოალერსებოდა, წამი არ დაჰკარგვოდა უქმად, ბობოქარ ტალღებად კლდეს ეხეთქებოდა, მთებს ეფრქვეოდა შხეფად, ნისლად გაფანტული მზეს ეფიცხებოდა, ბარს ეფინებოდა თრთვილად. ტუჩებს მოწყვეტილი მწარე ჩურჩული ქარს გაეტაცნა ჭორად — „როდის გიხილავ, კვლავ ჩემო მხარევ, არ მინდა მექცე ნატვრად... ნატვრადაც მექცა, სიზმრადაც და ლოცვადაც. უფალო, ერთობა და მშვიდობა გვიწყალობე. ალალო.

• ხალხო, ყველა რუსი შემზიზღდა. მათ ცხოვრება დაგვიმახინჯეს. კარგად ჩანს რუსების სახე. ისინი ცივსისხლიანი არსებები არიან. ჰოი, საქართველოვ... საცოდავო დედებო, ბიჭებო, ქალებო! რამდენი დაიღუპა... ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება რუსების აგრესია. ღმერთი არ გაპატიებთ! scorpion girl.

• მარიამ ღვთისმშობელო, შენ გადმოაფარე საქართველოს შენი კალთა, დაიცავი ურჯულო მტრისგან საქართველო. მე მიყვარს ეს მიწა, ღვთისგან ნაკურთხი. დადუ.

• დადუ, მე მჯერა შენი, იმიტომ რომ შენ კარგი გოგო ხარ. მე დაგელოდები შენ, თუნდაც საუკუნე.

• რა დროს ჩხუბია, მოვეფეროთ ერთმანეთს ხალხო, ტკივილი დავუამოთ ერთმანეთს. მიყვარხართ მგზავნელებო, უმაგრესად. იცოდით? დადუ.

• ლიმონა მანიუ და მის რეალ, ორივე ძაან მაგრები ხართ. გაფასებთ ორივეს მაგრად, თქვენ გაიხარეთ! ჩემი ფავორიტები ხართ, ორივე. მეგრელი კაცი, დადუ.

• ღვთისმშობლის მადლი გფარავედთ, დებო და ძმებო, ტკივილმა და ომმა დაგვაახლოვა. გვეყო შური და ბოღმა, სიკეთე გავიყოთ, ხალხო! დაბრუნდი, განძის მაძიებელო. ტირიფი73.

• მშვიდობა თქვენდა! გისამძიმრებთ ყველას, ამდენი ადამიანის ტკივილს. მის რეალ, როგორ ხარ? იმედია, კარგად. ძალიან მაგარი ლექსები იყო. სტოპ რუსსია! გოგა.

• 19 წლის ვარ და უკვე გული მაწუხებს. ექიმის დიაგნოზი — ტიპიური ნევროზი. ჯანდაბა რუსებს, ომის შემხედვარეს, ნერვები აღარ აქვს ამ ახალგაზრდობას. გაკოცეთ ბევრი. ედელვაისი.

• ჩემო სიამაყევ, მამაცო თოჯინავ, სად ხარ? ჭრიჭინას, ლიმონას, მის რეალს, სესის, პატარა მავნეს, პავლიკას მოვიკითხავ. გაიხარეთ, მგზავნელებო, ღმერთი გფარავდეთ, ყველას. სიკვდილა.

• გრუზინკა, გენაცვალე გოგონი, დიდი მადლობა, რომ მომიკითხე. კარგად ვარ, ასეთ ყოფაზე კარგი თუ ითქმის... ძაან საყვარელი ხარ და მაგრად მინდა შენთან მეგობრობა. ბოხო.

• მგზავნელებო, შაბათს, 1-ელ საათზე, სამების ეზოში, შადრევნებთან მოდით, ვნახოთ ერთმანეთი. ფელამუშ, პავლიკ, ჭრიჭინ, მიყვარხართ (სხვებიც). სესი.

• ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, გავუთბოთ ერთმანეთს გულები. პავლიკა.

• ხმას ვუერთებ გულად, პურად და ჩემს ვაჟკაც ერის ხმას. უნიტაზის უნახავ რუსებს რა�ა? დედის .....! ამ ბილბორდით შემოვდივარ „გზის“ ფურცლებზე. ენიგმა.



• სიყვარული არის ყველაფერი. ვისაც სიყვარული არ განუცდია, ეს იგივეა, რომ არ უცხოვრია. ჩემო კვატია, ძალიან მიყვარხარ. შენი ბუტუტია.

• ჩემო ბასასო, არაფერი არ მინდა შენ გარდა, ვერაფრით მოგწვდი, ვერაფრით მოგიახლოვდი. ისევ შენ თუ მოინდომებ და მოხვალ ჩემთან. ასე მგონია, დაგავიწყდი. ადრე სულ ჩემთან იყავი, ძილსა და ცხადში, ახლა კი ფიქრშიც მენატრები. ერთადერთი საშუალება დამრჩა — ოცნებით მოგეახლო, დაგიკოცნო თვალები, თავი გულზე მოგადო, გავყუჩდე, გავიტრუნო, გავქვავდე, რომ არ მოგშორდე არასდროს, მაგრამ ასე წამიერად ხდება. სინამდვილეში ისევ მენატრები, ისევ სიცარიელეა, უშენობით გამოწვეული სიცარიელე... ამ დროს არავინ და არაფერი მინდა. ახლა? ახლა ვზივარ და გელი, გელი უსასრულოდ და უიმედოდ. ისე მენატრები, ვერ აგიხსნი. რას შევადარო ეს მონა-



სასეგე აღბეჭდილი პროფესიული ბედნიერება

— უკაცრავად, გზას ვერ მიმასწავლით?

ტრება? ასეთ წუთებში მინდა, მარტო ვიყო, სულ მარტო, რომ არაფერმა შემაწყვეტინოს შენზე ფიქრი. აი, შენი სახე მიდგება თვალწინ, ლამაზი თვალები, სავსე გული, სავსე — სიკეთით და სიყვარულით, აუხდენელი ოცნებებით, იმედგაცრუებით და კიდევ უამრავი რაღაცით, რასაც სახელს ვერ ვარქმევ. მენატრები. ვემუდარები ღმერთს, დამიბრუნოს შენი თავი. ამ იმედით ვარსებობ. ბანდურა.

• მინდა, რომ ჩემს სიცოცხლეს, ბათუმელ გიო დევაძეს ვუთხრა, რომ მაინც ჩემი ბედისწერაა. მიყვარს ჩემი შავტუხა, 7 წელია, უკვე. გიუპოეტა.

• ჩემს დაიკო ნატოს საბერძნეთში მინდა ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს და მენატრება, თავის ოჯახთან ერთად. შენი დაიკო, ნონა.



• მალხაზ გადელიას ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩვენო კარგო, ჯანმრთელად გვყავდე. დავრწმუნდით, რომ საქართველოს გამო თავსაც დადებ. გორელების მაგიერ მადლობას მოხალისეები გიხდით. ხომ მიხვდი, ვინ ვართ? თ.მ.ჯ.დ.გ.

• ბაღდათში ჩემს ძმისშვილს, ელისო გოცირიძეს და ჩემს სიძეს, ხვთისო მალაქშანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ, თავის მარისთან ერთად. მიყვარხართ და მენატრებით ძალიან. თქვენი მამიდულა მარინულა დელვინაკი.

• თამუნა, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, მარიამობასა და დაბადების დღეს გილოცავ. წმინდა მარიამი გფარავდეს. ბიძინა.

• 30 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილს, მირანდა კაშმაძეს. მრავალ დაბადების დღეებს დაგასწროს ღმერთმა. გისურვებ სიხარულსა და ლამაზ სიყვარულს.

• მირანდა კაშმაძეს სულითა და გულით ვულოცავთ მარიამობას და 30 აგვისტოს, დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ლამაზ და ჭეშმარიტ სიყვარულს. მაგდა, ზვიადი.

• ჩემს საყვარელ მამიდას, მზია ყველაძეს დაბადების დღეს ვულოცავ 29 აგვისტოს. მამიდა, გილოცავ, გისურვებ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნასა და ბედნიერებას, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

• ლორელაისა და განძის მაძიებელს ჩემი, კამელიასა და ლუნას სახელით დაგვიანებით ვულოცავ იუბილეს. ჯანმრთელობა, სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ. გრუზინკა.

• ინგა ბოლქვაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი ყოფილიყავი მთელი სიცოცხლე. შენი რძალი, ნონა.

• თამთა ნიგურიანს 4 სექტემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებ. უცნობი.

• გია, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი, მუდამ ბედნიერი და ჯანმრთელი ყოფილიყავი. 30 წელი ის ასაკია, რომ უკვე უნდა იცოდე, რას აკეთებ, რა არის შენთვის ცუდი და რა — კარგი. მიყვარხარ და მუდამ მეყვარები, ჩემო უგულო, უღმერთო გიგლა. ნატო.

• ზეზვა კამარაულს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან ერთად. გისურვებ წინსვლას ცხოვრებაში. ჯაბა მარსაგიშვილი.

• ინგა, გილოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, გაძლიერდი, გამრავლდი და იდღეგრძელე. გისურვებ წარმატებებს ყველა საქმეში. გკოცნის შენი დედა, ციური.

• 3 სექტემბერს აბლახანუმს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ დიდ ბედნიერებას და უსაზღვრო სიყვარულს. ჩემს მოლოცვას უერთდება აგენტი 007, დიდი სიყვარულით. კოზანოსტრა.



სიყვარული ივიკვა, რომ
ქარვალში ჩასვარო. ყველა
ხედავს, შენ — შეიგრძნობ.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფიფიკალენდარი

4 სექტემბერი

ატომური უზრუნველყოფის სპეციალისტის საერთაშორისო დღე

აბა, თუ გამოიცნობთ, ვინ იყო ინიციატორი, რომ ეს დღე დაწესებულიყო და საერთაშორისო დღესასწაულად ქცეულიყო? სწოორია! 2006 წლის 31 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ ატომურ უზრუნველყოფაზე მზრუნველი ადამიანები პროფესიულ დღესასწაულს იმსახურებდნენ. პირველ საბჭოთა ატომურ ბომბს „იოსებ-1" სტალინის პატივსაცემად დაარქვეს და 1949 წლის 29 აგვისტოს გამოცადეს. მას შემდეგ ატომური ბომბი 715-ჯერ გამოცადეს. ბოლოს, ახალ მიწაზე — 1990 წლის 24 ოქტომბერს. მართალია, ჩვენთვის საკალდებულო არ არის, რომ ეს დღე აღვნიშნოთ, მაგრამ უბრალოდ, მინდოდა შემეხსენებინა, რას ზეიმობენ მსოფლიოში რუსეთის ინიციატივით. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ თავიანთი ბომბი (ფუი, ეშმაკს!).

7 სექტემბერი



განათლების მსოფლიო დღე

ამ დღესასწაულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით აღნიშნავენ. გაუნათლებლობასთან ბრძოლა დიდი მასშტაბისა და სირთულის მქონე ამოცანად რჩება. მსოფლიოში 860 მილიონი მოზრდილი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო 100 მილიონ ბავშვს სკოლაში საერთოდ არ უვლია. ამ ინფორმაციას რომ წაიკითხავ, მიხვდები, რა კარგია, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პრობლემა რომ არ არსებობს. მართალია, უმაღლესი განათლება უსახსრობის გამო ბევრისთვის მიუღწეველ ოცნებად რჩება, მაგრამ წერა-კითხვის სწავლებას არავის ამადლიან. „ანი", „ბანი", „განი", „დონი", „ენი", „ვინი"... ამ ანბანს თუ ბოლომდე შეუცდომლად ჩაამთავრებ, ჩათვალე, რომ სრული უფლება გაქვს, ეს დღესასწაული აღნიშნო. თუ არა და, წიგნს ჩაუჯექი.

8 სექტემბერი



ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე

არ ვიცი, შემთხვევითაა თუ განგებ, რომ ეს დღე სწორედ წინა დღესასწაულს მოჰყვება, მაგრამ ცხადია, რომ ჟურნალისტს სათანადო განათლება აუცილებლად უნდა ჰქონდეს, გამართული ქართულით წერდეს და მეტყველებდეს. ნუ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უნდა იცოდეს, რომ დივანი ავეჯია, მდივანი — ადამიანი. ყველა ჟურნალისტს ვულოცავ ამ დღესასწაულს და წარმატებას ვუსურვებ.

9 სექტემბერი



სილამაზის საერთაშორისო დღე

კოსმეტოლოგიის სფეროში XX საუკუნეში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. ესთეტიკისა და კოსმეტოლოგიის საერთაშორისო კომიტეტმა „სიდესკომ“ ინიციატივა გამოიჩინა და სილამეზის დღე დააწესა. რა სამწუხაროა, რომ ამ კომიტეტის წევრთა შორის უმეტესობა ქალია და ინიციატივაც ქალებს ეკუთვნოდათ. ასეა თუ ისე, 1995 წლიდან ეს დღე სილამაზისა და მშვენიერების დღესასწაულია. არ არის აუცილებელი, რომ ის მხოლოდ მაშინ აღნიშნო, თუ შენი პარამეტრები 90-60-90-ია. უბრალოდ, გაიღიმე, იფიქრე, რომ ცხოვრება მშვენიერია და მერე ამ მშვენიერების სადღეგრძელო დალიე.

10 სექტემბერი



თვითმკვლელობის აღკვეთის დღე

ძალადობის შედეგად გარდაცვლილთა 70% თვითმკვლელია. მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, წლის განმავლობაში სუიციდის შემთხვევათა რიცხვი 1 მილიონს უტოლდება. მათივე პროგნოზით, 2020 წლისთვის თვითმკვლელთა რიცხვი 1,5-ჯერ გაიზრდება. სწორედ ამის გამო გადაწყდა, რომ სუიციდთან ბრძოლის დღე დაეწესებინათ. ეს გლობალური, ტრაგიკული პრობლემაა და სუიციდის შედეგად გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ომის დროს.

ამ დღეს გარდაცვლილებს პატივი უნდა მივაგოთ.

22 სექტემბერი

ამერიკელი ბიზნესმენი ქალების დღე

ამ დღეს ამერიკაში 1990-იანი წლებიდან ზეიმობენ და მისი დაარსების ინიციატორი საქმიანი ქალების ორგანიზაცია გახდა. მართალია, დღესასწაულმა ჯერ საერთაშორისო მასშტაბებს ვერ მიაღწია, მაგრამ ბევრი ფემინისტისთვის სავსებით პოლიტკორექტულად „გამოიყურება“. მე კი წინადადება შემომაქვს, ჩვენც დავაწესოთ მსგავსი დღესასწაული, მაგალითად, „ბიზნესმენობის მსურველ ქალთა დღე“, „უცხოეთში წასულ ქალთა დღე“ ან უბრალოდ, „ოჯახის ტვირთის მზიდველ ქალთა დღე“.



დაკრძალვის რიტუალები

გარდაცვლილების ხსოვნა ნებისმიერი ქვეყნის, რასისა და ეროვნების ადამიანისთვის წმიდათაწმიდაა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოში დაკრძალვის უამრავი ტრადიცია და რიტუალი არსებობს. ნებისმიერმა მოგზაურმა იცის, რომ უცხო ქვეყნის კულტურის შეცნობა ყველაზე უკეთ წინაპრებისადმი მიგებული პატივით შეიძლება.

ესპანეთი

ესპანეთში არსებობს დაკრძალვის უცნაური წესი. მიუხედავად იმისა, რომ ახლობლები განიცდიან ადამიანის დაკარგვას, მათი რიტუალის აუცილებელი პირობა მხიარულება, სიმღერა და ცეკვაა. თუ მდიდარი ადამიანი გარდაიცვლება, შესაძლოა, კარნავალიც კი მოაწყონ. მიცვალებულს საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი 4 ადამიანი ზემოთ აწეული ხელებით მიასვენებს. მათ ნიღბებში გამოწყობილი სამგლოვიარო პროცესია მიჰყვება. ამ დროს მეტად პოპულარულია მტირალა ქვრივის ნიღაბი. ქუჩებში მიმავალი ხალხი მიცვალებულს ტირილით აცილებს. ბოლოს, მიცვალებულს წვავენ, ფერფლს კი მიწაში მარხავენ. დაკრძალვის ასეთი რიტუალი გოიას თავის ტილოზე აქვს გადმოცემული.

ავსტრია

ალპური სოფლის, ძნელად მისადგომ მომცრო ზომის გოტიკურ ეკლესიაში 600-ზე მეტი შეღებილი თავის ქალა ინახება. თითოეულ მათგანს ფირნიში აქვს, რომელზეც „პატრონის“ ვინაობაა ამოტვიფრული. ეკლესიის ეზოში მდებარე სასაფლაო ძალზე პატარაა და თუ ძველი *მიცვალებულის პატრონები* მიწის ქირას 25 წლით წინასწარ არ გადაიხდიან, მიცვალებულის ამოღება, მისი თავის ქალის შეღებვა და ეკლესიაში შენახვა ხდება. გათავისუფლებულ სასაფლაოს კი სხვა მიცვალებულის პატრონს მიაქირავებენ ხოლმე.

ფილიპინები

ფილიპინებზე, კუნძულ ლუსონზე, უკვე 2000 წელია, დაკრძალვის უცნაური მეთოდი არსებობს. მიცვალებულს ხის მორში ამოჭრილ სივრცეში ასვენებენ, შემდეგ კი მთაში, ძალზე მაღალ გამოქვაბულში მიაქვთ. ზოგიერთ გამოქვაბულში ასობით ასეთი უცნაური კუბო დგას. დაკრძალვის მსგავს რიტუალს ჩინეთისა და ინდონეზიის ზოგიერთ რეგიონშიც შეხვდებით. სამწუხაროდ, ზოგიერთ ტურისტს, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ასეთ სასაფლაოზე მოხვდეს, გარდაცვლილთა ძვლები სუვენირად მოაქვს. კუნძულის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა ქალაქის სასაფლაო გახლავთ, რომელიც 1871 წელს, ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ დედაქალაქთან ერთად წყალში ჩაიძირა. ახლა ამ ადგილას უზარმაზარი ჯვარი დგას, რომელიც 1982 წელს აღმართეს. წყალქვეშა მოგზაურობის მოყვარულთათვის ეს ადგილი ყველაზე პოპულარულია.

ინდონეზია

ინდონეზიურ ტომში, ტორაიაში დიდი დრო სჭირდება გარდაცვლილის მკვდრად აღიარებას. მიცვალებულს იქ „მძინარეს“ უწოდებენ და მის მუმიფიცირებას ახდენენ და ასეთ მდგომარეობაში, სპეციალურად მოწყობილ ოთახში წლების განმავლობაში ინახავენ. ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობს მზადება მიცვალებულის დასამარხავად. მიიჩნევენ, რომ „მძინარე“ ადამიანის სულს დრო სჭირდება სულების ქვეყანაში მოსახვედრად და ის ჯერ მკვდარი კი არა, ავადმყოფია. მიცვალებული „ოფიციალურ“ მკვდრად მაშინ ცხადდება, როდესაც ჰაერში რამდენჯერმე აისვრიან, შემდეგ ფეხებით სამხრეთით დააწვენენ. ერთი ღამეს დატოვებენ და შემდეგ მთაში მდებარე გამოქვაბულში გადაასვენებენ. აქ შესაძლოა, ასეულობით ძონძებით შეკერილი თოჯინა იხილოთ. მათ ტაუ-ტაუს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ისინი მიცვალებულების სულებს სდარაჯობენ.

ტიბეტი

ტიბეტის უბრალო ადამიანთა უმეტესობის (ლამებისა და კიდევ რამდენიმე კატეგორიის ადამიანების გამოკლებით) „ციური დაკრძალვა“ ერთ-ერთი მეთოდია, რითაც ადამიანები ახლობელ ადამიანს ეთხოვებიან მას შემდეგ, რაც „უკვდავი სული“ „ცარიელ ფიტულს“ დატოვებს. ცხედარს ანაწევრებდნენ და მთაში, არწივების საჭმელად მიჰქონდათ. მიიჩნევენ, რომ ეს ფრინველები ანგელოზების ანალოგები არიან და ბუდას ქალურ საწყისს წარმოადგენენ. გვამის შეჭმის შემდეგ მათ გარდაცვლილის სული ცაში აჰყავთ და შემდგომი რეინკარნაციისთვის ამზადებენ.

პერუ

მძარცველების მიერ დაცარიელებულ, ატაკამას უდაბნოში კიდევ შემორჩა რამდენიმე მუმია. ამ იდუმალებით მოსილ კულტურის მქონე ზოგიერთ წარმომადგენელს, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინ გაქრა, მხოლოდ ქარში მოფრიალე გრძელი თმა შერჩა, რომელიც სიცოცხლეში მის მაღალ სტატუსზე მეტყველებს.

თურქეთი

კლდეში გამოკვეთილი სასაფლაოს კომპლექსი უფრო მდიდრულ სასახლეს ჰგავს. რიტუალის უნიკალურობა და თავისებურება ისაა, რომ გარდაცვლილებს ამაღლებულ ადგილას მარხავდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ასე უფრო იოლი იყო მათი ზეცაში მოხვედრა. უძველესი გარდაცვლილების ასაკი 2 ათას წელს აღწევს.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

„ეკვიჩთ, ჩოე საღლაც, ოკვანის ბაღმა, თბილი, განათლებული და ეჩოეისმოყვარე ხალხი ცხოვრობს“...

საქართველოში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებსაც დაუკარგა მოსვენება. ისინი გულისფანცქალით ადევნებენ თვალს აქ მიმდინარე მოვლენებს და სამშობლოში დარჩენილი თავ-თავიანთი ოჯახებისთვის, შვილებისა და ახლობლებისთვის ლოცულობენ. აშშ-დან დაგვიკავშირდა მარინა სვანიძე, რომელიც რამდენიმე წელია, ემიგრაციაში იმყოფება. ქალბატონი მარინა ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, სხვა ქართველებთან ერთად, რუსული აგრესიის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა. მან გაგვამხნევა და დაგვაიმედა — ღვთისმშობლის წილხვედრია საქართველო და აუცილებლად გადავიტანთ ამ განსაცდელსო. მოგვიანებით, ქალბატონი მარინა კვლავ დაგვიკავშირდა და თავისი თავგადასავალი გვიამბო.

ანი აგულავა

„ახლა ამერიკელებმა გორი და იგოეთიც კი იციან...“

იმ ჯაფას ვეწევი, რომელიც ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მაკისრია. აქ ჩვენი განათლება და დიპლომები მხოლოდ ჩვენი სიმდიდრეა — ისეთი, რომელიც ამერიკელთა თვალში არაფერს ნიშნავს. შენი ადამიანობით და პირადი კულტურით თუ იგრძნობენ, რომ შენს ქვეყანაში თითქმის ყველა ადამიანი განათლებულია. აქ კარგად არ იცნობენ საქართველოს, ამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის კულტურას, ისტორიას, ბევრი რამ უკვირთ. არცაა გასაკვირი — აქ ხომ ბევრმა თავისი ქვეყნის ისტორიაც არ იცის. საქართველო მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებსა და რუს ებრაელებს ახსოვთ. თუმცა ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, ამერიკელებმა თბილისი და საქართველო კი არა, გორი და იგოეთიც კი იციან... მეექვსე წელი იწურება, რაც ამერიკაში ვარ. ჩამოვედი, როგორც სტუმარი, მაგრამ გაჭირვებამ და ვალებმა ემიგრანტად მაქცია. სამშობლოდან ბევრი რამ წამოვიღე — კასეტები, სადაც დოკუმენტური ფილმებია ჩვენი ქვეყნისა და კულტურის, ადათ-წესების შესახებ, აგრეთვე — მდიდარი ფოტოარქივი. სადაც კი მიმუშავია, ყველას ვუყვები ჩემს სანატრელ სამშობლოზე და ასე ვაცნობ აქ ამერიკელებს საქართველოს. ახლა, როცა ჩემი ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, მომხდარში დაწვრილებით გარკვევის მიზნით მირეკავენ, მოდიან ხოლმე. მაიმედებენ...

„დობრო პოჟალოვატ, მარინა!“

ენობრივი ბარიერის გამო, რუსულენოვან ოჯახებში ბავშვებთან მუშაობამ მომიწია. პირველად ისეთ ოჯახში მოვხვდი, სადაც დიდი გოგონა და 3 წლის ბიჭუნა ჰყავდათ. როცა მათთან პირველად მივედი, პატარამ ნახატი დამახვედრა: თავისი ოჯახის წევრები დაუხატავს და რუსულად წაუწერია: „დობრო პოჟალოვატ, მარინა!“ მალე გამიშინაურდნენ. ოჯახის უფროსები მენდობოდნენ, ბავშვებსაც შევუყვარდი. ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მათთვის ქართული სითბო გამეზიარებინა.

აქ ჩვენი განათლება და დიპლომები მხოლოდ ჩვენი სიმდიდრეა

ქართული იუბილე ამერიკულ „თბილისში“

კიდევ, ერთ ებრაულ ოჯახში გამოვზარდე პატარა. მოფერებით — „მიშკა პროფესორს“ ვეძახდი. 3 წლისას უკვე ქართული ანბანის გარჩევა შეეძლო!.. ოჯახი მადლიერი იყო. ბავშვის მამამ ნამდვილი სიურპრიზი მომიწყო. 50 წელი მისრულდებოდა. ამ ამბავს საგულდაგულოდ ვმალავდი, არ მინდოდა, ამის გამო რამით შეწუხებულიყვნენ. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოჯახის უფროსი ჩემს პასპორტში ნახავდა დაბადების თარიღს და დაიმახსოვრებდა. ჩემს დაბადების დღეს ჩვეულებრივ, ბავშვთან ერთად ვატარებდი. საღამოს, ოჯახის უფროსებმა სადღაც გაყოლა მთხოვეს. მოულოდნელად, ნიუ-იორკში, რესტორან „თბილისში“ აღმოვჩნდი. გავოცდი. რაღას ვიზამდი?! მაგრამ მთავარი სიურპრიზი წინ მელოდა: როცა სუფრას მივუსხედით და იქაუ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ლენინის ძალაუფლების ყოველი წელი, რუსეთს სამი მილიონი ადამიანის სიცოცხლედ უჯდებოდა.

2. „სტალინმა ორი შეცდომა დაუშვა: ევროპას რუსები აჩვენა და რუსებს — ევროპა“, — ამბობდა ჩერჩილი.

3. სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტი რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ქალიშვილობის სახელი და გვარია.

4. „კონიაკი, ბალეტი და ტანკები — აი, სამი რამ, რასაც ყველაზე კარგად აკეთებენ რუსები“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი. ინგლისის პრემიერ-მინისტრს ძალზე უყვარდა სომხური კონიაკი.

5. რუსეთში გვარები მხოლოდ „კნიაზებსა“ და ბოიარებს ჰქონდათ. უბრალო გლეხი მხოლოდ სახელსა და მამის სახელს ატარებდა.

6. გადაყენების შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვს ხშირად უთქვამს, რომ თავად უდიდეს მიღწევად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ უბრალო კენჭისყრით მოხდა მისი გადაყენება.

7. რუსეთში დღესაც ბევრს ჰგონია, რომ სტალინს ქართველები ჯარში არ მიჰყავდა. სინამდვილეში, სამამულო ომის დროს, საქართველოში ტოტალური მობილიზაცია გამოცხადდა, შინ კი 380000 კაცი ვეღარ დაბრუნდა. რესპუბლიკებს შორის, პროცენტულად, ყველაზე დიდი დანაკარგი საქართველომ განიცადა.

8. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-მ თავის მეორე შვილიშვილს სახელად კონსტანტინე დაარქვა და გულის სიღრმეში, კონსტანტინოპოლის ტახტზე მის აყვანაზე ოცნებობდა.

9. 1795 წლის 10 სექტემბერს თბილისში მცხოვრებმა ორმა ნაძირალამ, იოსებ ბებუთოვმა და არუთინა არარატიანცმა, საპატიმროდან გააპარეს ერეკლე II-ის მიერ დატყვევებული ელჩი აღა-მაჰმად-ხანისა, რის შედეგადაც ირანის მბრძანებელმა შეიტყო, რომ ქართველთა ხელმწიფეს 4 ათასი მეომარიც არ მოუგროვდებოდა.

10. როდესაც შაჰ-აბასის შვილმა სეფი-მირზამ ყიზილბაშ დიდებულთა წერილი მიიღო, მამაშენი ტახტიდან უნდა გადავაგდოთ და შენ უნდა გაგამეფოთო, არც კი დაფიქრებულა, მამამისს ეახლა და წერილი აჩვენა. აღტაცებული შაჰი შვილს გადაეხვია, მაგრამ ბოროტი ეჭვის ჭია მაინც შეუჩნდა გულში — „ერთიც ვნახოთ და მართლა მოუნდეს ჩემს შვილს ჩემი მოკვლა და ტახტის წართმევა!“ — ეჭვით გაგიჟებულმა შაჰმა ბებუთ-ხანი იხმო და უფლისწულის მოკვლა

საღამოს, ოჯახის უფროსებმა საღღაც გაყოლა მთხოვეს. მოულოდნელად, ნიუ-იორკში, რესტორან „თბილისში“ აღმოვჩნდი

რობას მოვავლე თვალი, აღმოვაჩინე, რომ სხვა მაგიდებთანაც ქართველები ისხდნენ! თურმე ერთი ახალგაზრდა ქართველის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. რომ გაიგეს, ქართველი ვიყავი, თან იუბილარიც, ყვავილების თაიგულები გამომიგზავნეს და გულითადად მომილოცეს. გულისხმიერებით, ჩემი მასპინძლებიც გააოცეს. მათ პატივსაცემად, რესტორნის ასევე ქართველმა მუსიკოსებმა ებრაელების უსაყვარლესი სიმღერა — „ჰავანაგილა“ შეასრულეს. რანი ყოფილხართ ეს ქართველებიო!.. — გაოცებას ვერ ფარავდა ოჯახის უფროსი. მეამაყებოდა ქართველობა და უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ქართული სიმღერების ფონზე, ნიუ-იორკის „თბილისში“ გატარებული ის საღამო არასოდეს დამავიწყდება. გული დამწყდა, იმ ოჯახიდან რომ წამოვედი. მათაც ეძნელებოდათ ჩემი გაშვება. დამშვიდობების ჟამს ცრემლები ვერ შევიკავე.

„სხვა საქართველო სად არის?..“

შემდეგ, პატარა გოგონას — დალასტანს ვზრდიდი. ჩემი შვილიშვილის — სალომეს ალი-კვალი იყო. სალომე 3 წლის დავტოვე თბილისში და მის მონატრებას მთლიანად ამერიკელი გოგონას წყალობით ვიქარვებდი. შეძლებისდაგვარად, ქართული ენა ვასწავლე. ერთ მშვენიერ დღეს, დალასტანის სანახავად, ებრაელი ბებია მოვიდა. შინ არავინ იყო. კარი რომ გავაღე, სიტყვა „თბილისი“ გავიგონე. თურმე ამ ქალბატონს ქართველი მეგობრები ჰყოლია... დალასტანის დაბადების დღეზე მან, ჩემდა გასაკვირად, ქართული სამარკო ღვინო მოიტანა. ებრაელი სტუმრები დიდად აქებდნენ ქართული ვაზის ნაჟურს. მე კი გულში მემღერებოდა: „საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?!.“ დალასტანის ბებიას ყველაზე მეტად, სიმღერა — „თბილისო“ უყვარდა, თუმცა სიტყვები ბოლომდე არ იცოდა და მე დავუწერე.

ქართული სითბოს მადლი

ახლა მოხუც ქალბატონს ვუვლი. ეს საკმაოდ რთული საქმეა. ენაც რომ არ იცოდე, ამოგადგმევინებენ... ვუძლებ გასაჭირს. ჩემს დღეში ბევრი ქართველი დედაა. რას ვიზამთ?.. ვეფერებით შვილებისაგან მიტოვებულ ამ მოხუცებს და მათაც სიამოვნებთ ქართული სითბო. უკვირთ, რომ ამ დედამიწაზე, სადღაც, ოკეანის გაღმა, ჯორჯიაში თბილი, განათლებული და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

ზანგიც რომ ქართულად ალაპარაკდება!..

ბევრი კურიოზი გადამხდენია თავს. ერთს გავიხსენებ: ამერიკაში რომ ჩავედი, იანვარი იყო. რეგისტრაცია გავიარეთ. ენა არ ვიცოდი და მებაჟეების შეკითხვებზე დავიბენი. ვერაფერი გამაგებინეს. საქმე ის იყო, რომ ისინი ჩემი ბარგის სიმრავლემ გააოცა. რა მექნა, იმდენი რამე გამომატანეს თბილისიდან, მებარგულები თუ მომეხმარებოდნენ გადაზიდვაში. სია მქონდა, ვისთვის რომელი ბარგი უნდა გადამეცა. ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ბარგის უმეტესი ნაწილის შიგთავსის თაობაზე არანაირ ინფორ-

მაციას არ ვფლობდი. ჩემმა ძმამ, ჩანთები რომ არ დაკარგულიყო, თითოეულს თბილისის აეროპორტშივე ქაღალდი მიაკრა და გაკრული ხელით წააწერა — „მარინა“.

ჰოდა, მებაჟეებმა ჩემთან მუნჯურადაც რომ ვერაფერი გააწყვეს, ხელი ჩაიქნიეს და საბუთები დამიბრუნეს. ვდგავარ ამ ჩემი ბარგით დარბაზში და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ბედად, ჩემკენ თავისი ურიკით შავკანიანი მებარგული გამოემართა. ვიფიქრე, ბარგს ტაქსიმდე მივატანინებ და შემდეგ, მანქანის მძღოლს თბილისიდან გამოტანებულ, ინგლისურად დაწერილ მისამართს გადავცემ-მეთქი. შავკანიანს ბარგზე ვანიშნე. მან ერთი ჩანთა აიღო, ქართულ წარწერას დახედა და მოულოდნელად, ქართულად მეკითხება: „შენია?“ გაოცებისაგან პირი დავაღე. რამდენი ჩანთაც ურიკაზე დადო, იმდენჯერ იმავე შეკითხვით მომმართა. ძლივს ამოვილუღლუღე: — ქართული საიდან იცი-მეთქი? ქართულადვე მიპასუხა: — ქალბატონო, ბოსი მყავდა ქართველი, თქვენ საიდანღა იცით ქართული? სიცილი ამივარდა. ეს ერთ-ერთმა მებაჟემ დაინახა. იფიქრა, თარჯიმანი ვიშოვეო, მოვიდა და საკონტროლო მაგიდასთან მიგვიხმო. როგორც მებარგულმა ამიხსნა, კონტროლიორებს ერთ-ერთი ჩანთის შიგთავსი აინტერესებდათ. მე კი ნამდვილად არ ვიცოდი, რადგან ის ჩანთაც გამოტანებული იყო და კონკრეტული პიროვნებისთვის უნდა გადამეცა. ბოლოს და ბოლოს, მებაჟეებმა ჩანთა გახსნეს. თურმე საახალწლო ნობათი ყოფილა. ჩურჩხელების დანახვაზე, ქართულის მცოდნე ზანგს თვალები გაუბრწყინდა... სხვათა შორის, ეს კურიოზი ზაზა სიდამონიძეს მოვუყევი, რომელმაც შემდეგ „იუმორინაზე“ გამოამზეურა...

შავკანიანს ბარგზე ვანიშნე. მან ერთი ჩანთა აიღო, ქართულ წარწერას დახედა და მოულოდნელად, მეკითხება: „შენია?“

„ღმერთო, ბედნიერ საქართველოში დამაბრუნე!“

საქართველო საომარ ვითარებაში რომ აღმოჩნდა, იმ დღიდან ძალიან ვნერვიულობ. მთელი დღე ქართულ ტელევიზიას ვუყურებ. ყოველდღე ვრეკავ საქართველოში მეგობრებთან და ასეც ვიგებ ახალ ამბებს. თბილისში ქალიშვილი, თავისი ოჯახით და 80 წლის მამა დავტოვე. ყოველი ზარის გაგონებაზე, ტელეფონთან მისვლის მეშინია. საშუალება რომ მქონდეს, ჩამოვიდოდი და ჩემს ქართველებთან ერთად ვიქნებოდი. გულმა არ მომითმინა, ჩემი ქვეყნის მხარდასაჭერად, რამდენიმე ასეულ ქართველთან ერთად, ნიუ-იორკში გამართულ მანიფესტაციაში მივიღე მონაწილეობა. მენატრება ჩემი საქართველო, ჩემი თბილისი, ჩემი სახლი. ყოველდღე ვლოცულობ — ღმერთო, შენ უშველე ჩემს სამშობლოს, ღმერთო, ბედნიერ საქართველოში დამაბრუნე! ■

ერთ ებრაულ ოჯახში გამოვბარდე პაგარა. მოფერებით — „მიშკა პროფესორს“ ვეძახდი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

დაავალა. ბებუთ-ხანმა ულაპარაკოდ შეასრულა შაჰის ბრძანება და სეფი-მირზას მოკვეთილი თავი რისხვით გონებადაბინდულ მამას მიართვა...

ათი დღე-ღამე ბნელში ჩაიკეტა მგლოვიარე მამა. ათი დღე-ღამე ტიროდა და გოდებდა ცრემლშეუშრობლად. ათი დღე არ ჭამდა, არ სვამდა და არავის იკარებდა.

მეთერთმეტე დღეს გარეთ გამოვიდა. გაიხსენა ყველა, ვინც სეფი-მირზას მოკვლაზე კვერი დაუკრა და ყველას თავი გააგდებინა.

ბოლოს, ბებუთ-ხანი იხმო და უბრძანა: ჩემი შვილის თავი რომ ასე სწრაფად მომირბენინე, ახლა წადი და შენი შვილის თავიც მომიტანეო.

ბებუთ-ხანმა „პირნათლად“ შეასრულა მეფის ბრძანება: მოკლა შვილი, მოკვეთა თავი და შაჰს მიართვა.

— ამიერიდან გეცოდინება, რა განიცადა ჩემმა გულმა, როცა შენ მომიკალი შვილი. შეგიძლია თავი ინუგეშო: ახლა მე და შენ ერთ ბედქვეშა ვართ! — უთხრა შაჰმა ბებუთ-ხანს.

11. 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანში გამართულ შეხვედრაზე სტალინმა ჩერჩილსა და რუზველტს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ, ბერლინის შუაგულში 50 ათას ნაცისტ ოფიცერს მოვუყაროთ თავი და სახალხოდ დავხვრიტოთო. ასეთმა შემზარავმა წინადადებამ ჩერჩილს თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობა გაუღვიძა და სასტიკი პროტესტი გამოთქვა. სიტუაციის განმუხტვას რუზველტი ხუმრობით შეეცადა — ჯანდაბას, 49 ათასი იყოსო. ჩერჩილი გაბრაზდა. ცალკე ოთახში გავიდა და უკან აღარ შემობრუნებულა, სანამ სტალინმა არ მიაკითხა და არ უთხრა, ვიხუმრეო.

12. „ახალი მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავ!“ — ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის კუბოსთან წარმოთქვა.

ირიეროის ხიმანი

დასაწყისი „გზა“ №24-35

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

— ვერ გავიგე, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — თაკოს ხმა წაერთვა, სახეზე მიტკლისფერი დაედო.

— ვფიქრობ, გასაგებად აგიხსენი, — ყრუდ წარმოთქვა ირაკლიმ.

— რატომ? მერე, მე? მათ არა აქვთ ამის უფლება!

— შენთან საიმედო ადამიანს გამოვგზავნი. შენ მას შორიდან იცნობ.

— ვის, ვის გამოგზავნი?! ვინ შეძლებს ჩემს დაცვას შენ გარდა! ყვე...

— მარი დაგიცავს, ჩემი დისშვილი, — გააწყვეტინა მამაკაცმა, — მე ამაზე ბევრი ვიფიქრე. ის მომზადებული კადრია, გარწმუნებ. თანაც, თვალდახუჭული ვენდობი. გარდა ამისა, დიდი ხანია ოცნებობს ასეთ სამსახურზე.

— მაგრამ მას გამოცდილება არა აქვს.

— სამაგიეროდ, გამუდმებით იღებდა ჩემგან ინსტრუქციებს. ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ყველა დეტალი, რაც ამ საქმეში გამოადგება. შეგიძლია, ენდო. თუმცა... თუ ჩემი კანდიდატურა არ მოგწონს, დაურეკე გიგას და სხვას გამოგზავნის.

— მაგრამ... რატომ შენ არა, რა შეიცვალა? რაში მჭირდება სხვა, როცა შენ არსებობ?

— ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. მათ მე ვჭირდები.

— მატყუებ! შენ ხომ საერთოდ არ მუშაობდი ასეთ საქმეებზე! გიომ მითხრა, ჩემი ხათრით დათანხმდა, თორემ არ წამოვიდოდა, კარგა ხნის წინ გაანება თავი პირად მცველობასო.

— ასეც იყო, მაგრამ რაც მამაშენთან მუშაობა დავიწყე, ბევრი რამ შეიცვალა.

თაკომ ზურგი შეაქცია. ხვდებოდა, მამაკაცი რომ იტყუებოდა, არ სჯეროდა მისი. მიზეზი მხოლოდ ერთი იყო — ირაკლის მისგან წასვლა სურდა.

— რადგან ასეა... — მორჩილად დახარა თავი გოგონამ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

მორიელმა სიმწრისგან მუშტები შეკრა.

— როდის უნდა წახვიდე?

— როგორც კი ჩემს ნივთებს მოვაგროვებ, დაახლოებით თხუთმეტ წუთში.

„ახლავე? თხუთმეტ წუთში? ნუთუ ერთი სული აქვს, როდის გაიქცევა ჩემგან?“ — გაიფიქრა სასოწარკვეთილმა, მაგრამ ხმამაღლა სულ სხვა რამ წარმოთქვა.

— კარგი. იმის უფლება მაინც მომეცი, გაგაცილო. იმედია, ჩაცმას მაცლი.

როგორც კი ირაკლი გავიდა, თაკომ გიოს მობილურის ნომერი აკრიბა და მამის მეგობარს დაელაპარაკა. გაიგო ის, რისი გაგებაც სურდა. ირაკლი არავის გამოუძახებია, ის არავის სჭირდებოდა, მით უმეტეს — გიგას. მოატყუა. ახლა ყველაფერი გასაგებია.

თაკომ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, მისი და ირაკლის ურთიერთობა ისედაც გართულდებოდა. და ეს მაშინ მოხდებოდა, როცა მამამისი გაიგებდა მათი რომანის შესახებ. გურამი არასდროს დათანხმდებოდა, რომ თითქმის მისი ასაკის ვიღაც დაქირავებული პირადი მცველი მისი სიძე გამხდარიყო. ქვეყანას დააქცევდა და ამას არ დაუშვებდა. ირაკლიმ ეს კარგად იცოდა, ამიტომაც გადაწყვიტა ასე, ამიტომაც დაასწრო გურამს.

ყოჩაღ! აქამდე არ სცოდნია თაკოს, ვისთან ჰქონია საქმე! მშიშარა! მხდალი! ლაჩარი! ჰმ, თურმე რა ეშმაკი ყოფილა, რა დიპლომატიური ტრიუკი გააკეთა?! რა მოხერხებულად დაიძვრინა თავი უხერხული სიტუაციიდან? რა ჭკვიანურად აირიდა თავიდან მოსალოდნელი გართულებები? არ მოუწევს რთული ახსნა-განმარტებების მიცემა გურამისთვის. გოგონა მიხვდა, რომ მორიელი არა მხოლოდ მას, პირველ რიგში, საკუთარ თავს გაექცა...

წყენის ცრემლებმა თვალები დაუბინდა. უნდოდა, ეყვირა, გულიანად გამოელანძღა საყვარელი ადამიანი, მაგრამ პატივმოყვარეობა ამის უფლებას არ აძლევდა. არ უნდა ეხვეწოს, თავი არ უნდა დაიმცिროს. იცის, მაინც ვერაფერს მიაღწევს. ირაკლი გააკეთებს იმას, რასაც თავად მიიჩნევს საჭიროდ და ვერავინ სხვა, თუნდაც თაკო, მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენს...

თხუთმეტი წუთის შემდეგ გოგონამ ცივად აკოცა თავის მფარველს ლოყაზე და თავაზიანად დაუქნია ხელი, როცა მისი ჯიპი ჭიშკარში გავიდა. იმავდროულად, მეორე მანქანა მოადგა ეზოს. საჭესთან გიგა იჯდა, მის გვერდით კი — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი.

„ეს ალბათ მარია... როდის მოასწრო მასთან დაკავშირება?“ თუმცა რა, თვითონ თუ შეძლო გიოსთან დარეკვა და ყველაფრის გარკვევა, ირაკლის რატომ უნდა გასჭირვებოდა? ბოლმისგან ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. მორიელი დაახლოებით ოც წუთს ელაპარაკებოდა მოსულთ. თაკოს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მამაკაცი გიგას და მარის საქმის არსს უხსნიდა. მერე ხელი აუწიეს ერთმანეთს და ჯიპი კვლავ დაიძრა, შავი „ოპელი“ კი ეზოში შემოვიდა. მანქანიდან პირველი მარი გადმოვიდა, ჯინსის შარვალსა და მოკლე შავ მაისურში გამოწყობილი. ბიჭურად შეკრეჭილი თმა და მზემოკიდებული მკაცრი ნაკვთები მის სახეს სინაზეს უკარგავდა, მით უმეტეს, არც თვალები ჰქონდა დახატული და არც მაკიაჟი გაკეთებული.

გიგამ თბილად მოიკითხა თაკო, მარი გააცნო და ორივეს შინ შესვლა სთხოვა. გამომძიებელი დიდხანს საუბრობდა...

თაკოს ერთი სიტყვაც არ გაუგია მისი ნათქვამიდან. ფიქრებით ირაკლის დასტრიალებდა. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, მარიმ მეგობრულად რომ გაუღიმა.

— იმედია, გაუგებთ ერთმანეთს. ჰო, კიდევ რა უნდა მეთქვა, თაკო... საღამოს თქვენი მოსამსახურე მოვა. რა ჰქვია? ბარბალე... რა უცნაური სახელია... და დროებით თქვენთან იცხოვრებს... სანამ საჭირო იქნება. ასე მოითხოვა საქმემ და არ შემეპასუხო, ძალიან გთხოვ. თქვენ ქალები ხართ, ორივეს თქვენ-თქვენი საქმე გაქვთ. შეიძლება, ჩხუბიც კი მოგივიდეთ სადილის მომზადებაზე... რა ვიცი, კაცნი ვართ... ეს ისე, ხუმრობით, მაგრამ ბარბალე მაინც მოვა... აუცილებლად. აბა, წავედი და თქვენ იცით. თუ რამეა, დამირეკეთ ან მე, ან ირაკლის. მარტო არ ხართ, მთელი არმია გიცავთ გარედან. მარი, არაფრის შეგეშინდეს. როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი. სულ რამდენიმე დღე და...

როგორც იქნა, გიგა წავიდა. მარი და თაკო მარტონი დარჩნენ. თაკოს მოეწონა ახალმოსული... ახალმოსულსაც მოეწონა თაკო, მაგრამ გოგონას ახლა გამოლაპარაკების არც თავი ჰქონდა, არც სურვილი. უსიტყვოდ შეაქცია ზურგი მარის და მეორე სართულისკენ ამავალ კიბეს აუყვა. საძინებელში შევიდა, კარი მოიხურა და საწოლზე მიესვენა.

საღამომდე უცრემლოდ, უძილოდ და უაზროდ იწვა... როცა შებინდდა, მხოლოდ მაშინ ჩავიდა ქვემოთ.

მარი ფანჯარასთან იდგა და ბაღში იმზირებოდა.

— არა უშავს, სამაგიეროდ, ამაღამ კარგად დაგეძინება, — ისე ჩაილაპარაკა მარიმ, თითქოს ამ ხნის განმავლობაში მას დარაჯობდაო.

— ვერ გავიგე? — გაოცებისაგან წარბები აზიდა გოგონამ.

— ვიცი, რომ არ გეძინა. ამაღამ დაგეძინება-მეთქი.

— თქვენ საიდან იცით? — ოფიციალური ტონით მიმართვა არჩია თაკომ.

— მე ღამით ვიმორიგეებ, დღისით კი დავიძინებ, — მისი არც ტონი და არც შეკითხვა არაფრად ჩააგდო ახალმა მცველმა, შეფიქრიანებულმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და ფანჯარას მოსცილდა. — ის ქალბატონი მოსულია და სამზარეულოში ტრიალებს. თუ მოგშივდა, ვახშამი უკვე მზადაა.

არ გამართლდა მარის წინასწარმეტყველება. თაკო მთელი ღამე ტიროდა, რადგან იცოდა, რომ კიბეზე ამომავალი ირაკლის ნაბიჯების ხმას ვეღარ გაიგონებდა, ვერც მის მოახლოებას იგრძნობდა საძინებლის კართან, არც მისი სუნთქვა გაათბობდა და არც მისი ალერსი გაახურებდა.

მორჩა! დღეს კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა მის ცხოვრებაში. მისი ბრალია ყველაფერი, თვითონ გააფუჭა ურთიერთობა. ის ბევრს ითხოვდა მორიელისგან, დაღალა კაცი. ის აქ, მასთან აღარ არის და არც არასდროს იქნება. კიდევ ერთი სასჯელი მოუვლინა ბედისწერამ. კიდევ ერთი საყვარელი ადამიანი დაკარგა.

ის ყოველთვის კარგავს საყვარელ ადამიანებს.

რაო, რას ეუბნებოდა ირაკლი ბედისწერაზე?

გიცავსო? რა სისულელეა. იცავს კი არა, დასცინის...

თაკოს წყენამ მეორე დღესვე გაუარა. გაიღვიძა თუ არა, მიხვდა, რომ მორიელი სწორად მოიქცა. მას რთულ სიტუაციაში უწევდა მუშაობა. ძნელია, როცა მამაკაცის სამუშაო მისავე შეყვარებულთან არის დაკავშირებული. თანაც, ეს ძალზე სარისკო პროფესიაა, მცირედი შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

სწორედ ამის ეშინოდა ირაკლის, სწორედ ამიტომ გაურბოდა თაკოსთან სიახლოვეს. უნდა შეეგუოს ბედს. სხვა გზა არა აქვს. ირაკლი მხოლოდ ჭკვიანი კი არა, პატიოსანი ადამიანიც არის. იმიტომ კი არ გადადგა ეს ნაბიჯი, რომ თავი დაიფასა. მას არასდროს ულაპარაკია თავის ღირსებებზე და არ უტრაბახია თავისი საქმეებით. პირიქით, გამუდმებით საკუთარ ნაკლოვანებებზე ამახვილებდა ყურადღებას, თითქოს ამით სურდა, თავი შეეძულებინა თაკოსთვის. იგი არასდროს იტყუებოდა, ამიტომაც სჯეროდა გოგონას მისი. თუმცა... ბოლოს მაინც მოატყუა... ისიც მხოლოდ მისი კეთილდღეობისთვის.

სამაგიეროდ, მან ბევრი რამ ასწავლა თაკოს, საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცა, სულიერად გააძლიერა, სიყვარული და სითბო აჩუქა. მერე რა, რომ დიდხანს არ გაგრძელებულა რომანტიკული ურთიერთობა? ის რამდენიმე კვირაც კი თაკოსთვის მთელ ცხოვრებას უდრიდა. ცოტა ხანს მოუწევს მოცდა, მერე კი ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას სურს. ხომ ეუბნებოდა ირაკლი, იღბლიანი ხარო. ჰოდა, ისიც დაბრუნდება, მას არ მიატოვებს. როცა ეს ამბები დამთავრდება, აუცილებლად დაბრუნდება. ამიტომ დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეს... მას არ აქვს ამის უფლება.

მარის არაჩვეულებრივად შეეწყო. მართალია, ძირითადად, დილა-საღამოს უხდებოდათ ერთმანეთთან კონტაქტი, მაგრამ თაკო ამით კმაყოფილი იყო. ქალი მას ხელს არ უშლიდა, თავს არ აბეზრებდა. დღისით უმეტესწილად ეძინა, ღამით კი ფხიზლობდა — დადიოდა და დადიოდა...

როცა ერთად იყვნენ, ხან ერთი ჰყვებოდა თავის ამბებს, ხან მეორე. ქალური ჭორებიც არ იყო მათთვის უცხო. მათი გემოვნებაც ბევრ რამეში ემთხვეოდა ერთმანეთს და ცხოვრებისეული შეხედულებებიც. ამიტომაც მოსწონდათ ერთურთი.

ირაკლი? პრინცესას ენატრებოდა ირაკლი, მაგრამ არ დარდობდა... უბრალოდ, ელოდა, რომ მოვიდოდა.

და ის მოვიდა.

თაკომ თვალები გაახილა. ადრიანი დილა იყო. მზის სხივი თვალებში უჭყიტინებდა. არ იცოდა, რომელი საათი იყო... ან კი რა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა იქვე ირაკლი იჯდა.

— შენ მე მესიზმრები? — ჰკითხა თაკომ, თუმცა იცოდა, რომ ეს სიზმარი არ იყო.

— აჰა, — ღიმილით დაუქნია თავი მორიელმა, — მოვედი, რომ გამეგო, როგორ ხართ.

— ყველაფერი რიგზეა... ნუ წუხდები, ირაკლი. — ცივად უპასუხა.

პაუზა ჩამოვარდა. მამაკაცი უყურებდა გოგონას, გოგონა კი მამაკაცს. მორიელი აქვეა, მის გვერდით, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს უუფლებო იყოს. იგრძნო, რომ სწორედ მისმა გაქცევამ გახადა უუფლებო.

— იცი? სინამდვილეში მე ძალიან ძლიერი ქალი ვარ, ამას ბოლო ხანებში მივხვდი. მე შემიძლია დამოუკიდებლად ვიცხოვრო და არ ვსაჭიროებ სხვის შეცოდებასა და თანაგრძნობას.

— ეს შეცოდება არ არის, თაკო, — უპასუხა მან, — ეს რაღაც სულ სხვაა. მაპატიე... მე იმისთვის არ მოვსულვარ, შენთან ფილოსოფიური დისკუსია გავმართო. უბრალოდ, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ აქ...

— ყველაფერი რიგზეა, ირაკლი, ნუ დარდობ, — ხელზე ხელი გადაუსვა თაკომ და აუღელვებლად წარმოთქვა, — კარგია, რომ მოხვედი, გამიხარდა. — ჩურჩულით დაამთავრა და წამოიწია, მერე ხელი ახალგაპარსულ ლოყაზე ჩამოუსვა მამაკაცს.

მორიელმა თვალები დახუჭა. თაკო ნელი მოძრაობით კისერზე შემოეხვია სასურვ-

ელს და ფრთხილად მიესვენა მკერდზე. მამაკაცმა ზურგზე შემოაჭდო მკლავები და მძლავრად მიიხუტა...

ისე მძლავრად, რომ ორივეს სუნთქვა შეეკრა...

ისე მძლავრად, რომ სამყარო აყირავდა...

ისე მძლავრად, რომ წამით ერთსულ და ერთხორც იქცნენ...

და იმწამსვე შეუშვა ხელი.

— დროა, უნდა წავიდე... სანამ სამუშაოზე გავიდოდი, შემოვირბინე. დიდხანს ვერ დავრჩები.

და გავიდა.

თაკოსთან კი მისი სითბო დარჩა...

გავიდა ერთი კვირა. პირველი კვირა, როცა გოგონას მოკვლა არ უცდიათ. უკვირდა კიდეც, ნუთუ ირაკლის წასვლა იყო საჭირო, რომ თავს არავინ დასხმოდა? რა ხდება? გაანებეს თავი თუ რა ხდება? ახლა ისეთ რამეებს ნატრობდა, სიმწრისგან თავად ეცინებოდა — ნეტავ მოვიდოდეს ვინმე მის მოსაკლავად, ნეტავ შეაშინებდეს ვინმე მასაც და მარისაც, რომ მერე ამით ირაკლი შეშინდეს და დაბრუნდეს.

ნეტავ დაჭრან ვიბლიანებმა, ოღონდ კი ირაკლი იძულებული გახდეს, მის გვერდით იყოს.

ისეთი რამე მაინც მოხდებოდეს, რომ დარეკოს...

და დარეკა.

დარეკა და უთხრა, ამაღამ მოვალო... როცა ეს უთხრა, თაკოს შეეშინდა... რატომ? რისთვის მოდის? რამე მოხდა? იქნებ მიაჩნია, რომ... იქნებ ჰგონია, რომ...

ვერც კითხვებს სვამდა და ვერც პასუხობდა.

ამასობაში ისიც მოვიდა.

— ამაღამ პოლიცია ოპერაციის ჩატარებას გეგმავს. ორივე უნდა აიყვანონ. გიგამ აქეთ გამომგზავნა. რა იცი, რა ხდება... ახლა მე აქ უფრო საჭირო ვარ... — თვალები დამნაშავესავით დახარა მორიელმა და თაკომ მის გუგებში მოხტუნავე ჭინკების მოძრაობა ვერ შეამჩნია — ატყუებდა მამაკაცი თუ სიმართლეს ეუბნებოდა.

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! დეტექტივის თხოვნით მოვიდა და არა თაკოს სიყვარულით.

ეწყინა. მას კი უნდოდა, ირაკლი მასთან მოსულიყო, როგორც ქალთან, ერთადერთ, საყვარელ და სასურველ ქალთან... თუმცა... არაფერი უნდოდა...

მაგრამ მაინც საწყენი იყო...

ირაკლი სხვანაირი ეჩვენა. თმა გაეკრიჭა, წვერი კი მოეშვა. ძალიან უხდებოდა, თუმცა ეს არ იყო მთავარი. ის თავდაჭერილად იქცეოდა.

თუმცა არც ეს იყო მთავარი. მის თვალებში ჭინკები აღარ ჩანდა, გრძელმკლავიან მაისურში მორიელიც ჩაკარგულიყო...

ესეც არ იყო მთავარი...

მთავარი და მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო...

გამომეტყველება გახდომოდა მოუსვენარი. მისი სახე სულ სხვა რამეზე მეტყველებდა.

სიცოცხლით ანთებოდა თვალები...

სიცოცხლის სიყვარულით ანთებოდა თვალები...

სიყვარულით ანთებოდა...

„სიყვარული ათბობს“, — ნიშნის მოგებით გაიფიქრა თაკომ.

— რას უდგახარ, შემოდი, — გოგონამ განზე გაიწია და საძინებლისკენ მიმავალი გზა დაუთმო მამაკაცს.

— როგორ ხარ, თაკო? — სხვათა შორის იკითხა მან და გაიარა.

მერე მოულოდნელად მოტრიალდა, მხრებში ხელი ჩაავლო გოგონას, თავი უკან გადასწია და ექსპერტივით შეათვალიერა.

— გამოუძინებელი ჩანხარ... ამოღამებული გაქვს თვალები. მარიმ მითხრა, ძალიან გახდაო. ეს არ მომწონს. მე ამისთვის არ წავსულვარ. მინდოდა, პირიქით მომხდარიყო ყველაფერი. მინდოდა, დაფიქრებულიყავი შენს ცხოვრებაზე და სხვა თვალით შეგეხედა მომავლისთვის.

მოულოდნელად თაკოს დაუოკებელმა სურვილმა წამოუარა, თავი დაეღწია მისი მკლავებიდან...

მას არ მოსწონდა, რასაც ირაკლი ეუბნებოდა.

მას არ მოსწონდა, ირაკლი ასეთი შეცვლილი რომ იყო.

ასეთი შეცვლილი... როგორი ასეთი?

როგორი და... გაუცხოებული.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინ იგი მისი ირაკლი იყო.

მამაკაცი, რომელიც მისით ცხოვრობდა და სულდგმულობდა — მისი ნაბიჯებით, მისი გამოხედვით, მისი სუნთქვით...

— შენ ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო, თაკო, — აგრძელებდა მორიელი, — თუ ამაღამ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩაფიქრებულია, უკვე აღარაფრის შიში უნდა გქონდეს. ხალხში გაერევი, მეგობრებს ნახავ, გაერთობი, სწავლას დაუბრუნდები, ესკიზების ხატვას გააგრძელებ, მაღალი მოდის სამყაროში შედგამ ფეხს...

„ერთი ამას დამიხედეთ, მომავლის გეგმასაც რომ მიყალიბებს. მას შეიძლება მოსწონს ხმაურიანი ცხოვრება, მაგრამ მე — არა. არც არასდროს მიზიდავდა. ყოველთვის მარტოობისკენ მივილტვოდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დედა გარდაიცვალა. მას თუ მოსწონს, მისი საქმეა, მე ტყუილად მასწავლის ჭკუას“. — გაიფიქრა გაგულისებულმა.

— მორიელო, — გაისმა თაკოს ზურგს უკან მარის ხმა, — როგორ მიხარია, რომ მოხვედი. უშენოდ მოვიწყინეთ. არა, ისე როგორ შემოიპარე, მე რომ ვერ გავიგე? მაგარი „ხიტრი“ ბიძა მყავხარ. — მარი ღიმილით გადაეხვია ბიძას. — სააბაზანოში ვიყავი, თორემ რას გამომაპარებდი.

თაკო გაერიდა ბიძა-დისშვილს. სამივენი თითქოს უხერხულად იდგნენ შუა ოთახში. მამაკაცს სახლის განმკარგულებლის უფლება დაკარგული ჰქონდა, ახლა აქ მხოლოდ სტუმრად იმყოფებოდა, თაკომ კი არ იცოდა, რა როლი უნდა ეთამაშა ასეთ სიტუაციაში — დიასახლისის თუ შეყვარებულის.

არადა, ოდესღაც, სხვა ცხოვრებაში, რომელიც ორიოდე კვირის წინ იყო, მათ სიყვარულით გონი დაკარგეს...

ახლა კი ორი კვირის მერე, ამ ცხოვრებაში... ერთმანეთს კარგავდნენ...

მარი გამომცდელად მისჩერებოდა ხან ერთს, ხან — მეორეს. მისთვის ყველაფერი გასაგები იყო. ორივეს თვალებში ადვილად იკითხებოდა სიმართლე, ამიტომ სიტუაციის განმუხტვა სცადა.

— ივახშმეთ, მორიელო? ქალბატონი ბარბალე ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს დაგვპირდა ამ საღამოს მე და თაკოს.

— ხაჭაპურზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი, — მხიარულად წამოიძახა ირაკლიმ...

მამაკაცს სუფრასთან ოდნავ გამოუკეთდა ხასიათი. იგი თავისი საყვარელი ადამიანების გარემოცვაში იჯდა — ამაზე დიდი ბედნიერება ირაკლისთვის არ არსებობდა.

— როგორ მოგეწონა ჩემი დისშვილი? — თაკოს შეხედა ლუკმით პირგამოტენილმა.

— მაგარი გოგოა, — ცერი შემართა თაკომ.

— ხომ არ აბრაზებდი?

— ა-რა!

— ესე იგი, კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს...

— გადასარევად, — გაღიმებულმა თაკომ

თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— და ისე შევეწყვეთ, რომ გადავწყვიტეთ, ყოველთვის ერთად ვიყოთ, — დასძინა ეშმაკურად მარიმ და თაკოს თვალი ჩაუკრა.

ირაკლიმ სმენა დაძაბა.

— როგორ?

— ამის მერეც უნდა ვიმეგობროთ, — „გამოასწორა“ მარიმ და დარცხვენით შეხედა ბიძას.

— ჰო-ო, ეგ კარგია, — ისეთი სახე მიიღო ირაკლიმ, ვითომ ვერ მიუხვდა დისშვილს...

არადა, მორიელს გაცილებით სხვანაირად წარმოედგინა თაკოსთან შეხვედრა, სხვა რამეს ელოდა... მართალია, იმის იმედი არ ჰქონდა, რომ განაწყენებული გოგონა დანახვისთანავე ყელზე ჩამოეკიდებოდა, მაგრამ ეგონა, რომ ოდნავ მაინც გაუხარდებოდა მისი დანახვა, ცოტათი მაინც. ის კი... ის გამეხებული იჯდა, თითქოს ორი კვირის წინ ღამე ერთად არ გაეტარებინოთ, თითქოს...

ფანჯარასთან მდგარმა უსიამოვნოდ გადაქნია თავი და მალულად გახედა სავარძელში მოკალათებულ პატარას. მარიმ ისინი შეგნებულად დატოვა მარტო, თვითონ ბარბალესთან ერთად სამზარეულოში დარჩა.

— გინდება ახალი ვარცხნილობა, — სიჩუმე თაკომ დაარღვია.

„შენთვის შეევიჭერი თმა, შენ რომ მოგწონებოდი“, — ფიქრში გაეპასუხა მამაკაცი.

— შეცვლილი ხარ... უკეთესობისკენ. წვერიც გინდება. — განაგრძო გოგონამ.

„შენი გულისთვის გავაკეთე ეს ყველაფერი“, — ხმამაღლა არც ეს უთქვამს ირაკლის.

— დიდი მადლობა გემრიელი ვახშმისთვის. წავალ, ჩემს პოსტს მივხედავ. — ხმამაღლა ეს თქვა და ჰოლიდან გავიდა.

გავიდა უცხოდ, როგორც მაშინ, პირველ დღეებში.

თაკოს თვალები ცრემლით აევსო. ჩუმად ამოიზლუქუნა. რაღაც არასწორი ხდებოდა, მაგრამ ვერ გაეგო, რა. ამ რაღაც „არასწორში“ მხოლოდ ტკივილს გრძნობდა, ყრუ ტკივილს...

— მაპატიე, ტელეფონი დამრჩა, — ირაკლი შემობრუნდა, მაგიდიდან მობილური აიღო, წამით, მაგრამ ყურადღებით შეავლო თვალი გოგონას და წავიდა.

თაკომ ცრემლები მოიწმინდა, მწარედ ამოიოხრა, წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. უცებ მთლიანად დაბნელდა. ეს ირაკლის მოთხოვნა იყო — მთელ სახლში შუქი უნდა გამოერთოთ, რომ გარედან ნაკლებად შესამჩნევები ყოფილიყვნენ.

სიბნელეში ეზო კარგად ჩანდა. ორი კაცა ერთმანეთს მისდევდა. გამაყრუებელი კნავილით ორივე ბუჩქებში შეიმალა. მათაც იციან სიყვარული... თავისებურად...

თაკო მოტრიალდა, მაგიდაზე მდგარ ღვინის ბოთლს ხელი დაავლო, ჭიქაში დაისხა და ყლუპ-ყლუპად მოსვა, თან იმაზე ფიქრობდა, რა იყო არასწორი მათ ურთიერთობაში და როგორ ებრძოლა ირაკლის დასაბრუნებლად. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი მამაკაცისთვის მხოლოდ გასართობი იყო. მარტო ცხოვრობდნენ ერთ სახლში... კაცისთვის ძნელია ამ დროს თავის შეკავება... ვერ გაუძლო ცდუნებას... ეგ არის მხოლოდ, თორემ სიყვარულით ნამდვილად არ უყვარს ირაკლის.

ამასთან შებრძოლება კი შეუძლებელია. ძალით ხომ ვერ შეაყვარებს თავს.

კიდევ დაისხა ერთი ჭიქა. დალია... მერე კიდევ ერთი... ისიც დალია... მოთენთილობა იგრძნო. სავარძელში ჩაჯდა და თავი ჩაკიდა. ცოტა ხანში მოესმა, როგორ დაუძახა მარიმ ირაკლის. მისი სახელი ახსენა, რაღაცას ეჩურჩულებოდა თაკოზე. მერე ირაკლის მოახლოება იგრძნო, შემდეგ მისი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები გაიგონა.

— თაკო... მოდი, წაგიყვან საძინებელში, კარგი? — და პასუხს აღარ დაელოდა, ისე გადაწყვიტა მისი ხელში ატატება.

ამ დროს გოგონას სამაგრი მოსძვრა და თმა მხრებზე ჩამოეშალა. ლამაზი სანახავი იყო... ირაკლი თვალს ვერ აცილებდა.

წამით გიჟურმა სურვილმა წამოუარა. აქვე. სავარძელშივე გაეშიშვლებინა და მისი ალერსით გული ეჯერებინა...

შეშინებულმა შეუშვა ხელი და უკან იქამდე დაიხია, სანამ მაგიდის კიდეს არ დაეჯახა. ვნების მოზღვავებული ტალღა ძლივს დაიოკა. სწორედ ამ დროს მობილური ტელეფონის ზარი გაისმა. გიგა ურეკავდა, აინტერესებდა, რა ხდებოდა მათთან.

მათთან კი არაფერი ხდებოდა... მას, უბრალოდ, თაკო უყვარდა...

სიგიჟემდე უყვარდა...

ირაკლიმ სახლის შემოვლა დაამთავრა და ჰოლში დაბრუნდა. თაკოს ჩასძინებოდა. მარიც არსად ჩანდა, არც ბარბალე. ალბათ, თავიანთ ოთახებს მიაშურეს. შესაძლოა, სიბნელეში ვერც შეამჩნიეს სავარძელში ოთხად მოკეცილი მძინარე გოგონა.

— გაიღვიძე, პატარავ, აქ ძილი არ შეიძლება, მაღლა ავიდეთ! — რაც შეიძლებოდა თავშეკავებულად წარმოთქვა მორიელმა.

თაკომ მძიმედ ასწია თავი, წამოდგომა არც უფიქრია, ისე მოხვია მამაკაცს წელზე მკლავები და თავი მუცელზე მიადო.

გავიდა ხუთი წუთი. ირაკლის განძრევის ეშინოდა. როგორც ჩანს, გოგონამ მის მუცელზე გამოძინება განიზრახა... ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. არადა, მართლა ამ ყოფაში ხომ არ გაათენებდა?

უცებ მარის სილუეტი დალანდა, ფეხშიშველი მოაბიჯებდა სიბნელეში. ირაკლი აილეწა, არ უნდოდა, დისშვილს სხვა რამ ეფიქრა.

— ჩუ-უ, სძინავს, — ჩურჩულით თქვა მამაკაცმა და მიხვდა, რა სასაცილო პოზაშიც იმყოფებოდა.

მარის კი სულაც არ გაჰკვირვებია ეს პოზა.

— უბრალოდ, შევწუხდი, რომ არ ამოხვედი, — მათმა შემხედვარემ ღიმილი ვეღარ შეიკავა და გატრიალდა, — იმედია, მთელ ღამეს „სწორდი“, „სმენაში“ არ გაატარებ, მორიელო. — უკანმოუხედავად გამოსძახა ბიძას და სიბნელეს შეერია.

ირაკლი დაელოდა, სანამ მარის ფეხის ხმა მიწყდებოდა, მერე ფრთხილად მოიშორა წელიდან თაკოს ხელები, გოგონა აიტატა და საძინებლისკენ გაეშურა. ფეხით შეაღო ოთახის კარი. ლოგინში ჩააწვინა. პატარას პერანგის ღილები ნახევრად ჩახსნოდა, საიდანაც ქათქათა მკვრივი მკერდი მოუჩანდა....

მამაკაცი ერთხანს ყოყმანობდა. დარწმუნებული იყო, რომ გოგონას არ ეძინა, უკვე არ ეძინა.... და დარჩენილი ღილების შეხსნას შეუდგა...

თაკომ თვალები გაახილა. მორიელმა შეხედა და თავისი საქმე წარმატებულად განაგრძო. პატარა არ განძრეულა, არც არაფერი უთქვამს; უსიტყვოდ ადევნებდა თვალს პირად მცველს ღამის სიბნელეში. თითქოს ისიც რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა.

როცა მამაკაცმა ზურგი წამოუწია, რათა პერანგი გაეხადა, გოგონა უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას.

როცა ჯინსის შარვლის ელვა გაუხსნა და გახდა დაუწყო, არც მაშინ გაუწევია წინააღმდეგობა.

როცა მოშიშვლებულ მუცელზე აკოცა, არც მაშინ განძრეულა.

— წავალ, სახლს შემოვივლი, — თქვა ირაკლიმ და ძლივს მოსწყდა პრინცესას სხეულს.

თაკო ელოდა. მამაკაცი თხუთმეტი წუთის შემდეგ დაბრუნდა. გოგონა იმავე პოზაში იწვა, როგორშიც დატოვა და ჭერს მიშტერებოდა. ამწუთას თოჯინას ჰგავდა, რომელიც თავის საწოლში ჩააწვინეს.

ირაკლი კარგა ხანს აკვირდებოდა მის სხეულს. მან არ იცოდა, რაზე ფიქრობდა მისი პატარა, მაგრამ მიხვდა, თაკოს რაც ემართებოდა. ახლა ის სულაც არ იყო ისეთი უცხო, როგორიც ცოტა ხნის წინ. ახლა ის სწორედ ის გოგონა იყო, რომელთანაც ერთად ვნებიანი ღამეები გაატარა სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ.

მაგრამ მაინც ეშინოდა მიახლოების. ეშინოდა, ხელი არ ეკრა მისთვის.

სახე ახლოს მიუტანა, ნელა ჩამოუსვა ლოყაზე ხელი.

— მხოლოდ ერთი „არაა“ საკმარისი და მე წავალ, — დაიჩურჩულა და ოდნავ შეეხო თაკოს კანს.

მამაკაცის ტუჩების შეხებისას თითქოს ჭიანჭველებმა დაურბინეს ტანში. ირაკლი კოცნა-კოცნით ზემოთ მიიწევდა, ბოლოს, ყელამდე მიაღწია. თმაზე შეახო ხელი, თავი განზე გადაუწია და ყვრიმალზე ნაზად ეამბორა. თაკოს კიდევ ერთხელ დაურბინეს ჭიანჭველებმა. ვნებიანად გააჟრჟოლა.

მას არ უთქვამს „არა“. ის, უბრალოდ, დუმდა და არ ირხეოდა, პატარა, სასაცილო გოგონა, რომელიც „ჰოსა“ და „არას“ შორის გაჭედილიყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რა არის დოჰიო?
2. რა არის ტატამი?
3. ოპერაში არსებობს ტრადიცია: ორკესტრის დირიჟორი თავის სადირიჟორო ჯოხს უძღვნის იმ მომღერალს, რომელთან მუშაობამაც მას დიდი სიამოვნება მიანიჭა. რომელ ქართველ მომღერალს აქვს მიღებული 117 ასეთი ჯოხი?
4. რისი ჯიშებია შვიდკვირა და ორმოსავალა?
5. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის სიტყვები: „უ ნაშიხ ინპექტოროვ ტაკოე პრავილო: ნარუშილ — პლატი! ნე ნარუშილ, პლატი ი...“
6. რა არის დუშაყი?
7. დაასახელეთ უილიამ სიდნი პორტერის სამწერლო ფსევდონიმი?
8. ვინ არიან პროფესიით ის ადამიანები, რომლებიც კარკასული ტიპის სახლებს მკვლელებს ეძახიან?
9. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ რესტავრაციის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შედეგად, სურათიდან გაქრა აივნის ორი კოლონა, სადაც „მონა ლიზა“ იჯდა. რა დაკარგა ამ რესტავრაციების შედეგად „ჯოკონდამ“?
10. ძველ ბერძნებს ხომალდებზე ყოველთვის ჰყავდათ მტრედები. რისთვის?
11. ამ სიმღერის შესახებ ამგვარი ხატოვანი თქმა არსებობს, თითქოსდა იგი ღმერთმა შექმნა, ანგელოზებმა იმღერეს და ქართველებს მოასმენინეს. დაასახელეთ იგი.
12. რა ჰქვია პოპულარულ ენაზე პოლიფიზიოგრაფს?
13. ვის ეძახის ნიკა ქავთარაძე სახალხო მთქმელებს?
14. ბოლივიელ ფეხსაცმელების მწმენდავებს თეთრი საყელოს გარეშე მუშაობას კანონი უკრძალავს. რატომ?
15. ამერიკის პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი ჭირის დღესავით სძულდათ გაზეთებში მომუშავე მხატვრებს. რატომ?

ანეკდოტები

* * *

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:

— ბიჭო, რატომ უყვიროდა წუხელ ჭიჭიკია ცოლს ასე ხმამაღლა?

— არ უნდოდა ეთქვა, სად დახარჯა ფული.

— კი, მაგრამ დღეს ორჯერ უფრო მეტად რომ ბღაოდა?

— დღეს უთხრა.

* * *

ცოლი ბრუნდება წვეულებიდან. ქმარი ეკითხება:

— როგორ გაატარე საღამო?

— ბოლოს, ბერგმანებმა მთხოვეს, მემღერა!

— მერე, რა ქენი?

— რა თქმა უნდა, ვიმღერე.

— კარგი გიქნია, ვერ ვიტანს მაგ ბერგმანებს!

* * *

გოგონა გვიან ღამით დაბრუნდა სახლში.

— ღმერთო ჩემო, — ეუბნება დედა, — რა ფორმაში დადიხართ ამ დისკოთეკაზე?! ახლავე ჩაიცვი და დასაძინებლად დაწექი.

* * *

სვანმა ძმის მკვლელი მოკლა და თვითონ თავი ჩამოიხრჩო. უბედურების ადგილზე წერილი იპოვეს: „აქ ხომ მოვკალი, იქაც არ გავახარებ!“

* * *

გურული ჩადის კახეთში და ხედავს, კახელ მასპინძელს დიდი ძაღლი ჰყავს:

— რად გინდა, ძამა, ამხელა ძაღლი? — ეკითხება გურული.

— რად მინდა და ცოლი მყავს ლამაზი და მეშინია, ვინმემ არ შეაცდინოს! — პასუხობს კახელი.

მეორე დღეს, დილით გურული გამოდის აივანზე, იზმორება და კახელს ეუბნება:

— აჰ, ტყვილა აჭმევ ამ ძაღლს პურს, ძამა, ამფერი ქალი არ არის შენი ცოლი.

* * *

— შაქრო, ხვალ დავკოდოთ შენი ბურვაკი, თავისუფალი ვარ! — უთხრა მეზობელს ვეტექიმმა.

— ხვალ სახლში რომ არ ვიქნები?

— შენ რაში მჭირდები, შენი ცოლი ხომ სახლში იქნება. უთხარი, რომ მარტო ფეხები ამიწიოს, დანარჩენი მე ვიცი.

* * *

მკითხავი კლიენტ მამაკაცს კარტს უშლის:

— თქვენ ვერ მოესწრებით გაჭაღარავებას.

— რატომ, მალე მოვკვდები?

— არა, გამელოტდებით.

* * *

— ტელევიზორი გამიფუჭდა, — ეუბნება მიხო შაქროს, — გუშინ გადაცემას ვუყურებდი და ყური მომეფხანა. ლურსმანი ავიღე, ყურს ვიჩიჩქნიდი და უცებ „წკაპო“ დაიძახა და ხმა ჩაუწყდა... ნეტავ, ხელოსანი თუ გამიკეთებს?!



MK

***

— ბატონო მოსამართლევ, რამდენ წელს მომისჯით, საკუთარი სიდედრის მკვლელობისთვის?

— ათ წელიწადს, მაგრამ თუ ჩემსასაც მიაყოლებ, სასჯელს გაგინახევრებ.

***

ექთანი ეუბნება ავადმყოფებს:

— ახლა პროფესორი ჩამოივლის. იცოდეთ, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ, თორემ ნერვული განყოფილებიდან ტრავმატოლოგიურში ამოყოფთ თავს.

***

— რა განსხვავებაა ყასაბსა და ექიმს შორის?

— ყასაბი ჯერ კლავს და მერე ატყავებს, ექიმი პირიქით!

***

— რომ გიყურებ, ოკეანე მგონიხარ! — ეუბნება ქმარი ცოლს.

— იმას გულისხმობ, რომ რომანტიკული და ამოუცნობი ვარ?

— არა, გული მერევა!

***

— ცოლს უნდა გავშორდე! მთელი დღე ღვეზელებს აცხობს. წარმოიდგინე, სამსახურიდან მოვდივარ — აცხობს, მივდივარ — აცხობს.

— მერე, მაგის გულისთვის ანგრევ ოჯახს?!

— შენ ვერ გამიგე, იმ ღვეზელებს ვიღაცა ხომ ჭამს?! პირადად მე, გემოთიც არ მინახავს.

***

სვანს ეკითხებიან:

— ჭავჭავაძე მოგწონს თუ ვაჟა-ფშაველა?

— ვაჟა-ფშაველა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მანდ ცალმხრივი მოძრაობაა.

***

ქალი სამშობიაროში მივიდა. ექიმი ეუბნება:

— თუ გნებავთ, ახალი მეთოდით გამშობიარებთ.

— რაში მდგომარეობს ეს მეთოდი?

— ტკივილები ბავშვის მამაზე გადავა.

ქალი დათანხმდა. მშობიარობის შემდეგ, ქმარს ურეკავს და ეკითხება:

— რას შვრებით, როგორ ხართ?

— ვინ მოგასვენებს? მეზობელმა ყვირილით კინაღამ კედლები დაანგრია!

***

ქმარი რეკავს სახლში. ყურმილს იღებს უცხო მამაკაცი.

— უკაცრავად, თუ შეიძლება, ჩემს ცოლს სთხოვეთ.



— უკვე ვთხოვე და კარგადაც ვისიამოვნე.

***

ებრაელი ეკითხება რაბინს:

— რებე, მარხვისას ცოლთან დაწოლა თუ შეიძლება?

— კი, შეიძლება.

— საყვარელთან?

— საყვარელთან — არა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მარხვის დროს ებრაელმა სიამოვნება არ უნდა მიიღოს.

ჟონგლის საფარჯილი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. სუმოს მოჭიდავეთა საასპარეზო მოედანი.
2. ძიუდოს მოჭიდავეთა საასპარეზო მოედანი.
3. პაატა ბურჭულაძეს.
4. ღომის.
5. „...ნარუშაი!“
6. თოკს, რომლითაც ცხენს ფეხებს უბორკავენ, დუშაყი ჰქვია.
7. ო'ჰენრი.
8. სეისმოლოგები.
9. წარბები.
10. როდესაც მიწა არ ჩანდა, ზღვაოსნები ფრინველს ჰაერში უშვებდნენ და ისიც შეუცდომლად ხმელეთისკენ მიფრინავდა.
11. „მრავალჟამიერი“.
12. სიცრუის დეტექტორი.
13. რეპერებს.
14. თაკარა მზეზე მუშაობისას, როდესაც კისერი დაუცველია, ამ პროფესიის ადამიანებს ხშირად უჩნდებათ კანის კიბო.
15. მას ისეთი უბრალო და არაფრით გამორჩეული ფიზიონომია ჰქონდა, რომ ძალზე ჭირდა მისი შარჟებისა და კარიკატურების შექმნა.

ჩვენი ფოტოგალერეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ფული სიამოვნება თუ დამამცირებელი ბარიერი?

დღევანდელ დღეს, იშვიათად თუ შეხვდებით ფულის მიმართ გულგრილ ადამიანს. ცნობილი გამონათქვამი კი — ბედნიერება არა ფულში, არამედ მის რაოდენობაშია — სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. და მაინც, რას ნიშნავს თქვენთვის ფული?

ქალის რომელ ფსიქოლოგიურ ტიპს მიეკუთვნებით — „სპონსორს“ თუ „მონას“?

თუკი მამაკაცზე მეტს გამოიმუშავებთ, ამავდროულად, არათუ გაღიზიანებთ მისი თქვენს კმაყოფაზე ყოფნა — არამედ, პირიქით, მზად ხართ, შეიძინოთ მისთვის სამოსი, პარფიუმერია, მისცეთ სახარჯო ფული და თანაც ეს ყველაფერი სიამოვნებას განიჭებთ — ე.ი. ნამდვილი „სპონსორი“ ბრძანებულხართ.

თუ მუშაობას გირჩევნიათ, ოჯახურ კომფორტზე იზრუნოთ, სათანადოდ მიხედოთ ქმარ-შვილს; მიგაჩნიათ, რომ ქალს მამაკაცი ყველანაირად უნდა უზრუნველყოფდეს, რადგან ძლიერი სქესი სწორედ ამისთვის არსებობს — მაშინ „მონა“, ე.ი. მთლიანად მამაკაცზე დამოკიდებული ქალი ყოფილხართ.

თუ თქვენ გვერდით მამაკაცი დიდხანს ვერ ძლებს, იმიტომ, რომ ერთი მხრივ, თქვენი შემოსავალი მისი სურვილების ასასრულებლად არ გყოფნით, ხოლო მეორე მხრივ — მისი შემოსავალი თქვენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ კმარა, ესე იგი, ჯერ კიდევ ვერ გაგირკვევიათ, რა მოგწონთ — „სპონსორობა“ თუ „მონობა“.

როდის გიქმნით ფული დისკომფორტს?

თქვენს გაცნობას ბევრი მამაკაცი ცდილობს, რადგან მიმზიდველი და საკმაოდ თავდაჯერებული ქალბატონი ბრძანდებით. გაქვთ ბინა, საკმარისი ფული, გყავთ მანქანა... მამაკაცებმა, რომლებსაც თქვენი გაცნობა სურთ, ჯერ ბოლომდე არ იციან, რას წარმოადგენთ. ისინი სიმპათიურები, ზედმიწევნით გემოვნებით ჩაცმულები არიან, მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ თქვენზე გაცილებით ნაკლები შემოსავალი ჰქონიათ. თავის მხრივ, როდესაც მამაკაცები შეიტყობენ, რომ საკმაოდ რესპექტაბელური ქალბატონი ბრძანდებით და მათთან შედარებით, დიდი უპირატესობით სარგებლობთ, მოულოდნელად სადღაც ქრებიან. როგორც ფსიქოლოგები ხსნიან, ასეთ შემთხვევაში, მამაკაცს შიში იპყრობს: შეძლებს კი მომავალში ასეთი ქალის გვერდით თავი ნამდვილ მამაკაცად იგრძნოს? ანუ არა მარტო შეუცვლელი და ერთადერთი იყოს, არამედ ქალი უზრუნველყოს, გაანებივროს? ეს მამაკაცის აქილევსის ქუსლია; ბევრ მათგანს თავმოყვარეობა ელახება და ქალზე ფინანსურ დამოკიდებულებას ძალზე მტკივნეულად განიცდის.

თქვენზე გაცილებით შეძლებულ მამაკაცთან ურთიერთობის დროს, მთავარია, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა მოახერხოთ და იმ აზრს შეეგუოთ, რომ მატერიალურად მასზე ხართ დამოკიდებული. ერთი მხრივ, დამოუკიდებელ ქალს, რომელიც საკუთარი შრომით ფულის გამომუშავებასა და თავის რჩენასაა მიჩვეული, ცოტა არ იყოს, უჭირს ამ როლის მორგება. ის კი არა და, ხშირად ეს თავის დამცირებადაც მიაჩნია, რასაც საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობაში დაძაბულობა შეაქვს და უკუეფექტს იძლევა. თუმცაღა, რატომ უნდა თქვათ ამ ყველაფერზე უარი, როცა შეგიძლიათ მოდუნდეთ, თავი ნამდვილ ქალად იგრძნოთ და ცხოვრებით დატკბეთ?

გაითვალისწინეთ:

მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ვისი შემოსავალი უფრო დიდია, მთავარია, რამდენად სწორად აღიქვამთ და აფასებთ სიტუაციას. მაგრამ თუ გული გეთანაღრებათ, ორჭოფობთ და გაურკვეველ მდგომარეობაში ხართ, საკუთარ თავს დაეკითხეთ: როგორი ადამიანია თქვენ გვერდით მყოფი მამაკაცი — რამდენად კეთილი, ყურადღებიანი და ნაზი? საინტერესოა თუ არა თქვენთვის მის გვერდით ყოფნა? მოგწონთ თუ არა ის როლი, რომელიც ერთმანეთის მიმართ გაკისრიათ? თუ ურთიერთობა სიყვარულსა და ურთიერთნდობას ეფუძნება, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში, დამამცირებელი ნამდვილად არაფერია.

ჰამბურგერი

მასალად საჭიროა:

70 გ კეტჩუპი;
100 მლ წყალი;
100 გ მაიონეზი;
წინასწარ ცხიმში მოხრაკული 100 გ ხახვი;
2 ცალი სალათის ფურცელი;
1 ს/კ მდოგვი;
1 პატარა თავი ხახვი;
600 გ საქონლის ხორცი;
4 ცალი მჟავე კიტრი;
200 გ ქათმის ფილე;
2 ცალი მსხვილი პომიდორი;
50 გ მცენარეული ზეთი;
4 ცალი დიდი, არატკბილი ფუნთუშა (შეგიძლიათ გამოიყენოთ ბიგ-მაკი)
მარილი, პილპილი გემოვნებით.

მომზადების წესი:

ხორცი მსხვილად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაუმატეთ მოხრაკული ხახვი, წყალი, პილპილი და მარილი. ფარში გააბრტყელეთ, მიეცით ჰამბურგერის ფორმა და შეწვით ზეთში. მიაქციეთ ყურადღება, რომ ზომაზე მეტად არ დაიბრაწოს — ხორცი წვნიანი უნდა იყოს! ფუნთუშა გაჭერით შუაზე და ისიც შეწვით.

სალათის ფურცლები გაჭერით შუაზე, პომიდორი დაჭერით მრგვლად, კიტრი — წვრილად, ხახვი — ალყა-ალყა.

ფუნთუშის ერთ ნახევარზე მოათავსეთ ხორცი, მეორეზე კი — დანარჩენი ინგრედიენტები. კეტჩუპი აურიეთ მაიონეზში და შუაში წაუსვით.

MK

როგორ მოვხიბლოთ მამაკაცი?

თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, შინაგან დისკომფორტს განიცდით, თვალები ძველებურად აღარ გიბრწყინავთ, და გსურთ, უწინდებურად ლამაზი, ჯანმრთელი და ენერგიული იყოთ, აუცილებლად მოიწყვეთ განტვირთვის დღე...

დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ ხდება, რომ თითქოსდა უნაკლო გარეგნული მონაცემების მქონე ლამაზმანის მიმართ მამაკაცი ხშირად გულგრილი რჩება მაშინ, როცა ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ, უბრალო გარეგნობის ქალს თაყვანისმცემლებისგან მოსვენება არა აქვს?!. სწორედ ეს გახლავთ ქალური შარმის საიდუმლო — ის, რასაც, შესაძლებელია, თავად ქალი ვერც კი აცნობიერებდეს, მამაკაცის ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩება.

თუმცა, არსებობენ მამაკაცები, რომელთაც მხოლოდ ერთი, გარკვეული სტილის ქალები მოსწონთ. მაგალითად, მარლონ ბრანდოს მხოლოდ და მხოლოდ ეგზოტიკური სისხლის ქალბატონები ხიბლავდნენ და ვერანაირი ქერა ლამაზმანი მას გემოვნებას ვერ შეუცვლიდა. თანამედროვე მამაკაცების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათი უმეტესობა უპირატესობას მხიარულ, კარგად მოვლილ, ამავე დროს უშუალო, გულღია ქალებს ანიჭებს. კიდევ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ სპორტული, მებრძოლი სულის, მატერიალურად ფეხზე მყარად მდგარი, ოპტიმისტი ქალბატონები, რომელთაც მამაკაცისთვის ღირსეული მეგობრობის გაწევა შეუძლიათ და მისგან გადამეტებულ ზრუნვას და ყურადღებას არ მოითხოვენ.

საინტერესოა, რომ გამოკითხვისას ერთი, კონკრეტული თმის ფერისა ან აღნაგობისთვის უპირატესობა არავის მიუნიჭებია. ზოგადად კი მამაკაცებს არ მოსწონთ გარეგნულად (განსაკუთრებით ვერ იტანენ თმის ლაქს და „მრავალსართულიან“, მოუხერხებელ ტანსაცმელს) თუ შინაგანად ხელოვნური, ანგარებიანი, ინფანტილური და წვრილმანი ქალები.

ქალური მომხიბვლელობა ძალზე ინდივიდუალურია და არანაირ სტანდარტს არ ექვემდებარება. გამოხედვა და ჟესტები, ღიმილი და ხმის ტემბრი — მამაკაცი ამ ყველაფერს ერთიანობაში აღიქვამს და მისთვის სასურველი ქალიც სახეზეა. ალბათ ამიტომაც არის ასე ძნელი, იპოვო ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებული დარჩება შენი მცირედი უცნაურობებით და შენი პატარა ფიზიკური ნაკლიც კი ეყვარება.

ასე რომ, სიყვარული მხოლოდ ლამაზმანთა ხვედრი როდია. ნებისმიერ ქალს შეუძლია ვიღაც ერთისთვის იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე — სხვისთვის. ამიტომ, არ ღირს სრულყოფილებასთან მიახლოებულ, იდეალურ ქალთან მსგავსებაზე იოცნებოთ და ძირფესვიანად გარდაქმნათ საკუთარი ნატურა. ამგვარი გზით მიღწეული სრულყოფილება წარმატებას ნაკლებად მოგიტანთ. ის ხიბლი კი, რაც სწორედაც რომ თქვენს ინდივიდუალობაშია, შესაძლებელია სამუდამოდ გაქრეს. ■

განიტვირთეთ და გალამაზდით

თუ გრძნობთ, რომ გადაიღალეთ, შინაგან დისკომფორტს განიცდით, თვალები ძველებურად აღარ გიბრწყინავთ, და გსურთ, უწინდებურად ლამაზი, ჯანმრთელი და ენერგიული იყოთ, აუცილებლად მოიწყვეთ განტვირთვის დღე...

დასაწყისისთვის ვაშლი, ფორთოხალი, ლიმონი, ბანანი, ნებისმიერი კენკრა, სტაფილო, კომბოსტო, კამა, ნიახური და პიტნა მოიმარაგეთ. უარი თქვით ყავასა და სიგარეტზე, რა თქმა უნდა, ალკოჰოლურ სასმელზეც.

საუზმედ მიირთვით ერთი ჭიქა ფორთოხლის, ვაშლის ან გრეიპფრუტის წვენი. თუ ცხელი სასმელი გირჩევნიათ, მაშინ პიტნის ნაყენი თაფლით ან ნახევარი ლიმონის წვენით გაზავებული 1 ჭიქა ცხელი წყალი დალიეთ. შუადღემდე, შიმშილის დასათრგუნავად, იმყოფინეთ ერთ-ორი ვაშლი, ბანანი ან ფორთოხალი; სადილად კი — ახალი ხილისა და ბოსტნეულის შემდეგნაირად მომზადებული სალათა მიირთვით: ვაშლი, გახეხილი სტაფილო, კომბოსტო, ფორთოხალი ან ბანანი შეანელეთ ლიმონის წვენითა და ერთ ს/კ მცენარეული ზეთით. სალათას უხვად მოაყარეთ მწვანილი.

5 საათისთვის კვლავ მიირთვით პიტნის ნაყენი თაფლით ან ლიმონის წვენით; ვახშმად კი იმ ხილ-ბოსტნეულისგან მოამზადეთ სალათა, რომელიც უფრო მეტად მოგწონთ.

ძილის წინ მიიღეთ ბალახეული ჩაი თაფლით.

ამ პროცედურის შემდეგ, თქვენი სხეული ინტენსიურად გაიწმინდება ათასგვარი ტოქსინისა და წიდისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეგნული ეფექტი თვალში საცემი გახდება. ნუ დაიზარებთ და გაიკეთეთ სახის კანის ნიღაბიც, საღამოს კი თბილი აბაზანა მიიღეთ, რომელშიც ჭინჭრის ან გვირილის ნახარშს ჩაუმატებთ.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, ქუჩაში მიმავალს ბევრი აღფრთოვანებულ მზერას გაგაყოლებთ, თვალებიც უწინდებურად აგიციმციმდებათ და დაღლილობის გრძნობა სადღაც გაქრება ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

ქ. თბილისი
ოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი ხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



ღიღვორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

ბოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-35

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

უდაბნო ნელა იხევდა უკან. ქვიშა გამყარდა. გამოჩნდა გაქვავებული, დამსკდარი ნიადაგი. უდაბნოდან გასვლასთან ერთად, მოახლოვდა ცაში აზიდული მთები, რომელსაც დიდხანს ხედავდნენ. ბოლოს, უდაბნო საერთოდ გაქრა და ქარავანი ციცაბო კლდეების ძირში აღმართულ ქალაქთან აღმოჩნდა. ეს იყო ბალქი. მის მიღმა ცაში ატყორცნილი მწვერვალები მოჩანდა. აქედან იწყებოდა ვერაგობითა და დაუნდობლობით განთქმულ კარანაუსელ ყაჩაღთა სამფლობელო.

მთელი დარჩენილი გზა აზიზი გაფაციცებული მიუყვებოდა იდუმალ მზვერავთა კვალს. კვალმა კიდევ უფრო გაუცხოველა ეჭვი. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ უცნობები მათ უთვალთვალებდნენ. მათი ცხენების ნაკვალევი ქვიშის ბორცვებს შორის მიიკლაკნებოდა. როგორც ჩანს, გორაკებზე ასვლას ერიდებოდნენ და დაბალ ადგილებს ეტანებოდნენ, რათა უკან მომავალ მექარავნეებს მათთვის თვალი არ მოეკრათ. რამდენიმე ადგილას აზიზმა ლეღვისა და ბროწეულის ქერქსაც მიაგნო, მაგრამ იქ არსად ჩანდა მხედრების შეჩერების კვალი. ისინი შეუჩერებლად, ცხენზე ამხედრებულები იკლავდნენ შიმშილსა და წყურვილს. სამაგიეროდ, რამდენიმე ადგილას მათი ნაფეხურები შენიშნა. ყველა შემთხვევაში, უცნობი მზვერავები ცხენებს გორაკის ძირში ტოვებდნენ. ერთი მათგანი ცხენებთან რჩებოდა, ორნი კი ხოხვით ადიოდნენ ბორცვზე და მათ უკან მომავალ ქარავანს ადევნებდნენ თვალყურს. მგზავრობის მეორე საღამოს აზიზს „კატათაგვობანას“ თამაში მოჰბეზრდა. იდუმალ მზვერავთა დასანახავად ქარავანი დააბანაკა, მსახურებს ცეცხლი დაანთებინა; მერე კი მცველთა რაზმს ამხედრება უბრძანა და ჭენებით გაქანდა მზვერავთა მიმართულებით, მაგრამ ამას რამე შედეგი არ მოჰყოლია. მზვერავები ფრთხილობდნენ და როგორც კი მხედრები შენიშნეს, იქაურობას გაერიდნენ. ღამით მათ დევნას აზრი არ ჰქონდა. მზვერავები კარგად იცნობდნენ უდაბნოს და გასაგები იყო, რომ მდევრისგან თავის დაღწევასაც შეძლებდნენ. ამიტომაც აზიზმა უკან მოაბრუნა თავისი მხედრები. დილით კი „კატათაგვობანა“ ისევ გაგრძელდა.

მექარავნეები ბალქის მისადგომებამდე მიჰყვებოდნენ იდუმალ მზვერავთა კვალს. ქალაქთან მიახლოებისას კვალი შეიცვალა. მზვერავებმა ცხენები ჭენებაზე გადაიყვანეს და ქარავანი უკან მოიტოვეს. მალე კი მათი კვალი საერთოდ გაქრა.

ბალქთან მიახლოებისას ქარავანს სელჩუკ მხედართა რაზმი შემოხვდა. ეს მეომრები ქალაქსა და საქარავნო გზას მეკობრეთაგან იცავდნენ. აზიზი მათ მეთაურს გამოელაპარაკა და პირველ რიგში, საეჭვო უცნობების შესახებ გამოჰკითხა, მაგრამ სელჩუკებს საეჭვო არავინ და არაფერი შეენიშნათ. მათი მეთაურის თქმით, აზიზის ქარავანი პირველი იყო, რომელიც ბოლო ოთხი დღის განმავლობაში უდაბნოდან გამოვიდა.

— კარანაუსელები?.. — აზიზს თავადაც არ სჯეროდა, რომ მზვერავები მთის ყაჩაღები იქნებოდნენ, მაგრამ მაინც შეახსენა სელჩუკთა მეთაურს.

— არა, — თავი გაიქნია მან, — სულთანმა მტკიცე ჯაჭვზე დასვა ავი ძაღლი. მათთან ახლა მშვიდობაა. დიდი ხანია, რაც მათ ბელადს პირობა არ გაუტეხია. თანაც ისინი უდაბნოს გაურბიან.

— მაშ, ვინ იყო ის ხალხი?

— ალაჰმა უწყის, — ცისკენ აღმართა ხელები სელჩუკთა მეთაურმა, — ამ უდაბნოში მრავალი ავაზაკი დაძრწის, მაგრამ მაინც არ ღირს მათზე ფიქრი. ბალქში ვერავინ გაგიბედავთ თავდასხმას. მერე კი კარანაუსელთა სამფლობელო იწყება. ჭეშმარიტად შლეგი უნდა იყოს ის მძარცველი, რომელიც მათ სამფლობელოში გაბედავს ქარავანზე თავდასხმას. ამას კარანაუსელები არავის აპატიებენ!

საეჭვო სამეულის შესახებ, არც ქალაქის კარიბჭის მცველებმა იცოდნენ რამე. ისევე როგორც სელჩუკებს, მათაც არავინ ენახათ უდაბნოს მხრიდან მოსული. საბოლოოდ, ჰასანმა და აზიზმა გადაწყვიტეს, რომ ისინი მართლაც ავაზაკები იყვნენ, რომლებიც ქარავანზე თავდასხმას გეგმავდნენ, მაგრამ მცველთა რაზმით დაშინებულებმა განზრახვაზე ხელი აიღეს და ისევ უდაბნოში გადაიხვეწნენ.

იმავე დღეს აზიზმა ქარვასლაში დააბინავა თავისი ხალხი. ორმუზიდან მოსულმა ქარავანმა მაშინვე მიიზიდა ბალქელი ვაჭრები, მაგრამ ჰასანსა და გუელმოს არც კი დაუპირებიათ მათთან ვაჭრობა. უდაბნოში გატარებული ათი დღის შემდეგ ყველა უსაშველოდ დაღლილი იყო. თანაც ბალქში მათი საქონლის მყიდველი არც ეგულებოდათ, კარანაუსელთა და სელჩუკთა შეხლა-შემოხლას საშინელი დაღი დაეჭნა ოდესღაც დიდებული და მდიდარი ქალაქისთვის. ყოველ კუთხე-შუკაში ძონძებში გამოხვეული, კიდურებდაჩირქებული მათხოვრები ირეოდნენ. ისინი სამოსზე ებღაუჭებოდნენ გამვლელთ და მოწყალებას ითხოვდნენ. დროდადრო გათავხედებული მათხოვრები ალყაში აქცევდნენ გამვლელს და იქამდე არ აძლევდნენ გავლის საშუალებას, ვიდრე რამეს არ გამოსტყუებდნენ. ამ დროს ჩამოძონძილ ბრბოზე არაფერი სჭრიდა — არც შეგონება, არც დაშინება და არც მათრახი. ერთადერთი, ბრბოს სელჩუკი მხედრების გამოჩენა თუ გაფანტავდა. ისინი დაუნდობლად ექცეოდნენ უბედურთ. ცხენის ფლოქვით, მათრახითა და შუბებით ათავისუფლებდნენ ქუჩებს მათხოვრებისგან, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. სელჩუკებს ნაკლებად აინტერესებდათ რა ხდებოდა ქალაქში. მათი მთავარი საზრუნავი ბალქის ციხე-ქონგურები იყო, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში, კარანაუსელთა შემოტევებისგან უნდა დაეცვა ქალაქი.

ჰასანისა და გუელმოს უარმა ბრაზი მოჰგვარა ვაჭრებს, მაგრამ აზიზის მცველთა რაზმისა და სელჩუკების შიშით ვერაფერი შეჰბედეს. ცოტა ხანს კიდევ იყაყანეს და მერე ქარვასლას გაეცალნენ. ამის შემდეგ ჰასანისა და გუელმოს ხალხს დასვენების საშუალება მიეცა.

მთების სიახლოვემ თავისებურად იმოქმედა მურაჩიზე. ცაში ატყორცნილი მწვერვალებით მოხიბლულს დაღლილობა საერთოდ გადაავიწყდა. მხოლოდ წყლით გაიგრილა სახე, უდაბნოს მტვერი ჩამოიფერთხა და ქარვას-

ლის ბანზე ავიდა, საიდანაც უკეთ მოჩანდა მთები. მალე მას გვიდოც შეუერთდა.

— რას აკეთებ? — გაოცებით იკითხა ვენეციელმა, როცა ჩაფიქრებულ ფხოველს მოჰკრა თვალი.

მურორჩიმ უხმოდ მიუთითა მთებზე.

— ამ მთების ყურება გირჩევნია დასვენებას?! — გაუკვირდა გვიდოს.

— სახლი მომაგონა მაგ მთებმა, — ყრუდ ჩაილაპარაკა მურორჩიმ.

— ასეთ მთებში ცხოვრობ?

— ეს რაა, — გაეცინა მურორჩის, — ჩემი ფხოვი უფრო მაღალ მთებშია!

გვიდომ ეჭვით გახედა და მერე თქვა:

— მაინც რა მოგწონს ამ კლდეებში?.. არასოდეს მოვინდომებდი მანდ ცხოვრებას.

— შენ არ მოინდომებდი, ვენეციის შვილი ხარ. შენი საცხოვრებელი ზღვა და ხომალდია. — ჩაურთო ბანზე მოულოდნელად გამოჩენილმა ჰასანმა. — მისთვის კი მთა სახლიცაა და სიმაგრეც. რომელი ქონგური შეედრება ამ კლდეებს. სელჩუკებსაც კი გაუჭირდათ მთას შეხიზნულ კარანაუსელთა დამორჩილება. თავისი სისხლიც ბევრი გაიღეს, მათიც დაღვარეს, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ უდაბნოს ომებისთვის გაწვრთნილი მათი ლაშქარი, მთაში ვერაფერს გახდებოდა და თავი ანებეს ლაშქრობას.

— მესმის, — თავი დაუქნია გვიდომ, — იმასაც ვხვდები, რომ მტერი ადვილად ვერ დალაშქრავს მიუვალ მთებში გამაგრებულ ხალხს, მაგრამ ომი ყოველდღე არ ხდება და მშვიდობაშიც იმ ადამიანებს თოვლისა და ყინულის სამეფოში უწევთ ცხოვრება.

— შენ არაფერი გესმის მთისა, — განაგრძო მურორჩიმ, — მე არ მინახავს შენი ქვეყანა, მაგრამ შენგან ბევრი რამ მსენია მასზე. შენ მიყვებოდი ლამაზ და სწრაფმავალ გემებზე, წყალზე გაშენებულ ქალაქზე, რომლის არხებშიც მოჩუქურთმებული ნავები დაცურავენ, თქვენებურ მომღერლებზე, მოცეკვავეებზე... ვნახე ის ზღვაც, რომელიც ასე ძალიან გიყვარს. ლამაზი იყო შენი ნაამბობი და ლამაზი იყო ჩემ მიერ ნანახი ზღვა, მაგრამ მე სხვა ქვეყნის შვილი ვარ, გვიდო. შენ ვერ წარმოიდგენ, რა ლამაზია ის მწვერვალები, რომლებსაც ყოველ დილით, გაღვიძებისას ვხედავდი. ვერ წარმოიდგენ, რა ლამაზია ქარაფზე შემომდგარი ჯიხვი, რომელსაც ქარზე უსწრაფესად შეუძლია მწვერვალის თავზე მოქცევა და უკან დაშვება. ვერ წარმოიდგენ, როგორ ყივის ჩვენებური არწივი. ჩემს ქვეყანაში არ არის წყალზე ნაშენი შენობები, არც არხები და არც იმ არხებში მცურავი მოჩუქურთმებული ნავები. ჩვენი სახლები კლდეზე იგება. ჩვენს აქაფებულ მდინარეს და დაკლაკნილ ხეობას კი ვერც ერთი ნავი ვერ გაუძლებს. სიმღერით და ცეკვით ჩემი ხალხიც ცეკვავს, მაგრამ ასეთი სიმღერა არასოდეს ექნებათ მოსმენილი შენს მხარეში. მკაცრ მთას მარტო გაბედული ბუნების ხალხი თუ შეეგუება. ამიტომაცაა ჩემი ხალხის ცეკვაც და სიმღერაც ლაღი და ცეცხლოვანი... ამას მაგონებს ეს მწვერვალები. ჩემს სახლს, ფხოვს, არდოტს და საომრად მოზიდულ ხეობელებს. — ჩაამთავრა მურორჩიმ და ისევ ცაში ატყორცნილ მწვერვალებს მიაპყრო მზერა.

სამდღიანი დასვენების შემდეგ, აზიზმა უღელტეხილისკენ დაძრა ქარავანი. მთის გრილი სუნთქვა მალე დაეტყო მიდამოს. სილის ბორცვები უკან დარჩა და მათი ადგილი ფიჭვის კორომებმა დაიკავა. გზად რამდენიმე ტბაც შემოხვდათ. წყლის კამკამა ზედაპირი დუმფარით და ლამაზი ვარდისფერი ყვავილებით იყო დაფარული. ირგვლივ ათასგვარი ფრინველი ფრენდა. ტბისპირა ჭალებში ანტილოპები და გარეული თხები დაშლიგინებდნენ. რამდენჯერმე ადგილობრივი მცხოვრებლებიც შეხვდნენ. ისინი არც სელჩუკები იყვნენ და არც — კარანაუსელები.

— თავისუფალი მონადირეები არიან, — თქვა აზიზმა მათი სოფლის გვერდით ჩავლისას, — უცნაური ხალხია. არც თესავენ, არც ხნავენ. სახლებსაც არ აშენებენ. მომთაბარეები არიან და მარტო ნადირობით ირჩენენ თავს. ერთ ადგილს ამოირჩევენ, მიწურებს გათხრიან და იქამდე ნადირობენ, ვიდრე იმ არემარეში ნადირ-ფრინველს არ გამოლევენ. მერე მიწურებს მიატოვებენ და სხვა ადგილას გადასახლდებიან.

მთის მისადგომებთან ფიჭვის ტყე უფრო გახშირიდა. გზა დავიწროვდა. დღის მიწურულს კი ქარავანი საცალფეხო ბილიკზე გავიდა. გზა ისეთი ვიწრო იყო, რომ მხედრებს მარტო ერთმანეთის მიყოლებით შეეძლოთ სვლა. ღამის მოახლოებასთან ერთად კი აზიზმა ქარავანი შეაჩერა და დაბანაკება ბრძანა.

ქარავანს სამი დღე დასჭირდა კარანაუსელთა სამფლობელომდე მისასვლელად. გზა მძიმე იყო. ვიწრო საცალფეხო ბილიკი კლდეებს შორის მიიკლაკნებოდა. დროდადრო ქარავანი უძირო უფსკრულის გვერდზე გადიოდა. ასეთ ადგილებში აზიზი განსაკუთრებით ფრთხილობდა, მაგრამ მისმა სიფრთხილემაც ვერ იხსნა მისი ერთ-ერთი მცველი. ქარავანი უფსკრულის პირას მიდიოდა, როცა მძიმედ დასაპალნებული ჯორი ფერდობზე დაცურდა. მცველმა მაშინვე შემოაბრუნა ცხენი და ჯორს აღვირში სტაცა ხელი.

— თავი გაანებე! — მთელი ხმით შესძახა ამის მნახველმა აზიზმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ფერდობზე დაცურებული ჯორი უფსკრულში გადაეშვა და მცველი, თავის ცხენიანად თან გადაიყოლა. შეძრწუნებულმა მოგზაურებმა ვეღარაფრით შეძლეს მისი დახმარება. მათ თვალწინ მცველი კლდის ქიმს დაეხეთქა და სადღაც დაბლა, ხეობის ძირას მჩქეფარე მდინარეში გაუჩინარდა.

— აი, ეს არის ის, რაზეც გაფრთხილებდით. მთა ერთ შეცდომასაც არ აპატიებს კაცს. თუ გინდათ, რომ ცოცხლები დარჩეთ, ის გააკეთეთ, რასაც მე გეტყვით. — მექარავნეთა გასაგონად თქვა აზიზმა, მერე კი ხელით ანიშნა, მომყევითო.

კარანაუსელები მოულოდნელად გამოჩნდნენ. ქარავანი დასაბანაკებლად ემზადებოდა, როცა ერთ-ერთმა მცველმა ხეობის ყელში თეთრსამოსიანი მხედრები შენიშნა. მგზავრებმა მაშინვე მოიძიეს იარაღი, მაგრამ აზიზმა შეძახილით შეაჩერა: არ გინდათ! ეს აქაური ბელადის ჯაფარ მამარის ხალხიაო!

კარანაუსელები ცოტა ხანს ზვერავდნენ ქარავანს. მერე ორი მათგანი ბანაკისკენ დაიძრა, დანარჩენები კი ადგილზე დარჩნენ. აზიზი კარანაუსელებს შეეგება. საუბარი ცოტა ხანს გაგრძელდა. მერე კარანაუსელები უკან გაბრუნდნენ, აზიზი კი ბანაკს მიუბრუნდა.

— ისევ დაბრუნდებიან? — ჰკითხა ჰასანმა, როგორც კი კარანაუსელები

თვალს მიეფარნენ.

— არა. ეს ჯაფარ მამარის მზვერავები იყვნენ. შეგვათვალიერეს. დარწმუნდნენ, რომ ვაჭრები ვართ და არა სელჩუკი მეომრები და უკან გაბრუნდნენ. წასვლისას კი ადგილზე დარჩენა მიბრძანეს. — თქვა აზიზმა.

— ადგილზე დარჩენა?! — გაუკვირდა ჰასანს. — ხვალ გზას არ განვაგრძობთ?!

— არა, — თავი გაიქნია აზიზმა, — ვიდრე მამარს არ შევუთანხმდებით კარანაუსელები ქარავანს არ გაატარებენ.

— რატომ?

— არ ვიცი. ასეთი რამ ადრე არ გაუკეთებიათ. ბალქიდან ბადახშინში ქარავანი ყოველთვის კარანაუსელთა გაუფრთხილებლად მიმყავდა. უღელტეხილისკენ რომელი გზითაც უნდა წახვიდე, მათ მზვერავებს მაინც ვერ აუვლი გვერდს. ისინი ყველა ბილიკსა და გადასასვლელს სდარაჯობენ და ქარავანთან შეხვედრისას თავად ათვალიერებენ საქონელს. საქონელი იმდენად არც აინტერესებთ. დასაპალნებულ ჯორ-აქლემს ითვლიან და ამის მიხედვით ითხოვენ ხარკს. თუ ვაჭრები თანახმანი არიან ხარკის გადახდაზე, ქარავანი გზას აგრძელებს. კარანაუსელები მთავარ ჩაუშს საგანგებო ნიშანს აძლევენ. ეს ნიშანი არის იმის დასტური, რომ ქარავანს უკვე გადახდილი აქვს ხარკი და გზად შემხვედრმა სხვა კარანაუსელებმა ფულის გადახდა აღარ უნდა მოსთხოვონ. ახლა აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ გადამიკვეთია მათი სამფლობელო, მაგრამ ის მაინც კარგად მახსოვს, რომ ჯაფარ მამარს არასოდეს მოუთხოვია ჩაუშთან პირისპირ შეხვედრა.

— რა უნდა იყოს ამის მიზეზი? — ჰკითხა ჰასანმა.

— არ ვიცი, მაგრამ კარგს არაფერს ველი.

— უკან ხომ არ გავბრუნდეთ? — ჩაურთო გუელმომ.

— უკან?! — დაიბნა ჰასანი. — ამხელა გზის გამოვლის შემდეგ, უკან როგორ უნდა გავბრუნდეთ.

— იქნებ სხვა გზით ვცადოთ ბადახშინს ჩასვლა.

— სხვა გზა არ არსებობს, — მოსხიპა აზიზმა.

— მაშინ სელჩუკი მეომრები დავიქირაოთ და უფრო ძლიერი რაზმით დავბრუნდეთ უკან, — შესთავაზა ვენეციელმა ვაჭარმა.

— არც ეგ გამოვა. სელჩუკები მეომრებს არ მოგვცემენ. მათ პირობა აქვთ დადებული, რომ ძალით კარანაუსელთა სამფლობელოში არ შეიჭრებიან. რომც დაგვყვნენ და ოქროს დახარბებულებმა მეომრები მოგვცენ, ამითაც არაფერი გამოვა. სელჩუკების მთელმა ლაშქარმა ვერ შეძლო მთიელების დამორჩილება და რას გახდება ერთი რაზმი?! — ისევ იუარა აზიზმა.

— მაშინ რა ვქნათ? — ჰკითხა გუელმომ.

— არაფერი... მამარს უნდა შევხვდეთ. რომც მოვინდომოთ, უკან მაინც ვეღარ გავბრუნდებით. ახლა კარანაუსელები არსად ჩანან, მაგრამ ვიცი, რომ აქ არიან და თვალყურს გვადევნებენ. ბანაკი რომ ავშალოთ და უკან გავბრუნდეთ, წამოგვწევიან და თავს დაგვესხმიან. — უპასუხა აზიზმა.

— როგორ თუ თავს დაგვესხმიან?! — გაუკვირდა გუელმოს. — განა თავად არ თქვი, რომ კარანაუსელებს პირობა აქვთ მიცემული სელჩუკებისთვის და ქარავნებს თავს არ ესხმიანო!

— ეგ ეგრეა, მაგრამ ჩვენ უკვე მათ სამფლობელოში ვართ და ხარკის გადახდაც გვეკუთვნის. ვიდრე ოქროს არ მივართმევთ, ამ ხეობიდან ფეხს ვეღარ მოვიცვლით. ვერც წინ წავალთ და ვერც — უკან.

— ესე იგი, მაინც მოგიწევს მათ ბელადთან შეხვედრა! — ჩაილაპარაკა გუელმომ.

— მოგვიწევს, — დაეთანხმა აზიზი, — მაგრამ წინასწარ ნუ დავფრთხებით. შეიძლება, მამარს ჩვენთან ვაჭრობა სურს ან სხვა მიზეზით გვიბარებს თავისთან.

— გვიწვევს?! — გაოცებით იკითხა გუელმომ. — ჩვენც უნდა გამოგყვეთ?!

— ჰო... — დაუდასტურა აზიზმა. — კარანაუსელმა მზვერავებმა ასე თქვეს. ხვალ დილით ჯაფარ მამარი ჩაუშს და ვაჭრებს თავისთან ელისო.

— არა... არ ღირს მასთან სტუმრობა. — აჩქარდა გუელმო.

— ეგ არც არის საჭირო, — ჩაურთო ჰასანმა, — საიდან იციან კარანაუსელებმა რამდენი ვაჭარია ქარავანში. მამარს მე და აზიზი ვესტუმრებით. შენ ბანაკში დარჩები.

— არა. მარტო არსად გაგიშვებ. ამ ხალხსა და საქონელზე ერთად ვაგებთ პასუხს. მამართან მეც წამოგყვები, — იუარა გუელმომ.

— ეს ზედმეტია... — წამოიწყო ჰასანმა, მაგრამ აზიზმა აღარ დაამთავრებინა.

— ტყუილად დაობთ. კარანაუსელ მზვერავებს არ გამოჰპარვიათ გუელმოს და გვიდოს ჩაცმულობა. მათ იციან, რომ ქარავანში ვენეციელებიც არიან. თავად მითხრეს: ვენეციელთა სტუმრობა ძალიან გაახარებს ბატონსო.

— ესე იგი, ყველაფერი თავისთავად გადაწყვეტილა. დილით ერთად ვესტუმრებით ჯაფარ მამარს, — ჩაილაპარაკა გუელმომ და ბანაკს მიუბრუნდა.

დილით კარანაუსელები ისევ გამოჩნდნენ. ამჯერად მათი რაზმი ბევრად მრავალრიცხოვანი იყო. მხედრებმა ბანაკის სიახლოვეს შეაჩერეს ცხენები და აზიზი თავისთან იხმეს. ბანაკში უკვე ელოდნენ მათ მოსვლას და დრო რომ არ დაეკარგათ, აზიზთან ერთად ჰასანი, გუელმო, გვიდო და მუროჩიც ამხედრდნენ, მაგრამ კარანაუსელებმა შუბების ქნევით შეაჩერეს ისინი.

— მხოლოდ ჩაუში და ვაჭრები. მსახურები აქ დარჩებიან! — ბრძანა მათმა მეთაურმა.

— ესენი მცველები არიან, — შეეწინააღმდეგა აზიზი, მაგრამ კარანაუსელთა მეთაური შეუვალი იყო.

— მარტო ჩაუში და ვაჭრები, — გაიმეორა ბრაზით და მერე დაამატა, — ჩვენს ბატონთან სტუმრობისას მცველები არაფრად გჭირდებათ!

— ნუღარ გავაღიზიანებთ. ისე მოვიქცეთ, როგორც მათ სურთ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა აზიზმა და გვიდოს და მუროჩის ანიშნა: ჩამოქვეითდითო.

მუროჩის ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ჰასანს გახედა: როგორ მოვიქცეო?

— თავს ზევით ძალა არ არის, — ამოიოხრა ჰასანმა, — დარჩენა მოგიწევს.

მუროჩის აღარაფერი უთქვამს. ჩამოქვეითდა და იქვე, ლოდზე ჩამოჯდა. ჰასანმა და გუელმომ კი ცხენები შეაბრუნეს და ჭენებით მიჰყვნენ დაწინაურებულ აზიზს.

კარანაუსელთა ბელადი, ჯაფარ მამარი მაღალ კლდეზე აღმართულ, მიუვალ ციხესიმაგრეში ცხოვრობდა. იქამდე მიმავალი გზა იმდენად ვიწრო და ძნელად სავალი იყო, რომ რაზმმა მხოლოდ დღის მიწურულს მიაღწია სიმაგრეს. აზიზი დარწმუნებული იყო, რომ ასეთ დროს მამარი მათ მიღებას არ მოინდომებდა და მომდევნო დღისთვის გადადებდა შეხვედრას, მაგრამ ის ცდებოდა. აღმოჩნდა, რომ კარანაუსელთა მმართველი მოუთმენლად ელოდა მათ მისვლას.

მამარმა ვრცელ დარბაზში მიიღო სტუმრები. იქაურობა არაფრით ჰგავდა სპარსელი დიდებულების საცხოვრებლებს. ყველაფერი უხეში და ტლანქი იყო. კედლებზე ძველი და მოუვლელი იარაღი ეკიდა. აქა-იქ მაშხალებისგან დარჩენილი ჭვარტლის ლაქები მოჩანდა. არსად ჩანდა მუსლიმან დიდებულთა სასახლეებისთვის დამახასიათებელი ხალიჩები. მათ მაგივრად იატაკს დათვისა და მგლის ტყავები ფარავდა. სასახლის პატრონი ამაღლებულ ტახტზე ფეხმორთხმით იჯდა.. მან გოროზი სახით შეათვალიერა სტუმრები და მერე მიახლოება უბრძანა.

აზიზი დაწინაურდა. მამარის ტახტს მიეახლა და ფეხებთან ხელსახოცწაფარებული სინი დაუდო. ეს იყო მისთვის მირთმეული საჩუქარი. მამარი ხარბი ადამიანი იყო. ეს კარგად უწყოდა აზიზმა და გულუხვი საჩუქრით კარანაუსელთა ბელადის გულის მოგების იმედიც ჰქონდა. ამასთანავე, იმედოვნებდა, რომ მე-

ორე დღეს ქარავანს გზის გაგრძელების საშუალება მიეცემოდა, მაგრამ მამარს არც კი დაუხედავს სინისთვის. გამჭოლი მზერა მოავლო სტუმრებს და მერე აზიზს მიუბრუნდა.

— ალ აზიზ ტალიბ შენ ბევრჯერ გისარგებლია ჩემი სტუმართმოყვარეობით. ჩვენი გზები ყოველთვის ღია იყო შენი ქარავანისთვის. შეგეძლო ჩვენს მიწაზე დასვენება, ჩვენი მდინარეების წყლით წყურვილის მოკვლა. ასე იყო თუ — არა?!

— ასე იყო და მე ვერ ვხვდები შენი სიბრაზის მიზეზს, ბელადო, — დაიბნა აზიზი.

— რატომ დაარღვიე სტუმარმასპინძლობის წესი?! — მკაცრად განაგრძო მამარმა.

— დავარღვიე?! — დაიბნა აზიზი. — რით?!

— შენ კარგად იცი, რომ სელჩუკები ჩემი და ჩემი ხალხის დაუძინებელი მტრები არიან!

— სელჩუკებმა ბევრი ხალხის წინააღმდეგ აღმართეს იარაღი, მაგრამ ახლა მშვიდობაა. კარანაუსელები და სელჩუკები ერთმანეთში არ ომობენ!

— შენი სიტყვა ჩემი სიმართლის დასტურია. ჩვენში მშვიდობა ხმალმა ჩამოაგდო, მაგრამ სელჩუკები დღესაც დაძრწიან ჩემი სამფლობელოს სიახლოვეს და მთაში შემოჭრის გზებს დაეძებენ.

— მაგაზე ვერაფერს გეტყვი, ბელადო. ბალქიდან გამოსულს სელჩუკთა ერთი მხედარიც არ მიხილავს.

— არ გიხილავს?! — ხმას აუწია მამარმა.

— არა! — უყოყმანოდ გაიმეორა აზიზმა.

— მაშ ეს კაცი ვინ არის?! — შმაგად შესძახა მამარმა და ჰასანისკენ გაიშვირა ხელი.

— ეგ კაცი ბაღდადელი ვაჭარია. ჩვენ...

— მისი სახელი მითხარი! — არ დაამთავრებინა მამარმა.

— მე თავად გეტყვი ჩემს სახელს... ალი ჰასანი! — ბრაზით მიუგდო ჰასანმა.

— სულთნის შავხიფთანიანთა ასისთავი! — ხმა გაეყინა მამარს.

— აა... შენ ესეც გცოდნია, დიდო ბელადო?! — ჩაიცინა ჰასანმა. — ჰო... იყო დრო, როცა შავხიფთანიანთა ასისთავი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ასაკმა დამამძიმა. ფარ-ხმალი გვერდზე გადავდე და ვაჭრობას მოვკიდე ხელი.

— სელჩუკი არასოდეს მოიშლის სიავეს. მარტო ხმლით არ შეიძლება ბოროტი საქმის კეთება. შენ ჩემს მიწაზე საჯაშუშოდ შემოპარული მსტოვარი ხარ! — მთელი ხმით იყვირა მამარმა და მსახურებს ხელი აუქნია.

აზიზმა, გუელმომ და ჰასანმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს. მამარის ნიშანზე დარბაზში კარანაუსელი მეომრები შემოცვივდნენ და სტუმრებს ეცნენ. აზიზსა და მის ამხანაგებს თვალის დახამხამებაში აჰყარეს იარაღი. ჰასანს ესეც არ აკმარეს. იატაკზე დასცეს, ხელ-ფეხი ტყავის საბელებით გაუკრეს და დარ-

ბაზიდან გაათრიეს.

— რას აკეთებ, ჯაფარ მამარ?! — სიმწრით შესძახა ამის მნახველმა აზიზმა. — ჰასანი დიდი სულთნის ქვეშევრდომი და ბაღდადში ცნობილი კაცია. ამას არც სულთანი გაპატიებს და არც ბაღდადის ხალიფა!

— ეს კარანაუსელთა მიწებია და სულთანი და ხალიფა არ განაგებენ აქაურობას! — ავად გაეპასუხა მამარი.

— რას უპირებ ჰასანს?! — არ შეეპუა აზიზი.

— ჯაშუში საკადრის სასჯელს მიიღებს!

— ქარავანი?! ვენეციელი ვაჭრები?! — განაგრძო აზიზმა.

მამარი მცირე ხნით ჩაფიქრდა. მერე თავის ხალხს აზიზისა და გუელმოს გათავისუფლება უბრძანა და ლაპარაკი განაგრძო.

— შენ მძიმე დანაშაული ჩაიდინე, აზიზ. სელჩუკი მსტოვარი ვაჭრის სახით შემოაპარე ჩემს მიწაზე, მაგრამ ამისთვის არ დაგსჯი. მესმის, რომ სელჩუკებს უარს ვერ ეტყოდი...

— შენ ცდები, ბელადო. ჰასანი სელჩუკიც კი არ არის!

— ალ აზიზ, ჩვენ მასზე აღარ ვლაპარაკობთ. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია. ჯობს, საკუთარ თავსა და ქარავანზე იფიქრო. ჩემს სიტყვას თუ დაჰყვები, შენ და ვენეციელებს არაფერი დაგიშავდებათ; თუ არა, სელჩუკი მსტოვრის თანამზრახველებად მიგიჩნევთ და თავებს დაგაყრევინებთ!

— რას მოითხოვ ჩვენგან? — მცირე ხნის მერე ჰკითხა აზიზმა.

— არაფერს, — მშვიდად ჩაილაპარაკა მამარმა, — მე სამართლიანი კაცი ვარ. სელჩუკთა მზაკვრობაზე ხომ არ გაგებინებ პასუხს. ეს ვენეციელი მართლაც ვაჭარი უნდა იყოს. შენ კი ჩაუში ხარ და წლიდან წლამდე დაგყავს ქარავნები. ვინაა დამნაშავე თუ შენს ქარავანს მსტოვარი მიეკედლა?

აზიზმა დუმილით უპასუხა. ჯერჯერობით ვერ ხვდებოდა თუ რას სთავაზობდა მამარი.

— არავინ... მე გადავწყვიტე, რომ ამაში არავინაა დამნაშავე. დანარჩენს კი წესის მიხედვით გადავწყვეტ. ძღვენს მივიღებ. — ხელსახოცწაფარებულ სინს გახედა მამარმა. — ახლა შეგიძლიათ ხარკიც გადაიხადოთ და გზა განაგრძოთ.

— ესაა შენი პირობა? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა აზიზმა.

— შენ სხვა რამ გინდა შემომთავაზო?

— დაგვითმე ჩვენი ამხანაგი. მიიღე გამოსასყიდი და ხელი აიღე მის დასჯაზე. — შესთავაზა აზიზმა.

— თავხედობასთან ერთად უგუნურიც ყოფილხარ, — ჩაიცინა მამარმა, — მორჩა... მე ყველაფერი ვთქვი. ამ ღამეს ჩემს სასახლეში გაატარებთ. დილით ჩემი ხალხი მიგაცილებთ ბანაკში. მაშინ გაასწორებთ ანგარიშსაც. ხარკს გადაიხდით თუ არა, გზის გაგრძელებასაც შეძლებთ.

— ჰასანის გარეშე ბადახშინს აღარაფერი გვესაქმება, — ყრუდ ჩაილაპარაკა აზიზმა.

— ეგ ჩემი საქმე არ არის. თქვენ ჩემს მიწაზე შემოხვედით და ამაში ხარკიც უნდა გადაიხადოთ. — აჩქარდა მამარი.

— ხარკს გადავიხდით, მაგრამ ბადახშინში აღარ წავალთ. უკან გავბრუნდებით. — უპასუხა აზიზმა.

— არა. თქვენ ბადახშინში წახვალთ! — ბრძანა მამარმა.

აზიზმა გაოცებით გახედა. ვერ მიხვდა, რა აბრაზებდა კარანაუსელთა ბელადს. განა მისთვის სულერთი არ უნდა ყოფილიყო საით წავიდოდა ქარავანი?

— მე ვთქვი და ასეც იქნება. უკან გაბრუნებაზე არც კი იფიქროთ. ჩემი მეომრები გაფრთხილებულები არიან. უკან გაბრუნებას თუ დააპირებთ, ცოცხალს არავის დაგტოვებენ. შენ სახლი გაქვს ბადახშინში, აზიზ. წადი, დაბრუნდი შენს ქალაქში და სამუდამოდ დაივიწყე აქეთ მომავალი გზა. ეს ბოლო გაფრთხილებაა. ოდესმე ჩემს სამფლობელოში რომ შემოდგა ფეხი, იგივე მოგელის, რაც შენს ამხანაგ ალი ჰასანს! — რისხვით დაამთავრა მამარმა და მსახურებს უბრძანა: დარბაზიდან გაიყვანეთო!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ქრისტინა რიჩის

ცხოვრების ახალი ფურცელი

კრისტინა რიჩი ფიქრობს, რომ ისეთებად, როგორებიც ვართ — ჩვენი კოლეგები, მეგობრები, ნათესავები და შეყვარებულები გვაყალიბებენ. განსაკუთრებით — შეყვარებულები... კრისტინამ ცხოვრებაში არცთუ ისე ბევრი შეყვარებული გამოიცვალა. უკვე რამდენიმე წელია, 27 წლის მეთიუ ფრომენს ხვდება. როდესაც ერთმანეთს პირველად შეხვდნენ, მეთიუ კარის მოხატვით ირჩენდა თავს, ახლა კი მსახიობია.

კრისტინა რიჩი 1980 წლის 12 თებერვალს სანტა-მონიკაში (კალიფორნია) დაიბადა. გოგონას მშობლები მალე დაშორდნენ, მამამ იტალიური წარმოშობის ამერიკელმა ცხოვრების მანძილზე უამრავი პროფესია გამოიცვალა. ხან მწვრთნელად მუშაობდა, ხან ადვოკატად. ერთხანს ფსიქოლოგობაც კი სცადა. ამჟამად რალფ რიჩი ჩრდილოეთ კალიფორნიის ციხეში მუშაობს და ლოთებსა და ნარკომანებს გამოსწორებაში ეხმარება. დედა კი ქალიშვილის საქმეებს აგვარებს. ერთ დროს სარა რიჩი საკმაოდ ცნობილი მოდელი იყო და წარმატებული კარიერაც ჰქონდა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქალიშვილი დედას არ ჰგავდა და მსგავს წარმატებაზე ვერც კი იოცნებებდა. მიუხედავად ამისა, გოგონას უჩვეულო გარეგნობამ ერთ-ერთი კინოკრიტიკოსის ყურადღება მიიქცია, რომელმაც კრისტინას დიდი ეკრანისკენ მიმავალი გზა გაუკვალა და მისი მომავალი განსაზღვრა.

ურჩი, დაუდეგარი გოგონა მომავალში საოცრად პოპულარულ მსახიობად ჩამოყალიბდა, მაგრამ მანამდე კრისტინა მონტე-კლერის (ნიუ-ჯერსის შტატი) ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში — „გლენფილდი“ სწავლობდა და ყველა სხვა ქალაქიდან ჩამოსული ბავშვის მსგავსად, ისიც საკუთარი თავისა და ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა. ამისთვის კრისტინამ მეტად უჩვეულო გზა გამონახა. იგი სხვების გამოწვევას არ დაელოდა, ადგილობრივ ხულიგნებს თავადვე აუხირდა და მათი გაღიზიანება და მოთმინებიდან გამოყვანა სცადა.

კრისტინა 8 წლის იყო, როდესაც სასკოლო-საშობაო სპექტაკლში მონაწილეობის დროს, ერთ-ერთი თეატრალური კრიტიკოსის ყურადღება მიიპყრო. კრიტიკოსმა გოგონას მშობლებს ურჩია, მის სამსახიობო მომავალზე სერიოზულად ეფიქრათ. მართლაც, სულ მალე, კრისტინა ჯერ სარეკლამო რგოლებში გამოჩნდა, 1990 წელს კი ნიჭიერი და ფოტოგენური გოგონა რეჟისორმა რიჩარდ ბენჯამინმა შეამჩნია და ფილმში „ქალთევზა“ ერთ-ერთ მთავარ როლზე მიიწვია. სურათში რიჩის გმირის დედისა და დის როლებს უკვე სახელმოხვეჭილი შერი და ნორჩი უაინონა რაიდერი თამაშობდნენ; აღსანიშნავია, რომ პირველ სამსახიობო გამოცდილებაზე მეტად გოგონას მომავალზე იმ მეგობრობამ მოახდინა ზეგავლენა, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული შერისა და პატარა კრისტინას შორის აღმოცენდა. გადასაღებ მოედანზე ჩასახული მეგობრობა მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა და ახალგაზრდა მსახიობს ცხოვრებისეული და კარიერის გზაზე წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაში მრავალჯერ დახმარებია. „ქალთევზას“ გადაღებებზე კრისტინა პირველად შეხვდა უაინონა რაიდერის მაშინდელ ბოიფრენდს ჯონი დეპს. მომავალში მათი სამსახიობო გზები კიდევ არაერთგზის გადაიკვეთა.

1991 წელს ეკრანებზე გამოვიდა „შავი“ კომედია — „ადამსების ოჯახი“. მაყურებელმა შემზარავი ოჯახის წევრებს შორის კრისტინას გმირი გამოარჩია. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი კიკინები და პირქუში მზერა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გოგონასთან გათამაშების სურვილს უკარგავდა. გმირს, რომელსაც უენძი ერქვა, ობობების საზოგადოება უფრო შეეფერებოდა. ფილმის გადაღებების დროს კრისტინა 11 წლის იყო, მაგრამ მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი თოჯინების მსგავს კინოგოგონებს არაფრით ჰგავდა... „ადამსების ოჯახის“ თავბრუდამხვევ წარმატებას სურათში — „სასაფლაოების კლუბი“ სრული კრახი მოჰყვა, მაგრამ მომდევნო ნამუშევარი კვლავ წარმატებული აღმოჩნდა. ფილმის ავტორებსა და კინომოყ-

ვარულთ უენძის როლის შემსრულებელი იმდენად მოსწონდათ, რომ 1993 წელს ეკრანებზე გამოსულ სიქველში — „ადამსების ოჯახის ფასეულობები“ კრისტინას როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მსახიობმა ისეთივე პირქუში, მაგრამ უკვე გაზრდილი გმირის სახე შექმნა. სურათში პერსონაჟმა მეორე პლანიდან მთავარ გმირთა რიგებში გადაინაცვლა. ორი წლის შემდეგ, კრისტინამ ფილმში „კასპერი“ მთავარი გმირის მოკრძალებული მეგობარი გოგონას სახე შექმნა. კრიტიკოსებმა სურათი მიწასთან გაასწორეს, მაგრამ ამან ფილმის წარმატებას ხელი ვერ შეუშალა. „კასპერი“ 1995 წლის ჰიტად იქცა. კრისტინამ კი სურათებში: „ადამსების ოჯახი“, „კასპერი“ და სხვა ფილმებში შესანიშნავი როლების შექმნისთვის, რომელთა შემოსავალმა 100 მილიონ დოლარს გადააჭარბა, კინოთეატრების მფლობელთა ასოციაციის პრემია — „მომავლის ვარსკვლავი“ მიიღო.

ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა: გადაღებას გადაღება ცვლიდა, მომგებიანი კონტრაქტიც უხვად იყო, მაგრამ... კრისტინა იზრდებოდა და უფრო და უფრო პირქუში და ცინიკური ხდებოდა. გამუდმებულმა დეპრესიამ ავადმყოფური ხასიათი შეიძინა. გოგონას მდგომარეობა მის შემოქმედებაზეც აისახა. ნებისმიერ როლს განწირულობის ელფერი დაჰკრავდა. ისეთ ნათელ და კეთილ ფილმშიც კი, როგორიცაა „ახლა და მაშინ“, კრისტინა რიჩის გმირი — რობერტა მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ მუდამ სიკვდილს ეთამაშება და ეს საქმიანობა ძალიან მოსწონს.

მომდევნო სურათში — „ყინულოვანი ქარიშხალი“ კრისტინა რიჩი ძალზე შეიცვალა. ფილმი კრისტინასთვის პირველი R კატეგორიის სურათია, რომელზეც 17 წლამდე ასაკის მაყურებელი არ დაიშვება. კრისტინას გმირი — პირველი სექსუალური ცდებით გატაცებული მოზარდი უენდი ვუდი საცდელ ბაჭიებად მეზობელ ბიჭებს იყენებს... აქედან მოყოლებული, მსახიობი უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლებს თამაშობს და მოწიფული გმირების საინტერესო სახეებს ქმნის. ასე მაგალითად: 90-იანი წლების მიწურულს გადაღებულ ფილმებში — „ბაფალო-66“ და „საპირისპირო სქესი“ მსახიობმა ორი ძალზე განსხვავებული სახე შექმნა. ამ სახეებს ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს: ნორჩი, გულუბრყვილო და მაცდური გოგონების საინტერესო როლების შესაქმნელად კრისტინამ საკუთარი უჩვეულო გარეგნობა მაქსიმალურად გამოიყენა.

1999 წელს, ეკრანებზე ვაშინგტონ ირვინგის რომანის, „მძინარე სიცარიელის ლეგენდა“, ეკრანიზაცია — „მთვლემარე ღარტაფი“ გამოვიდა, რომელშიც მთავარი როლები კრისტინა რიჩიმ და ჯონი დეპმა ითამაშეს. სურათის თავზარდამცემი სიუჟეტი XVIII საუკუნის ნიუ-იორკში ვითარდება. პოლიცია ქალაქის ქუჩებში თავმოკვეთილ გვამებს პოულობს და საიდუმლოებით მოცული სასტიკი დანაშაულის გამოძიებას იწყებს. გამოძიებას იჩაბოდ კრეინი (ჯონი დეპი) აწარმოებს. კრისტინა რიჩის გმირი, კატრინი, კრეინის საცოლეა...

მსახიობის ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთავარი როლი სურათში — „მონსტრი“. გასულ წელს, ფილმმა „ოსკარი“ მოიპოვა. მართალია, ეს პატივი კრისტინას პარტნიორმა, შარლიზ ტერონმა დაიმსახურა, მაგრამ რიჩის შესანიშნავი სამსახიობო ოსტატობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და შეიძლება ითქვას, რომ ტრილერის წარმატებაში მასაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. კრისტინა რიჩი ფილმის — „პროზაკის ერი“ სცენარის შექმნაში მონაწილეობდა და ახლა საკუთარი სურათის გადაღებაზე ოცნებობს, რომელსაც დასახელებაც კი შეურჩია და „თავშესაფარი“ უწოდა; ამჟამად დასასრულს უახლოვდება ლეგენდარული უესი კრეივენის მორიგი საშინელებათა ფილმის — „წყევლა“ გადაღებები, სადაც მთავარ როლებს კრისტინა რიჩი და მისი პარტნიორი, შენონ ელიზაბეტი თამაშობენ.

კრისტინა ცვალებადი და სპონტანური ხასიათის ადამიანია, მაგრამ ამასთან, კოსმოსურ სიმშვიდესაც ასხივებს. მსახიობი წარსულში ჟურნალისტებთან თამამი, ექსტრავაგანტური აფორიზმებით საუბრობდა. მისი ნებისმიერი ფრაზა ისეთი გახლდათ, რომ ყვითელი პრესის პირველ გვერდებს დაამშვენებდა, მოგვიანებით კი მიხვდა: იმისათვის, რომ საინტერესო ადამიანი იყო, სულაც არ არის საჭირო, ექსტრავაგანტური აზრები გამოთქვა! კრისტინა შეიცვალა. იგი ფიქრობს, რომ მისი ასაკი უფლებას აძლევს, მეტისმეტად ცინიკური იყოს, სამუშაო კი — არა! ბოლო ხანებში, რიჩიმ მეტისმეტად შოკის მომგვრელი ინტერვიუების მიცემა შეწყვიტა და გარეგნულადაც უფრო მოკრძალებული გახდა. არადა, ფილმების: „საპირისპირო სქესი“ და „ბაფალო-66“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, მისი სხეულის ფაშფაშა ფორმების შესახებ რაღას არ ამბობდნენ! ბოროტი ჭორებით შეწუხებულმა კრისტინამ გადამჭრელ ზომებს მიმართა... და შედეგად, ანორექსიით დაავადდა. ახლა ყველაფერი წარსულში დარჩა! მსახიობმა ცხოვრება ახლებურად გაიაზრა და კარიერაში ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ემზადება. მისი ცხოვრების სუფთა ფურცელი ძველებურად არეულ-დარეული ცხოვრების ნაცვლად, ახალი, კარგად გააზრებული სტრატეგიით იწყება!

დასაწყისი იხ. გვ. 16

მარი:

„ათენიდან გწერთ. ქართველებმა აქაც მძიმე დღეები გამოვიარეთ. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ცრუინფორმაციებს ვისმენდით. მე ტელევიზორს არ ვშორდებოდი. საბერძნეთი ასე აშკარად ვერ გაამტყუნებს რუსეთს და ამ ქვეყანასთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს. ამიტომაც, სულ დაძაბული ვიყავი და ყველანაირად ვცდილობდი, ჩვენი ისტორიის მეშვეობით დამემტკიცებინა ქართველების სიმართლე. ვერც ერთი ჩემი ნაცნობი ბერძენი ვერ ბედავდა ქართველების გამტყუნებას და რუსების დაცვას. მთელი დღე ველოდებოდი ბერძენ ჟურნალისტ — იორგო პაგაკის და შორიდანვე ვეფერებოდი, რადგან ვიცოდი, ის სიმართლეს იტყოდა. სიმართლის გაგების შემდეგ კი ყოველთვის სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა, რადგან ის ქართველების გმირულ სულზე მეტყველებდა. სხვათა შორის, სააკაშვილითაც ვამაყობ. შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ (აქ ცოტა იუმორს გავურევ) ჩვენი მიშა მაგარია!“

გიო, *16 წლის:*

„ბოლო დროს ამეკვიატა სიტყვები: „საქართველოვ, გამაგრდი! ქართველებო, არ დანებდეთ!“ ეჰ, ომისთვისაც უვარგისი აღმოვჩნდი. ჩემი უფროსი ძმები ცხინვალში იბრძოდნენ. ერთი 24 წლისაა, მეორე — 20-ის. ორივე დაჭრილი დაგვიბრუნდა. დედაჩემი ლამის ჭკუიდან შეიშალა, მამა თავს იკავებდა, მაგრამ ხელის კანკალს — ვერა. ჩემი ძმებით ვამაყობ, ისინი ჩემს თვალში ნამდვილი გმირები არიან. სხვათა შორის, მე აფხაზეთიდან გახლავართ. მამა ამბობს, როცა აფხაზეთს ვკარგავდით, ქართველები ასეთი ერთსულოვნები რომ ყოფილიყვნენ, მტერს ადვილად დავამარცხებდით, მაგრამ მაშინ, ერთმანეთს ჩვენც არ ვინდობდითო. არ მინდა, მისი სიტყვები დავიჯერო, მაგრამ ვიცი, ტყუილს არასდროს იტყვის. თანაც, ისიც ნამდვილი მებრძოლი გახლდათ. ასეა თუ ისე, ქართველებო, ყველანი მიყვარხართ და იცოდეთ, რუსი ჩვენი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს. მათ ნურაფერს დავუთმობთ, თორემ თავზე წამოგვასხდებიან და მერე ვუყაროთ კაკალი. ყველას გამძლეობას გისურვებთ! უფალი იყოს ჩვენი მფარველი!“

ეშმაკუნა:

„ომი“ — რა საშინელი სიტყვაა! დარწმუნებული ვარ, საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ჩემს თაობას არასდროს დაავიწყდება. ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, რამდენ ოჯახში გაისმა კივილი, რამდენ დედას დაეღუპა შვილი, რამდენი ბავშვი დაობლდა, რამდენი ქალი დაქვრივდა!.. ღმერთი ყველაფერს ხედავს. სამწუხაროდ, უამრავი ვაჟკაცი დაკარგა ჩვენმა სამშობლომ და ის ამ იარეს ვერასდროს მოიშუშებს. მათ საკუთარი სიცოცხლე ჩვენს დასაცავად გაწირეს. თურმე საცოდავ დაჭრილებს პატრონიც არ ჰყავდათ, „სასწრაფო დახმარება“ დროზე კი არა, საერთოდ არ მოდიოდაო. ხალხო, მგონი, ისევ ქართველებმა გაწირეს ჩვენი ბიჭები, ისინი უპატრონოდ მიატოვეს ბრძოლის ველზე. მებრძოლებს არც საჭმელი ჰქონიათ და არც ექიმი ჰყოლიათ (დასამალი არაფერია, ეს ყველამ ვიცით). საცოდავი ჯარისკაცები ერთმანეთის სიკვდილს უყურებდნენ. მერწმუნეთ, ვინც იქიდან ცოცხალი დაბრუნდა, ფსიქიკა აქვს შერყეული. ისინი ველარასდროს დაივიწყებენ იმ კოშმარულ დღეებს, რომლებიც იქ გააატარეს, ველარ იქნებიან ისეთები, როგორებიც ომამდე იყვნენ. მინდა, ყველა დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს მივუსამძიმრო. ღმერთო, დაიფარე საქართველო“.

ნინელა:

„რამდენი ტკივილი, სტრესი გადაიტანა თითოეულმა ქართველმა ამ მცირე ხანში! მათთან ერთად, მეც მეწვის და მტკივა... ბევრი ჩემი ახლობლის ოჯახმა ჩაიცვა ძაძა. გული მიკვდება, როცა ამდენ ატირებულ სახეს ვხედავ. ბევრი დანგრეულ ინფრასტრუქტურას მისტირის. ამას ეშველება, ყველაფერს აღადგენენ, მაგრამ შეწირულ სიცოცხლეს ვინ უშველის? ქართველთა ხვედრია — ომი და მშვიდობა, მტერი და მოყვარე, ცრემლი და სიმღერა. ოდითგანვე ასე ვიყავით, მაგრამ არ მეგონა, XXI საუკუნეშიც თუ ომი გვემუქრებოდა. მე ვამაყობ იმით, რომ ვარ ქართველი, ვცხოვრობ ღვთისმშობელ მარიამის წილხვედრ მიწაზე, სადაც ამდენი გმირი გვყავს. ქართველებო, ნუ გეშინიათ, ჩვენ არ გადავშენდებით! მთავარია, ერთად დგომა, სიყვარული. მარად გვახსოვდეს — ენა, მამული, სარწმუნოება და აუცილებლად გადავრჩებით. მინდა, მთელ საქართველოს მშვიდობა ვუსურვო. უფალი გვფარავდეს!“

თამთა, *19 წლის:*

„ღმერთო, როგორ დავიტანჯე ამ საშინელი ამბების კითხვით. ის, რაც ჩვენ დაგვატყდა თავს, ნამდვილი კოშმარია. კონფლიქტის ზონაში მომხდარმა სისასტიკემ ჩემზე საშინლად იმოქმედა. თქვენი სტატიების წაკითხვის მერე ბევრი ვიტირე. მართალია, ეს რუსი ჯალათები საშინლად იქცევიან: მაროდიორობდნენ, აუპატიურებდნენ, მაგრამ როგორც გავიგე, თურმე გოგონებისადმი გულგრილი ზოგიერთი ქართველიც არ ყოფილა. თუ ეს სიმართლეა, როგორ კადრულობდნენ ამას?! ღმერთის არ ეშინოდათ?..“

ნინო, *17 წლის:*

„ომმა ჩემი ოჯახიც დააზარალა. ჩემი ძმა ჯარისკაცი გახლავთ. ის, რა თქმა უნდა, გორში წაიყვანეს. მართალია, იქიდან ცოცხალი დაბრუნდა, მაგრამ ჭკუიდან შეიშალა და ახლა მკურნალობს. არ ვიცი, იქ თავს რა გადახდა. შინ დაბრუნებულს უცნაური მზერა ჰქონდა. კარი მე გავუღე. ჯერ გადამკოცნა, მერე კი მიყვირა, — თმა სასწრაფოდ გადაიღებე, თორემ რუსი მგონიხარო (თმა ქერად მაქვს შეღებილი)!.. მერე თავის ქერა, 7 წლის შვილს, ნიკუშას შეხედა და სახეზე საოცრად წამოწითლდა. ჯერ მუშტი შეკრა, მერე ხელი ზევით ასწია, თითი ნიკუშასკენ გაიშვირა და იყვირა: ეს ბავშვი აქ რას აკეთებს? სახლიდან გააგდეთ, თორემ ყელს გამოვჭრიო!.. აღარ ვიცოდით, რა გვექნა. მერე მამამ ის ოთახში ჩაკეტა. მთელი ღამე ყვიროდა: კარი გააღეთ და იარაღი მომეცით, თორემ რუსები მომკლავენო. საღამოს მას ცოლმა საჭმელი შეუტანა. ნინი იცნო და ჩაეხუტა კიდეც. თურმე დიდხანს ეფერებოდა, ნორმალურივით იქცეოდა, ბავშვიც მოიკითხა, მერე კი უცებ იყვირა: თავი დასწიე, თორემ რუსები დაგინახავენ, მე კი უშენობას ვერ ავიტანო, — და ნინი იატაკზე ახოხიალა... იმედია, ჩემი ძმა მალე განიკურნება, თუ არა და, არ ვიცი, რა გვეშველება... ახლა ჩემებმა გაიგეს, მესიჯს თქვენ რომ წერთ და მთხოვეს, მათი სახელით სამძიმარი ვუთხრა ყველა იმ ოჯახს, რომელმაც შვილი დაკარგა. ღმერთმა აცხონოს მათი სულები! ამინ“.

ნინო, *16 წლის:*

„მე ერთი პატარა გოგონა ვარ, რომელსაც ყელში ამოუვიდა ამდენი უსამართლობა. აღარ ვიცი, რა ვქნა, ყოველ ღამეს ტირილში ვატარებ და უფალს ქართველების მფარველობას შევთხოვ. ჩემს ახლობლებს, რომლებიც ცხინვალში იყვნენ, ვამხნევებდი და მათ თავს უფალს ვავედრებდი. ვგრძნობ, ჩემს გულში სიძულვილი ნელ-ნელა ისადგურებს და ეს გრძნობა ჩემზე ძლიერია. ვიცი, მსგავსი რამ მარტო მე არ ვიგრძენი. სიძულვილი ყველა ქართველის გულშია და მას აქვს ასეთი წარწერა — RUSSIA. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ეს ზიზღი ჩვენვე შემოგვიბრუნდება... ქართველებს მტერი არასდროს გველევა. ნეტავ, ასეთი რა დავაშავეთ?! რა შეგვჭამეს ამ რუსებმა?! რაც აქვთ, იმასაც ვერ იყენებენ, მაგრამ სხვისი ტერიტორიებისკენ თვალებს მაინც აცეცებენ. ჩემს ბიძაშვილს, რაც ცხინვალიდან ჩამოვიდა, არ გაუცინია, არადა, ძალიან მხიარული ადამიანი გახლდათ. აღარ მინდა ამდენი განადგურებული და შეშინებული სახის ყურება, გესმით? გთხოვთ, ყველამ ვილოცოთ და უფალს მფარველობა ვთხოვოთ. ქართველებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ“.

„6 წლის ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა“

„დროა, შენს დედიკოს ვინმემ ჭკუა ასწავლოს“...

„გზის“ №34-ში გამოქვეყნდა 16 წლის ბარბის წერილი, რომელიც თავის ტკივილს გვიზიარებდა და ამბობდა, რომ პატარაობიდანვე უწევდა იმის ყურება, თუ როგორ სცემდა მამა დედას, მერე კი მისი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ბარბის მამა ძალიან უყვარდა და მასთან შეხვედრაზე წლების განმავლობაში ოცნებობდა, ბოლოს, როგორც იქნა, სურვილი აუსდა, მაგრამ — „მამაჩემი დაკონკილი ტანისამოსით, დასაბან-დასავარცხნი გამომეცხადა, „ბომჟად ქცეული“ ძლივს ვიცანი... ცივად მიყურებდა. მივხვდი, მისთვის არაფერი ვიყავი“. ბარბი იმასაც გვწერდა, რომ უბრალო რაღაცის გამო, დედა სასტიკად სცემს. მან სახლიდან წასვლა ბევრჯერ გადაწყვიტა, მაგრამ ამ ნაბიჯისგან ისევ დედის ჯანმრთელობის გამო იკავებს თავს.

უცნობი:

„ჩემი აზრით, სახლიდან უნდა წახვიდე და თავი რომელიმე ნათესავს შეაფარო. დამეკონტაქტე, იქნებ, შენი დახმარება შევძლო“.

გრუზინკა:

„შეიძლება, მამას რომ უყვარხარ, ამიტომაც ვერ გიტანს. აბა, მე სხვა მიზეზს ვერ ვპოულობ. დედამ 16 წლის შვილი როგორ უნდა სცემოს (თანაც ისე, რომ სასიკვდილოდ გაიმეტოს)?! დაელაპარაკე, მაგრამ თუ შენს ცხოვრებაში ამის შემდეგაც არაფერი შეიცვლება, გაიქეცი. თავს უშველე მანამ, სანამ ფსიქიკა მთლიანად არ დაგიმახინჯდა. ღმერთმა დაგიფაროს“.

ეგოისტკა:

„დროა, მაგ შენს დედიკოს ვინმემ ჭკუა ასწავლოს. შენმა წერილმა გამაცოფა! სინტერესოა, ხელს რატომ არ უბრუნებ? იცოდე, არაფერი შეარჩინო. დამიკავშირდი“.

სალი:

„შენი ძალიან კარგად მესმის. 16 წლის ვარ და ცხოვრება მეც გამიმწარეს. 18 წლის გავხდები თუ არა, სახლიდან წავალ, მანამდე კი კარგად უნდა ვისწავლო იმისთვის, რომ მერე სამსახური ვიშოვო და დამოუკიდებლად ცხოვრება შევძლო. გირჩევ, ამაზე შენც იფიქრო. წარმატებას გისურვებ!“

თამთა:

„თავის მოკვლა გამოსავალი არ არის. პირიქით, ეს უდიდესი ცოდვაა. დედაშენს დაელაპარაკე და ჰკითხე, შენ მიმართ აგრესიული რატომაა? იქნებ, მას რაიმე ისეთი მიზეზი აქვს, რომლის გამოსწორებაც ადვილად შეიძლება? თუ ისევ პატარა ბავშვად აღგიქვამს, აუხსენი, რომ უკვე გაიზარდე და მისი საქციელი გულს საოცრად გტკენს. უფალმა გაგაძლიეროს“.

უცნობი:

„იმედს ნურასდროს დაკარგავ. შეიძლება, დედაშენი ქმართან დაშორების გამო დათრგუნვილია და ვერ აცნობიერებს, რას აკეთებს. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი“.

ია:

„დედას გულახდილად დაელაპარაკე და გაარკვიე, რატომ გექცევა ასე, მისი პასუხის შემდეგ კი დაფიქრდი, ღირს თუ არა სახლიდან წასვლა. თუ ეს შენთვის ხელსაყრელია, უნდა წახვიდე, მაგრამ იცოდე, ამისთვის საჭიროა, საკუთარი თავის რჩენა შეგეძლოს... კარგი იქნება, შენი გასაჭირი მამას შესჩივლო და მასთან საერთო ენა გამონახო“.

თაკო, *15 წლის:*

„ჩემო კარგო, ზოგჯერ დედები შვილებს სცემენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ისინი არ უყვართ. შენ თქვი, — და-ძმა მყავსო. როგორ ფიქრობ, დედაშენს ისინი უყვარს, შენ კი — არა? დედა მეც მეჩხუბება და ჩემს და-ძმასაც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას ყველანი ვუყვარვართ. შეეცადე, მშობელთან იმეგობრო და ერთმანეთს აუცილებლად გაუგებთ. მერწმუნე, დედა შვილისთვის ყველაზე კარგი მეგობარია. დამიკავშირდი“.

იასონი, *18 წლის:*

„ბარბი, ვიცი, ახლა რასაც განიცდი. მერწმუნე ამ სიტუაციაში, საკუთარი თავის გარდა, ვერავინ დაგეხმარება. ვიცი, სასოწარკვეთილმა არ იცი, რა უნდა გააკეთო, მაგრამ იცოდე, გამოსავალი ყოველთვის არსებობს. უბრალოდ, კარგად უნდა დაფიქრდე. შენი ასეთი სასოწარკვეთილება ასაკის ბრალიცაა. მე მსგავსი რამ უკვე გამოვცადე და ამას ამიტომაც გეუბნები. წარმატებებს გისურვებ! უფალი გფარავდეს“

ცრუმკვერატორი:

„მეც ანალოგიურ სიტუაციაში გავიზარდე, მშობლების გაუთავებელი ჩხუბის გამო (მიზეზი კი მამის ავადმყოფური ეჭვიანობა იყო) საშინელი ბავშვობა მქონდა. გირჩევ, დედის მიმართ მეტი მოთმინება გამოიჩინო, რადგან მან ამდენი ნერვიულობა გადაიტანა. საერთოდ, როცა ადამიანს პრობლემები აქვს, ეს მისი ურწმუნოების ბრალია. ჩვენ სულიერად უნდა გავიზარდოთ და მერწმუნე, ასე გაცილებით მშვიდად ვიქნებით და ახლობლებთანაც ნაკლები კონფლიქტი გვექნება. აბა, შენ იცი, უფალმა გაგაძლიეროს“.

მიკა:

„ჩემო კარგო, ბარბი ლამაზი, მაგრამ უგულო თოჯინაა, ნეტავ, შენი პრობლემაც ამაში ხომ არ არის?.. ეცადე, დედას სიყვარული აგრძნობინო. რა ასაკშიც უნდა ვიყოთ, მშობლებისთვის ყოველთვის პატარები ვიქნებით. დედას დაელაპარაკე და აუხსენი, რომ ცემა გამოსავალი არ არის და თუ რაიმე არ მოეწონება, მიგითითოს და აუცილებლად გამოასწორებ. წარმატებას გისურვებ!“

გიო:

„აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო?! შენი მესმის. ვიცი, უკვე პატარა აღარ ხარ და ამ ყველაფრის ატანა ძალიან გაგიჭირდება, მაგრამ მერწმუნე, სახლიდან წასვლა გამოსავალი არ არის. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

გამოუსწორებელი რომანტიკოსი:

„დედასთან იმეგობრე, მასთან გულახდილი იყავი და ყველაფერი მოგვარდება. ისეთ ასაკში ხარ, ყველაფერს ზედმეტად განიცდი. გაგივლის! გკოცნი.“

EKO BOY:

„სახლიდან არ წახვიდე, თორემ მერე ინანებ! ასე მგონია, დედას აბრაზებ და ის ამიტომაც გცემს. მშობელი უმიზეზოდ არ გცემს. დედას დაუჯერე“.

იუმკეზი:

„შენ ისეთ ასაკში და მდგომარეობაში ხარ, რომ ჩემი აზრით, ნებისმიერი რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან თავი უნდა შეიკავო. შენს ასაკში მშობლებთან ბევრს ექნება პრობლემა, მაგრამ ამის გამო სახლიდან გაქცევა და მით უმეტეს, თავის მოკვლა არ შეიძლება! ალბათ, დედას შენც უხეშად ელაპარაკები. იყავი მოსიყვარულე და შენც უფრო თბილად მოგექცევიან. დამიჯერე, არ წააგებ. წარმატებები!“

2PAC:

„გახსოვდეს, რომ შენი უფლებები გაქვს. ზოგჯერ მშობლები ტვინს მართლა „გვიბურღავენ“, მაგრამ ამ დროს შენ სიტუაცია არ უნდა დაძაბო. მოუსმინე, რასაც გეტყვიან და მერე მათი ნათქვამი „გაფილტრე“. რაც შეეხება მამაშენს, სთხოვე აგიხსნას, რატომ მიგატოვა. ალბათ, მიზეზი ექნებოდა. ის კაცი კი, რომელიც ახლა მამის მაგივრობას გიწევს, უნდა მიიღო. მეც მყავს დედინაცვალი. 6 წლის ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა. თუ გინდა, დამიკავშირდი“.

ჭრიჭინა:

„დედაშენს ალბათ, ნერვები აქვს გაფუჭებული და საკუთარ საქციელს ვეღარ აკონტროლებს. ეჭვიც არ მეპარება, ის შენზე მეტად განიცდის, შვილთან პრობლემები რომ აქვს. შეეცადე, შენი საქციელით არ გააღიზიანო“.

მარი:

„სიხარულო, მეც 16 წლის ვარ და თანაც, მსგავს სიტუაციაში. უბრალოდ, ჩემთან ცუდი ადამიანის როლს ბებია თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მიტანს, ვცდილობ, ყველაფერი ავიტანო. ალბათ, მათ საქციელსაც ექნება ახსნა. გამხნევდი და ნუღარაფერს დარდობ!“

„რა თავში იხლი ლოთ, ნარკომან და არაკაც ქმარს?“

„თუ დასჭირდა, შენც და ბავშვსაც „წამალზე“ გაგცვლით“

„გზის“ №34-ში დაიბეჭდა 18 წლის უცნობის მესიჯი. გოგონა გვწერდა, რომ ქმარი საშინლად ექცევა — სცემს, ამცირებს და თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც კი არ ინდობდა, როცა ორსულად იყო. „მისი მეშინოდა, ნევროზი დამემართა, ამის ნიადაგზე კი თავის მოკვლაც ბევრჯერ ვცადე“. გოგონა ქმარს გაშორდა, მაგრამ ნათესავებმა შეარიგეს. „როცა მეგონა, რომ ჩემი ცხოვრებიდან გაქრა, შეგვარიგეს. ახლა საშინელ დღეში ვარ, ხშირად მცემს“...

ანი:

„მეც იმავე სიტუაციაში ვცხოვრობ, მაგრამ ახლა 38 წლის ვარ და დიდი შვილები მყავს. ყველაფერს მათ გამო ვითმენდი. ქმარს 2-ჯერ შევურიგდი (სხვების ჩარევის შემდეგ) იმიტომ, რომ „ოჯახი“ მქონოდა. 21 წელია, მასთან ვცხოვრობ და სიტუაცია სულ უფრო რთულდება. ნურავის დაუჯერებ. გარისკე და გასცილდი. არ შეშინდე“.

გრუზინკა:

„შენ გამო ძალიან ვწუხვარ. მშობლებს ასე როგორ სძულხარ, რომ ურჩხულთან გაცხოვრებენ?! ის არ გამოსწორდება, რადგან უკვე ცოცხალი ლეშია. დაშორდი, თუნდაც ქუჩაში მოგიწიოს ცხოვრებამ! ღმერთი იყოს შენი მფარველი!“

როგინ ჰუდი:

„სასწრაფოდ დატოვე ქმრის სახლი! თუ თავშესაფარი არ გაქვს, რომელიმე დედათა მონასტერს მიაკითხე. დაჩაგვრის უფლება აღარ მისცე. წარმატებები! უფალი გფარავდეს“.

2PAC:

„მგონი, ფაშისტთან ცხოვრობ. ვილაც მორფინისტის გამო თავი რატომ უნდა მოიკლა? ბავშვზე იფიქრე და შეეცადე, მეგობრები გაიჩინო. თუ ასე გჩაგრავს, პატრულს დაურეკე. ასე შენც მოისვენებ და შენი შვილიც“.

ჭრიჭინა:

„18 წლის გოგო რა თავში იხლი ლოთ, ნარკომან და არაკაც ქმარს? შენს ბაიას რა ბედი ეწია? ვერ ვხვდები, სხვას რატომ აძლევ იმის უფლებას, რომ შენს ცხოვრებაში ჩაერიოს?! თავს თუ არ დაიცავ, ის არაკაცი საბოლოოდ გაგანადგურებს. საკუთარ ცხოვრებაზე ექსპერიმენტებს ნუ ჩაატარებ. თუ მეგობართან დალაპარაკების სურვილი მოგეძალება ან რჩევა დაგჭირდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი. ღმერთს ებარებოდე“.

მაგნოლია:

„ნარკომანთა და ლოთთა გამოსასწორებელი ლოცვა წაიკითხე, ეკლესიაში იარე და მოძღვარს დაელაპარაკე. შეეცადე, მეუღლის რისხვას ტკბილი და მშვიდი სიტყვებით უპასუხო, თუ, რა თქმა უნდა, იმ ოჯახში აპირებ დარჩენას. გირჩევ, ეკლესიურად იცხოვრო“.

სანი:

„რადგან შენს ქმართან ლაპარაკს აზრი არა აქვს, ჩაალაგე შენი ნივთები და გაეცალე მას, შვილს ფსიქიკას ნუ დაუმახინჯებ“.

თავისუფალი ჩიტი:

„ნუთუ ის ნივთი ხარ, რომელსაც ისე მოექცევიან, როგორც მოესურვებათ? იმ კაცთან (თუ მას კაცი ჰქვია) როგორ დაბრუნდი?! ვინც ორსულ ქალზე ხელს აღმართავს, ის ნამდვილი პირუტყვია! შენ ხომ მაშინ მეუღლის სითბო, ალერსი გჭირდებოდა. დროა, საკუთარი თავის გადარჩენაზე იფიქრო. უფალი გფარავდეს!“

იკუზკეგი:

„ძალა მოიკრიბე და ეგ არაკაცი მიატოვე, თორემ როცა მოკვდება, იმ ქვეყნად შენც გაგიყოლებს. ისე, მხეცს მხეცურად უნდა მოექცე, შენს ადგილზე მე ასე მოვექცეოდი; მონა ხომ არ ხარ?! ადექი და წამოდი!!! ქალები ძლიერები ვართ და შენ ნუ შეგვარცხვენ, უღირს კაცს ცხოვრებას ნუ დაანგრევინებ. თუ ერთხელ გაუწევ წინააღმდეგობას, ალბათ, შეგეშვება. ისე, 2 გამოსავალი გაქვს: ან უნდა მოკლა, ან — დააჭერინო. თუმცა მის გამო ციხეში წასვლას არ გირჩევ“.

EKOBOY:

„დაიკო, შენი არ მესმის. ქმარი აქამდე რატომ არ მიატოვე? ნარკომანი ადამიანი სიყვარულის ღირსი ნამდვილად არ არის. წარმატებები!“

მაესტრო:

„მიკვირს, შენს მშობლებს რატომ არა აქვთ რეაქცია შენი ქმრის გამოხდომებზე? შენ გამო გული ძალიან მეტკინა. მეგობრად მიგულე. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი. ჯერ ძალიან პატარა ხარ იმ ტანჯვისთვის, რომელსაც განიცდი. არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ვფიქრობ, მთელი ცხოვრების დამახინჯებას სჯობს, მისგან თავის დასაღწევად ყველანაირი ძალა გამოიყენო“.

მოსამართლე რეზერვისტი ლაშა:

„შენმა ამბავმა შემძრა. გამოსავალი ერთია: ან გაშორდი, ან ძალას ძალა დაუპირისპირე (ისე აცემინე, რომ დედამისმაც ვერ იცნოს)“.

ქეთი, *18 წლის:*

„ლოთი და ნარკომანი ქმრისგან ამდენი დამცირების ატანა არ შეიძლება. რატომ შეურიგდი? იმ შენი ცოდვით სავსე ადამიანებისთვის საკუთარ ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ უნდა მიგეცა. მის გამო თავის მოკვლა არ ღირს. ის მთელ ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევს და თუ დასჭირდა, შენც და ბავშვსაც „წამალში“ გაგცვლით. ამის უფლებას ნუ მისცემ. უფალი გფარავდეთ!“

ბარტყი:

„რას ჰქვია, სხვა გზა არ დაგიტოვეს და შეგარიგეს? ასეთი რა მოხდა? როგორ ძლებ ამ ცხოველთან? მშობლები ან ნათესავები არ გყავს? შენს ტანჯვას ვერ ხედავენ? გაიქეცი, სანამ დროა და გაარიდე შენი პატარაც“.

ნათია, *18 წლის:*

„ვკითხულობ შენს მესიჯს და თვალები ცრემლით მევსება. რატომ იუბედურებ თავს?! შენ ვალდებული არ ხარ, იმ გიჟს გაუძლო. ძალიან გთხოვ, დამიკავშირდი“.

„ბევრ ბიჭს მოვწონვარ, მაგრამ მე გოგო შემიყვარდა“

მავნე მულატკა:

„რა ვქნა, თბილისელ ლამაზმანს სოფლელი გოგო შემიყვარდა. თავს არ ვიქებ, მაგრამ მართლაც, ძალიან ლამაზი ვარ და ამიტომაც, ბევრ ბიჭს მოვწონვარ, მაგრამ მე გოგო შემიყვარდა და თავს ვერ ვერევი. გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა. ეს ამბავი ჩემებმა რომ გაიგონ, აუცილებლად მომკლავენ“.

„შეყვარებულს სოტა ხნის წინ დავშორდი“

ბაძარი, *17 წლის:*

„გამარჯობა. თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. ვცხოვრობ საბურთალოზე. მყავდა შეყვარებული, რომელსაც ცოტა ხნის წინ დავშორდი. ერთმანეთი მართლა გვიყვარდა და ვერ ვხვდები, ჩვენ შორის რა მოხდა. მან ერთ დღეს დამირეკა და მითხრა, — შენთან ცხოვრების გაგრძელების სურვილი აღარ მაქვსო. რომ ვკითხე, — რატომ-მეთქი? პასუხი არ გამცა. მან ამის შემდეგ ტელეფონის ნომერიც კი გამოცვალა. „პლიზ“, დამეხმარეთ, თქვენი რჩევების იმედი მაქვს“.

***P.S.* მაშ ასე, თუ მავნე მულატკასა და ბაძარის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

ბრმა ტყვიას ცნობილი ქირურგი ემსხვერპლა

პირველი სექტემბრის ღამეს, მცხეთა-მთიანეთის რაიონში მკვლელობა მოხდა. ბრმა ტყვიას 37 წლის ექიმის, რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგის — ზურაბ მიქაბერიძის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა ის შემთხვევის ერთადერთი მსხვერპლი არ ყოფილა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ერთი — დაიჭრა. რაც შეეხება ზურაბ მიქაბერიძეს, — მას ორი ტყვია მოხვდა და ორივე ჭრილობა გულმკერდის არეში მიიღო. ცნობილია ისიც, რომ სროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მოხდა. დანაშაულში ეჭვმიტანილები სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს. მათი ცნობით, ისინი ტყეში იმალებოდნენ...

შემთხვევის დროს, ზურაბ მიქაბერიძე სოფელ სიონში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში იმყოფებოდა. საღამოს უეცრად ჩხუბისა და სროლის ხმა გაიგონა. ერთ-ერთი ვერსიით, სოფელში ჩხუბი დამსვენებლებსა და ადგილობრივებს შორის ატყდა. მოკლულის ერთ-ერთი მეგობრის თქმით, სიონის დაახლოებით 25 მკვიდრი 4 დამსვენებელს ეჩხუბებოდა. დავა თავდაპირველად, 15-16 წლის დამსვენებელ ბიჭს წამოუწყია, რის შემდეგაც, ადგილობრივებმა მოზარდი სცემეს. მოზარდს სხვები — სავარაუდოდ, მისი მეგობრები თუ ახლობლები გამოესარჩლნენ და მიეშველნენ. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა ავტომატი მოიმარჯვა და უმისამართოდ — ალბათ, დაშინების მიზნით — სროლა დაიწყო. ეს შემთხვევა ზურაბ მიქაბერიძის სახლიდან დაახლოებით 500 მეტრის

მოშორებით მოხდა...

სასიკვდილოდ დაჭრილი მიქაბერიძე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ■

ბოროტმოქმედებმა ყაჩაღობისას 2 ადამიანი დაჭრეს

4 შეიარაღებული პირი ქუთაისში მდებარე ერთ-ერთ სავალუტო ჯიხურს დაესხა თავს და მისი დაყაჩაღების დროს, სისხლის ღვრასაც არ მოერიდა. შემთხვევა ფალიაშვილის ქუჩაზე — ქალაქის ცენტრალურ უბანში მოხდა. ვალუტის გადამცვლელ პუნქტთან მიჭრილმა ბოროტმოქმედებმა ცეცხლი გახსნეს და შედეგად, პუნქტის ორი თანამშრომელი დაჭრეს. ბოროტმოქმედთა ნაყაჩაღარი 700 ლარს, 400 დოლარსა და 200 ევროს შეადგენს. დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მომხდარის თვითმხილველთა დაკითხვაც მიმდინარეობს, მაგრამ ეჭვმიტანილები ჯერჯერობით დაკავებული არ არიან. რაც შეეხება დაჭრილებს, — ისინი ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და, როგორც ექიმები აღნიშნავენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ■

ინგუში ჟურნალისტი რუსული პოლიტიკის მსხვერპლია – აცხადებენ მისი თანამემამულეები

31 აგვისტოს, დღისით-მზისით, ნაზრანში ინტერნეტსაიტის — „ინგუშეტია-რუ“ — მფლობელი მაგომედ ევლოევი მოკლეს. ეს დანაშაული მაშინ მოხდა, როცა ევლოევი ინგუშეთის დედაქალაქში მოსკოვიდან ჩაფრინდა. თვითმფრინავით მან ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტთან — მურატ ზიაზიკოვთან ერთად იფრინა, თუმცა, როგორც ამბობენ, ინგუშეთის პირველი პირი აეროპორტიდან ევლოევზე ადრე გაემგზავრა. სხვათა შორის, აღნიშნავენ, რომ ევლოევი არა მარტო რუსეთის ხელმძღვანელობას, არამედ ზიაზიკოვსაც მკაცრად აკრიტიკებდა.

მომხდართან დაკავშირებით განსხვავებული ცნობები ვრცელდება. ფაქტია, რომ შემთხვევას არაერთი თვითმხილველი ჰყავდა. ჯერჯერობით ვერავინ აკონკრეტებს, თუ ვინ გაისროლა ტყვია, თუმცა ზოგიერთი ირწმუნება, რომ დაინახა, თუ როგორ შემოერტყა ევლოევს გარს რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი და მანქანაში ძალით ჩასვა. ამის შემდეგ კი ის, ცეცხლსასროლი იარღით მიყენებული ჭრილობით, საავადმყოფოში მიიყვანეს. არსებობენ თვითმხილველები, რომელთა თქმით, ევლოევს აეროპორტშივე ესროლეს. ტყვია ჟურნალისტს თავში აქვს მოხვედრილი. ექიმებმა მას გადაუდებელი ოპერაცია

გაუკეთეს, მაგრამ სიცოცხლე მაინც ვერ შეუნარჩუნეს. რუსული საინფორმაციო წყაროების გადმოცემით, ევლოევი ინგუშეთის მილიციელებმა — სავარაუდოდ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დაცვის თანამშრომლებმა წაიყვანეს; შემდეგ მანქანაში ტყვია ესროლეს და სასიკვდილოდ დაჭრილი, იქიდან პირდაპირ ქუჩაში გადააგდეს. ცოცხალმკვდარი ევლოევი გზაზე ნათესავებმა იპოვეს, რომლებიც აეროპორტში მის დასახვედრად იყვნენ მისულები. სააგენტო „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, მილიციას ევლოევის დაკავება და მისი შს სამინისტროში მიყვანა ევალებოდა, თუმცა სწორედ მაშინ, როცა სამართალდამცველები მანქანაში მის ჩასმას ცდილობდნენ, „როგორღაც, შემთხვევით, იარაღიდან ტყვია გავარდა და ჟურნალისტს თავში მოხვდა“. სხვა რუსული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ოპოზიციური ინტერნეტსაიტის მფლობელმა ერთ-ერთ მილიციელს წინააღმდეგობა გაუწია და მისთვის ავტომატის წართმევა სცადა; ავტომანქანაში ჩხუბი ატყდა და ტყვიაც უეცრად, ჭიდილის დროს გავარდა...

სხვა პოზიცია აქვთ თავად ინგუშეთის მკვიდრებსა და ექსპერტ-პოლიტოლოგებს. მათი თქმით, მომხდარი ფაქტი და მის ირგვლივ რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ უკვე გავრცელებული საეჭვო ვერსიები აშკარად ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ მკვლელობასთან გვაქვს საქმე და მის ჩასაფარცხავად, ამთავითვე იღებენ შესაბამის ზომებს. ექსპერტთა ვარაუდით, რუსული სპეცსამსახურების მიერ ამ საზარელი გეგმის განხორციელება ინგუში ხალხის პროტესტს, დამოუკიდებლობის მოთხოვნასა და ამასთან დაკავშირებით, თავად ევლოევის მკაცრ პოზიციას მოჰყვა. პოლიტოლოგების თქმით, ევლოევი და მისი საინფორმაციო წყარო რუსული პოლიტიკისთვის ძალზე არასასურველ და საშიშ სუბიექტს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე „ინგუშეტია.რუ“-ს რედაქტორი — როზა მალსაგოვა გახლდათ, რომლის მიმართაც რუსეთის სამართალდამცავმა უწყებამ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღძრა. რუსეთმა მალსაგოვას, ექსტრემიზმისა და საზოგადოებაში სიძულვილის გაღვივებაში დასდო ბრალი. 2008 წლის აგვისტოში — ე.ი. ევლოევის მკვლელობამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მალსაგოვამ რუსეთიდან გამგზავრება, როგორც ახლა ბევრი აღნიშნავს, მოასწრო. თავის სამ შვილთან ერთად, ის საფრანგეთში ჩავიდა და იქ პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა... ■

60-იანი წლების ყველაზე საშიში მანიაკის ვინაობა შესაძლოა, ახლა გამქღავნდეს



ამერიკელი ექსპერტები ერთ-ერთი ყველაზე საშიში სერიული მკვლელის, საზოგადოებისთვის ზოდიაქოს მეტსახელით ცნობილი მანიაკის იდენტიფიცირებისთვის დნმ-ის ნიმუშს გამოიკვლევენ. ექსპერტიზის შედეგად, სპეციალისტებმა უნდა დააზუსტონ, იყო თუ არა 2006 წელს გარდაცვლილი ჯეკ ტერენსი და ზოდიაქო ერთი და იგივე პიროვნება. სერიულმა მკვლელმა ზოდიაქომ, რომლის სახელი და გვარი აქამდე დაუდგენელია, 1960-იან წლებში 5 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ხუთივე მკვლელობა მან სან-ფრანცისკოს შემოგარენში ჩაიდინა. სამართალდამცველები მაშინაც და ახლაც ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ეს მანიაკის მიერ ჩადენილი მხეცური მკვლელობების მხოლოდ მცირე ნაწილი იყოს. ეჭვობენ, რომ არაერთი ფაქტი გაუხმაურებელი დარჩა. ამას თავად მანიაკიც არ მალავდა: წერილებში, რომლებსაც ის პერიოდულად უგზავნიდა პოლიციას, წერდა, რომ მსხვერპლის რაოდენობა 5-ს კი არა, 37-ს აღწევდა.

1970 წლიდან, მანიაკი გაუჩინარდა. მრავალწლიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, პოლიციამ საქმე დახურა. აღსანიშნავია, რომ გამოძიება ოფიციალურად, 2004 წლამდე გრძელდებოდა. საქმის დახურვიდან 3 წლის შემდეგ — 2007 წელს ახალაღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, ძიება განახლდა. კალიფორნიის მკვიდრი — დენის კაუფმანი ირწმუნებოდა (და ის ამას დღემდე დაბეჯითებით იმეორებს), რომ მკვლელობები მისმა მამინაცვალმა — ჯეკ ტერენსმა ჩაიდინა. მისივე თქმით, ყოველივეს ტერენსის გარდაცვალების შემდეგ მიხვდა: როცა გარდაცვლილის ნივთებს ალაგებდა და ახარისხებდა, უეცრად, შავ ქუდსა და დანას წააწყდა; იქვე იყო საშინელი კადრების ამსახველი კინოფირიც... კაუფმანი ნივთებს დააკვირდა და აღმოაჩინა, რომ ქუდი ზუსტად ისეთივე იყო, როგორსაც ზოდიაქო ატარებდა, დანას კი სისხლის ლაქები ემჩნეოდა... ამ აღმოჩენის შესახებ მან დაუყოვნებლივ შეატყობინა პოლიციას. გამომძიებლებმა ტერენსის ხელნაწერებიც მოითხოვეს, რათა ისინი მანიაკის მიერ პოლიციისთვის გაგზავნილი წერილებისთვის შეედარებინათ. ამბობენ, რომ კალიგრაფია მართლაც ემთხვევა, მაგრამ საბოლოო სიტყვა ამასთან დაკავშირებით მაინც ექსპერტებმა უნდა თქვან. გარდა ამისა, აიღეს ტერენსის დნმ-ის ნიმუშიც, რომლის ექსპერტიზაც ალბათ, საბოლოოდ დაუსვამს წერტილს გაურკვევლობას. რაც შეეხება მეტსახელს — ზოდიაქოს — მანიაკს ის თავად სამართალდამცველებმა შეარქვეს. ამის მიზეზი ის გახდა, რომ სერიული მკვლელი თავის მსხვერპლს სწორედ ასტროლოგიური ნიშნების მიხედვით ირჩევდა. მოგვიანებით, ბოროტმოქმედს მიმბაძველებიც გამოუჩდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მსგავსი მკვლელობები ნიუ-იორკში, ხოლო მეორემ — ტოკიოში ჩაიდინა. ორივე მათგანი სამართალდამცველთა ხელში აღმოჩნდა, მაგრამ დადგინდა, რომ 1960-იან წლებში კალიფორნიის შტატში მომხდარ დანაშაულებთან მათ კავშირი ვერ ექნებოდათ... მანიაკ ზოდიაქოთი კინემატოგრაფისტებიც დაინტერესდნენ: მასზე 3 ფილმიც გადაიღეს — 1971, 2005 და 2007 წლებში.

ტერაქტი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრზე ჩაეშლილია

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრზე — გორდონ ბრაუნზე თავდასხმის მზადებაზე სამართალდამცველებმა ბრალი უკვე მეოთხე ეჭვმიტანილს — 24 წლის მუჰამედ ალი მუმთაზ აჰმადს წაუყენეს. ლანკაშირის საგრაფოს ოფიციალური განცხადების თანახმად, აჰმადი ბრალდებულია ისეთი ნივთების შენახვაში, რომლებიც მას ტერაქტის განხორციელებისას უთუოდ გამოადგებოდა. თუმცა კონკრეტულად რა ნივთები აღმოაჩინა პოლიციამ აჰმადის საცხოვრებელ სახლში, ჯერჯერობით არ ცხადდება. მას გარდა, ამავე დანაშაულში, 22 წლის ისჰაკ ქამნის და ძმებს — 21 წლის აბასსა და 22 წლის ილიას იქბალებს ედებათ ბრალი.

ოთხივე ეჭვმიტანილი ლანკაშირის მკვიდრია. ტერაქტის მზადებასთან ერთად, სამართალდამცველები მათ ექსტრემისტული პუბლიკაციებისა თუ სხვა სახის მასალების გავრცელებაში ადანაშაულებენ. ქამნი და ძმები იქბალები მას შემდეგ დააკავეს, რაც ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე დაჯგუფების — „ალქაიდა ბრიტანეთში“ — მიერ გამოქვეყნებული მოწოდებები გამოჩნდა. ექსტრემისტთა ჯგუფი საზოგადოებას პრემიერ-მინისტრის — გორდონ ბრაუნისა და მისი წინამორბედის — ტონი ბლერის მკვლელობის აუცილებლობაში არწმუნებდა. ამასთანავე, მისი მესვეურები ერაყისა და ავღანეთის ტერიტორიებიდან ბრიტანელი სამხედროების დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდნენ.

28 წლის ჩინელს სიკვდილით დასჯიან

6 პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებული ჩინელი ახალგაზრდა სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ელის. სასჯელის უმაღლესი ზომა 28 წლის იან ცზიას, შანხაის სასამართლომ გამოუტანა. დანაშაული, რომლისთვისაც ის გაასამართლეს, 2008 წლის პირველ ივლისს მოხდა და ამ ფაქტმა არა მარტო ჩინელი მოსახლეობა, არამედ მთელი მსოფლიო საზოგადოება შეძრა. იმ დღეს, დანით შეიარაღებული იანი შანხაის ერთ-ერთი პოლიციის განყოფილებაში შეიჭრა და იქ მყოფი ათამდე თანამშრომელი დაჭრა. ხუთი მათგანი ადგილზე, ხოლო მეექვსე — მოგვიანებით, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ჩადენილი დანაშაული განსასჯელმა სასამართლო პროცესზე აღიარა. საქმეზე წინასწარი გამოძიების პერიოდში გაირკვა, რომ იან ცზია ადგილობრივი პოლიციის თვალთახედვის არეში ადრეც მოხვედრილა — 2007 წელს ის ველოსიპედის ქურდობისთვის დააპატიმრეს.

„...და ეწოდა მას „ივერონი“ ანუ „ქართველთა“

რას მოასწავებს ივერონის მონასტრის საპატრიარქომოქმედი ჯანდელის მოძრაობა?

მორენა მერკვილაძე

X საუკუნის მიწურულს ათონის წმინდა მთაზე ქართველმა მართლმადიდებელმა მამამ, იონე მთაწმინდელმა ქართველთა სავანე — ივერონის, ივერიონის მონასტერი დააარსა. იგი უძლიერესი სავანე გახლდათ, სადაც მრავალი ქართველი ბერმონაზონი მოღვაწეობდა...

X საუკუნეში ათონის მთაზე წმინდა მამა — ილარიონ ქართველი მოღვაწეობდა. იგი იქ თავის ვაჟთან — ექვთიმესთან (მთაწმინდელი) ერთად ჩავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ, ათონის მთას მამა იოანეს უფროსმა ძმამ, თორნიკე ერისთავმაც მიაშურა, რათა ბერად შემდგარიყო და ძმასთან ერთად ეღვაწა ღვთისთვის. ბერად აღკვეცის შემდეგ, მასაც იოანე ეწოდა. მონაზონი ძმები ათანასე დიდის ლავრაში მოღვაწეობდნენ: „და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა განითქვა ჰამბავი მათი და იცნობა, ვითარმედ მთაწმინდას არიან და იწყეს მიერითგან ქართველთა მოსვლად და გამრავლებად“. ათონის მთაზე ქართველთა მომრავლების შემდეგ, წმინდა მამებმა ათანასე დიდის ლავრის დატოვება და ახალი სავანის დაარსება განიზრახეს. მართლაც, ააშენეს ქართველმა მთაწმინდელებმა „უდაბნოსა შუენიერსა“ წმინდა იონე მახარებლის სახელობის მონასტერი და იქ დამკვიდრდნენ...

გამოხდა ხანი. ბიზანტიის სამეფო კარს აზიურ პროვინციათა მმართველი, ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. ქვეყანას დედოფალი თეოფანია განაგებდა. შიშმა შეიპყრო ბიზანტია. მან საქართველოსკენ მიაპყრო მზერა: „ჩვენი შემწე დავით კურაპალატის გარდა არავინაა ქვეყანაზე. სწორედ ოდენ ქართულ ხმალს შეუძლია ჩვენი დახსნა“, — ითქვა საიმპერატორო სასახლეში. გზები აჯანყებულ სკლიაროსს ჰქონდა შეკრული, საქართველოს მეფესთან, დავით კურაპალატთან ისეთი კაცი უნდა გაეგზავნათ, ვინც ბარდა სკლიაროსის მიერ დაკავებულ გზებზე მოახერხებდა გავლას... ასეთი კაცი მამა იოანე — თორნიკეყოფილი აღმოჩნდა... დიდხანს უარობდა მამა იოანე: რაკი საერო სამოსი გავიხადე და „მონაზვნის სახედ შევიმოსე“, აღარც მსურს და არცა ნება მაქვს, საერო საქმეებს დავუბრუნდეო, მაგრამ ბოლოს გატყდა — მამა ათანასემ და ძმამ — მამა იოანემ დაიყოლიეს: „უკეთუ ვიურჩებთ და არ წავალთ მეფეებთან, დიდ რისხვას მოვაწევთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ტაძრებსაცო... და წავიდა მამა იოანე-თორნიკე ჯერ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, შემდეგ კი საქართველოსკენ გამოემართა.

თორმეტი ათასი რჩეული მებრძოლი გააყოლა დავით კურაპალატმა, სარდლობაც თორნიკე ერისთავს დაავალა... ქართველები მდინარე ჰალისის პირას შეებრძოლნენ ბარდა სკლიაროსს და სძლიეს... დიდძალი განძით დაბრუნდა მამა იოანე-თორნიკე ათონის მთაზე, თან „მრავალი ფიჩოსანნი და სახელოვანი მონაზონნი ჩამოჰყვა“. კიდევ უფრო მომრავლდნენ ქართველები მთაწმინდაზე და რაკი საფასეც ჰქონდათ ახალი სავანის ასაშენებლად, ახალი ქართული ლავრის დაარსება გადაწყვიტეს...

ქართველმა ათონელებმა ახალი ლავრა ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს და ეწოდა მას „ივერონ“, „ივირონ“ — ანუ „ქართველთა“. მონასტრის წინამძღვრად მამა იოანე მთაწმინდელი დაადგინეს. ქართველმა ბერებმა აავსეს სავანე.

გავიდა წლები, მიიცვალა მამა იოანე-თორნიკე, მამა იოანე მთაწმინდელს ნიკრისის სენმა დარია ხელი; სარეცელს მიაჯაჭვა სნეულებამ. წმინდა მამას საშინელი ტკივილები აწუხებდა, უჭირდა მონასტრის მწყემსმთავრობა. თავისი ძე — მამა ექვთიმე (მთაწმინდელი) იხმო და სთხოვა ივერონის მონასტრის წინამძღვრობა ეთავა. უარი შეჰკადრა მამა ექვთიმემ, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა სულიერი და ხორციელი მამის ნებას — თავს იდვა ივერონის მონასტერზე მზრუნველობა, იკონომოსობა. თუმცა მამა იოანეს დაუკითხავად არაფერს წყვეტდა.

მალე მამა იოანემ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. კვლავ იხმო ძე თვისი და მონასტრის წინამძღვრობა გადაულოცა. ახალმა წინამძღვარმა მამის წმინდა ნეშტი, მისი ხორციელი და სულიერი ძმის, მამა იოანე-თორნიკეს გვერდით დაკრძალა. მათ სამარტვილეზე წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია აღაშენა. ასე შეემატა კიდევ ერთი ტაძარი ივერონის მონასტერს... მამა ექვთიმე თოთხმეტი წელი წინამძღვრობდა ქართველთა სავანეს და ძმათა კრებულს, თან დაუცხრომლად წერდა და თარგმნიდა. მას ხომ ჯერ კიდევ ყრმობისას უთხრა მამამ — ქართველთა ქვეყანა წიგნთაგან ნაკლულია და ეს დანაკლისი შენ უნდა შეუვსოო...

ქართველი მეფეები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ ივერონის მონასტერს, განსაკუთრებით — ძნელბედობის ჟამს. XIV საუკუნეში ქართველთა სავანეს კატალონიელი მეკობრეები შეესივნენ და დიდი ზარალი მიაყენეს. მონასტრის კვლავ აღორძინება საქართველოს და სერბეთის მეფეთა უხვი შემოწირულობებით გახდა შესაძლებელი. ივერონის მონასტერს კიდევ არაერთი ძმიმე დღე ჰქონია, მაგრამ უფლის შეწევნით, ჩვენამდე მოაღწია.

ათონის წმინდა მთის მონასტრებს შორის, ივერონს მე-3 ადგილი უკავია. მონასტრის მთავარი — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი, როგორც მოგახსენეთ, X საუკუნის ბოლოსაა აგებული, XI საუკუნის დასაწყისში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. სამონასტრო კომპლექსში შედის: წმინდა იოანე ნათლისმცემლის სკიტი, 26 ტაძარი და 37 კელია, ასევე — ბიბლიოთეკა, სადაც 15 ლიტურგიკული გრაგნილი და 20000-ზე მეტი წიგნი ინახება.

ივერონის მონასტერში დაცულია პატრიარქ დიონისე IV-ის სამოსი, „ლიმონის ხედ“ წოდებული, ვერცხლის შვიდსანთელა და კიდევ მრავალი სიწმინდე.

MK

მონასტრის მთავარი სიწმინდე — ივერიის ღვთისმშობლის ხატია. ხატი სასწაულმოქმედებით გამოირჩევა. სიწმინდემ მონასტერში X საუკუნის ბოლოდან დაივანა (სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება — ივერიის ღვთისმშობელი). 999 წლის 27 აპრილს (ძველი სტილით — 31 მარტს) ივერთა მონასტრის შორიახლოს, ბერებმა ზღვის ტალღებზე მდგომი ღვთისმშობლის ხატი იხილეს, რომელსაც ზეციდან ნათელი, ცეცხლოვანი სვეტი ადგა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ივერთა სავანის მიდამოებში, მიუვალ მთებში განმარტოებით მოღვაწე ქართველი ბერის — გაბრიელის ხელით ინება მისი ხატის ნაპირზე გამობრძანება, იმ ადგილას, სადაც მამა გაბრიელმა სიწმინდე გამოაბრძანა და დაასვენა, სასწაულმოქმედმა წყარომ ამოხეთქა. ხატი მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დღეს, ცისკრის ლოცვის წინ ტაძარში კანდელების ასანთებად შესულ ბერს სიწმინდე ადგილზე არ დახვდა. მამებმა იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ღვთისმშობლის ხატი კვლავ უწინდელ ადგილას დააბრუნეს, მაგრამ მეორე დღეს კვლავ მონასტრის კარიბჭის კედელზე დახვდათ. სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გაბრიელ ბერს გამოეცხადა და აუწყა: „გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიცა და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც... ვიდრე ჩემი ხატი ამ სავანეში იხილვება, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“. ივერონის მონასტრის ბერებმა, ტაძრის კარიბჭესთან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებლად მცირე ტაძარი ააგეს და სასწაულმოქმედი ხატი იქ დააბრძანეს. მას შემდეგ, ივერიის ღვთისმშობლის ხატს „პორტაიტისა“ — ანუ „კარიბჭისაც“ ეწოდება.

საეკლესიო გარდამოცემით, ივერიის ღვთისმშობლის ხატი ლუკა მახარებელს დაუწერია. მისი სიმაღლე 1,37, სიგანე კი — 0,9 მეტრია. ხატზე მოშავო-მონაცრისფრო ფერები ჭარბობს, სახეზე დღემდე ამჩნევია სისხლიანი ჭრილობა (როდესაც ხატმებრძოლი იმპერატორის, თეოფილეს მხედრებმა ქვრივი დედაკაცის სახლში ღვთისმშობლის ხატი აღმოაჩინეს, ერთ-ერთმა მათგანმა მახვილი დასცა ქალწულის სახეს, ნაიარევიდან, როგორც ცოცხალი ჭრილობიდან, სისხლმა იჩქეფა). ხატი ოქროცურვილი ვერცხლითაა მოჭედილი და სხვადასხვა მეფის, დიდებულთა და უფლის თაყვანისმცემელი უბრალო ერისკაცთა შეწირულობებით — ოქროს მონეტებით, ძვირფასი ქვებითა და სამკაულებითაა შემკული. მის წინ ოქროსა და ვერცხლის 12 უქრობი კანდელი კიდია. სიწმინდეზე ზრუნვა მონასტრის საძმოს მიერ არჩეულ, ღვთისმოსავ და კეთილმსახურ მონაზონს ევალება, რომელიც ყველა სხვა სამონასტრო საქმისგან თავისუფალია, დღე და ღამე ტაძარში იმყოფება და ღვთისმშობლის სადიდებლად, წირვა-ლოცვასა და პარაკლისებს აღავლენს.

არსებობს წინასწარმეტყველება, რომ ათონის ივერის ღვთისმშობლის ხატი ფარულად დატოვებს წმინდა მთას. როდესაც ეს მოხდება, ათონის მთაზე მოღვაწე ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ იქაურობა და გაემართონ, სადაც სურთ, ოღონდ მონაზვნობის აღთქმა წმინდად შეინახონ, რადგან ხატის გაუჩინარების შემდეგ, დამანგრეველი მიწისძვრებით, ათონი ზღვაში შთაინთქმება. ეს იქნება ღვთისმშობლის გაფრთხილება და ნიშანი იმისა, რომ ანტიქრისტე უკვე გამეფდა დედამიწაზე...

ივერონის მონასტრის საკვირველმოქმედი კანდელის შესახებაც მოგითხრობთ: ვერცხლის კანდელი მონასტრის მთავარი — ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის სამეუფო კარის წინ კიდია. იგი ტაძრისთვის, მღვდელ-მონაზონ ბენედიქტე ჭყონდიდელს შეუწირავს 1834 წელს. დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, წირვა-ლოცვის დროს კანდელი უხილავი ძალით, დიდი ხნის განმავლობაში ჰორიზონტალურად მოძრაობს, სადაგ დღეებში კი მოულოდნელად იწყებს მოძრაობას.

წმინდა მამათა გარდამოცემის თანახმად, დღესასწაულებზე ვერცხლის კანდელის ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამოძრავება წარმოადგენს თვალხილულ ნიშანს და დასტურს იმისას, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იმ დროს ტაძარში მყოფობს. ხოლო კანდელის სადაგ დღეებში მოძრაობა რაიმე მძიმე განსაცდელის მომასწავებელია. ამ გზით, უფალი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გვაფრთხილებენ და გაძლიერებული ლოცვისა და სინანულისკენ მოგვიწოდებენ, რათა მოსალოდნელი განსაცდელი შევიმსუბუქოთ.

ივერთა მონასტრის მატიანეში დაცულია ასეთი შემთხვევა: ერთხელ ტაძრის ახალგაზრდა მნათემ იფიქრა, რომ კანდელის მოძრაობა ქარის ქროლაზე იყო დამოკიდებული. მან ამის დასამტკიცებლად, კანდელის გარესათავსში ქვიშა ჩაყარა, რათა დაემძიმებინა. საღამოს, როდესაც ტაძარში თავისი მოვალეობის შესასრულებლად შევიდა, იხილა, რომ სიმძიმის გამო კანდელი საკიდარს მოსწყვეტოდა და იატაკზე დავარდნილი, გამართული იდგა, მიუხედავად კონუსური ფორმისა. კანდელში ცეცხლი კვლავ ენთო. შეშფოთებულმა მნათემ ქვიშა გადმოყარა და სიწმინდე კვლავ პირვანდელ ადგილას დააბრუნა. შემდეგ მონასტრის მამებთან გაიქცა თავისი შეცოდების მოსანანიებლად. მონანიების შემდეგ მნათემ განადიდა კარიბჭის ღვთისმშობელი, რომელმაც ურწმუნოებიდან გამოიხსნა, დაანახვა, რომ ღვთის განგებასთან ბუნების კანონები მარცხდება.

ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საკვირველმოქმედ კანდელს. თუკი იგი სადაგ დღეებში იწყებს მოძრაობას, ათონზე მოღვაწე ბერებს ატყობინებენ და ყველანი ერთად აღავლენენ ლოცვას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, შესთხოვენ მეოხებას და შეწყალებას.

ივერონის მონასტერი ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას მდებარეობს. საეკლესიო გარდამოცემა მოგვითხრობს, რომ როდესაც წილისყრის შემდეგ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ივერიაში გამგზავრება ხვდა წილად, რათა ქრისტიანობა ექადაგა, მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: „ნუ წახვალ იერუსალიმიდან, შენი წილხვედრი ქვეყანა მომავალში განათლდება, შენ კი ღვთის სიტყვა იმ ქვეყანას უნდა მოჰფინო, სადაც უფალი მიგიყვანს“.

გარკვეული ხნის შემდეგ ქალწული მარიამი რამდენიმე მოციქულთან ერთად, კვიპროსისკენ გაემართა. მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი ათონის მთასთან მიიყვანა. სწორედ ათონის მთა აღმოჩნდა ის ადგილი, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს უნდა ეკურთხებინა და გაენათლებინა. მარიამი მოხიბლულა ადგილის მშვენიერებით, ლოცვა-კურთხევის შემდეგ უთქვამს: „მე ვიქნები ამ ადგილის მფარველი და შუამდგომელი ღვთის წინაშე“. მასვე მიუყვანია და დაუმკვიდრებია პირველი განდეგილი ბერი. 680 წელს, VI მსოფლიო საეკლესიო კრებისა და ბიზანტიის იმპერატორის — პოგონატის გადაწყვეტილებით, ათონის მთა, სხვადასხვა მხარეში მოღვაწე ბერმონაზვნებს გადაეცათ. ათონის მთაზე არაერთი მონასტერი დაარსდა. ათონს მთაწმინდა ეწოდა. X საუკუნეში მთაზე ქართველებიც ჩავიდნენ სამოღვაწეოდ, საუკუნის მიწურულს კი თავიანთი მონასტერიც დააარსეს. ■

იტალია — სვინგერების სამშობლოა?!

ერთხელ სილვიო ბერლუსკონიმ დანიის პრემიერ-მინისტრს ცოლების გაცვლა შესთავაზა, ოღონდ — რაღა თქმა უნდა, ხუმრობით. მაგრამ თუ ამასწინანდელი გამოკითხვის შედეგებით ვიმსჯელებთ, იტალიელი ცოლქმრული წყვილების მეოთხედი ამ იდეას პრაქტიკულადაც წარმატებით ახორციელებს. მეტიც — თურმე ნუ იტყვით და, ნებისმიერი წყვილი, რომელიც ამ სეზონზე ტოსკანის პროვინციაში ანდა სულაც მარადიულ ქალაქში აპირებს გამგზავრებას, ძალიან კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ რომელიმე სტუმართმოყვარე იტალიელი ცოლ-ქმრის მხრიდან ვახშამზე თავაზიან მიპატიჟებას დათანხმდება.

სწორედ ასეთ რჩევას იძლევა სერიოზულობით გამორჩეული, იტალიის საერთოეროვნული გაზეთი La Stampa პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში — „სასადილო შესვენების სვინგერები“. პუბლიკაციის თანახმად, დაახლოებით 500 ათასი იტალიელი ცოლქმრული წყვილი პარტნიორებს ოფიციალურად, კერძო ინტიმური კლუბების მეშვეობით ცვლის, ხოლო რამდენიმე ათასით მეტნი არიან ისინი, ვინც ამას უფრო ნაკლებფორმალურად — საავტომობილო გაჩერებებზე, სპეციალურად აღჭურვილ პლაჟებსა და თვით სასაფლაოებზეც კი აკეთებს.

ამ მოულოდნელი და ფრიად შემაშფოთებელი ინფორმაციის შემდეგ, იტალიის განრისხებული კათოლიკური სამღვდელოება საკუთარ მრევლს ეკლესიების კათედრებიდან, რაღა თქმა უნდა, ზედმიწევნით მკაცრად გაკიცხავს. მაგრამ ეს ინფორმაცია მთლად მოულოდნელიც არ გამოჩნდება, თუ ქვეყნის სათავეში მყოფი მთავარი დონჟუანის — სილვიო ბერლუსკონის საქციელს ცოტა უფრო გულმოდგინედ დავუკვირდებით. ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანმა ხომ — არც მეტი, არც ნაკლები — პალაცო კიჯის (დაუნინგ-სთრით №10-ის იტალიური ანალოგის) პომპეზურ დარბაზებში შეკრებილი უცხოელი კორესპონდენტების თვალწინ, დანიის პრემიერ-მინისტრ ანდრეს ფოგ რასმუსენისთვის თავისი ცოლის — ვერონიკას შეჩეჩება(!) სცადა. „რასმუსენი ევროპაში ყველაზე ლამაზი პრემიერ-მინისტრია და ამიტომაც მინდა, ჩემს ცოლს გავაცნო. ის ხომ უფრო წარმოსადეგი მამაკაცია, ვიდრე კაჩიარი“, — ვითომ მოსწრებულად იხუმრა ბერლუსკონიმ, რომელმაც ამით იმ ჰიპოთეტურ (და შემდეგ — უარყოფილ) სიმპათიაზე მიანიშნა, რომელიც მის ცოლს ვითომდა, ვენეციის ყოფილ მერის — მასიმო კაჩიარისადმი ჰქონდა.

ანდრეს ფოგ რასმუსენი

სილვიო ბერლუსკონი მეუღლითურთ

გაზეთ „სტამპაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი იტალიელთა ამ ახალ გატაცებას ხან „ვნებას“, ხანაც „ჰობის“ უწოდებს და იმასაც ხაზს უსვამს, რომ ცოლების გაცვლის პოპულარობა მთელ ქვეყანაში „თავბრუდამხვევი ტემპით“ ძირითადად, არაერთი ტაბუს მომხსნელი ინტერნეტის წყალობით გაიზარდა და კვლავაც იზრდება.

მონაცემები, რომელთა საფუძველზეც გამოცემამ ეს ციფრი (მის თანახმად, ყოველი მეოთხე იტალიელი ცოლქმრული წყვილი — სვინგერია) გამოთვალა, გაზეთ „სტამპას“ რომაულმა „უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ (იტალიურად Federsex-ად რომ მოიხსენიებენ) მიაწოდა. ამ ორგანიზაციაში 500 ათასი წევრია გაერთიანებული, რომლებიც ერთმანეთს მთელ იტალიაში გაბნეულ 200 კერძო კლუბში ხვდებიან და პარტნიორებს ცვლიან. თუმცა Federsex-ის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს მხოლოდ აისბერგის წვერია. მათი გამოთვლებით, სვინგერების რაოდენობა 2 მილიონს უახლოვდება, რაც ქვეყანაში მცხოვრები 8 მილიონი, სქესობრივი ცხოვრებით დაკავებული ცოლქმრული წყვილის მეოთხედს წარმოადგენს.

ამ პროცესში მონაწილე მამაკაცების საშუალო ასაკი 43 წელია, ხოლო ქალები, რომლებსაც ისინი ერთმა-

ნეთში ცვლიან, ჩვეულებრივ, უფრო ახალგაზრდები (საშუალოდ — 35 წლისანი) არიან. ასეთ დროს ტარებას ადამიანები ახლა უკვე ღამით და ფარულად როდი მისდევენ. მეტიც, ხანდახან ისინი ამას სასადილო შესვენების დროსაც კი აკეთებენ. მილანური Club Malizia-ს თანამშრომლის თქმით, მათ კლუბში მოსიარულე ადამიანებს (რომელთა შორის ბუღალტრები, ექიმები, ფეხბურთელები და თვით პოლიტიკოსებიც კი მრავლად არიან) სვინგერობასთან ერთად, ისიც აერთიანებს, რომ „არც ერთ მათგანს არა აქვს ფულის პრობლემა“.

გაზეთ „სტამპას“ ჟურნალისტურ გამოძიებას ბიძგი მისცა მანტუის შემოგარენში მდებარე კლუბის — Magic Nuar — ლითონის მესერზე ძაღლის საყელურზე ჩამომხრჩვალი, 27 წლის დეიან დელიევიჩის სიკვდილმა. გამოძიების აზრით, მამაკაცი ძალზე შორს შეტოპილმა, სექსუალურმა გართობამ იმსხვერპლა. როგორც გაზეთი ირწმუნება, Magic Nuar-ის ტიპის დაწესებულებები მარგინალური მოვლენა როდია და ბევრი იტალიელი ცოლქმრული წყვილის ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლსაც თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი აზრისაა სიცილიაზე, ქალაქ კატანიაში გაზრდილი ვინმე ლარა. როგორც ქალმა ჟურნალისტს განუცხადა, მას ტრადიციულ ოჯახში და საკმაოდ მკაცრადაც ზრდიდნენ, რის გამოც გამუდმებით სული ეხუთებოდა. ამიტომაც, როგორც კი შანსი მიეცა, მშობლების სახლი მიატოვა, რომში გაემგზავრა, უნივერსიტეტში ჩააბარა და იქვე შეხვდა მამაკაცს, რომელმაც ის სვინგერების სამყაროში შეიყვანა.

ახლა ლარა და მისი ქმარი ლუკა შვილებს შინ მარტო ტოვებენ და გასართობად ანუ, როგორც ლარა ამბობს, „ჯგუფური სექსის მეშვეობით საღამოს სასიამოვნოდ გასატარებლად“ მიემართებიან.

იტალიელი პლეიბოებიდან ყველაზე სკანდალურად ცნობილმა სენიორ კაზანოვამ ერთხელ შენიშნა: „ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი ყოველთვის მხოლოდ იმის კულტივაცია იყო, რასაც ჩემი გრძნობის ორგანოების დატკბობა შეეძლო. არც ერთი სხვა საქმე ამაზე მნიშვნელოვნად არასდროს მიმიჩნევია“. კაზანოვას დღევანდელი „შთამომავლების“ ლოზუნგი კი ალბათ, დაახლოებით ასე უნდა ჟღერდეს: „მე მიყვარს ჩემი ცოლი (ქმარი) და სწორედ ამიტომ მინდა მისი გაცვლა“... ■

რონალდუ და ლეტიცია ბედნიერების მწვერვალზე ასულან

კრიშტიანუ რონალდუსა და მისი ახალი რჩეულის — ლეტიცია ფილიპის რომანი ჟანრის კანონების შესაბამისად ვითარდება: ვნებიანი და თავბრუდამხვევი პირველი შეხვედრების შემდეგ, შეყვარებულები ერთმანეთს ვეღარ შორდებიან.

მოდელმა მონაწილეობა მიიღო ესპანური Interviu-სთვის გამართულ ფოტოსესიაში. ლამაზმანის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიას თან ერთვის მოკლე კომენტარები, რომელთა შორისაც, ფეხბურთელის შესახებ ლეტიციას აზრიცაა გადმოცემული.

„ჩვენ ერთმანეთს კუნძულ კაპრიზე შევხვდით, — ამბობს ფილიპი, — მან რესტორანში დამპატიჟა და მთელი საღამო დაჟინებით მაკვირდებოდა. მალევე დავუახლოვდით ერთმანეთს, დიდხანს ვსაუბრობდით. თავიდან ვერ გამეგო, თუ რა სურდა. მას ხომ საერთოდ არ ვიცნობდი. დაჟინებით მთხოვდა ტელეფონის ნომერს, მაგრამ დიდხანს ვყოყმანობდი და ბოლოს, რა თქმა უნდა, დავნებდი“.

ახალგაზრდა გოგონასთვის რონალდუსთან ურთიერთობა ყოველმხრივ ხელსაყრელი იქნება: ცნობილი პორტუგალიელი მაჩოს გვერდით ყოფნა, ბუნებრივია, კარიერაშიც დაეხმარება, რაც Interviu-სთან თანამშრომლობის ამ ეპიზოდმაც ცხადყო. ■

ოუენი „ნიუკასლს“ ვერ უთანხმდება

„ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ და მაიკლ ოუენმა კონტრაქტის თაობაზე შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უთავდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდამსხმელი მეტისმეტად მაღალ ხელფასს მოითხოვს, ხოლო კლუბი მზად არ არის, ამხელა თანხა გაიღოს.

„არ მივიჩნევ, რომ ჩვენ ხელშეუხებელი ფეხბურთელები გვყავს. სხვათა შორის, ეს არ ნიშნავს, რომ მაიკლ ოუენის თავიდან მოშორებას ვცდილობთ, — ამბობს „ნიუკასლის“ თავკაცი კევინ კიგანი, — ყოველთვის საკმარისი როდია ის, რომ მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას მოთამაშის გუნდში დატოვება სურთ. სიმართლე გითხრათ, იანვარში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც ოუენი გუნდს დატოვებს. თუმცა მაინც არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს“.

„ნიუკასლის“ გოლკიპერ შეი გივენის აზრით კი, რაც უფრო ადრე გააფორმებს მაიკლ ოუენი კლუბთან ახალ კონტრაქტს, მით უკეთესი იქნება გუნდისთვის. გაზეთი „გარდიანი“ იუწყება, რომ ამჟამად მაიკლის ხელფასი კვირაში 120 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

„ჩვენ ყველას გვსურს, რომ მაიკლმა რაც შეიძლება სწრაფად გააფორმოს კონტრაქტი. სამწუხაროდ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კლუბი

გონიერად მოიქცევა. „ნიუკასლში“ ბევრი კარგი მოთამაშეა, მაგრამ მაიკლი განსაკუთრებულია. ის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია მათგან, ვინც ჩვენს რიგებში ასპარეზობს. შემადგენლობაში მისი ყოფნა ძალზე ბევრს ნიშნავს. ის ყოველთვის, საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნის უნარს ამჟღავნებს“, — ამბობს შეი გივენი.

პრემიერლიგის მეორე ტურში ოუენმა მართლაც, დაამტკიცა, რომ კლუბისთვის უაღრესად საჭირო მოთამაშეა. მაიკლი ტრავმის მოშუშების შემდეგ პირველად გამოვიდა მოედანზე და „ბოლტონის“ კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ■

ვან დერ სარი იმედს არ კარგავს

uefa.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ედვინ ვან დერ სარი აცხადებს, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის ბოლო იქნება „მანჩესტერ იუნაიტედში“. რამდენიმე დღის წინ მისმა გუნდმა უეფას სუპერთასის გათამაშებაში „ზენიტთან“ წააგო (1:2). მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელ გოლკიპერს გუნდთან ერთად პრესტიჟული ტიტულების დაუფლების იმედი კვლავაც აქვს.

37 წლის მეკარე ევროპული ფეხბურთის ოფიციალური საიტის კორესპონდენტთან საუბარში თავის ოცნებას ამხელს: „საუკეთესო დასასრული?.. ინგლისის თასის, ლიგის თასის გათამაშებაში, ქვეყნის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნებოდა. ორი ზემოთ დასახელებული თასი არ მომიპოვებია და მაინც, მთავარია, ჯანმრთელობა შევინარჩუნო და მაღალ დონეზე ასპარეზობა გავაგრძელო. ვიმედოვნებ, კვლავაც შევძლებ, კლუბს მნიშვნელოვანი სამსახური გავუწიო და მას ორი ახალი ჯილდოს მოგებაში დავეხმარო“.

ამასთანავე, ვან დერ სარს, რომლის „აიაქსმაც“ 1996 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი, პენალტების სერიის შედეგად, „იუვენტუსთან“ წააგო, კარგად ესმის, რომ მთავარი ევროპული ტურნირის მოგება ძალზე რთული ამოცანაა ნებისმიერი გუნდისთვის. „რა თქმა უნდა, ეს სერიოზული გამოცდაა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, გონება ზედმეტად არ გადავიტვირთოთ. ოთხშაბათობით ჩემპიონთა ლიგაში ვასპარეზობთ, ხოლო უიკ-ენდზე ეროვნული პირველობის მატჩებს ვატარებთ. ყოველწლიურად ისე ბევრ შეხვედრას ვმართავთ, რომ რომელიმე მათგანზე კონცენტრირება შეუძლებელია. მაგრამ ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელი ნამდვილი პროფესიონალია, რომელსაც გამარჯვება სწყურია. განსაკუთრებით ეს ყველაზე მნიშვნელოვან პაექრობებში იგრძნობა, რომლებშიც პრიზის მოგების საკითხი წყდება“, — ამბობს ვან დერ სარი. ამასთან, ის აქცენტს მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედზე“ აკეთებს, რადგან „ევრო 2008“-ის დასრულების შემდეგ, ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს გამოეთხოვა. ნარინჯისფერმაისურიანთა რიგებში ვან დერ სარს 128 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელთა შორისაც ყველაზე დასამახსოვრებელი ბრაზილიელთა წინააღმდეგ ჩატარებული, 1998 წლის მუნდიალის ნახევარფინალი იყო. „მთელი ტურნირის განმავლობაში სტადიონებზე ბრწყინვალე ატმოსფერო სუფევდა, ხოლო ნახევარფინალში ბრაზილიელებთან შეხვედრა ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, — იხსენებს „მანჩესტერის“ გოლკიპერი. — მთელი ტრიბუნები ნარინჯისფერ და ყვითელ ფერებში იყო. შესანიშნავი ამინდი დაემთხვა ამ პაექრობას და მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩვენკენ იყო მოპყრობილი. ეროვნული ნაკრების რიგებში თამაშისას თავი არასოდეს დამიზოგავს, ხოლო ამჟამად, „მანჩესტრზე“ უნდა გავაკეთო კონცენტრირება. ვიმედოვნებ, ამ გადაწყვეტილების შედეგად კარიერას გავიხანგრძლივებ“.

„იუვესა“ და „ფულემის“ ყოფილი გოლკიპერი პენალტის მოგერიების საიდუმლოებასაც ამხელს, რომლის წყალობითაც, მან ჩემპიონთა ლიგის ფინალური თერთმეტმეტრიანების სერიაში „ჩელსის“ ფორვარდ ანელკას დარტყმული ბურთი მოიგერია: „მოთამაშე ბურთისკენ გამორბის და ამ მომენტში შენ ცდილობ, რადაც უნდა დაგიჯდეს, გოლი არ გაუშვა. მნიშვნელობა არა აქვს, საით წავა ბურთი, თუნდაც — „ცხრიანში“, ის მაინც უნდა აიღო. საკუთარი თავის რწმენა არ დამიკარგავს და ანელკას დარტყმული 11-მეტრიანი მოვიგერიე, რამაც თასი მოგვაგებინა. ეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პრიზია, რომელიც შეიძლება ფეხბურთელმა მოიგოს“.

■

რუბრიკა მოამზადა
ალექსი რეხვიაშვილმა

„მიცუბიში“ რალისთვის ემზადება

იაპონურმა ავტოგიგანტმა რალისთვის განკუთვნილი ახალი ავტომობილის — MRX09 — პირველი ფოტოები გაავრცელა, რომელიც Lancer X-ის მოტივებზეა შექმნილი. მანქანის პრემიერა, რომელიც „დაკარის“ მრავალგზის გამარჯვებულმა სტეფან პეტერანსელმა უნდა მართოს, მიმდინარე წლის ოქტომბერში არასაგზაო რალის თასის გათამაშების მეექვსე ეტაპზე (FIA Cross-Country Rally World Cup) შედგება. შემდეგ სიახლე მონაწილეობას მიიღებს რბოლაში „დაკარი-2009,“ რომელიც სამხრეთ ამერიკაში შედგება. შეგახსენებთ, რომ 1900-კილოგრამიან, სრული ამძრავის მქონე Mitsubishi MRX09-ს კარბონის ძარა აქვს და ფოლადისმილებიან ბაზაზეა აწყობილი. ავტომობილი 6-ცილინდრიანი, 3 ლ მოცულობის, 260 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავათია აღჭურვილი. მოტორი კომპანიის — Ricardo — ხუთსაფეხურიანი სეკვენტური გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს სპორტული ავტომობილი იაპონურ კომპანიას ბაზარზე ჰეჩბეკის — Lancer Sportback — გაყვანაში შეუწყობს ხელს, რომელსაც ფართო საზოგადოებას ოქტომბერში, პარიზის საერთაშორისო მოტორშოუზე წარუდგენენ.

■

„ტოიოტა“ სედანსა და უნივერსალს გამოუშვებს

კომპანია „ტოიოტამ“ მოდელის — Toyota Avensis — მომავალი თაობის რამდენიმე ფოტო გაავრცელა. მისი დებიუტი პარიზის ავტოსალონზე შედგება. როგორც მოსალოდნელია, ახალ „ავენსისს“ „ტოიოტას“ ბრიტანულ ქარხანაში ააწყობენ, ხოლო მისი სერიული წარმოება მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება. ამ ავტომობილის შესახებ ჯერჯერობით არავითარი ინფორმაცია არ ვრცელდება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ახალ „ავენსისს“ ორნაირი ძარა ექნება — სედანი და უნივერსალი. მანქანა, ატმოსფეროში CO2-ის დაბალი გამონაბოლქვის ხაზით შექმნილი, განახლებული მოტორებით აღიჭურვება. ყველა დანარჩენი აგრეგატისა და დეტალის შესახებ ინფორმაცია უკვე ოფიციალური პრემიერის შემდეგ გავრცელდება.

პარიზში „ტოიოტა“ აგრეთვე, სუბკომპაქტური ავტომობილის — iQ — სერიულ ვერსიასა და სერიული მოდელის — Urban Cruiser — პატარა სრულამძრავიან ჰეჩბეკს წარმოადგენს, რომელიც 1,4-ლიტრიანი ტურბოდიზელით იქნება აღჭურვილი. ■

„აუდის“ ახალი სარბოლო ბოლიდი

„აუდიმ“ სუპერკარის — R8 — სარბოლო ვერსია შექმნა, რომლის სიმძლავრეც 500 ცხ.ძ-ს აღემატება. ამასთანავე, იგი უკანა ამძრავის სისტემით იმუშავებს. ახალი ბოლიდი მხოლოდ გერმანიის ეროვნულ სარბოლო სერიებში იქნება გამოყენებული, სადაც კონკურენციას გაუწევს ისეთ ავტომობილებს, როგორებიცაა: Porsche და Aston Martin. სარბოლო სერიის — GT3 — წესების თანახმად, სრული ამძრავი დასაშვები არ არის. ამასთან დაკავშირებით, „აუდის“ ბრუნვის მომენტი სრულიად ახალი — ექვსსაფეხურიანი სეკვენტური ტრანსმისიის მეშვეობით, მთლიანად უკანა ბორბლებზე მიმართეს. დაწვრილებით ტექნიკურ მონაცემებს Audi R8 GT3-ის შესახებ კომპანიაში არ ამჟღავნებენ. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას უყენია ძრავა, რომელიც 500 ცხ.ძ-ზე უფრო მძლავრია, თუმცა უცნობია, V8 თუ V10 ტიპისაა ეს მოტორი.

ამ მანქანის ოფიციალური დებიუტი 2009 წლის დასაწყისში შედგება. „მას შემდეგ, რაც ჩვენ პირველად წარმოვადგინეთ R8, კლიენტებმა არაერთხელ მოგვმართეს თხოვნით, მისი სარბოლო ვერსიაც შეგვემუშავებინა. R8 შესანიშნავი ავტომობილია, რომლის საფუძველზეც, კლიენტებისთვის დიდ სპორტულ პროგრამას შევიმუშავებთ“, — განაცხადა Audi Motosport-ის სპორტული ქვედანაყოფის დირექტორმა ვოლფგანგ ულრიხმა. უფრო ადრე, „აუდის“ აგრეგატების შემუშავების განყოფილების დირექტორი ვოლფგანგ ჰატცი ამბობდა, რომ სუპერავტოს — R8 — RS-ვერსიის შემუშავებისას გამოყენებული იქნებოდა 5,2-ლიტრიანი, V10 ტიპის ორტურბინიანი, 572 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავა. ამ მოდელის ბაზარზე გამოტანა 2009 წლის ბოლოსთვის იგეგმება. ■

„ფერარის“ სავაჭრო ცენტრი ნიურბურგრინგთან

ცნობილი გერმანული სარბოლო ტრეკის, ნიურბურგრინგის მახლობლად „ფერარიმ“ საკუთარი სავაჭრო ცენტრი გახსნა. იგი სუპერავტოების სალონსა და მაღაზიას აერთიანებს, სადაც შესაძლებელია, იტალიური ავტომწარმოებლის მიერ გამოშვებული ნიმუშების შეძენა. ესენია: ტანსაცმელი, ნოუტბუკები, ფიჭური ტელეფონები, მანქანების სათამაშო მოდელები, სპორტული ტრენაჟორები, თხილამურები და საოფისე ნივთებიც კი.

„ფერარის“ სავაჭრო ცენტრის მოედნის ფართობი 235 კვარდრატულ მეტრს შეადგენს. როგორც ვარაუდობენ, ეს მაღაზია ახალი კომპლექსის ნაწილად იქცევა, რომელიც უახლოეს მომავალში სარბოლო ტრეკის ტერიტორიაზე აიგება. იქვე იქნება კარტინგისთვის განკუთვნილი ტრეკი, სავაჭრო რიგები, საკვლევი ცენტრი, ახალი ტრიბუნა და სასტუმრო. კომპლექსის გახსნას 2009 წლის შუა პერიოდისთვის ვარაუდობენ. ■





ფინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. აკუტაგავა; 2. უმი; 3. მანერა; 4. ათანელი; 5. კვირა; 6. ტრაპეზი; 7. ლიმონათი; 8. ალბატროსი; 9. ამალა; 10. ჩალა; 11. სანდრა; 12. მარკშაიდერი; 13. მეტრიკა; 14. ტბორი; 15. ჩილე; 16. რინიტი; 17. ბოა; 18. ძნა; 19. ტატა; 20. არბალეტი; 21. ონკოლოგია; 22. კივი; 23. უბე; 24. ირისი; 25. მენი; 25. კურო; 27. სოფოკლე; 28. იადონი; 29. დოქი; 30. სიმენსი; 31. ბანდერასი; 32. მადრიდი; 33. ოლე; 34. ოდო; 35. ქონდარი; 36. ყუა; 37. გრაცია; 38. არაქისი; 39. იდეა.

სურათებზე: ალიშა კეისი; ეროს რამაზოტი.

რამდენად რთულია წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა?

სულიერი წონასწორობა ადამიანისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი თვისებაა. მოცემული ტესტი დაგეხმარებათ გაერკვეთ: ნამდვილად ნერვიული ადამიანი ხართ, უბრალოდ, თავის შეკავება არ გსურთ, თუ საკმაოდ გაწონასწორებული ბრძანდებით.

1) ხომ არ გაღიზიანებთ გაზეთის დაკუჭული ფურცელი, რომლის წაკითხვასაც აპირებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3 ქულა;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

2) თინეიჯერივით გამოწყობილი ქალბატონის დანახვა ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

3) თანამოსაუბრესთან მეტისმეტი სიახლოვე (ვთქვათ, პიკის საათში საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყოფნისას) ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

4) ქუჩაში მწეველი ქალის დანახვაზე ღიზიანდებით?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

5) გაღიზიანებთ, როდესაც ვინმე პირდაპირ ცხვირ-პირში შემოგახველებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

6) ხომ არ ღიზიანდებით, როცა ვინმე ფრჩხილებს იკვნეტს?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

7) ვინმეს უადგილო სიცილი თუ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

8) როცა ვინმე ჭკუას გარიგებთ, რა როგორ უნდა გააკეთოთ, ხომ არ ღიზიანდებით?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

9) გაღიზიანებთ, როცა თქვენი შეყვარებული გამუდმებით იგვიანებს შეხვედრაზე?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

10) ღიზიანდებით, როცა კინოთეატრში თქვენ წინ მჯდომი მაყურებელი გამუდმებით ცმუკავს და ფილმის სიუჟეტის თაობაზე გაუთავებლად კომენტარებს აკეთებს?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

11) თუ ღიზიანდებით, როცა ვინმე ცდილობს, მოგიყვეთ საინტერესო წიგნის სიუჟეტი, რომლის წაკითხვასაც მოკლე ხანში აპირებთ?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

12) ხომ არ ღიზიანდებით, როცა რაიმე თქვენთვის გამოუყენებელ ნივთს გჩუქნიან?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

13) საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხმამაღალი საუბარი თუ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

14) ხომ არ ღიზიანდებით, როცა თქვენ ახლომახლო ვინმეს მძაფრ

სუნამო დიდი რაოდენობით ასხია?
ა) ძალზე ვღიზიანდები — 3;
ბ) დიდად არ ვღიზიანდები — 1;
გ) საერთოდ არ ვღიზიანდები — 0.

15) ხომ არ გაღიზიანებთ ადამიანი, რომელიც ლაპარაკისას მეტისმეტად აქტიურად იყენებს ჟესტიკულაციას?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

16) კოლეგის მიერ უცხო სიტყვების ძალზე ხშირად გამოყენება ხომ არ გაღიზიანებთ?
ა) ძალზე მაღიზიანებს — 3;
ბ) დიდად არ მაღიზიანებს — 1;
გ) საერთოდ არ მაღიზიანებს — 0.

ტესტის შედეგები

30 და მეტი ქულა: ქულათა ეს რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ მოთმინების უნარითა და სიმშვიდით ნამდვილად არ გამოირჩევით. თქვენ ღიზიანდებით ყველაფერზე, მათ შორის, ძალზე უმნიშვნელო რამეებზეც. მეტისმეტად ფიცხი ხართ და სულ იოლად კარგავთ წონასწორობას, ეს კი, საკმაოდ არასახარბიელოდ აისახება თქვენს ნერვულ სისტემაზე და სხვებსაც დისკომფორტს უქმნის. გირჩევთ, საკუთარი თავის ხელში აყვანა ისწავლოთ.

12-29: სხვათა შორის, ყველაზე ხშირად სწორედ ამ ტიპის ადამიანები გვხვდებიან ცხოვრებაში. მათ მხოლოდ ძალზე უსიამოვნო რამეები აღიზიანებთ და თანაც არასოდეს ქმნიან დრამას ყოველდღიური წვრილმანი უსიამოვნებებისგან. მათ ძალუძთ, „ზურგი აქციონ უსიამოვნებას“ და ძალზე იოლად დაივიწყონ ის.

11 და ნაკლები: ზედმიწევნით მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით. თუკი გულწრფელად უპასუხეთ კითხვებს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წონასწორობიდან თქვენი გამოყვანა საკმაოდ რთული საქმეა.

MK

ჰოროსკოპი

(4 - 10 სექტემბერი)

ფარაონი

ფუფუნებისა და განცხრომისკენ სწრაფვა მოგეძალებათ. თუმცა უმჯობესი იქნება, ოჯახურ საქმეებს მიხედოთ ხელი და საკუთარ ჯანმრთელობაზეც იზრუნოთ. ხალხმრავლობა თქვენთვის ცოტა დამღლელია, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა თქვენი პრესტიჟისთვის სასარგებლოა.

ყურძენი

შესაძლოა, შეიძინოთ უძრავი ქონება ან შეიცვალოთ საცხოვრებელი ადგილი. მეტ დროს დაუთმობთ ოჯახს, შვილებსა და მშობლებს, თუმცა საკუთარი საქმეების მოგვარებაზეც მოგიწევთ ზრუნვა. პირად ურთიერთობაში ეცადეთ, ნაკლებად იეჭვიანოთ.

ტყუპი

შესაძლოა, გააბათ ახალი რომანი, რომელიც საქმიანობაში შეგიშლით ხელს. ოჯახის წევრებს ყველა წვრილმანის გამო ნუ აუხირდებით და მეტი მოთმინებით მოეკიდეთ მშობლების რჩევებს. ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოიპოვებთ, რაც ახალი იდეების გაჩენას შეუწყობს ხელს.

ქიმიჩხიტები

ბედი გაგიღიმებთ და იაფად შეიძენთ ნივთებს, რომლებსაც კარგა ხნის მანძილზე სიამოვნებით მოიხმართ. ნაკლებხელსაყრელი პერიოდია უცხოეთში სამოგზაუროდ. შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოთ: ან დასცილდეთ, ან პირიქით — ერთ ჭერქვეშ ცხოვრება დაიწყოთ.

ლომი

შესაძლოა, განაახლოთ რომანტიკული ურთიერთობა ძველ შეყვარებულთან. ახალი სამსახური სწრაფად არ გაგამდიდრებთ, მაგრამ კარგ პერსპექტივას გიქადით. ქალაქგარეთ გამგზავრება და ახალი ურთიერთობები არა მარტო სიამოვნებას მოგგვრით, არამედ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობასაც გაგიუმჯობესებთ.

ჯადოსანი

შესაძლებელია, საზღვარგარეთ წასვლამ მოგიწიოთ — მივლინებით ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობა ხელს შეუწყობს თქვენს პროფესიონალურ წარმატებებს. ერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს.

სასწორი

შესაძლოა, მშობლების ჯანმრთელობაზე ზრუნვამ მოგიწიოთ. ამ დროს საქმიანობა თვენთვის უკანა პლანზე გადაიწევს, რასაც სასურველ პარტნიორთან სასიყვარულო ურთიერთობის აღდგენაც დაერთვება თან.

ბოჩიტები

ჯობს, მოზღვავებული ენერგია ახალი იდეების ხორცშესხმას მოახმაროთ. საყვარელი ადამიანის სურვილები თქვენთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იქნება, როგორიც საკუთარი. ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე ზრუნვამ კი შესაძლოა, მთელი თქვენი დანაზოგი შეიწიროს.

ბუღიდოსტები

პროფესიონალურ ასპარეზზე იოლად მიაღწევთ წარმატებას, რასაც ხელმძღვანელთა კეთილგანწყობილება და შესაძლოა, თქვენი დაწინაურებაც მოჰყვეს. პირად ცხოვრებაში დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით, შესაძლოა, ახლობლები გააწბილოთ. სასურველია, უცხოეთში გამგზავრება გადადოთ.

თხის რუბა

კარგი პერიოდია კონტრაქტების გასაფორმებლად და სავაჭრო გარიგებების დასადებად. დადებითი ენერგეტიკა და კარგი ფსიქოსომატური მდგომარეობა ადრინდელი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ. ყურადღება მიაქციეთ ოჯახსა და შვილებს, რათა შემდგომში მათთან ურთიერთობისას პრობლემები არ შეგექმნათ.

ბეჩეფუტები

ნუ დაჰყვებით ახალგაცნობილი ადამიანების ნებას, თორემ შესაძლოა ისეთი ავანტიურის მსხვერპლი გახდეთ, რომელსაც დიდხანს ვერ დააღწევთ თავს. შესაძლოა, მიიღოთ მიწვევა უცხოეთიდან, მაგრამ ჯობს, გამგზავრება სხვა დროისთვის გადადოთ. ეცადეთ, კარგად დაისვენოთ დაძაბული სამუშაოს შემდეგ და მეტხანს იყოთ საყვარელი ადამიანის გვერდით.

თევზები

გამოცდილ, ხანდაზმულ და გავლენიან პირებთან ურთიერთობისას ბევრ სარგებელს მიიღებთ. შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა დაქორწინება შემოგთავაზოთ, რასაც უნდა დათანხმდეთ, რადგან საუკეთესო პერსპექტივა გელით. მშვენიერი განწყობილება და ენერგიულობა უამრავი საქმის კარგად დასრულების საწინდარი გახდება.

სუდოკუ

ფინა ნომრის სუდოკუს ჰასუხები

იაპონური სენსაცია

3	6	2	9	8	5	4	7	1
5	1	7	4	6	3	2	8	9
8	9	4	1	7	2	3	6	5
9	4	6	2	1	8	5	3	7
7	2	8	3	5	6	1	9	4
1	5	3	7	9	4	6	2	8
2	3	9	5	4	7	8	1	6
4	8	1	6	2	9	7	5	3
6	7	5	8	3	1	9	4	2

2	6	5	3	1	8	4	7	9
7	3	4	5	9	6	8	1	2
8	9	1	4	2	7	6	3	5
5	2	9	6	4	3	7	8	1
1	8	3	9	7	2	5	4	6
4	7	6	8	5	1	2	9	3
9	5	7	2	3	4	1	6	8
3	1	8	7	6	5	9	2	4
6	4	2	1	8	9	3	5	7

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

		3	8			9		
		7		6			2	
	9		7				5	4
1				8		4		
		5	2		7	3		
		6			1			8
6	3				2		4	
	5			7		1		
		2			4	5		

* * * საშუალო

		1		5		9		
	2			8	1	3		
7			4				6	
		4	6				5	
	5			4		7		
	4				9			8
		7	2	1			9	
		5		3		4		

* * * იოლი

9					8	6		
		3			6			8
			5				9	
		4		8				3
	8		6		3		5	
1				2		7		
	1				4			
7			9			4		
		9	3					1

ფოტოკოლიაჟები

გაერთიანებული ტელეკომი

ყველაზე სწრაფი ინტერნეტი DSL

თვეში მხოლოდ 20 ლარად.

ინფორმაციისთვის და ჩეგისტრაციისთვის

დარეკეთ

100-100 ან 100-900